ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

რევაზ გველესიანი ირინა გოგორიშვილი

გადაწყვეტილებების მიღების ტექნოლოგია ეკონომიკურ პოლიტიკაში

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2018

სამეცნიერო ნაშრომი ეძღვნება ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილებების ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან შესაბამისობის და მათი მიღების ტექნოლოგიის კვლევას. კერძოდ, მასში განხილულია საზოგადოების პრიორიტეტული ღირებულებები (თავისუფლება, სამართლიანობა, უსაფრთხოება, პროგრესი), რომლებიც განმსაზღვრელ როლს ასრულებენ ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების პროცესში. სწორედ მათი შესაბამისობის დონეზეა დამოკიდებული ეკონომიკურ პოლიტიკაში მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელების ეფექტიანობა ანუ პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები.

ნაშრომი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემებით დაინტერესებული ახალგაზრდა მკვლევარების (მაგისტრები, დოქტორანტები) სამეცნიერო-კვლევითი ორიენტაციისათვის. ის ნამდვილად დააინტერესებს და დახმარებას გაუწევს, როგორც უმაღლესი სასწავლებლების პროფესურას, ასევე სახელმწიფო ეკონომიკურ სტრუქტურებსა და ბიზნესის სფეროში მოღვაწე პროფესიონალებს.

ავტორები დიდ მადლობას უხდიან ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის დოქტორანტს ტარიელ ლომიას ამ ნაშრომზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის.

რედაქტორი ელგუჯა მექვაბიშვილი, პროფესორი
რეცენზენტები: მიხეილ თოქმაზიშვილი, პროფესორი
იოსებ არჩვაძე, პროფესორი

დაიბეჭდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით.

საავტორო უფლებები დაცულია. ავტორების წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის გადაბეჭდვა ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით, ქსეროკოპირების, ინფორმაციის შენახვისა და მოძიების ელექტრონული სისტემებით, არ შეიძლება.

© რ.გველესიანი, ი.გოგორიშვილი, 2018

გამომცემლობა „უნივერსალი", 2018
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-26-264-7

წინასიტყვაობა

ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების შემადგენელი ნაწილია რეალობის დაშორება სასურველი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან. ნორმატიული საკითხია თუ რა არის სასურველი და როგორ შეფასდება ეს დაშორება. იმისათვის, რომ ასეთი პრობლემა დავძლიოთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან ეკონომიკურ პოლიტიკაში მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისობა.

ეკონომიკურ პოლიტიკაში მიღებული გადაწყვეტილებები თავიანთი ლოგიკური სტრუქტურით მეტად კომლექსურია სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების მრავალმხრივი ურთიერთდამოკიდებულების გამო. ყველა გადაწყვეტილება მოიცავს რაიმე განუსაზღვრელობას. გარკვეული ან განუსაზღვრელია ის, არის თუ არა სწორად გაანალიზებული ეკონომიკურ-პოლიტიკური სიტუაცია და განხილული ქმედებების მოსალოდნელი შედეგები. აქედან გამომდინარე, არა მხოლოდ გადაწყვეტილების მიმღები ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს ეკონომიკურ მოვლენებზე, არამედ ეკონომიკის სუბიექტთა მთელი დასი. მათ რიცხვში შეიძლება შედიოდეს ისეთი სუბიექტები, რომლებსაც საერთოდ არ გააჩნიათ ეკონომიკური კომპეტენცია და მიუხედავად ამისა, მაინც ახდენენ გავლენას ეკონომიკაზე. გადაწყვეტილებების ლოგიკური სტრუქტურა გადაწყვეტილების მიღების თეორიის ობიექტია. სწორედ ეს თეორია გვეხმარება ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილებების მიღების პრობლემების შეფასებასა თუ დაძლევაში.

შეზღუდული პოზიტიური ეკონომიკური ცოდნა შეიძლება შერწყმული იქნას ეკონომიკურად რელევანტურ ნორმებთან. ისინი მიუთითებენ თუ როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან დაშორება რეალობასა და მიზანს შორის. ცოდნის ნაკლებობა, დროის საჭიროება მოქმედებისათვის, გაურკვევლობა, შეზღუდული ეკონომიკური პერსპექტივა, ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარების რეგულარული ცვლილებები, ასევე პოლიტიკური გადაწყვეტილებების გაუთვალისწინებლობა და ავტონომია მნიშვნელოვანი არგუმენტებია იმისათვის, რომ ეკონომიკური პოლიტიკის თეორია (მოძღვრება ინტერვენციის შესახებ) არ გავიგოთ, როგორც მხოლოდ ნორმატიული ტექნოლოგია. დასახელებული სირთულეები მოითხოვენ ზოგადად ეკონომიკური პოლიტიკისაგან, კერძოდ კი მისი გამტარებლებისა და მრჩეველებისაგან, როგორც ეკონომიკური მართვის, ასევე პოლიტიკური და ორგანიზატორული ნორმების ცოდნასაც. საჭიროა მეტი უნარ-ჩვევები, შესაბამისად, მოძღვრება ინტერვენციის შესახებ უნდა პასუხობდეს იმ მოთხოვნებს, რითაც იგი უნდა იქცეს მოძღვრებად მართვის ხელოვნების შესახებ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომის მიზანია ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილებების ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან შესაბამისობის პრობლემის და მათი მიღების ტექნოლოგიის კვლევა, რადგან სწორედ მათი შესაბამისობის დონე განსაზღვრავს, როგორც ეკონომიკურ პოლიტიკაში მიღებული გადაწყვეტილებების რაციონალურობას, ასევე მათი პრაქტიკაში განხორციელების ეფექტიანობას.

ნაშრომი იმ წარმატებული საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი თანამშრომლობის მნიშვნელოვანი შედეგია, რომელსაც თსუ ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა და ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტი ახორციელებენ უცხოეთის უნივერსიტეტებთან და რის გამოც მათ გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD), ბერლინის, ცუკუბას (იაპონია) და პოტსდამის უნივერსიტეტების წარმომადგენელთა მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

რევაზ გველესიანი ირინა გოგორიშვილი

თბილისი

2 მაისი, 2018

შინაარსი

წინასიტყვაობა 3

ნაწილი I. გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი ეკონომიკურ პოლიტიკაში 7

თავი 1. ეკონომიკური პოლიტიკის თეორია ახალი გამოწვევების წინაშე ... 7
პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკა – მეცნიერული კვლევის საგანი 7
ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა – ეკონომიკაში თვისებრივი ცვლილებების განმსაზღვრელი პოლიტიკა 9
ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების სტრუქტურა 19

თავი 2. შეფასების როლი და მნიშვნელობა ეკონომიკურ პოლიტიკაში 24
შეფასების პროცესი ეკონომიკურ პოლიტიკაში 24
მიზანი - ინსტრუმენტი -აზროვნება 36

თავი 3. ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებები და მეთოდური ნორმები 40
ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებები 40
მეთოდური ნორმები 74

თავი 4. ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები და მათი ურთიერთდამოკიდებულება 85
ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები და მათი შესაბამისობა ძირითად ღირებულებებთან 85
მიზნების ოპერაციონალიზება 87
მიზანთა ურთიერთდამოკიდებულება 91

თავი 5. ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები და მათი გამოყენების კრიტერიუმები 96
ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების კატეგორიები 96
მიზანი - ინსტრუმენტი - სისტემა 108
მიზნის, კონცეფციისა და სისტემის მიმართ კონფორმულობა 123
ინსტრუმენტების ოპტიმალური გამოყენება 129
ინსტრუმენტების დისკრეციული გამოყენება 139

ნაწილი II. გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების პრობლემები ეკონომიკურ პოლიტიკაში 146

თავი 6. ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების სტრუქტურა 146
რაციონალურობა ეკონომიკურ პოლიტიკაში 146
ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვის ელემენტები.....151

თავი 7. გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების ლოგიკა ეკონომიკურ პოლიტიკაში 167
გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების თეორიები 167
გადაწყვეტილებების მომზადება ეკონომიკურ პოლიტიკაში.....170
გადაწყვეტილებების მიღება ეკონომიკურ პოლიტიკაში.....191

თავი 8. გადაწყვეტილებების მიღების სოციალურ-ტექნიკური შესაძლებლობები ეკონომიკურ პოლიტიკაში.....196
გადაწყვეტილებების მიღების პრობლემის კატეგორიები 196
ეკონომიკისა და საზოგადოების გლობალური ცვლილებები 208

თავი 9. მეცნიერული რჩევების როლი ეკონომიკურ პოლიტიკაში.....213
მეცნიერული რჩევების რეალიზაციის შესაძლებლობები ეკონომიკურ პოლიტიკაში 213
მეცნიერული რჩევის კრიტიკის ფუნქცია დემოკრატიულ საზოგადოებაში 224

გამოყენებული ლიტერატურა 226

ნაწილი I. გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი ეკონომიკურ პოლიტიკაში

თავი 1. ეკონომიკური პოლიტიკის თეორია ახალი გამოწვევების წინაშე

წესრიგის, ალოკაციის, სტაბილიზაციისა და განაწილების პოლიტიკის დახასიათებით იკვეთება ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაც ეკონომიკური პოლიტიკის პრეროგატივაა. რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაში ამ ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელია დავასაბუთოთ მართვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების საჭიროება. ამასთან დაკავშირებით კი წამოიჭრება დემოკრატიისა და რაციონალურობის პრობლემები. აქედან გამომდინარეობს ეკონომიკური პოლიტიკის მოთხოვნათა არგუმენტაცია და ის, თუ რამდენად გამართლებულია მათი დაკმაყოფილება. პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც ეკონომიკურ-პოლიტიკური მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობა, სხვადასხვა ასპექტით ხდება მეცნიერული კვლევის საგანი. ეკონომიკური პოლიტიკის პოზიტიური თეორიის საგანია, როგორც პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრა და დახასიათება, ისე ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთა ქცევის პროგნოზირება. ამასთან, შესაძლებელია, დემოკრატია და რაციონალურობა (როგორც მეთოდური ნორმები) ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების საფუძვლებს აუმჯობესებდეს. ამგვარი მიდგომა შეიძლება ინტერვენციის შესახებ ეკონომიკურ-პოლიტიკურ მოძღვრებაში გადაიზარდოს. მაგრამ მის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების ზოგადი სტრუქტურის დახასიათება. ინტერვენციის შესახებ მოძღვრება დამოკიდებულია ეკონომიკური წესრიგის თეორიულად დასაბუთებულ პირობებზე. ამის მიზეზი ისაა, რომ საბაზრო ეკონომიკები ეკონომიკურ სუბიექტთა (ეკონომიკური ინტერესების) მიერ დასახულ მიზნებზე ორიენტირებული სისტემებია. აქედან გამომდინარე, მათი მართვის შესახებ ცოდნა და შესაძლებლობები ძალზე შეზღუდულია.

პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკა - მეცნიერული კვლევის საგანი

ეკონომიკური პოლიტიკა რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაში მოიცავს: 1) სახელმწიფო ინსტანციების მიერ განსაზღვრული მიზნების მიხედვით ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ წესრიგს და 2) ზეგავლენას, რომელსაც ეს ინსტანციები ახდენს ეკონომიკის სტრუქტურაზე, მიმდინარე პროცესებსა და შედეგებზე. ეს განსაზღვრება რამდენიმე მახასიათებლისაგან შედგება:

• ეკონომიკური პოლიტიკა გულისხმობს მის გამტარებელთა ძალაუფლებას საზოგადოებრივ ურთიერთობათა საზღვრებში;

• ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებულია იმ მიზნების მიღწევაზე, რომლებიც როგორც წესი (1) არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას უკავშირდება; (2) ყოველმხრივ შეფასებას მოითხოვს და (3) წმინდა პოლიტიკისაგან დამოუკიდებელი არ არის;

• ეკონომიკური პოლიტიკა ემყარება მიზნებსა და საშუალებებს შორის ეკონომიკური კორელაციის არსებობის ვარაუდებს;

• ეკონომიკური პოლიტიკა არის ეკონომიკური ინტერესების (იდეების) ფორმირებისა და განხორციელების მიზეზ-შედეგობრივი პროცესი, რომელიც ხასიათდება თავისი საკუთარი კანონზომიერებებით.

ეკონომიკური პოლიტიკის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, შემეცნების საგანია პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკა. მან, ერთი მხრივ, უნდა განსაზღვროს და დაახასიათოს პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკა, ხოლო მეორე მხრივ, შეადგინოს პროგნოზები ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებების გამტარებელთა ქცევის შესახებ. ამგვარი მიდგომის მიზანია ეკონომიკური პოლიტიკის პოზიტიური თეორიის შექმნა და მისი ემპირიული უზრუნველყოფა. ეკონომიკური პოლიტიკა გულისხმობს ეკონომიკური თეორიის გამოყენებას იმის ასახსნელად, თუ როგორ ვლინდება ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფების ნება მართვის პოლიტიკასა და ადმინისტრაციულ სფეროებში. ეს იმას ნიშნავს, რომ ამით დახასიათებულია „საზოგადოებრივი არჩევანის" ანდა ეკონომიკური პოლიტიკის თეორიის კვლევის პროცესი (Buchanan, 1987).

ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების მეცნიერული ანალიზი საბოლოოდ პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის (ეკონომიკურ პოლიტიკაში რჩევების) მომზადებას უნდა ემსახურებოდეს. ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღების საფუძვლები კი უფრო გასაგები გახდება დემოკრატიისა და რაციონალურობის (როგორც მეთოდური ნორმების) დახმარებით. ამ პროცესის წარმატებით წარმართვისათვის აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი თეორიული ცოდნა, გამოცდილება და მეთოდები, რომლებიც გულისხმობს:

• პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების შინაარსის ახსნასა და მათ იდენტიფიცირებას (ისინი შესაძლოა ისე არიან ეკონომიკურად ურთიერთდაკავშირებული, რომ ჯერ ამის დეკლარირება არ მომხდარა);

• მიზანთა შორის არსებულ დამოკიდებულებას. ისინი ან ლოგიკურ კავშირში არიან ერთმანეთთან ანდა მათი (მიზნების) ურთიერთდამოკიდებულების საფუძველია ეკონომიკურ მოვლენათა შორის ფაქტობრივად არსებული კავშირები;

• ეკონომიკის სასურველ განვითარებას, როდესაც მასში ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე ინტერვენციები ხორციელდება;

• გადაწყვეტილების მიღების ლოგიკასთან დაკავშირებულ მოქმედების წესს. იგი კონკრეტული ეკონომიკურ–პოლიტიკური პრობლემების რაციონალურად გადაწყვეტის მიზნით გამოიყენება.

ინტერვენციის შესახებ ეკონომიკური პოლიტიკის მოძღვრების მთავარი საკითხია სწორედ ამ ცოდნისა და მისგან გამომდინარე მეთოდების გამოყენება იმ ეკონომიკურ-პოლიტიკურ პროცესში, რომელიც საბაზრო ეკონომიკაში დემოკრატიულობითა და რაციონალურობით ხასიათდება. კონკრეტული ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემის გადაჭრა ასეთი მიდგომით უნდა გაადვილდეს. ამასთან, უსაფუძვლოა მოსაზრება, რომ თითქოსდა შესაძლებელი იყოს მეცნიერულად განსაზღვრული ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება. ამგვარი მცდელობა იმ შემთხვევაშიც კი მარცხით მთავრდება, როდესაც ეკონომიკურ პოლიტიკაში მრჩეველებს თავიანთი ადრესატები, ანდა ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები პოლიტიკური სისტემებიდან და შესაძლოა საკუთარი ინტერესებისგანაც კი განყენებულ პერსონებად წარმოუდგენიათ. ასეთი შეხედულება, მეცნიერულად განსაზღვრული ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და გატარების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, ფართოდ არის გავრცელებული. ვფიქრობთ იგი ან დემოკრატიული პროცესის მცდარ გაგებას ემყარება ანდა მთლიანად მოწყვეტილია ეკონომიკურ პოლიტიკაში იდეებისა და შეხედულებების ფორმირების რეალურ პროცესს. სწორედ ამიტომ აუცილებელია ცალ-ცალკე განვიხილოთ, როგორც დემოკრატიულ გარემოში გადაწყვეტილებათა მიღების წმინდა ლოგიკური საზღვრები, ისე ეკონომიკურ პოლიტიკაში რჩევების რეალიზების პირობები.

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა – ეკონომიკაში თვისებრივი ცვლილებების განმსაზღვრელი პოლიტიკა

ეკონომიკურ მოვლენაზე მიზანმიმართული ზემოქმედების შესაძლებლობა არის სახელმწიფო ინტერვენციის შესახებ თეორიის მთავარი წანამძღვარი. ზოგადად ჩვენთვის ცნობილია თუ როგორ ფუნქციონირებს საბაზრო-ეკონომიკური სისტემები და როგორ ყალიბდება ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაზე მოთხოვნილება (საჭიროება). ნათელია ისიც, რომ ასეთი სისტემების მართვის შესაძლებლობები ძალზე შეზღუდულია. ამ ვითარებას ეკონომიკურ წესრიგთან დაკავშირებული მიზეზები (ძირითადად საკოორდინაციო მექანიზმი და საკუთრებით ურთიერთობათა წესრიგი) განაპირობებს. იგივე ეხება მართვას, რომელიც ორიენტირებულია საბაზრო

პროცესის კონკრეტულ შედეგებზე. რეალურად ეს დასტურდება, როგორც სტაბილიზაციის, ისე განაწილების პოლიტიკით.

მართვის შესაძლებლობათა საზღვრებს საბაზრო ეკონომიკის სისტემის სტრუქტურა ადგენს. საბაზრო სისტემის სტრუქტურა არის კომპლექსური და ევოლუტორული (ღია). იგი ემყარება თვითკოორდინაციას, რომელსაც აყალიბებს საბაზრო გარიგებები და თვითკონტროლს, რომელიც კონკურენციის საფუძველზე ხორციელდება. საბაზრო-ეკონომიკური სისტემა, როგორც დაუგეგმავი წესრიგი, გარკვეული კოორდინირების შედეგია. საქმე ეხება კოორდინირებას, რომელიც ეკონომიკაში საკუთარი მიზნების განმხორციელებელ ინდივიდებსა და მეწარმეებს შორის მყარდება. განსხვავებული სახის ეკონომიკური წესრიგი, ამ კონკრეტულ მიზნებს არ ემსახურება.

წმინდა საბაზრო ეკონომიკური წესრიგის გარდაქმნა რეგულირებად საბაზრო ეკონომიკის ტიპად ნიშნავს პოლიტიკურად განსაზღვრული მიზნებით დაუგეგმავი წესრიგის ჩამოყალიბებას. აქედან გამომდინარეობს ორი ძირითადი პრობლემა:

- როდესაც ეკონომიკის სახელმწიფო მართვის ღონისძიებებით გვსურს საბაზრო კოორდინაციის პროცესისა და შედეგების მიღება, ეს „დაუგეგმავი წესრიგისათვის“ გარკვეული მიზნების წინასწარ დასახვას ნიშნავს. ამგვარი მიზნები კი მოცემული წესრიგის ხასიათს არ შეესაბამება. ამიტომაც მოსალოდნელია, რომ ისინი სისტემის მხრიდან ისეთ რეაქციას გამოიწვევს, რომლის წინასწარ განჭვრეტა და გათვალისწინება შეუძლებელია;
- ეკონომიკის მართვის ღონისძიებათა მიზანმიმართული გამოყენებისათვის აუცილებელია მოსალოდნელი შედეგების წინასწარ ცოდნა. მაგრამ საქმე ის არის, რომ ღია საბაზრო მოვლენები (მათი კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე), შეუძლებელია მივიჩნიოთ დამაჯერებელ და სანდო კანონზომიერებებად (რაც ზოგიერთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებაშია შესაძლებელი). იგივე უნდა ითქვას მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზეც, რასაც ეკონომიკის სახელმწიფო მართვის ღონისძიებები უნდა ემყარებოდეს;

როგორც ვხედავთ საბაზრო ეკონომიკური წესრიგის თეორიის საფუძველზე ჩამოყალიბებული პირობების მიხედვით ეკონომიკის სახელმწიფო მართვის შედეგებს საეჭვოდ მივიჩნევთ. ამიტომაც მნიშვნელოვანია:

- მართვის ლოგიკურად დასაბუთებული სტრუქტურის შემუშავება და მისი ელემენტების განსაზღვრა;
- ღია ბაზრის ისეთი პირობებისა თუ შეზღუდვების გაანალიზება, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს მხრიდან განსხვავებული ინტერვენციის კატეგორიებს;

• იმ მეთოდებისა და კრიტერიუმების დადგენა, რომლებიც გადაწყვეტილებების მომზადების პროცესში გამოიყენება (ეკონომიკის სახელმწიფო მართვასთან დაკავშირებით).

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის მიზანია დაადგინოს ჩარჩო პირობები კერძო და სახელმწიფო აგენტთა ეკონომიკური აქტივობისათვის და შეუსაბამოს ისინი სოციალურ, ეკონომიკურსა და ტექნოლოგიურ პროცესებს. მას ხშირად თვისებრივ ცვლილებათა განმსაზღვრელ პოლიტიკასაც უწოდებენ (Streit, 2005, გვ.26-30; 49-53).

ყოველგვარი ეკონომიკური წესრიგი მთელ რიგ მნიშვნელოვან ელემენტებს ეფუძნება. მასში შედის მიზნების ან მიზანთა სისტემის დადგენა, ასევე სამართლებრივი საფუძვლებისა და მნიშვნელოვანი ინსტიტუტების განსაზღვრა. ეკონომიკური წესრიგი ზოგადად ამ გზით რეგულირდება. ეკონომიკური წესრიგის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ელემენტებია: საკოორდინაციო მექანიზმი და საკუთრებით ურთიერთობათა წესრიგი (Koch, Czogalla, 2004, გვ. 31). რადგან საბაზრო ეკონომიკაში ამ ელემენტთა განსხვავებული კომბინაციები არსებობს, ამიტომ ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკისათვის საჭიროა შესაბამისი რეკომენდაციების ჩარჩო.

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის განხილვა მოითხოვს უფრო მეტ დიფერენცირებას, რომელიც შეესაბამება ეკონომიკური საზოგადოების კერძო ჯგუფებად დაყოფას, მის სტრუქტურას (კერძო საოჯახო მეურნეობები, დარგები, ინტერესთა წარმომადგენლობები, სოციალური დაწესებულებები და ა.შ.) და ასევე სახელმწიფო ინსტიტუტებსა და ინსტიტუციებს, იმისათვის, რომ ჩარჩო პირობების სპეციფიკური მნიშვნელობის გაგება შევძლოთ.

ვისაც სურს გაატაროს წესრიგის ეფექტიანი პოლიტიკა, ის უნდა იცნობდეს ეკონომიკური სუბიექტების შესაბამისი კატეგორიებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ჩარჩო პირობებს. ის რაც „ქვედა“ კატეგორიისათვის ჩარჩო პირობას წარმოადგენს, „მაღალი“ იერარქიული საფეხურისათვის შესაძლებელია მოქმედების პარამეტრი იყოს. მაგ., სატარიფო ხელშეკრულებების პარტნიორები ერთმანეთს ახალ პირობებზე (მოქმედების პარამეტრი) უთანხმდებიან. ამით კი დგინდება მოქმედების არეალი მეწარმეებისა და დასაქმებულებისთვის (ჩარჩო პირობა).

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკით უნდა მივაღწიოთ შესაბამისობას საზოგადოებრივ ღირებულებათა სისტემასა და ეკონომიკური წესრიგის ჩარჩო პირობების ფორმირებას შორის. ამით ნათელი ხდება, რომ წესრიგის პოლიტიკა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ზემიზნების მიღწევასთან დაკავშირებით ინსტრუმენტულ ხასიათს ატარებს. სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებში იგი არსებითად განსხვავებულია.

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა, თავის მხრივ, ენდოგენური ტიპის (შიგა) წინააღმდეგობას გულისხმობს. იგი არსებობს კონკურენციულ და სოციალურ წესრიგს შორის. კონკურენციული წესრიგი ორიენტირებულია წარმატების მიღწევის პრინციპზე, სოციალური წესრიგი კი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მაღალ კრიტერიუმებზე (ისინი კი ნაწილობრივ მაინც წარმატებისკენ სწრაფვას ეწინააღმდეგება). ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკაში სახელმწიფო ცდილობს სოციალური წესრიგის ფორმირებასა და მისი საზღვრების გაფართოებას, ხოლო ბაზარი მოწოდებულია დაამკვიდროს ფუნქციონირებისუნარიანი კონკურენციული წესრიგი და უზრუნველყოს მისი განხორციელება. განვითარების სტრატეგიის თვალსაზრისით, სახელმწიფო (სოციალური წესრიგი) და კერძო (კონკურენციული წესრიგი) ეკონომიკური აქტივობისთვის შესაბამისი სივრცეების დადგენასა და მათ შორის რაციონალური საზღვრის „დაწესებას“, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. იმ ქვეყნებში, სადაც აღნიშნული სივრცეები და საზღვარი სწორადაა „დადგენილი'', ეკონომიკური სუბიექტები (მცირე, საშუალო და დიდი საწარმოები) დიდ წარმატებებს აღწევენ. ასეთი წარმატებები ვლინდება ნაციონალურ და საერთაშორისო ბაზრებზე შესაბამისი სეგმენტების დაპყრობითა და ლიდერი საწარმოების პოზიციის ხანგრძლივად შენარჩუნების პროცესით.

ეკონომიკური პოლიტიკის სხვა სფეროებისაგან განსხვავებით წესრიგის პოლიტიკაში სიტუაციის ანალიზი უფრო ძნელია. აქ არ არსებობს ისეთი კონკრეტული ინდიკატორები, როგორიცაა, მაგ., შრომის ბაზრის პოლიტიკაში დასაქმებულთა რაოდენობა და უმუშევართა წილი, ან ფულად პოლიტიკაში ფულის რაოდენობა და საპროცენტო განაკვეთი. რაციონალურ ჩარჩო-პირობებთან დაკავშირებით ინდიკატორს შესაძლებელია დაკმაყოფილების ხარისხის განსაზღვრა წარმოადგენდეს. მაგრამ ბუნებრივად არსებულ ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტში დაკმაყოფილების ხარისხის განსაზღვრა შეუძლებელია.

ასეთ შემთხვევაში სხვა გზას ირჩევენ. კერძოდ, პირველ რიგში, ეკონომიკური წესრიგის მნიშვნელოვან შემადგენელ ელემენტებს აანალიზებენ. მეორე სახელმწიფოსა და კერძო სფეროებს შორის „საზღვრების გადაწევის'' საკითხს განსაზღვრავენ. მესამე, კიდევ ერთხელ განიხილავენ საზოგადოებრივი საქონლის წარმოების საზღვრებს. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება შესაძლებელი არსებული ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის მოქმედების სასურველი და არასასურველი ეფექტების გამოვლენა. ცნობილი მეცნიერები ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის შეფასების კრიტერიუმად გამოვლენილი ეფექტებისადმი ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფების დამოკიდებულებას მიიჩნევენ (Koch, Czogalla, 2004, გვ. 34; Streit, 2005, გვ. 27-28).

ეკონომიკური პოლიტიკის სწორად წარმართვის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ეკონომიკური განვითარების მთელი პერიოდის შეფასებისას აქცენტი ყოველთვის ჩარჩო პირობების მნიშვნელობაზე კეთდება. ინვესტორთა მოლოდინი (კონკურენციის პირობებში გაწეული რისკების დაზღვევასთან დაკავშირებით) მხოლოდ მაშინ არის დასაბუთებული, როდესაც ჩარჩო პირობები კარგი და საიმედოა. ე.ი. როდესაც ბაზრები ღიაა და მათი რეგულირება შემოთავაზებული ღონისძიებებით შემოიფარგლება. თანამედროვე ინფრასტრუქტურის (რაციონალურობისა და დემოკრატიის მეთოდური ნორმების) არსებობის პირობებში სახელმწიფო ეკონომიკაში დისკრიმინაციულ ჩარევაზე უარს ამბობს. ასეთივე მნიშვნელობისაა ინვესტირებისათვის სახელმწიფოს მიერ შემოღებული მიკროეკონომიკური პირობები (ვიწრო გაგებით საგადასახადო და ხარჯების პოლიტიკის, სატარიფო ხელშეკრულების პარტნიორების მიერ ხელფასებისა და სახელფასო სტრუქტურის ფიქსირების, ფულადი პოლიტიკის, საპროცენტო განაკვეთებისა და ა.შ. სახით).

როდესაც წესრიგის ჩარჩო პირობები ეკონომიკური აქტივობისათვის თავისუფალ სივრცეს წარმოშობს, არსებული ჩარჩო პირობები არასასურველად აღიქმება. ანუ თუ სახელმწიფო კერძო ეკონომიკურ აქტივობას საკანონმდებლო ველისაგან თავისუფალ სივრცეს უტოვებს, მაშინ შეიძლება ჩრდილოვანი ეკონომიკა წარმოიქმნას.

ასეთ შემთხვევებში ყოველთვის საქმე ეხება საქმიანობას, რომელიც გადასახადების დაწესებას და სახელმწიფო სექტორის მხრიდან რეგლამენტირებას არ ექვემდებარება. მიუხედავად იმისა თუ როგორ ვაფასებთ ჩვენ ეკონომიკურ აქტივობას, იგი თავისი შედეგებით ბრუტო მშპ-ში უნდა გამოისახებოდეს, მაგრამ რეალურად მასში არ ვლინდება (რადგან ეს ეკონომიკური აქტივობა დაკვირვებას არ ექვემდებარება).

არაეფექტიანი ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის სხვა შედეგები, (რომლებიც მხოლოდ საერთაშორისო შედარების ფარგლებში შეიძლება აღვიქვათ), არის ბიზნესის ადგილსამყოფელის ან მისი ცვლილების ეფექტები. ნებისმიერ სახელმწიფოში მიმდინარე ეკონომიკური დავებისა და დებატების დაწვრილებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ კერძო ბიზნესისა და მისი ინტერესების წარმომადგენელთა მიერ ხდება ადგილსამყოფელის პირობების ნაკლოვანებათა კრიტიკა. ამასთან, ზოგადად ადგილსამყოფელის პირობებში განასხვავებენ „მკაცრ“ და „რბილ“ ფაქტორებს. პირველს ეკუთვნის: გადასახადები, ხელფასები და ხელფასის დამატებითი ხარჯები, სამუშაო დროის რეგულირება და მისი სიხშირე და სხვა. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება: სოციალური გარემო, სამართლებრივი უზრუნველყოფა, პოლიტიკური სტაბილურობა და ა.შ.

ჩარჩო პირობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის, რომელთა მიზანია გრძელვადიანი ეკონომიკური კავშირების დამყარება საზღვარგარეთულ ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფებთან. ასეთი ეკონომიკური კავშირები ხანგრძლივი დროით ამკვიდრებს უცხოელთა ეკონომიკურ ინტერესებს მოცემულ ქვეყანაში. ასეთი ვითარება ხშირად წარმოშობს ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტს (ადგილობრივ და უცხოელ ინტერესთა ჯგუფებს შორის). კონფლიქტების სათავე ყოველთვის არაეფექტიან წესრიგის პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ, რომელიც სამწუხაროდ ყალიბდება მოკლევადიან პერიოდებში მისაღებ სარგებელზე ორიენტირებით. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ ახალგაზდა განვითარებად ქვეყნებში ძალზე ძნელია ეფექტიანი წესრიგის პოლიტიკის ჩამოყალიბება. ეს განპირობებულია სწორედ სახელმწიფოებრიობის არსებობასთან დაკავშირებული ცოდნის, გამოცდილებისა და მართვის მეთოდების დეფიციტთან. მხოლოდ რაციონალურობისა და დემოკრატიის მეთოდური ნორმების საფუძველზე დამყარებული ეკონომიკური კავშირები უცხოურ საწარმოებთან (განსაკუთრებით ტექნოლოგიის, კაპიტალის, მარკეტინგის კონცეფციისა და მენეჯმენტის ცოდნის დანერგვით) არის მომგებიანი ნაციონალური ეკონომიკური ინტერესებისთვის. საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა თვალსაზრისით მასში შედის: საწარმოების, ფილიალების, განყოფილებებისა და სამუშაო ადგილების შექმნა (დაფუძნება); საწარმოების, განყოფილებებისა და სამუშაო ადგილების შესყიდვა; საწარმოს მოგებაში მონაწილეობის, მართვისა და განკარგვის უფლების შეძენა (საწარმოს აქციათა საკონტროლო პაკეტის შეძენა); ადგილობრივი საწარმოებისათვის ან იმ საწარმოებისათვის, რომლებშიც ის მონაწილეობს, კრედიტების გაცემა (საწარმოს აქციათა საკონტროლო პაკეტის გირაოში ჩადების საფუძველზე); გარკვეული პერიოდის განმავლობაში საწარმოების აღჭურვა მოწყობილობებითა და დანადგარებით (Jahrmann, 1998, გვ. 63).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მრავალწლიანმა როგორც ნეგატიურმა, ისე პოზიტიურმა სალდომ შესაძლებელია შედეგად „არახელსაყრელი“ ან „ხელსაყრელი“ ჩარჩო პირობები წარმოქმნას. დასაქმების მენეჯმენტის ინსტიტუტი (შვეიცარია) ეკონომიკის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გამოკვლევებში 321 ინდიკატორს გულისხმობს. ამავე დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ არსებობს უცხოური ინვესტიციების განხორციელების სხვა მოტივები, რომლებიც პირდაპირი ინვესტიციების სალდოს (როგორც რომელიმე ქვეყნის ადგილმდებარეობის ხარისხის თვალსაზრისით საიმედო ინდიკატორს), კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

ახალი ბაზრების გახსნის კვალდაკვალ ეროვნული ბიზნესისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა უახლესი სამეწარმეო და გაყიდვის

სტრატეგიების გაცნობა. მაგ., აზიურ ბაზარზე პროდუქტის რეალიზაციისთვის მხოლოდ სავაჭრო წარმომადგენლებით ან სააგენტოებით მოქმედება ჯერ კიდევ მომგებიანია მცირე ეკონომიკებისათვის, მაგრამ დიდი ეკონომიკებისათვის ეს უკვე ნაკლებეფექტიანია. მათთვის აუცილებელია ადგილზე საკუთარი ფილიალების შექმნა. ამით უცხოურ ბაზრებზე შეღწევა და დამკვიდრება (რაც აგრეთვე დამოკიდებულია სოციალურ-კულტურულ ფაქტორებზე, მათ ცოდნაზე და სპეციფიკურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ინსტრუქციებზე) მნიშვნელოვნად გაადვილდება. გამოკვლევები ცხადყოფს, რომ არსებობს მკაფიო კავშირი საზღვარგარეთ მოცემული ქვეყნის პირდაპირ ინვესტიციებსა და მის ექსპორტს შორის. მაღალი საექსპორტო პოტენციალის მქონე დარგების საწარმოები პირდაპირი ინვესტირების სიმტკიცის მაღალ უნარს მეტწილად საზღვარგარეთ ავლენენ. სხვათაშორის, ეს ძალაშია, რეგიონული სტრუქტურებისთვისაც, რომლებშიც ასევე იკვეთება კავშირი ექსპორტსა და პირდაპირ საინვესტიციო აქტივობებს შორის.

ყველგან და ყოველთვის ეკონომიკური წესრიგი და სამართლებრივ-საკანონმდებლო სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს საზოგადოებრივ ღირებულებებსა და მიზნებზე. საერთოდ არ არსებობს საზოგადოების ეკონომიკური საქმიანობა (აქტივობა) სახელმწიფო დაწესებულებათა მონაწილეობის გარეშე. პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ ამოცანები, რომლებსაც ასრულებს სახელმწიფო საზოგადოების ეკონომიკურ საქმიანობაში. სახელმწიფოს, მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად რესურსები ესაჭიროება. ამით ჩვენ მივედით ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხთან: ქვეყანაში კერძო და საზოგადოებრივ სფეროებს შორის რესურსების გასანაწილებლად როგორი ეკონომიკური ოპტიმუმი უნდა არსებობდეს? ან სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული რესურსების რაოდენობა რა კრიტერიუმებით უნდა დავადგინოთ?

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის ცენტრალურ საკითხზე პასუხი, როგორც ნორმატიულ, ისე პოზიტიურ ეკონომიკაში უნდა ვიპოვოთ. ნორმატიული ეკონომიკის საზღვრებში (კეთილდღეობის თეორია) საზოგადოების ეკონომიკურ საქმიანობაში ცდილობენ ოპტიმალური წარმოებისა და განაწილების პირობები გამოიკვეთოს. ეკონომიკის კერძო სექტორში პროდუქციის ოპტიმალურ რაოდენობას (საწარმოთა მოგებისა და კერძო საოჯახო მეურნეობების სარგებლიანობის მაქსიმიზაციით) სრულყოფილი კონკურენციის ბაზრებზე ფასთა მექანიზმით ვიღებთ. ეს საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ საერთო ეკონომიკური მდგომარეობა და მისი შესაბამისი კეთილდღეობის ოპტიმუმი მივიღოთ. ამ ოპტიმუმს აგრეთვე პარეტო-ოპტიმუმსაც უწოდებენ, რომლის მიხედვით, საზოგადოების ან მისი

რომელიმე ჯგუფის ნებისმიერი წევრის კეთილდღეობა არ გაუმჯობესდება თუ იმავდროულად სხვათა კეთილდღეობა არ გაუარესდა. თუ რა არის სუბიექტისათვის „უკეთესი“ ან „უარესი“, ამას მათი პრეფერენციები განსაზღვრავს.

სინამდვილეში როგორც თავისუფალი კონკურენციის, ისე პარეტოს მოდელი არ სრულდება. სრულყოფილი კონკურენციის მოდელი არც სასურველია და არც შესაძლებელი. რეალობაში ბატონობს ოლიგოპოლიის საბაზრო ფორმა, რომლის დროსაც სრულყოფილი კონკურენციის ფასთა მექანიზმის მოქმედების ეფექტი არ ჩანს. გარდა ამისა, რეალობაში შეუძლებელი ხდება განვსაზღვროთ კოლექტიური გაცვლის პირობები, რომ არაფერი ვთქვათ სარგებლიანობის გაზომვისა და სუბიექტების ურთიერთ-სარგებლიანობის შედარების პრობლემებზე. პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტირება ამ თეორიული განხილვების საფუძველზე ცხადია შეუძლებელია.

სახელმწიფოს აქტივობის სფეროში რესურსების ოპტიმალური ალოკაციისათვის ფასთა მექანიზმი არ გამოიყენება. ეს ვითარება საქმეს ართულებს. სახელმწიფო მოქალაქეებს არ აიძულებს, რომ სპეციფიკურ საზოგადოებრივ საქონელზე მათ თავიანთი პრეფერენციული მოთხოვნები გამოავლინონ. უცნობი რჩება აგრეთვე სახელმწიფოს აქტივობის სფეროში რა პროდუქტები და მომსახურება სურთ მათ მიიღონ ან რა ფასის გადახდისათვის არიან მზად. არ არსებობს საბაზრო ფასები, რომლებიც სახელმწიფოს უჩვენებს თუ რა რაოდენობის საქონელი და მომსახურება უნდა შეთავაზოს მან საზოგადოებას. სწორედ ეს მდგომარეობა აძნელებს დავადგინოთ სახელმწიფო და კერძო სექტორების მხრიდან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას შორის ოპტიმალური საზღვარი.

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის შესახებ არსებული გამოკვლევები ცხადყოფს, რომ კეთილდღეობის თეორია არ იძლევა სრულყოფილ საფუძველს პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტაციისათვის. რაც შეეხება სრულყოფილი კონკურენციის თეორიულ ანალიზს, მას ის უპირატესობა გააჩნია, რომ კონკურენციული ეკონომიკისათვის რეკომენდაციების ნათელი ჩარჩო პირობები მოგვცეს. საინტერესოა ვიცოდეთ (ამავე დროს მნიშვნელოვანიც) თუ რამდენად მისაღებია პოზიტიური ეკონომიკის დებულებები სახელმწიფოს ეკონომიკური აქტივობის „ოპტიმალური“ სიდიდის დასადგენად.

ისტორიული განვითარების პროცესში სახელმწიფოს წვლილი პოზიტიურ ეკონომიკაზე დაყრდნობითა და სხვა ქვეყნებთან შედარების საფუძველზე უნდა შევაფასოთ. სხვადასხვა ეკონომიკური წესრიგის გამოკვლევის პროცესში ეს საკითხი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. უმეტესი ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკური სისტემების მსხვრევის შემდეგ

(რომელებსაც სოციალისტური „ელფერი დაკრავდა“), განსხვავებულ სისტემათა შედარების შესაძლებლობა მეტ-ნაკლებად გაქრა. ამავე დროს საბაზრო ეკონომიკური წესრიგის უპირატესობის დასამტკიცებლად რეკომენდაციათა ჩარჩოები აღარ არსებობს. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ეკონომიკური ლიბერალიზმი და ეკონომიკურ წესრიგში (როგორიცაა მაგ., ეკონომიკის ხანგრძლივი გარდაქმნა აღმოსავლეთ ევროპასა და აფრიკის განვითარებად ქვეყნებში) ინდივიდუალურ ეკონომიკურ ინტერესზე ორიენტაცია, როგორც საყოველთაო პარადიგმა ისე დამკვიდრდა.

წესრიგის პოლიტიკაში განსაკუთრებული პრობლემები მაშინ იქმნება, როდესაც სახელმწიფოს მხრიდან ადგილი აქვს მიზანთა დაქსაქსულობას. საბაზრო ეკონომიკური წესრიგის ფარგლებში წინა საფეხურზე ყოველთვის რესურსების ოპტიმალური ალოკაცია დგას (Donges, Freytag, 2004, გვ.58-64; 86-103). ოღონდ მხოლოდ მასზე დაყრდნობით საზოგადოებრივ განვითარებას ვერ უზრუნველვყოფთ. თუკი საბაზრო ეკონომიკური წესრიგი ნამდვილად შეესაბამება უსაფრთხოებისა და სამართლიანობის მიზნებს, მაშინ სახელმწიფომ განაწილებისა და გადანაწილების პოლიტიკა ცალკე არ უნდა გამოყოს. და თუ ეს მაინც ხდება, ეს ნიშნავს, რომ მიზანთა კონფლიქტების გადაჭრა ორიენტირებული იქნება არა მხოლოდ წესრიგის პოლიტიკის კონცეფციაზე, არამედ კვლავინდებურად პოლიტიკური გავლენის მქონე ინტერესებსა და ძალისმიერი ქმედების შენარჩუნებაზე.

კერძო სექტორისა და სახელმწიფოს მხრიდან სოციუმის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას შორის საზღვარი მეცნიერულად არ არის დასაბუთებული. იგი დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, რომელთა შორის სახელმწიფოს საკუთრება რესურსებზე ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც საერთო ეკონომიკურ მიზანთა განსაზღვრა. ლიბერალური ბაზრის კონცეფციის საზღვრებში საქმე ეხება, პირველ რიგში, ინდივიდთა წარმოდგენებზე (თუ როგორ წარმოუდგენიათ ეს კერძო ინტერესთა ძლიერ ჯგუფებს) დაფუძნებულ დეცენტრალიზებულ კოორდინაციას. რასაკვირველია ამ შემთხვევაში განხორციელებული განაწილება საზოგადოების მხრიდან აღიქმება როგორც კვაზი ოპტიმალური. ამის საწინააღმდეგოდ, თუ განაწილების პოლიტიკის მიზანს შემოსავლების გამოთანაბრება წარმოადგენს, მაშინ სახელმწიფო ინტერვენციები (ჩარევები შემოსავლების გადანაწილების მიზნით ან რეგიონებს შორის განსხვავებების შემთხვევაში ცხოვრების პირობების გამოსათანაბრებლად) ეკონომიკურ პროცესებში უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. უნდა აღინიშნოს, რომ თვით რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკიც მრავალი წლის მანძილზე იმ ქვეყნებში, რომლებიც მას მხარდაჭერას სთხოვდნენ, ნეოლიბერალური წესრიგის დანერგვას ცდილობდა. თანაც სახელმწიფოს როლის შეზღუდვის პოზიციას

უჭერდა მხარს. ცხადია, რომ სახელმწიფომ თავისი მიზნები და ამოცანები ეფექტიანად უნდა განახორციელოს, ამასთან, წინა საფეხურზე ყოველთვის სამართლებრივი ნორმებისა და სოციალური გარანტიების უზრუნველყოფა, უნდა იდგეს.

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკაში განსაკუთრებული ადგილი კონკურენციულ წესრიგს უკავია. სწორედ ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკის შინაარსის ცოდნა გვეხმარება კონკურენციის პოლიტიკის საზღვრების დადგენაში. საკითხი ეხება კონკურენციის პოლიტიკის არასაკმარის შეთანხმებას პოლიტიკის სხვა სფეროებთან, რომლებზეც ის გავლენას ახდენს. თუ ვიმსჯელებთ საზოგადოებრივი ამოცანების განაწილების პოლიტიკაზე, საგარეო ვაჭრობის პოლიტიკაზე და სუბვენციების საშუალებით განსაზღვრული დარგების დაცვის პოლიტიკაზე, მაშინ ნათელი გახდება, რომ აქ შეთანხმების პრობლემა ნამდვილად არსებობს.

ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი მზარდი გლობალიზაციით კონკურენციის ნაციონალურ პოლიტიკას ართულებს. ლიბერალიზაციით, საერთაშორისო აღიარების მქონე საწარმოებს, გაუადვილდათ ეროვნული ზედამხედველობის ორგანოების ჩარევისაგან თავის დაღწევა. რაც შეეხება „კარტელთა მსოფლიო ბიუროს" იგი ჯერ არ ჩამოყალიბებულა. საწარმოთა სულ უფრო მზარდ გლობალურ აქტივობას აქამდე წესრიგის მრავალმხრივი ჩარჩო პირობები არ გააჩნია. ბაზარზე შეღწევა კონკურენციის შემზღუდავი მოქმედებით ისევე შეიძლება გაძნელდეს, როგორც პროტექციონისტური სავაჭრო პოლიტიკით ან კარტელთა ორგანოების გაძლიერებული საერთაშორისო თანამშრომლობით. ამიტომ საჭიროა გრძელვადიანი პერიოდისათვის კონკურენციული წესრიგის მრავალმხრივი ჩარჩო პირობების შემუშავება.

სოციალურ პოლიტიკასა და ეკონომიკური პოლიტიკის სხვა სფეროებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. განსაკუთრებით ეს ეკონომიკური ზრდის პოლიტიკას, კონიუნქტურულ პოლიტიკასა და სოციალურ პოლიტიკას შორის დამოკიდებულებას ეხება. სახელმწიფოს ჩარევა ზრდისა და კონიუნქტურის პოლიტიკის ფარგლებში, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, საზოგადოების გარკვეული ჯგუფების კეთილდღეობის ამაღლებას უწყობს ხელს ან პირიქით. გარდა ამისა, ეკონომიკის მწარმოებლურობა და წარმატებული ფუნქციონირება სოციალური დაცვის სისტემის ფორმირების ფუძემდებლური წინაპირობაა. მაშასადამე, სოციალური პოლიტიკის საზღვრებზე გადამწყვეტ გავლენას ეკონომიკური ზრდა ახდენს, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკის სიძლიერე სოციალური პოლიტიკის საზღვრებს აწესებს. აღსანიშნავია, რომ თვით საზღვრების (ფართო და ვიწრო) საკითხი დისკუსიის საგანს წარმოადგენს. 1990-იანი წლების დასაწყისიდან განვითარების პროცესმა გვიჩვენა, რომ ეკონომიკური ზრდის შემცირება და

მაღალი უმუშევრობა ცალკეული სისტემის დაფინანსებაში პრობლემებს (მაგ., ჯანდაცვა, საპენსიო დაზღვევა) წარმოშობს, რის შედეგადაც სოციალური დაცვის ქსელი იკვეცება. თუმცა ხშირად გვავიწყდება, რომ მეორე მხრივ, ეკონომიკური ზრდის ძლიერი იმპულსები შეიძლება გარანტირებული სოციალური დაცვისა და ეფექტიანი განაწილების პოლიტიკიდან მომდინარეობდეს. სოციალურ დაცვას ავადმყოფობის დროს, ადამიანური კაპიტალის „აღდგენის“ ჩათვლით, უმუშევრობის დროს ან ხანდაზმულობის ასაკში შეუძლია ძლიერი მოტივაცია შექმნას. სახელმწიფო გადანაწილების პოლიტიკას სოციალური პოლიტიკის ფარგლებში საბოლოოდ რესურსების შეცვლილ ალოკაციამდე მივყავართ. ეს უნებლიედ წამოჭრის კითხვას, ეკონომიკის განვითარების დონესთან ერთად სოციალური პოლიტიკის სხვა საზღვრებიც თუ არსებობს? ფსიქოლოგიურ საზღვარს ნამდვილად მივაღწევთ, თუ მუდმივად მზარდი სოციალური ხარჯების საფუძველზე (რაც იწვევს დასაქმებულთა და საოჯახო მეურნეობების შემოსავლების შემცირებას) თანადგომის სურვილსა და სოლიდარული ქმედებისათვის მზადყოფნას „დავასამარებთ“.

ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების სტრუქტურა

თუ ეკონომიკური რეალობის (როგორიც ის არის) განსხვავება (გადახვევა) ეკონომიკური პოლიტიკის მიზანდასახულობიდან (როგორიც ის უნდა იყოს) მოქმედების სტიმულს იძლევა, მაშინ რაციონალურად მოქმედების წესი მოითხოვს ვიცოდეთ:

- როგორ მივედით ასეთ გადახვევამდე;
- როგორ წარიმართება შემდგომი განვითარება ეკონომიკური პოლიტიკის ზემოქმედების გარეშე;
- როგორ შევძლებთ ამ გადახვევის აღმოფხვრას ან შემცირებას;
- დაგეგმილი ინტერვენციებით სხვა მიზნებთან მიმართებაში თუ და რა მასშტაბის გადახვევები მოხდება და ამით რა ახალი პრობლემები წარმოიშობა.

ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემებისათვის არსებითი, განმსაზღვრელი ნიშან-თვისებაა რეალობასა და სასურველ სოციოეკონომიკურ მდგომარეობას (ან განვითარების პერსპექტივას) შორის განსხვავება. მაგრამ იმის შეფასება თუ რა არის სასურველი და რას ნიშნავს მისგან გადახვევა – ნორმატიული საკითხია (მხოლოდ სუბიექტური განსჯის საგანია). მასზე შესაძლო პასუხებს ის შეფასებები მოიცავენ, რომლებიც საბოლოო ჯამში უნდა გაიზიარონ საზოგადოების წევრებმა. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოების არსებულ სტრუქტურას საფრთხე შეექმნება (იგულისხმება

ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფებს შორის ანტაგონისტური წინააღმდეგობა, რომელიც შეიძლება სამოქალაქო ომში გადაიზარდოს). ამ შემთხვევაში საქმე ეხება მიზნებს, რომლებიც ინდივიდუალური ან კოლექტიური მასშტაბით ფასდება. რაც შეეხება კოლექტიურ მასშტაბებს, ისინი აბსოლუტურად შეუთავსებელია საბაზრო-ეკონომიკურ წესრიგთან (იგულისხმება საყოველთაო ეკონომიკური თანასწორობის, კეთილდღეობის და სხვა მიზნები). შეფასებების გაკეთება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა შეფასების მასშტაბები ანდა მიზნები მაქსიმალურად ოპერაციონალიზებულია.

მიზანმიმართული მოქმედებისათვის აუცილებელია ვფლობდეთ სანდო ინფორმაციას ეკონომიკის ფუნქციონირების შესახებ. ასეთ ინფორმაციას კი ოპერაციონალიზებული მიზნების საშუალებით ვიღებთ. ასევე აუცილებელია ვიცოდეთ თუ რა კავშირშია მიზანი ანდა მიზნობრივი ეკონომიკური ცვლადი ისეთ ცვლადებთან, რომლებიც ინსტრუმენტებად გამოიყენება. საქმე ეხება ეკონომიკური პროცესის მუდმივად ცვალებადი სტრუქტურის შესახებ ინფორმაციას, რომლის დამუშავების შემდეგ ვღებულობთ ცოდნას მიზანმიმართული მოქმედების შესაძლებლობაზე. ეკონომიკის სახელმწიფო მართვის შესახებ ცოდნა შესაძლებელია განისაზღვროს, როგორც ტექნოლოგიური ინფორმაცია. ამავე დროს „ტექნოლოგიური“ არ უნდა გავიგოთ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით (ანუ როგორც მოძღვრება წარმოების პროცესების შესახებ). ამ შემთხვევაში ჩვენ მას ვიყენებთ სხვა, ასევე გავრცელებული მნიშვნელობით.

ეკონომიკის ფუნქციონირების ფორმებისა და მათ შესახებ, მართვის ტექნოლოგიის მხრივ, საჭირო ინფორმაციის მოპოვება ეკონომიკური თეორიის ამოცანაა. როგორც მეცნიერული, ასევე პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით ეკონომიკური ურთიერთობები მით უფრო მნიშვნელოვანია, რაც უფრო საყოველთაო ხასიათს იძენენ ისინი. მათი ამგვარი ხასიათი მჟღავნდება მაშინ, როცა დროსა და სივრცეში ლოკალიზებულ მოვლენებს ან პროცესებს ცალკეული შემთხვევების სახით კი არ განვიხილავთ, არამედ მათ ზოგადი კანონზომიერების ხასიათს ვანიჭებთ. ამით უფრო მეტად გამჭვირვალე ხდება ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების სფერო და შესაძლებელია ასეთი მოქმედების სამომავლო შედეგების პროგნოზირებაც.

ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილებებს, როგორც წესი, რთული ლოგიკური სტრუქტურა აქვთ, რაც განპირობებულია სოციალური მოვლენებს შორის არსებული მრავალმხრივი კავშირებით. ეკონომიკური პოლიტიკა ახდენს როგორც მოკლევადიან და გრძელვადიან, ასევე გვერდით (არაპირდაპირ) ზემოქმედებასაც, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების დროს. ასეთ გადაწყვეტილებებს თან ახლავს

ერთგვარი გაურკვევლობა იმის შესახებ თუ რამდენად სწორადაა გაანალიზებული საწყისი მდგომარეობა (ეკონომიკური პოლიტიკის გატარებამდე) და გათვალისწინებულია თუ არა გასატარებელი ეკონომიკური პოლიტიკის მოსალოდნელი შედეგები. ამას, როგორც წესი, ემატება ისიც, რომ ეკონომიკურ მოვლენაზე ან პროცესზე ზემოქმედებას ცდილობს უამრავი გადაწყვეტილების მიმღები პირი. გადაწყვეტილების მიღებაზე ასევე ზეგავლენას ახდენენ ის პირები და ორგანიზაციები, რომლებსაც ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისათვის არ გააჩნიათ სათანადო კომპეტენცია. გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ გადაწყვეტილებაზე გავლენას კერძო ეკონომიკური სუბიექტებიც ცდილობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკურ პოლიტიკაში რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება მნიშვნელოვან დანახარჯებთანაა დაკავშირებული. გადაწყვეტილებათა ლოგიკური სტრუქტურა გადაწყვეტილების შესახებ თეორიის საგანია. მას შეუძლია დახმარება გაგვიწიოს გადაწყვეტილების მიღების ეკონომიკურ-თეორიული პრობლემის შეფასებისა და გადაჭრის საქმეში.

ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამის პროექტი სისტემურად აკავშირებს ერთმანეთთან გადაწყვეტილებათა სტრუქტურის ყველა ელემენტებს. პროგრამა, როგორც წესი, მოიცავს ღონისძიებათა ურთიერთმისადაგებულ კომბინაციებს, რომელთა გატარებაც დასახული მიზნების მისაღწევად მართებულად მიაჩნია ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელს ან მის მრჩეველებს. ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემის ერთმნიშვნელოვნად და იძულებითი გზით გადაჭრა შეუძლებელია რადგან:

• ტესტირებული თეორია (პოზიტიური ეკონომიკური ცოდნის უაღრესად დამაჯერებელი ფორმით), დიდად არ შეესაბამება ეკონომიკური პოლიტიკის მოთხოვნებს. მდგომარეობა ასეთია, რადგან: (1) ზოგიერთ დარგში არსებული მონაცემები, რომელთა შეფასებაც უნდა მოხდეს, ძალზე შეზღუდულია; (2) თეორიის ბევრი სფერო ჯერ კიდევ არ ექვემდებარება შემოწმებას; (3) შემოწმების დროს კი იგი ემპირიასთან წინააღმდეგობაში მოდის (უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ არ არსებობს კონტროლირებადი ექსპერიმენტების შესაძლებლობა), რაც სერიოზულ მეთოდოლოგიურ პრობლემებს წარმოშობს; (4) ეკონომიკური, ტექნოლოგიური და საზოგადოებრივი ცვლილებების გამო გამუდმებით ხდება ემპირიულად შემოწმებულ შეხედულებათა უარყოფა. ამასთანავე მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ გარდა ცოდნასთან დაკავშირებული პრობლემებისა, არსებობს ანალიზის შესაძლებლობათა საზღვრები, რომლებიც ეკონომიკური წესრიგის თეორიულ წინაპირობებს მიეკუთვნება.

• ეკონომიკური პოლიტიკის მიზანდასახულობა ხშირად შორდება ოპერაციონალიზებას. ამიტომ ასეთი მიზნების მხოლოდ და მხოლოდ

ეკონომიკური მიზანშეწონილობის კუთხით განხილვა პრობლემის დაუშვებელი გამარტივება იქნებოდა. არასაკმარისი ოპერაციონალიზების მიზეზი შესაძლებელია მიზანში ძევს ანდა სავარაუდოა, რომ ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფებს შორის გაბატონებული კონსენსუსი არ იყოს იმდენად მომცველი, რომ მან მიზნის მკაფიოდ და სათანადოდ განსაზღვრის საშუალება მოგვცეს. ასევე არარეალისტური იქნებოდა თუ ამგვარ მიზნებს იმ სტაბილური წესრიგის მიხედვით შევაფასებდით, რომელიც სრულყოფილებითა და დროში ერთგვაროვნებით ხასიათდება. პირიქით, იურიდიულ ნორმათა სისტემა და მისი წესრიგი ძალზე არასრულყოფილია, ვინაიდან, ერთი მხრივ, იგი გამომდინარეობს კანონმდებლობის მიზნებიდან, აგრეთვე საპარლამენტო და სხვა საჯარო დისკუსიებიდან; მეორე მხრივ კი, ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა გამტარებლის მოქმედებებიდან. მკაფიოდ ფორმულირებული მიზნების შემთხვევაშიც კი ხშირად ვხვდებით პრობლემებს, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ ამა თუ იმ მიზნის მიღწევას ყველა სხვადასხვაგვარად ცდილობს. ერთი კონკრეტული მიზნის მიღწევისათვის განკუთვნილი ღონისძიება ზეგავლენას ახდენს სხვა მიზნებზეც, თუ არ გვაქვს საკმარისი ინფორმაცია ასეთ ზემოქმედებათა შესაფასებლად.

სრულიად ნათელია, რომ შეზღუდული ეკონომიკური ცოდნის საფუძველზე ვერ დავადგენთ ეკონომიკურად მნიშვნელოვან ნორმებს, რომლებიც მიგვითითებს როგორ ვიმოქმედოთ, რომ ავიცილოთ განსხვავება მათ შორის რაც არის და რაც უნდა იყოს. ცოდნის დეფიციტი, რეაგიებისათვის საჭირო დრო, გაურკვევლობა, ეკონომიკისა და საზოგადოების მუდმივი ცვლილება და პოლიტიკური ნების ფორმირების პროცესის წინასწარ განჭვრეტის შეუძლებლობა – მნიშვნელოვანი არგუმენტებია იმისათვის, რომ ეკონომიკური პოლიტიკის მოძღვრება ინტერვენციის შესახებ ძხოლოდ ნორმატიულ ტექნოლოგიად არ მივიჩნიოთ.

ზემოაღნიშნული სიძნელეები ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლისა და მისი მრჩევლისაგან ეკონომიკის მართვის ცოდნასთან ერთად, მოქმედების პოლიტიკური და ორგანიზაციული ჩარჩოების საფუძვლიან ცოდნასაც მოითხოვს. ამასთან, ინტერვენციის შესახებ მოძღვრებამ უნდა დააკმაყოფილოს ის მოთხოვნები, რომლებიც „მართვის ხელოვნების“ მიმართ არსებობს. ცოდნის საზღვრების გაცნობიერებასთან ერთად აუცილებელია, რომ ეკონომიკური პოლიტიკის შემმუშავებელმა იცოდეს ის ტექნოლოგიური ელემენტები, რომლებიც დაკავშირებულია მიზანსა და საშუალებას შორის კავშირის სისტემურ გააზრებასთან. ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილებების მიღების ტექნოლოგიის მიმართ არსებული მოთხოვნები აგვარებს აზროვნების „დისციპლინის“ საკითხებს და თავიდან გვაცილებს დაუსაბუ-

თებელსა და არასწორ მსჯელობას. ასეთი ტექნოლოგიის ცოდნის დეფიციტის გაცნობიერება კი, საბაზრო ეკონომიკური წესრიგის თავისებურებათა გათვალისწინებასთან ერთად, გვიცავს არასასურველი გადაწყვეტილებების მიღებისაგან. უფრო კონკრეტულად, როგორც ტექნოლოგიის ცოდნა, ასევე ამ ცოდნის დეფიციტის გაცნობიერებაც, გვიცავს იმისგან რომ 1) გადაჭარბებით არ შევაფასოთ პოლიტიკის ზეგავლენა, ეკონომიკური მოვლენების ჩამოყალიბების პროცესზე და 2) თავიდან გვაშორებს მოქმედების ისეთ შედეგებს, სისტემის გაუარესებას რომ იწვევენ.

ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემა მაშინ ჩნდება, როცა ხდება სასურველი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობიდან (ან განვითარებიდან) გადახვევა და იმის გაცნობიერება, რომ აუცილებელია მისი გამოსწორება. მასში გამოხატულია შეფასებითი დამოკიდებულება ეკონომიკური პოლიტიკის სფეროთა ძირითადი ამოცანების მიმართ. შეფასებები, როგორც შეხედულებები იმის შესახებ, რაც არის, ან რაც უნდა იყოს, ჩვენს სურვილებს ეფუძნება (ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარეობს) და ამიტომ ისინი შეიძლება გავიზიაროთ (თუ ინტერესთა თანხვედრა გვაქვს) ან არ გავიზიაროთ (თუ ინტერესთა კონფლიქტი გვაქვს). სრულიად სხვაგვარადაა აგებული პოზიტიური ეკონომიკური შეხედულებები, რომლებიც ეკონომიკაში ფუნქციურ ურთიერთდამოკიდებულებებსა და ქცევის ფორმებს ასახავს. მართალია, ისინი არ გამოხატავენ სუბიექტურ წარმოდგენას, მაგრამ მაინც აუცილებელია მათი ნამდვილობისა და საიმედოობის გადამოწმება. საბოლოოდ უნდა მოხდეს მათი ემპირიული შემოწმებაც. გადამოწმებასა და შეფასების თავისუფლებას შორის არსებობს უშუალო კავშირი. თუ შეფასების თავისუფლებას მეცნიერულობის კრიტერიუმად (მ. ვებერი) ვაქცევთ, მაშინ აქედან შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ თითქოსდა შეუძლებელი იყოს ეკონომიკური პოლიტიკის მეცნიერული ანალიზი. საქმე ის არის, რომ ეკონომიკური პოლიტიკის შემთხვევაში ნორმატიული, ე.ი. შეფასების მომცველი ელემენტები, მტკიცედაა დაკავშირებული პოზიტიურ ეკონომიკურ ელემენტებთან. ამიტომაც მიზანშეწონილი იქნება საკითხი დავსვათ იმის შესახებ თუ რამდენად ურთიერთთავსებადია შეფასება და მეცნიერულობა. ამასთან, ეს დასაბუთებული უნდა იყოს კრიტიკული რაციონალიზმის პოზიციიდან გამომდინარე, როგორც იგი, უწინარეს ყოვლისა, კ. პოპერისა და ჰ. ალბერტის მიერაა წარმოდგენილი.

შეფასების პროცესი ეკონომიკურ პოლიტიკაში

ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზის ამოსავალი წერტილია განსხვავება არსებულსა და მას შორის, რაც უნდა არსებობდეს. ამიტომ, მოსაზრებები (შეხედულებები) იმის შესახებ, რაც უნდა იყოს, შესაძლოა გამოვიყენოთ დაკვირვებადი ეკონომიკური მდგომარეობისა და განვითარების შესაფასებლად. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია გაჩნდეს რეკომენდაციები თუ როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან განსხვავებები არსებულსა და მას შორის, რაც უნდა არსებობდეს. რეალობაში გვხვდება ფაქტობრივი მოვლენები, რომელთა შემოწმება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია. ასევე არსებობს სასურველი მოვლენები, რომლებიც შორდებიან ასეთ შემოწმებას. სწორედ მათი შედარების

საფუძველზე ყალიბდება, როგორც შეფასებების, ისე რეკომენდაციების შინაარსი. ნორმატიული შეხედულებები სუბიექტურ სურვილებს გამოხატავენ, ამიტომ შეფასების შედეგი არ შეიძლება „სწორად“ ან „მცდარად“ მივიჩნიოთ. შესაძლებელია, რომ სუბიექტმა (ან ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფმა) ისინი თავისთვის მისაღებად ჩათვალოს ან უარყოს კიდეც.

თეორიული ეკონომიკური მოსაზრებები ყოველთვის იმ განსხვავების (რაც არის და რაც უნდა იყოს) საფუძველზე ყალიბდება, რომელიც არსებობს ეკონომიკური პროცესების შესახებ ვარაუდზე დამყარებულ მოჩვენებით ცოდნასა და ფაქტობრივ პროცესებს შორის. როგორც ვარაუდზე დამყარებული მოჩვენებითი ცოდნა, ისე ფაქტობრივი (რეალური) პროცესები არსებულის შესახებ სუბიექტურ შეხედულებათა საშუალებით (ღრონდ დასაბუთებათა ფორმით) გადმოიცემა, ამიტომ საქმე გვაქვს პოზიტიურ შეხედულებებთან. იმ შემთხვევაში თუ არსებობს რეალური მოვლენები და პროცესები, რომლებისთვისაც ხდება დაკვირვების შესაბამისი ველის ფორმირება, მაშინ შესაძლებელია მათ შესახებ შეხედულებათა გადამოწმება. საამისოდ კი აუცილებელია იმის დადგენა თუ რომელ მოვლენებსა და პროცესებს შორის არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი (რომელიც შეესაბამება მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესახებ არსებულ ვარაუდზე დამყარებულ ცოდნას ანუ თეორიული ახსნის მცდელობას). ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა დაკვირვებადი, როგორც მიზეზად მიჩნეული მოვლენებიდან სავარაუდო მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულების საფუძველზე (ჰიპოთეზა) ვაკეთებთ დასკვნას ისეთი მოვლენების შესახებ, რომლებიც იარსებებდნენ თუ ზემოთხსენებულ მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებას კანონის ძალა ექნებოდა. ამ გზით ფორმირებული შეხედულებები, რომელთა სტრუქტურაში მოვლენათა ცვლილების ლოგიკა არის „თუ... მაშინ ...“, ემპირიული გადამოწმებისას შესაძლებელია წინააღმდეგობაში მოვიდეს ფაქტობრივ მოვლენებთან (რეალობასთან).

მოვლენათა შესახებ ამგვარი შეხედულებების ახსნისათვის აუცილებელია, რომ ეს ახსნა თანმიმდევრული და შინაარსიანი იყოს. ანუ იგი აუცილებლად უნდა მოიცავდეს რეალობაში არსებულ მოვლენათა შესახებ შეხედულებათა დასაბუთებებს. მათი ემპირიული შინაარსი მით უფრო ფართოა და შემოწმება უფრო უკეთაა შესაძლებელი, რაც უფრო დიდია დაკვირვებადი მოვლენებისა და პროცესების რიცხვი. აქ საუბარია ისეთ სიტუაციებსა და მდგომარეობაზე, რომელთა დადგომა ხშირად (მაგრამ არა ყოველთვის) გამორიცხულია, მიუხედავად იმისა, რომ მიზეზ-შედეგობრივი თანამიმდევრობიდან გამომდინარე მათი არსებობა ლოგიკური უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება დაუსაბუთებელ შეხედულებებს, რომელთა ემპირიული შემოწმება შეუძლებელია, ისინი მით უფრო მიღწევადი და რეალურია, რაც უფრო მეტი ლოგიკურად შესაძლო

შედეგი თუ დაკვირვებადი მოვლენა იქნება დაშვებული. ლოგიკურად შესაძლო, დაკვირვებად ვითარებათა გამორიცხვის საფუძველზე ყალიბდება კანონზომიერების შესახებ შეხედულებები, რომლებიც ქმნიან გარკვეულ სივრცეს, რომელშიც მიმდინარეობს ფაქტობრივი ეკონომიკური მოვლენები (Albert, 1963 b/76, გვ. 177).

ემპირიული უარყოფა (ფალსიფიცირება), გამოიყენება როგორც დემარკაციის კრიტერიუმი (Popper, 1976/2002, გვ. 39), რომლის საფუძველზეც შესაძლებელია რეალობის შესახებ მეცნიერების (ანდა ცდაზე დამყარეული მეცნიერების) გამიჯვნა ისეთი არაემპირიული მეცნიერებისაგან, როგორიცაა მაგ., მათემატიკა. ეკონომიკური თეორია სწორედ ცდისეულ მეცნიერებად არის წარმოდგენილი. მაგრამ თუ მას სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ ეკონომიკური თეორიის შემეცნების საგანი – საზოგადოებრივი ეკონომიკა – ბევრი ისეთი თავისებურებით ხასიათდება, რომლებიც ემპირიული უარყოფის (ფალსიფიცირების) მოთხოვნაზე უარის თქმას გვაიძულებს. მართალია. ეკონომიკურ თეორიაში არსებული ემპირიული შინაარსის ნაკლებობას განიცდიან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უარვყოთ რეალობის შესახებ ბევრი მეცნიერული გამოკვლევა.

ფალსიფიცირების შესაძლებლობის ასეთი შეზღუდვა გარდაუვალია, ვინაიდან ეკონომიკური თეორიის შემეცნების საგანი მოიცავს:

• ზემოქმედებებს, რომლებსაც უამრავი მიზანმიმართულად მოქმედი ინდივიდი ერთმანეთზე ახდენს. დამკვირვებლისათვის მათი გაცნობიერების საფუძვლების მცირე ნაწილია ხელმისაწვდომი. არჩევანზე დამყარებული ინდივიდუალური მოქმედებების (გადაწყვეტილებების) ახსნას აძნელებს არა მხოლოდ სუბიექტის მიერ ცოდნის შეძენისა და მისი გამოყენების პროცესები, არამედ ისიც, რომ ბევრი რამ ჩვენს ცნობიერებაში ურთიერთდაკავშირებულია ინტუიციით;

• უაღრესად ართულებს საქმეს ზეგავლენის მქონე უამრავი ისეთი უცნობი ფაქტორის დაშვების აუცილებლობაც, რომელიც ინდივიდს არ აქვს გაცნობიერებული. ძნელია აგრეთვე ისეთი ინდივიდუალური მოქმედების განხორციელება, რომელიც რაღაც კანონზომიერებების უთვალავ რაოდენობაზე დაყვანას გულისხმობს. საქმე ის არის, რომ დამკვირვებელი სრულად ვერ აკონტროლებს ზემოქმედების პერიფერიულ, თუმცა გაცნობიერებულ ფაქტორებს, რომ არაფერი ვთქვათ პერიფერიულსა და ამავდროულად გაუცნობიერებელ ფაქტორებზე.

• ეკონომიკური მეცნიერების შემეცნების საგანი უაღრესად რთულია. იგი უნდა გავიგოთ, როგორც ინოვაციებით განპირობებული ევოლუტორული, ღია სისტემა. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია იმის წინასწარ გამოცნობა თუ როგორ შეიცვლება სისტემის კომპლექსურობა. ეს იმას ნიშნავს, რომ

ეკონომიკურ თეორიაში არ უნდა მოველოდეთ ისტორიულად „დროში უცვლელი“ და ემპირიული შინაარსით მდიდარი კანონების არსებობას.

• ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე ეკონომიკური თეორიის შემეცნების საგანი პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის კონტროლირებადი ექსპერიმენტების ანუ შემეცნების მეცნიერული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას. ეკონომიკურ თეორიაში დამკვირვებელი და დაკვირვების საგანი უფრო მეტად ახდენს ერთმანეთზე ზემოქმედებას, ვიდრე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.

ეკონომიკური მოვლენების განსაზღვრაში მონაწილეობენ ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა სამართალი, შეთანხმებები და წესჩვეულებები. ისინი გარკვეულწილად ზღუდავენ და აწონასწორებენ ინდივიდუალურ მოქმედებებს და ამით რამდენადმე მათი შედეგების წინასწარ განჭვეტის საშუალებასაც გვაძლევენ. მოქმედების თავისუფლების შემზღუდავი ინსტიტუტები ხშირად იმაზეც მიგვანიშნებენ, თუ რომელი მოქმედება არ არის ანგარიშგასაწევი. მოქმედების თავისუფლების არსებულ საზღვრებშიც კი მოქცეულია უამრავი მოულოდნელი შესაძლებლობა, რომელთაგან ზოგი ჩვენთვის ცნობილია, ზოგი კი უცნობი.

ეკონომიკურ-თეორიული შემეცნება და აქედან გამომდინარე ეკონომიკურ-პოლიტიკური მართვის ცოდნა, ხასიათდება: (1) ინდივიდის მიერ თავისი ქცევის გაცნობიერებული მოტივებით, (2) ეკონომიკურ პროცესში მონაწილე სუბიექტების ურთიერთქმედების უაღრესად ცვალებადი კომპლექსით და (3) მოქმედების ნაწილობრივ შემეცნებად შესაძლებლობათა მრავალფეროვნებით, რომლებიც ინსტიტუციურად შეზღუდულია. ახსნის ფალსიფიცირების (ემპირიული უარყოფის) მცდელობის თვალსაზრისით ეს ნიშნავს, რომ:

• უნდა გავითვალისწინოთ კანონზომიერებათა ნაკლებობა;

• განსაზღვრული რეგულირების ფორმები (წესრიგი) ნაკლებად საიმედოა. ანუ მათი შედეგების პროგნოზირების შესაძლებლობა ძალზე დაბალია და ამიტომ ისინი (საუკეთესო შემთხვევაში) კვაზი კანონებად (Albert, 1957, გვ. 68) უნდა მივიჩნიოთ;

• აუცილებელია განსაზღვრული რეგულირების ფორმების მუდმივად გადამოწმება. ეს ხდება იმის დასადგენად, თუ რამდენად ინარჩუნებენ რეგულირების ფორმები დანიშნულებას;

• განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან შემოწმებული, შესამოწმებელი და აბსოლუტურად შეუმოწმებადი შეხედულებები, თუკი გვსურს თავიდან ავიცილოთ დოგმატური და ავტორიტარული მიდგომები ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მასტაბილიზებელ ინსტიტუტებსა და მათ ზემოქმედებას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე აქამდე იყო მიღებული ტრადიციულ ეკონომიკურ თეორიებში. წესრიგის პოლიტიკასთან კავშირი ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო მტკიცეა.

შინაარსს მოკლებული შეხედულებების გარდა ემპირიულად შეუმოწმებადია ეკონომიკურ-თეორიული ახსნის ისეთი მცდელობა, რომელიც ყოველგვარი შემოწმების მიმართ შეუვალობით ხასიათდება. ამგვარი დამოკიდებულების საფუძველი ის არის, რომ „მნიშვნელოვანის" შემოწმებაზე პრეტენზია მხოლოდ ჰიპოთეზების (დასაბუთებები კანონზომიერებების შესახებ) მიმართ არსებობს. დანარჩენი ყველაფერი უცვლელი რჩება (Ceteris-paribus-Klause - სხვა თანაბარ პირობებში). საქმე ის არის, რომ ამ დროს (როდესაც ჰიპოთეზას ვაყალიბებთ) ხდება მოვლენების ყველა მიზეზ-შედეგობრივი კავშირებიდან განყენება. ამასთან, არც სრულად და არც ნაწილობრივ არ არის დასახელებული ის მოვლენები, რომლებიც „ყველა დანარჩენზე" ზემოქმედებს და შესაძლებელია მიზეზსაც წარმოადგენდეს. ასეთ პირობებში „მნიშვნელოვან შეხედულებებზე" პრეტენზია, რომელიც წავუყენეთ ვარაუდზე დამყარებულ ცოდნასა და ფაქტობრივ მოვლენებს შორის გამოვლენილ განსხვავებას, შეზღუდული ხასიათისაა.

Ceteris-paribus-Klause ეკონომიკაში მეცნიერული მოდელირებისათვის სასარგებლო მეთოდური საშუალებაა, ვინაიდან შეუძლებელია ყველა ეკონომიკური ურთიერთობის ასახვა. არსებითია ის თუ როგორ მოხდება Ceteris-paribus-Klause-ის გამოყენება. მისი დანიშნულებაა შეზღუდოს ეკონომიკურ ფენომენთა შესახებ მეტ-ნაკლებად შინაარსიანი შეხედულებების რაოდენობა. უფრო მეტიც, სადაც შემოტანილი იქნება ეგზოგენური ცვლადი, იქ ყოველგვარი ახსნა შეწყდება. ამით თავიდან ავიცილებთ მიზეზების უსასრულო ძიებას. Ceteris-paribus-Klause-ის დახმარებით შესაძლებელია ეგზოგენური ცვლადებისა და ურთიერთობების მოდელებზე უარის თქმა. მისი გამოყენებით ყალიბდება შეხედულებათა ისეთი წინასწარ განსაზღვრული სისტემა, როგორიცაა მაგ., ჰომოგენური ბაზრის მოდელი. იგი საშუალებას გვაძლევს, რომ განმსაზღვრელი ცვლადის მოქმედება – მაგ., როგორიცაა სახელმწიფო მოთხოვნის ცვალებადობა განყენებულად გამოვიკვლიოთ. ასეთი მოდელი შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც ეკონომიკურ ურთიერთქმედებათა კვლევის ინსტრუმენტი. რაც შეეხება უშუალოდ ეკონომიკურ-პოლიტიკურ დასკვნებს, ეს მოდელი მათი მხოლოდ შეზღუდული რაოდენობით ჩამოყალიბების საშუალებას გვაძლევს. ამგვარი მოდელების ემპირიული შემოწმება შეუძლებელია. შეხედულებები, რომლებსაც ისინი მოიცავენ, მაგ., ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების შედეგებზე, მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. ამავე დროს დამაჯერებლობას ვერ ჩაანაცვლებს ფალსიფი-

ცირებადობა. თეორიული კვლევის თვალსაზრისით შეუძლებელია, თუნდაც შეზღუდული რაოდენობის მოვლენებისგან აბსტრაგირებით, ემპირიულ (შემოწმების) შესაძლებლობას მივაღწიოთ. ამასთან, არ არის აუცილებელი, რომ მოდელში მოცემული თითოეული შეხედულება იყოს არაფალსიფიცირებადი. პირიქით, მოდელი როგორც შეხედულებათა სისტემა, ისეთი შინაარსის უნდა იყოს, რომელიც გამოცდილებასთან წინააღმდეგობაში იქნება. ხშირად საქმე გვაქვს მეცნიერული კვლევის (აზროვნების) ხანგრძლივ პროცესთან, რომელიც ექსპერიმენტებს უარყოფს და დაკავშირებულია რომელიმე ეკონომიკური თეორიის ჩამოყალიბებასთან. ასეთ შემთხვევაში რეალობის შესახებ მეცნიერებაში სადავო საკითხის არსებობას უნდა დავეთანხმოთ. იგი გამოიხატება მეცნიერულ კვლევებსა და მოდელირებაში სრულიად შეუსაბამო „იდეალიზმის“ (Albert, 1963a/67) არსებობაში. აზროვნებისთვის დამახასიათებელი აბსტრაქციის აუცილებლობა ემპირიული შესაძლებლობის არც გარანტიას გვაძლევს და არც მის შემცვლელად გამოდგება.

ემპირიულად შემოწმებადი ეკონომიკური მოდელის შექმნა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა შეზღუდულია ზეგავლენის ექსპლიციტურად დაკვირვებადი, ფაქტორებისა და ურთიერთობების რიცხვი. თუმცა ეკონომიკური მოდელის შემთხვევაში ამგვარი ხელოვნური იზოლირება ერთი სრულიად ფალსიფიცირებადი ვარაუდის საფუძველზე კეთდება. ეს ვარაუდი იმაში მდგომარეობს, რომ ექსპლიციტურად დაკვირვებადი ფაქტორების ერთობლივი ზემოქმედება ასახსნელ ეკონომიკურ ცვლადზე მაგ., საოჯახო მეურნეობის მიერ სურსათზე გაწეული დანახარჯები იმავე ცვლადის (სურსათის) ღირებულებაში შემთხვევით ცვლილებებს წარმოშობს. მეორე მხრივ, კი კეთდება ვარაუდი იმის შესახებ, რომ ზეგავლენის ექსპლიციტურად დაკვირვებადი სიდიდის - მაგ., საოჯახო მეურნეობის შემოსავლის - ზრდა ან შემცირება - სურსათის ღირებულებაში სისტემურ ცვლილებებს იწვევს. სისტემურ ცვლილებებში იგულისხმება: მოთხოვნის ზრდა ფუფუნების საგნებზე და/ან გიფენის პროდუქტებზე. ამ მოვლენების საფუძველზე ალბათური შეხედულებები ყალიბდება, რომლებიც უამრავი ინდივიდის ქცევაზე დაკვირვებებს ემყარება. სინამდვილეში ალბათური შეხედულებები თითოეული ინდივიდის ქცევიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ ამგვარი შემთხვევების საშუალო მაჩვენებელს ეფუძნება. ეს ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდია, რითაც ინდივიდთა ქცევის პარამეტრები ფასდება. საუკეთესო შემთხვევაში, იგი ინფორმაციას გვაწვდის იმაზე, თუ დროის გარკვეულ ინტერვალში რა ალბათობით არის მოსალოდნელი რეაქცია ნავარაუდევ მოვლენაზე (როგორც მაგ., მოთხოვნის ცვლილების სიდიდე აიხსნება შემოსავლის ცვლილების მიმართ ელასტიკურობით). ეს იმას ნიშნავს, რომ ფაქტობრივად არსებულ მოვლენებსა და შემუშავებული პროგნოზის

საფუძველზე მოცემულ მოვლენებს შორის განსხვავება აუცილებლად არ იწვევს ასეთი პროგნოზის უარყოფას. ამავე დროს საჭიროა შეთანხმება იმაზე, თუ რა ზომის განსხვავებაა (გადახვევაა) დასაშვები, რომლის დარღვევის შემთხვევაში აუცილებელი გახდება შემუშავებული პროგნოზის უარყოფა.

ზემოთხსენებული განსხვავების მიზანი ხშირად არის ჰიპოთეზების ემპირიული შემოწმების უზრუნველყოფა. შემეცნების საგანთან დაკავშირებით (იგულისხმება საზოგადოება და ეკონომიკა, სადაც კონკრეტულ ვითარებაში ექსპერიმენტების ჩატარება ძალზე ძნელია და საშიში) იგი აბსტრაქციაა და სხვა არაფერი. აბსტრაქცია კი აუცილებელია, რათა შეხედულებათა მრავალფეროვნება გარკვეულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე დაიყვანოს და მოაწესრიგოს. ამიტომ ჰიპოთეზების ემპირიული შემოწმების უზრუნველყოფა იმის მიხედვით უნდა შეფასდეს - არის თუ არა იგი დასახული მიზნის ადეკვატური. შემეცნების დასახული მიზანი კი ასახსნელი მოვლენებისა და პროცესების თვისებათა მიხედვით ფასდება (ფასდება მიზნის მნიშვნელობა). მოდელის ჩაკეტილი სტრუქტურის დაშვება შესაძლოა შეესაბამებოდეს მოკლევადიან მიკროეკონომიკურ ანალიზს. ასეთ შემთხვევაშიც აუცილებელია წონასწორობის ყველა მოდელის მიმართ გარკვეულ წინაპირობათა გათვალისწინება. ამის საპირისპიროა მაგ., თუკი წონასწორობის მოდელის საზღვრებში წამოვაყენებდით ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც ბაზრის მონაწილეებს ერთნაირი მოლოდინი აქვთ ფასების განმსაზღვრელ მოვლენებზე (რასაკვირველია ეს არარეალურია). როდესაც საქმე ეხება ფასწარმოქმნას სავალუტო და ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე, მონაწილეები განსხვავებულად ითვალისწინებენ სპეკულაციის შედეგებს. თუ დავუშვებთ, რომ ყველას ერთნაირი ფასის მოლოდინი აქვს, მაშინ ჩვენს წინაშე წარმოიშობა სიტუაცია, როცა კონკურენტ მხარეებს შორის არ არსებობს მოლოდინში განსხვავება. ამ შემთხვევაში მოგებაზე ორიენტირებულ, პროფესიონალურ კონკურენციას გრძელვადიან პერიოდში დამატებითი დაშვებების გარეშე არანაირი შანსი არ ექნებოდა. ეს წარმოშობდა კითხვას: საერთოდ რატომ ვაჭრობენ სპეკულანტები? (იხ. Streit, 1983b). ზოგ შემთხვევაში წონასწორობის ამ ტიპის მოდელის ემპირიული შემოწმება არ გვაძლევს ერთნაირი (ჰომოგენური) მოლოდინის უარყოფის საბაბს (მაგ.,1958 წელს ფუნტ სტერლინგზე სპეკულაციური შეტევები ერთი მიმართულებით მიმდინარეობდა). ამავე დროს საკვლევი მოვლენისა და ეკონომიური ანალიზის საზღვრების მიმართ მაინც რჩება საფუძვლიანი ეჭვი, რომ საქმე გვაქვს მოჩვენებით ახსნასთან, რომლის დასაბუთება ძლიერი ზემოქმედების მქონე ფაქტორებისგან აბსტრაგირების გზით ხდება.

ეკონომიკური თეორიები ზოგჯერ მარცხს არა მარტო ლოგიკის კანონებთან განიცდიან, არამედ ემპირიულადაც, როცა საქმე ეხება რეალობაში მათი მეცნიერული „პრეტენზიების" (შეხედულებათა) დასაბუთებას. მეორე

მხრივ, ხდება იმის დაკონკრეტება, რომ ემპირიული შემოწმების მიზანი სხვა არაფერია, თუ არა ფალსიფიცირების მეთოდის გამოყენების უარყოფის მცდელობა. ამის გამო ადგილი აქვს ემპირიული შემოწმების ფოკუსირებას ისეთ მოვლენებზე, რომელთა დადგომა გამორიცხულია ნავარაუდევ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესაძლო თანამიმდევრობიდან. ეს ამავე დროს იმას ნიშნავს, რომ მოხდება შეცდომების გარდაქმნა კრიტიკულ თვლსაზრისად. ფალსიფიცირების მეთოდის გამოყენების შედეგად ცდომილებების არსებობა ნიშნავს არა იმას, რომ შესაბამისი ჰიპოთეზა არ დადასტურდა, არამედ იმას, რომ ჯერ კიდევ ვერ მოხდება მისი უარყოფა.

შესაძლებელია იმის დაშვებაც, რომ ემპირიული შემოწმებისას აქცენტი ისეთ მოვლენებსა და პროცესებზე გაკეთდეს, რომლებიც ნავარაუდევი კანონზომიერებებით მისაღებ შედეგებს განეკუთვნება. ადვილი შესაძლებელია აგრეთვე, რომ ასეთი მოქმედების ლოგიკით (ვერიფიცირებისას) მხედველობი-დან გამოგვრჩეს ემპირიული ფალსიფიცირების შესაძლებლობები და მცდარი დასკვნები გავაკეთოთ. ეს კი ხელს შეუწყობს დოგმატური პოზიციის ჩამოყალიბებას. მეორე მხრივ, თუ დავუშვებთ, რომ სავარაუდო მიზეზ-შედეგობრივი კავშირები მცდარია, უფრო მალე მივაღწევთ მეცნიერულ პროგრესს, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა ახსნის მეთოდის შეცვლას შევეცდებით. ზოგიერთი მიზნისათვის უფრო შესაფერისია არა ემპირიულ მტკიცებულებათა ძიება, არამედ ფალსიფიცირების (ემპირიული უარყოფის) პრინციპის გამოყენება.

ზოგადად ორივე მეთოდს – როგორც ფალსიფიცირებას, ისე შეფასე-ბისათვის დამახასიათებელ ემპირიულ თავისუფლებას – ნორმატიული შინაარსი აქვს, ვინაიდან ისინი რეკომენდაციებს მოიცავენ იმის შესახებ თუ:

- როგორ უნდა მივაღწიოთ რეალობის შესახებ მეცნიერულ ცოდნას (ემპირიული უარყოფა);
- რომელი არგუმენტები (მტკიცებები) არ უნდა გავითვალსწინოთ ინტერსუბიექტური შემოწმების (შეფასებების) ინტერესებიდან გამომდინარე.

ცხადია აქედან არ გამომდინარეობს, რომ ემპირიული მეთოდი არ გვაძლევს რეალობის შესახებ მეცნიერული ცოდნის მიღების შესაძლებლობას. უბრალოდ კეთდება ვარაუდი, რომ იგი (მეცნიერული ცოდნა) ორივე მეთოდუ-რი პრინციპის საფუძველზე მიიღწევა. სუბიექტური შეფასების ნეიტრალიზება არ ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია შეფასებიდან დამოუკიდებელი, მეცნიერული ანალიზის გაკეთება.

საზოგადოდ ეკონომიკურ მეცნიერებებში და განსაკუთრებით – ეკონომიკურ პოლიტიკაში შეფასების თავისუფლებაზე ხშირად მცდარი წარმოდგენა აქვთ. ამგვარი გაუგებრობა უშუალო კავშირშია ახსნის მცდელობასთან. საქმე ის არის, რომ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ რეალობაზე

დაკვირვებით კანონზომიერებათა. დადგენის ყოველ მცდელობას შეფასების საფუძველზე წარმოქმნილი სუბიექტური არჩევანი და ინტერესი განსაზღვრავს. შესაძლებელია თუ არა, რომ ეკონომიკის ფუნქციონირება შეფასებისაგან თავისუფალი იყოს? ამ კითხვაზე ალბათ დამაკმაყოფილებელ პასუხს გვაძლევს გ. მიურდალი (G.Myrdal/1969/1971, გვ. 13): „ფაქტები მყისიერად როდი იქცევა ცნებებად და თეორიებად. მათ გარეშე კი მეცნიერული შეხედულებების ნაცვლად ქაოსი დაისადგურებდა. ყოველი მეცნიერული ნაშრომი აუცილებლად შეიცავს აპრიორულ ელემენტს. ჯერ კითხვები უნდა დაისვას, შემდეგ კი მათზე პასუხის გაცემას უნდა შევეცადოთ. თითოეული შეკითხვა სამყაროსადმი ჩვენი ინტერესის გამოხატვაა. ისინი არსებითად სხვა არაფერია თუ არა შეფასებები“. მეორე მხრივ, საკვლევი პრობლემის შემფასებლური არჩევანი იმთავითვე როდი გამორიცხავს მეცნიერული, სუბიექტურად შემოწმებული ანალიზის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, უნდა მოხდეს მიღებული შედეგების და არა მეცნიერის პიროვნული პოზიციის კრიტიკული განხილვა, რომელმაც შესაძლოა პრობლემის არჩევაზე იქონიოს ზეგავლენა.

მეორე გაუგებრობა წარმოიშობა მაშინ, როცა არ ითვალისწინებენ იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს შეფასებით დასკვნებსა და საზოგადოებრივ ღირებულებათა საფუძველზე არსებულ შეხედულებებს შორის. ამის გაუთვალისწინებლობა წარმოშობს მოსაზრებებს, რომლებიც გამორიცხავს შეფასებებისა და ეკონომიკური მიზნების მეცნიერული განხილვის შესაძლებლობას. სინამდვილეში ეს მხოლოდ შეფასებით დასკვნებს, როგორც მეცნიერული კვლევის მიზნის ჩამოყალიბებას ეხება. საზოგადოებრივ ღირებულებათა შესახებ შეხედულებები შეფასებითი განხილვიდან აბსოლუტურად თავისუფალი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური პოლიტიკის მეცნიერული პროგრამა ამ სფეროში არსებულ შეფასებებთან დაკავშირებით შეიძლება შემდეგნაირად დაკონკრეტდეს:

- შესაძლებელია შეფასებათა ახსნა (1), მათი ურთიერთდამოკიდებულების შემოწმება (2), და იმ კომბინაციების ურთიერთშედარება (3), რომლებიც დროის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა ჯგუფებისა და საზოგადოებების მიერ ყალიბდება;
- შეფასებები, შეხედულებათა ღრმა ანალიზის შედეგია (იდეოლოგიის კრიტიკა), ამასთან არ არის გამორიცხული, რომ ეს შეხედულებები და მოქმედებები საგანგებო მიზნით ყალიბდებოდეს. ამ შემთხვევაში საქმე ეხება ადრესატზე ზემოქმედების მიზანს;
- შესაძლებელია აღიწეროს, აიხსნას და მოხდეს იმის პროგნოზირება თუ როგორია ან როგორი იქნება ცალკეული პირისა თუ ჯგუფის შეფასებითი ქცევა და მათი ურთიერთქმედება.

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია შეფასებათა მეცნიერული დადგენა და გაანალიზება, ისევე როგორც მათი ურთიერთდამოკიდებულებების შემოწმება. მაგრამ დაუშვებელია ისინი მივიჩნიოთ „სწორ“ ან „მცდარ“ შეფასებებად.

ეს რა თქმა უნდა არ გამორიცხავს იმას, რომ მეცნიერი შეიძლება პიროვნულად მხარს უჭერდეს გარკვეულ ნორმატიულ პოზიციას. ასევე არ არის გამორიცხული მეცნიერული შეფასებითი მსჯელობა ან კამათი ღია და საჯარო ფაქტების შესახებ. თუ ნორმად მივიღებთ იმას, რომ აუცილებელია ინტერსუბიექტურად შემოწმებადი შეფასებითი მსჯელობის (იდეოლოგიების) თავიდან აცილება, მაშინ მკაფიოდ უნდა გვქონდეს გაცნობიერებული შეხედულების შეფასებითი ნაწილი (შეფასების ტრანსპარენტობის პოსტულატი). მაგრამ ამ მოთხოვნის შესრულება ძალზე ძნელია იმის გამო, რომ მეტყველების ელემენტებს ხშირად შეფასების მიზნით ვიყენებთ. ყოველ შემთხვევაში დასკვნებს მეცნიერული ხასიათი სულაც არ ენიჭება იმის გამო, რომ მათ შეიძლება ისეთი ვინმე იყენებდეს, ვინც მეცნიერულ საქმიანობას ეწევა. მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ მეცნიერი, თავისი კვლევებიდან გამომდინარე, გარკვეულ შეფასებით მტკიცებებს (შეხედულებებს) სხვა ასეთივე შეხედულებებთან შედარებით უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდეს.

შეფასების მეცნიერულ დასაბუთებას ყოველთვის ცდილობდნენ. მაგრამ ინტერსუბიექტურად შემოწმებადი მეცნიერული კრიტერიუმის არარსებობის გამო ამგვარი მცდელობა საბოლოოდ მარცხით მთავრდებოდა. დასაბუთების ერთ-ერთი მცდელობა იმაში მდგომარეობს, რომ ღირებულებათა უშუალო წვდომა (ინტუიციონიზმი) შემეცნების წყაროდაა მიჩნეული. იგივე შედეგი გვაქვს, როდესაც ცდილობენ საზოგადოებრივ სინამდვილეზე (მოვლენებსა და პროცესებზე) დაკვირვების გზით მისი მარად უცვლელი „არსი“ შეიმეცნონ და ამის საფუძველზე ჩამოაყალიბონ შეფასებები (ნატურალიზმი). ამგვარ მცდელობას განეკუთვნება ფიზიოკრატების შეხედულება ბუნებრივი წესრიგის შესახებ (**ordre naturel**). ფიზიოკრატები ფიქრობდნენ, რომ ბუნებრივად არსებული წესრიგი შესაძლებელია გაბატონებული წარმოებითი ურთიერთობებიდან შევიცნოთ. მათ ასევე მიაჩნდათ, რომ კანონების მოქმედების შედეგად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი წესრიგი (**ordre positif**) სხვა არაფერია, თუ არა განხორციელებული ბუნებრივი წესრიგი. მეორე მაგ., შეიძლება დავასახელოთ ისტორიული მატერიალიზმის „შეხედულება“, რომლის მიხედვითაც კაცობრიობის ისტორიის ბოლო ეტაპზე კომუნისტური საზოგადოება ჩამოყალიბდება. იგი იქნება უკლასო საზოგადოება, როგორც საზოგადოებრივი განვითარების საბოლოო მიზანი. ამ ეტაპზე სახელმწიფო, როგორც გაბატონებული კლასის (ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფის) ხელში არსებული ძალადობის იარაღი, თანდათანობით კვდომასაც განიცდის. აქედან გამომდინარე, მარქსისტების მოსაზრებით სასურველია კაპიტალიზმის გარდაუვალი

დაღუპვა არ შეფერხდეს ეკონომიკური კრიზისის შემსუბუქების მცდელობით, პირიქით, აუცილებელია მისი გაღრმავება.

აქ მოყვანილ ორივე მაგალითში წარმოდგენილი რეკომენდაციები (პოზიტიურ წესრიგთან, და შესაბამისად, კაპიტალიზმის კრიზისის შემსუბუქებასთან დაკავშირებით) თითქოსდა ლოგიკურად გამომდინარეობს „არსებიდან“ თუ „საგნის ბუნებიდან“ (ბუნებრივი წესრიგიდან, და შესაბამისად, კომუნიზმის, როგორც მომავლის საზოგადოების აუცილებლობიდან). ამგვარი „გამომდინარეობა“ მოჩვენებითად მეცნიერული ხასიათისაა, ვინაიდან ნორმატიული დასკვნები მხოლოდ დეკლარირებული (ემპირიული ფალსიფიცირების საფუძველზე მიღებული) შეხედულებებიდან გამოჰყავთ. ასეთი მცდარი დასკვნები კი შესაძლებელია ნავარაუდევ მოვლენათა „ხისტი“ ლოგიკური თანმიმდევრობის საფუძველზე გაკეთდეს. საქმე ის არის, რომ კონკრეტულ სინამდვილეში დედუქციით მიღებული დასკვნა ყოველთვის არ შეიცავს იმ „ზოგადს“, რისგანაც იგი მივიღეთ. პოზიტიური შეხედულებები არ მოიცავენ ნორმატიულ იმპლიკაციებს (თუ - მაშინ კავშირი). ამიტომაც მათგან არ გამომდინარეობს ნორმატიული დასკვნები. ამ მხრივ არსებითად არაფერი იცვლება მაშინაც, როცა დამკვირვებელი თვითონ ირჩევს პრობლემას. როგორც პირველ, ისე მეორე მაგალითში დასკვნა კეთდება იმის საფუძველზე, რომ მოვლენებისა და პროცესების „არსს“ იმავდროულად მიეწერება შეფასება. ეს კი ნიშნავს, რომ ემპირიულად დეკლარირებულ შეხედულებასაც ნორმატიული შინაარსი აქვს. ერთ შემთხვევაში ბუნებრივი წესრიგი (მიწათმოქმედება) ღვთის სასურველი წესრიგია და ამიტომ იგი საუკეთესოა. მეორე შემთხვევაში კი მომავლის კომუნისტური საზოგადოება არა მარტო გარდუვალია, არამედ სასურველიც.

ის, რაც ფიზიოკრატებისა და მარქსისტების მიმართ ითქვა „სამართლიანობის შესახებ“ ჯონ როლსის (Rawls, 1971/2003) მოძღვრებასაც ეხება. როლსიც ცდილობს, რომ ემპირიული ფაქტებიდან თუ პოზიტიური დაშვებებიდან (პოზიტიური შეხედულებები) ნორმატიული დასკვნები – სამართლიანობის მისეული შეფასებები – გამოიტანოს. ამ პრინციპებით თაობათა შორის ურთიერთობის პრობლემას (იხ. Barry, 1973; Mueller, 1979/93), ერთობ გამარტივებულად და მანკიერად განიხილავს (იქვე, გვ. 302) მაგ.,:

• თავისუფლების პრიორიტეტი ბირითადი უფლებების ყოვლისმომცველ სისტემაში ყველას თანაბარი უფლება აქვს, მაგრამ ცალკეული ინდივიდის თავისუფლება თავსებადი უნდა იყოს სხვა ინდივიდების ასეთივე თავისუფლებასთან;

• სამართლიანობის პრიორიტეტი - ეფექტიანობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი და ეკონომიკური უთანასწორობა მხოლოდ მაშინ არის სამართლიანი, როცა აქედან (1) ყველაზე დიდ სარგებელს ყველაზე

უფრო დაუცველნი იღებენ და (2) როცა იგი ისეთ თანამდებობებთან და სამსახურებთან არის დაკავშირებული, რომლებზეც ხელი ყველას ერთნაირად მიუწვდება.

ერთ შემთხვევაში როლსს თავისი პრინციპები გამოჰყავს აზრობრივი ლოგიკიდან (ექსპერიმენტიდან), რომ თითოეული ინდივიდი მოქმედებს თანაბარი გამოცდილების (პრინციპების) შესაბამისად (იქვე, გვ.139). ექსპერიმენტი წარმოგვიდგენს ფიქტიურ სათათბიროს, სადაც თითქოსდა „თავისუფალი" და „თანასწორი" პიროვნებები (იქვე, გვ.13) მსჯელობენ იმის თაობაზე, თუ რა პრინციპები და დაწესებულებებია აუცილებელი საზოგადოების ფუნქციონირებისათვის. მათი გარკვეული რაოდენობა საუკეთესო „წინაპირობაა იმისათვის, რომ თითოეულმა ინდივიდმა წარმატებით განახორციელოს თავისი ცხოვრებისეული გეგმა" (იქვე, გვ. 92, 93). ამასთან, ყველამ უნდა გაითვალისწინოს ერთი ვითარება, საუბარია იმაზე, რომ თითოეული ინდივიდი გახდება იმ თაობის წევრი, რომელიც მომავალში მოვა და ამიტომაც არც ერთმა ჯერ არ იცის თუ რა სოციალურ-ეკონომიკურ პოზიციას დაიკავებს თითოეული მათგანი იმ პრინციპების მიმართ, რომლებსაც მთელი თაობა ერთხმად ირჩევს. „გაურკვევლობის ამ საბურველში" ყველა ადამიანი ფიქტიურად თანასწორია. მაგრამ ამ მდგომარეობას წინ უნდა უსწრებდეს სოციალური სამართლიანობის პრინციპების ჩამოყალიბება. საქმე ეხება იმ პრინციპებს, რომლებსაც თითოეული ინდივიდი - როგორც მოაზროვნე ცოცხალი არსება - გამოიყენებს, რათა რაც შეიძლება უკეთ განახორციელოს თავისი კერძო ინტერესები. მეთოდოლოგიური რაციონალურობის აქსიომები – როგორც ეს მიღებულია კეთილდღეობის ეკონომიკაში გვაძლევს შესაძლებლობას გამოვთვალოთ თუ რამდენად რაციონალურია თითოეული ასეთი ინდივიდის ინტერესი (იქვე, გვ. 142). ფიქტიურ სიტუაციაში, რომელიც მოწყვეტილია კონკრეტულ სოციალურ-პოლიტიკურ საწყის მდგომარეობას, ადამიანის მომავალი შემთხვევითობის საბურველშია გახვეული, ამიტომაც აუცილებელია, რომ იგი ინდივიდის მოთხოვნებთან კავშირში განვიხილოთ. ამასთან, უნდა გამოირიცხოს ისეთი გრძნობები, როგორიცაა შური, ბოროტება და სხვა. ეს საკმარისია, რომ ექსპერიმენტიდან (იგი ემპირიულ ელემენტს შეიცავს), სწორედ ნორმატიული დასკვნები გამოვიტანოთ და არა უნივერსალური პრინციპები.

როლსის მეორე პრინციპიც არ გვაძლევს იმის შესაძლებობას, რომ არსებულიდან იმაზე გადავიდეთ, რაც არ არსებობს, მაგრამ უნდა არსებობდეს. იგი ადამიანს მიაწერს სამართლიანობის გრძნობას (იქვე, გვ. 46), რომელიც მას თითქოსდა ისევე ახასიათებს, როგორც გრამატიკული ენის გრძნობა. თითქოსდა იგი ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა. როლსის ჰიპოთეზა, რომელიც ინტუიციას ემყარება, გულისხმობს, რომ სამართლიანობის გრძნობის

საფუძველზე შესაძლებელია სამართლიანობის ცდისეული/ექსპერიმენტული პრინციპების ჩამოყალიბება. ამავე დროს აუცილებელია მოქმედების კონკრეტული სიტუაციების სათანადოდ გააზრება. როლსს უტყუარ ჭეშმარიტებად მიაჩნია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ნორმატიული პოზიცია ადამიანის ხუნებას ახასიათებს. მისი თვალსაზრისი ენათესავება კანტის ეთიკურ პოზიციას, რომელსაც ეთიკური პრინციპები გონებიდან გამოჰყავს. როლსის მოსაზრება ასევე ჰგავს კატეგორიული იმპერატივის (აუცილებელი ზნეობრივი ბრძანება) შესახებ კანტის თვალსაზრისს. აქედან გამომდინარე, კატეგორიული იმპერატივის საფუძველზე ჩამოყალიბებული ქცევის ნორმა სავალდებულოა თითოეული ადამიანისათვის, როგორც თავისუფალი და თანასწორი რაციონალური არსებებისათვის (იქვე, გვ.253).

განხილული მეთოდოლოგიური პრინციპები არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ სრულად წარმოვადგინოთ როლსის ეთიკური პოზიცია. როლსი, როგორც ჩანს, დარწმუნებული იყო იმაში, რომ სამართლიანობის მისეული პრინციპები არგუმენტაციის საფუძველზე ერთმანეთს გაამყარებდა. მაგრამ საქმე ის არის, რომ მისი ექსპერიმენტის შედეგი „homo ethicus rationalis" - ის რაღაც ნაირსახეობას ემყარება. ეს უკანასკნელი კი ძალზე წააგავს „homo oekonomikus"–ს, რომელსაც იგი – როგორც ჩანს თავისთავად ცხად რამედ მიიჩნევს. ასეთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას გვაძლევს როლსის ეთიკური პოზიცია. ამ პოზიციას კი საფუძვლად უდევს შეხედულება კერძო ინდივიდების შესახებ, რომლებიც სარგებლის მაქსიმიზაციას ცდილობენ. მეორე მხრივ, მისი თვალსაზრისი ენათესავება ინტუიციონიზმს, ვინაიდან ადამიანი განიხილება, როგორც საზოგადოებრივი არსება, რომელიც დაჯილდოებულია სამართლიანობის საერთო გრძნობით.

უნდა ითქვას, რომ როლსის პრინციპები სამართლიანობის, როგორც ძირითადი ღირებულების შესახებ, მიმზიდველი ინტელექტუალური ინტერპრეტაციაა, მაგრამ საკითხავია თუ რამდენად გაიზიარებს მას ცალკეული ინდივიდი, როდესაც იგი შეფასებით გადაწყვეტილებას იღებს.

მიზანი – ინსტრუმენტი – აზროვნება

ეკონომიკურ პოლიტიკაში შეფასებებთან დაკავშირებით არსებული გაუგებრობა გადაწყვეტილებათა მიღების ტექნოლოგიის ცოდნას უკავშირდება. ადრე განხილული შემთხვევებისაგან განსხვავებით იგი (ტექნოლოგიის ცოდნა) გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს შეფასებისგან თავისუფალი, მეცნიერული ანალიზის შესაძლებლობას. ასეთი ანალიზის საფუძველია ტექნოლოგიური ინფორმაცია, რომელიც ეკონომიკურ კანონზომიერებათა წვდომის სურვილის

მქონე ინდივიდთა ძალისხმევის შედეგია. ეკონომიკური პოლიტიკის შემმუშავებელს სწორედ ასეთი კანონზომიერებები აინტერესებს, განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც

• უკვე ახსნილ მოვლენებთანაა დაკავშირებული.ანუ იგულისხმება ის მოვლენები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ კავშირშია ეკონომიკურ-პოლიტიკურ მიზნებთან;

• ანდა მიზეზ-შედეგობრივ კავშირში მყოფი, წინასწარ განსაზღვრული მოვლენებია. ამ სახეობის მოვლენებს პოლიტიკოსი ან გაითვალისწინებს ან არა.

ასეთი კანონზომიერებები ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას გვაწვდიან. ყოველთვის მნიშვნელოვანია რა შინაარსი აქვთ ეკონომიკურ-პოლიტიკურ მოვლენებს. სწორედ ამის საფუძველზე ხდება იმ ფაქტორების გათვალისწინება, რომლებიც (1) არ მონაწილეობენ ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში და (2) გამოიკვეთება სასურველი მოვლენები. მათი პროგნოზირება მთავარ მიზანთან (რომელიც გარკვეული მოვლენების ახსნას წარმოადგენს) მიახლოვების საშუალებაა. მეთოდის გამოყენების პრინციპის დარღვევის შედეგად ინსტრუმენტებთან დაკავშირებული (ტელეოლოგიური) ცდომილებები წარმოიშობა. ეს მდგომარეობა შეიძლება შემდეგნაირად აიხსნას:

• ეკონომიკურ-პოლიტიკური (ეკონომიკური პოლიტიკის) ხასიათისაა როგორც მიზნები, ისე მათი არჩევა, რაც შეფასებას მოითხოვს. ეს კი მეცნიერულად მიუწვდომელიც არის და მიუღებელიც;

• მიზანთან თავსებადი არჩევანისა და საშუალებების გამოყენებისათვის - აუცილებელია ტექნოლოგიური ცოდნის შესახებ ინფორმაცია, რომელიც შეფასების მიმართ ნეიტრალურია და მეცნიერულად ხელმისაწვდომი.

ეს პოზიცია შემდეგი არგუმენტაციის საშუალებას გვაძლევს: მიზნები სხვა არაფერია თუ არა შეფასებები, მეცნიერებისთვის კი მონაცემები. მეცნიერული ანალიზის საგანი სწორედ ის ინსტრუმენტები და მოქმედებებია, რომლებიც მიზნის მისაღწევად გამოიყენება. ასე ყალიბდება - მეცნიერული მოღვაწეობის სფეროში შეფასებისგან თავისუფალი, ტელეოლოგიური (განვითარება წინასწარ განსაზღვრული მიზან-შედეგობრივი კავშირების საფუძველზე) მსჯელობა: „თუ ამ მიზნის მიღწევა გვსურს, მაშინ ეს არის საუკეთესო საშუალება.“ მაგრამ მიურდალმა (Myrdal/1933) პირველმა აჩვენა თუ რაოდენ პრობლემურია ის ვარაუდი, საიდანაც შეფასებითი მსჯელობისაგან თავისუფალი დასკვნა გამომდინარეობს. მიურდალის (იქვე, გვ. 313) არგუმენტის საფუძველზე შტრეეტენმა (1954, გვ. 61) ეს მოსაზრება შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

1.ადამიანები საშუალებებს ზომავენ არა უშუალოდ, არამედ როგორც მხოლოდ ინსტრუმენტულ ღირებულებას;

2.ისინი მიზნებს ზომავენ მხოლოდ როგორც უშუალო ღირებულებას და არასოდეს განიხილავენ მათ სხვა მიზნების მიღწევის (შუალედური მიზანი) საშუალებად;

3.საშუალების გამოყენების შედეგს არ გააჩნია უშუალო ღირებულება ,,წინასწარ მოცემული" მიზნის გარეშე.

მაგრამ შესაძლებელია გვქონდეს საპირისპირო მოსაზრებებიც:

• საშუალებასაც შეიძლება ჰქონდეს მიზნობრივი ხასიათი (საკუთარი ღირებულება);

• მიზნებსაც შეიძლება ჰქონდეთ ინსტრუმენტული ხასიათი და გამოიყენებოდნენ ზემდგომი მიზნების მისაღწევად (ვერტიკალური მიზანდამოკიდებულებები);

• საშუალებები ერთი გარკვეული მიზნის მისაღწევად გამოყენებისას შეიძლება გვერდით ზემოქმედებას ახდენდნენ სხვა მიზნებზეც (ჰორიზონტალური მიზანდამოკიდებულებები).

მართალია არსებობს რაღაც ფაქტორები, რომლებსაც საშუალებებად ვიყენებთ, მაგრამ საშუალების როლში ისინი მხოლოდ კონკრეტული პრობლემის გადაჭრისას არიან (ეს არ არის მათი ,,ბუნებრივი" თვისება). სხვა პრობლემასთან დაკავშირებით მათ შეიძლება აბსოლუტურად სხვა ფუნქცია შეასრულონ. მაგ., სავალუტო რეზერვები შეიძლება, ერთი მხრივ, განხილული იქნას, როგორც ლიკვიდურობის რეზერვი, რომელსაც საგარეო ვაჭრობის მიზნებისათვის იყენებენ. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს არ გამორიცხავს სავალუტო რეზერვები ეროვნული სიმდიდრის სიმბოლოდ ითვლებოდეს.

მიზნების შესახებაც იგივე უნდა ითქვას, რაც საშუალებებზე. მიზანი ამავე დროს სხვა მიზნის მიღწევის საშუალებად გინიხილება. ეს განსაკუთრებით ეკონომიკურ-პოლიტიკურ მიზნებზე ითქმის. რატომ ითვლება დასაქმების ტენდენცია სასურველ მიზნად? ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება იყოს ის, რომ უმუშევრობა ხელს უშლის საზოგადოებრივ სიმშვიდეს. იგი შეიძლება იმიტომაც იყოს მნიშვნელოვანი, რომ არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური სტრუქტურა რაც შეიძლება მეტი ინდივიდუალური თავისუფლების უზრუნველყოფას ესწრაფვოდეს, ხოლო ინდივიდის თავისუფლება განსაკუთრებულია იმით, რომ იგი სრულმასშტაბიან თვითრეალიზაციის საშუალებას იძლევა. ეს კი სასურველია, ვინაიდან ჩვენს წინაშე იშლება ვერტიკალურ მიზანდამოკიდებულებათა „ჯაჭვის" უსასრულო რეგრესი. თუ ეკონომიკური ცოდნა ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების გადასაწყვეტად უნდა გამოვიყენოთ, მაშინ აღნიშნული უსასრულო რეგრესი სადღაც უნდა შეწყდეს. არსებობს მოქმედების სივრცე (ველი), რომელიც არსებითადაა მიჩნეული. სწორედ მასში (მოქმედების ველში) წინასწარ წყდება თუ როდის უნდა მივიჩნიოთ უმაღლესი მიზნები მონაცემებად. მაგ., ყოველთვის გონივრული არ

არის ეკონომიკური პოლიტიკის ის რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც ფინანსური კომპეტენცია (როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის მთავარი შემადგენელი) ფედერაციის, მიწების, მუნიციპალიტეტებისა თუ სხვა კონსტიტუციური ერთეულების განკარგულებაში გადავიდეს. ექსპერტთა საბჭოს ფორმირების შემთხვევაში კანონმდებელი ნორმატიულად განსაზღვრავს ჩარჩოებს, რომლებშიც მან უნდა იმოქმედოს. კანონის მიხედვით შესაძლებელია ექსპერტთა საბჭომ თავის საქმიანობაში (მაგ., საერთო ეკონომიკური განვითარების საკითხებზე) იხელმძღვანელოს ,,საბაზრო ეკონომიკური წესრიგის" მოთხოვნებით. ამავე დროს მიზნის მისაღწევად კანონი მას არ უკრძალავს ისეთი რეკომენდაციის გაცემას, რომელიც წესრიგის დარღვევასაც ითვალისწინებს. საქმე ის არის, რომ ამ და სხვა შემთხვევებში მკაფიოდ უნდა იქნას წინასწარ დადგენილი და დასახელებული მოქმედების საზღვრები. სწორედ ამის საფუძველზე შევძლებთ ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ალტერნატივები და ფსევდოალტერნატივები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფსევდოალტერნატივები არღვევს დადგენილ საზღვრებს და აძნელებს ეკონომიკურ-პოლიტიკურ დისკუსიას. მიზნების საშუალებებად განხილვიდან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგი გამომდინარეობს: რაკი უსასრულო რეგრესის სრული შეწყვეტა შეუძლებელია, ,,საბოლოო" მიზნებზე მსჯელობაც აზრს კარგავს. ამგვარი მიზნები მხოლოდ შეთანხმების გზით დგინდება, მაგრამ მიზნებს შორის იერარქიის ასაგებად ეს არ არის საკმარისი. ამისთვის აუცილებელია თანხმობა იმაზე, რომ ,,საბოლოო" მიზნიდან სხვა მიზანთა გამომდინარეობის მხოლოდ ერთი შესაძლებლობა არსებობს.

განაწილებისა და ალოკაციის პოლიტიკასთან დაკავშირებით შეიძლება ვაჩვენოთ თუ როგორ ვლინდება იმ გვერდითი მოვლენების მოქმედებასთან დაკავშირებული პრობლემა, რომელიც ყოველთვის თან ახლავს ინსტრუმენტე-ბის (საშუალებების) გამოყენებას. განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი: იმისათვის, რომ სახელმწიფომ წარმატებას მიაღწიოს საგარეო და საშინაო უსაფრთხოების საკითხებში, ამისთვის ქვეყანაში უნდა არსებობდეს დაფინანსების რაციონალური სისტემა. ასეთი სისტემის უზრუნველყოფის წყაროებია: პროგრესული საშემოსავლო გადასახადი, დამატებული ღირებულე-ბის გადასახადი და სესხები. ასე, რომ სულაც არ არის სულერთი თუ როგორ ნაწილდება შემოსავლები, თუმცა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს საკითხი სამართლიანობის მიზანს უკავშირდება.

თავი 3. ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებები და მეთოდური ნორმები

მას შემდეგ რაც ვაჩვენეთ, რომ არსებითად შესაძლებელია შეფასებითი მსჯელობიდან თავისუფალი და მეცნიერული ანალიზი, უნდა განვიხილოთ ოთხი ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულება, რომლებზეც ხშირად მიუთითებენ ეკონომიკურ პოლიტიკის პრაქტიკაში. საუბარია, თავისუფლებაზე, სამართლიანობაზე, უსაფრთხოებასა და პროგრესზე. ამას ემატება დემოკრატია და რაციონალურობა. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ როგორც დემოკრატია, ისე რაციონალურობა მეთოდებს წარმოადგენს, რომლებიც სხვა მიზნების მიღწევას ემსახურება. იმის გამო, რომ მათ საშუალების (ინსტრუმენტის) ბუნება აქვთ, შესაძლებელია ისინი მივიჩნიოთ მეთოდურ ნორმებად. დეტალურად უნდა გამოვიკვლიოთ თუ (1) რა არის ძირითადი ღირებულება; (2) მათი რეალიზების რა ინსტრუმენტებს ვფლობთ; (3) მათი გამოყენების გზით ძირითად ღირებულებებს შორის რა ტიპის ურთიერთობები ვლინდება და განსაკუთრებით (4) რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ძირითად ღირებულებათა კონკრეტულ ინტერპრეტაციას და მათი რეალიზაციის მცდელობებს ეკონომიკური და საზოგადოებრივი წესრიგისათვის. დემოკრატიასთან, როგორც მეთოდურ ნორმასთან, დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება კითხვას იმის შესახებ, თუ როგორ უწყობს იგი ხელს ძირითადი ღირებულებების რეალიზებას კონკურენციის პირობებში, ხოლო რაციონალურობის, როგორც მეთოდური ნორმის მიმართ არსებითია თუ როგორ ასრულებს ის თავის ფუნქციას იმ პირობებში, როცა არსებობს კონსტიტუციური ცოდნის დეფიციტი.

ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებები

კონსტიტუცია, კანონები, სამთავრობო ბიულეტენები, საპარლამენტო დოკუმენტები, მინისტრების, პარლამენტარებისა და სხვა წარმომადგენელთა მოხსენებები დასტურია ისეთი ნორმების არსებობისა, რომლებიც ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გამოიყენება. მაგ., ვაიმარის 1919 წლის კონსტიტუციის პრეამბულაში ნათქვამია, რომ ვაიმარის სახელმწიფო თავის თავზე იღებს ვალდებულებას: „მხარი დაუჭიროს თავისუფლებასა და სამართლიანობას, საშინაო და საგარეო მშვიდობის შენარჩუნებასა და საზოგადოებრივ პროგრესს.” აქედან გამომდინარეობს ძირითადი მიზნები. მათ შორის პირველხარისხოვანია რესპუბლიკური, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა. ეს ძალზე მომცველი და არსებითი მიზანია. ამ მიზანს ყოველთვის ითვალისწინებენ, როდესაც საქმე ეხება ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების

ფორმირებას. ეს შესაძლებელია, ვინაიდან ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები საზოგადოებრივი მიზნების ნაწილს წარმოადგენს და ხშირად საყოველთაო მიზნის მიღწევის საშუალებებად გვევლინებიან.

წინა თავში ჩატარებული ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ:

• ღირებულების შესახებ შეხედულებები მათი კონკრეტული შინაარსისა და ასევე შედარების საჭიროების თვალსაზრისით პერსონალის ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფების, დროისა და სივრცის მიხედვით იცვლება;

• შეუძლებელია მიზნებისა და საშუალებების (ინსტრუმენტების) ერთმანეთისაგან ერთმნიშვნელოვანი და აბსოლუტური გამიჯვნა;

• შეიძლება თავიდან წარუმატებელი იყოს ძირითადი მიზნების რეალიზების მცდელობა, მაგრამ არა საბოლოოდ, ვინაიდან ისინი ურთიერთდაკავშირებული არიან ინსტრუმენტულად და უამრავი სხვა ურთიერთობით.

ძირითადი მიზნების ან ღირებულებების კატალოგის შედგენა მხოლოდ შეთანხმების საქმეა. იგი აუცილებელია თუ გვინდა, რომ თავიდან ავიცილოთ დამაბნეველი, უნაყოფო დისკუსიები ასეთი მიზნების მნიშვნელობისა და მათი სავალდებულო ხასიათის შესახებ. ამავე დროს როდესაც ძირითადი ღირებულებების ასეთი კატალოგი მეცნიერული განხილვის საგნად იქცევა, საჭიროა თანხმობის უფრო მაღალი ხარისხი იმ ღირებულებებზე, რომელთა დეკლარირება ყველაზე ხშირად ხდება. ასეთი შეთანხმების მიზანი კი ძირითად ღირებულებათა შინაარსის დაკონკრეტებაა. ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილია ძირითადი ღირებულებები ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს და დაწყვილდეს შემდეგნაირად:

• თავისუფლება და სამართლიანობა;

• უსაფრთხოება და პროგრესი.

თავისუფლება, სამართლიანობა, უსაფრთხოება და პროგრესი ყოველთვის ეკონომიკურ კეთილდღეობას ეფუძნება. ამავე დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების განვითარებისა და მისი თითოეული წევრის კეთილდღეობისათვის ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის პირობას წარმოადგენს. ადამიანთა საზოგადოების ძირითადი ღირებულებები არ არის ბუნებისაგან ბოძებული, არამედ ხშირად კონფლიქტებით სავსე დემოკრატიული პროცესების შედეგად წარმოიქმნება. ამასთან, როდესაც საქმე ეხება მიზნების დაკონკრეტებას (მათი კონკრეტული შინაარსის დადგენას), სწორედ მაშინ იწყება პრობლემები, სიტუაცია უკიდურესად რთულდება და წარმოიქმნება ორი ტიპის: ეკონომიკურ მიზანთა (თეორიულ დონეზე) და ინტერესთა (პრაქტიკაში) კონფლიქტები. აღნიშნულ კონფლიქტთა პრევენცია სამართლებრივ-იურიდიული ველის ინსტრუმენტებით მოკლევადიან პერიოდში დროებითი დადებითი ეფექტებით ხასიათდება,

ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებელია ძალზე გართულდეს და ანტაგონისტური ხასიათი შეიძინოს.

ძირითად მიზნებსა და ღირებულებებს არც ერთი სახელმწიფოს მოსახლეობა არ ეწინააღმდეგება. სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს როდესაც მიმდინარეობს მიზნების დაკონკრეტება დაქვემდებარებულ მიზნებად შემდეგი მიმართულებებით: იდენტურობა, ჰარმონია, ნეიტრალიტეტი, კონფლიქტი და ურთიერთგამორიცხვა. ეს პროცესი რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და მის გატარებასთან დაკავშირებული რისკების პრევენციის აუცილებელ და უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. ცხადია, მხოლოდ განვითარებულ საზოგადოებას ძალუძს გაიღოს ძვირადღირებული რესურსები რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და მისი ეფექტიანი განხორციელებისათვის. სამწუხაროდ ეკონომიკური განვითარების მსოფლიოში არსებული დონე ჯერ კიდევ ვერ გვაძლევს რაციონალური ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. მსოფლიოში მიმდინარე საომარი მოქმედებები და გამწვავებული კონფლიქტები ზოგადად ადამიანისა და საზოგადოების ჰუმანურობის დაბალ დონეზე მეტყველებს.

ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან ეროვნულ ღირებულებათა სისტემის დაახლოება და მათთან თავსებადობა ხანგრძლივი პროცესია. იგი შესაძლებელია დავყოთ კონპონენტებად და მათ შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება განვსაზღვროთ. რაციონალური ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემუშავებისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე დავადგინოთ რა კავშირები არსებობს ეროვნულ იდეას, ეროვნულ ღირებულებათა სისტემასა და ეკონომიკურ ინტერესებს შორის.

თავისუფლება

თავისუფლების შინაარსი ისევე ამოუწურავია, როგორც სხვა ძირითადი ღირებულებებისა. ეკონომიკურ პოლიტიკაში მიზანშეწონილია თავისუფლების მხოლოდ ორი სპეციალური ასპექტი განვიხილოთ. ეს საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ თავისუფლების შინაარსის ინტერპრეტაციასა და გაგებასთან დაკავშირებული ტიპური სიძნელეები. საქმე ეხება თავისუფლების განხილვას ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ასპექტით.

ინდივიდუალურ ასპექტის შემთხვევაში აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ნების თავისუფლება და მოქმედების თავისუფლება. საზოგადოებრივი ასპექტი კი მოითხოვს კონფლიქტის, ძალაუფლებისა და სამართლის კატეგორიათა დახასიათებას. ამასთან გარკვეული შეზღუდვა უნდა გამოვიყენოთ ორივე მიმართულებით, ვინაიდან ამ კატეგორიებს განვიხილავთ მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით. ასეთ დროს დიდი

მნიშვნელობა ენიჭება საბაზრო ეკონომიკურ წესრიგს და მასში სახელმწიფოს ინტერვენციას. ამიტომ აქცენტი გადატანილია პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისუფლებაზე.

თავისუფლების ფილოსოფიური შინაარსის ამოსავალი წერტილი ინდივიდი და მისი ნების თავისუფლებაა. გერმანელი ფილოსოფოსის ემანუელ კანტის მოღვაწეობის პერიოდიდან დასავლურ კულტურაში ადამიანს თავისი თავი თავისუფალ არსებად წარმოუდგენია, რაც ორმხრივ მნიშვნელოვანია:

• თავისუფლება, როგორც „მოქმედების უნარი, თვითონ არის საწყისი მდგომარეობა და მისი კაუზალობა არ ექვემდებარება ბუნებაში არსებულ კაზალობას“ (Kant, 1781/1993, გვ. 170);

• თავისუფლება, როგორც „ნება, რომელიც თავისუფალია გრძნობათა ლტოლვის საფუძველზე აღმოცენებული იძულებისაგან“ (იქვე, გვ. 171) და როგორც შესაძლებლობა იმისა, რომ მან თვითონ დაადგინოს მოქმედების კანონი.

ეს დებულებები უარყოფს ადამიანების მოქმედებისა და ქცევის წინასწარგანსაზღვრულობას. მათ საფუძველზე მიჩნეულია, რომ ადამიანს აპრიორულად აქვს ნების თავისუფლება (არ არის შეზღუდული თავის სურვილში).

დასავლური ცნობიერების ამ არსებით აქსიომასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: შეუძლია კი ადამიანს იმის მიღწევა, რაც მას სურს? ამაზე პასუხი ავლენს იმ შესაძლო შეზღუდვებს, რომლებიც ნების თავისუფლების რეალიზების მცდელობას წინ ეღობება. რაც შეეხება მოქმედების თავისუფლებას, მას საზღვრები გააჩნია. ისინი სხვადასხვა ვალდებულებებს გვაკისრებენ:

• მოქმედების თავისუფლების შესაძლებლობა ყოველთვის მოქცეულია ბუნების მიერ დადგენილ ობიექტურ და გარე საზღვრებში, რომელთა დარღვევა შეუძლებელია. თუმცა შესაძლებელია მათი გონივრული გამოყენება, რათა გაფართოვდეს ადამიანის ისტორიულად ჩამოყალიბებულ შესაძლებლობათა საზღვრები;

• სუბიექტური საზღვრები ბუნებრივ საზღვრებზე უფრო ვიწროა და მათ ადამიანის ბუნებრივი (ფიზიკური და ფსიქიკური) შესაძლებლობები და ინდივიდის მიერ საკუთარი თავისთვის დაწესებული ზნეობრივი ნორმები ადგენს. მათი საფუძველი მხოლოდ ინდივიდშია, რომელიც საკუთარ თავისუფლებას განიხილავს, როგორც ავტონომიურობის შესაძლებლობას;

• საზოგადოებრივი საზღვრები ინდივიდებს შორის არსებულ ურთიერთობებს ეხება. ჩვენს რეალობაში მათ ძალაუფლება, ზნეობა და კონვენციები უპირველეს ყოვლისა კი სამართალი ადგენს. ისინი

განსაზღვრავენ ადამიანებს შორის ურთიერთობის თავისუფლებას და საზოგადოებაში მათი მოქმედების შესაძლებლობებს.

სწორედ ამ საზღვრებშია მოქცეული ინდივიდუალური მოქმედების თავისუფლება, როგორც უამრავი წერტილის ერთობლიობა, სადაც ერთმანეთს კვეთენ შიგა და გარე თავისუფლებანი. თავისუფლების ამგვარი საზღვრები, თავის მხრივ, ბუნების მიერ დადგენილ სფეროშია მოქცეული. ადამიანი ობიექტურ საზღვრებს ხვდება, როცა ამაოდ სურს სივრცის ორ სხვადასხვა წერტილში ერთდროულად ყოფნა, ანდა სხვა დროში (მაგ., რამდენიმე საუკუნის წინ არსებულ ეპოქაში) გადასვლა. სუბიექტურ საზღვრებს ვხვდებით როდესაც, მაგ., შიში გვეუფლება ფრენის არსებულ ტექნიკურ შესაძლებლობებთან დაკავშირებით. თუმცა ზოგჯერ შეიძლება ადამიანს არ ეშინოდეს თვითმფრინავით ფრენის, მაგრამ მოკლებული იყოს ფრენის ფინანსურ საშუალებებს. მაგ., არ ჰქონდეს ბილეთის შესაძენად საჭირო სახსრები. ეს მაგალითები გვიჩვენებს მოქმედების თავისუფლების საზღვრებს. არჩევანის თავისუფლების (გადაწყვეტილების მიღების) შანსი მხოლოდ შესაძლებლობის ფარგლებში არსებობს.

მოქმედების თავისუფლების რეალიზება საზოგადოებაში პრობლემურია, რადგან მოცემული ინდივიდის მოქმედება ან უმოქმედობა ზეგავლენას ახდენს სხვა ინდივიდებზე. ერთი ინდივიდის თავისუფლება სხვათა თავისუფლების შეზღუდვად გვევლინება. საზოგადოების არსებობას საფრთხე ემუქრება, როდესაც ინდივიდებს მოქმედების აბსოლუტური თავისუფლება სურთ. ამ შემთხვევაში, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელი ხდება თავისუფლების შეზღუდვა. ჯონ სტიუარტ მილი (1859, გვ. 75) აღნიშნავდა: „ერთადერთი თავისუფლება იმსახურებს ჭეშმარიტი თავისუფლების სახელს, როცა ჩვენ ისე ვეძიებთ საკუთარ კეთილდღეობას, რომ ამით სხვებს არ ვართმევთ შესაძლებლობას მათაც ეძიონ თავიანთი კეთილდღეობა“.

ინდივიდუალურ თავისუფლებასთან დაკავშირებით აუცილებელია საზოგადოების თითოეულმა წევრმა გააცნობიეროს და გაითვალისწინოს, რომ მათი ინტერესების განხორციელება ყოველთვის იწვევს სხვა ინდივიდების ინტერესთა შეზღუდვას. ეს მოთხოვნა უკავშირდება ინტერესთა კონფლიქტს და მისი მართვის ან მოგვარების პრობლემას. ამავე დროს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მხოლოდ მოწოდება არ არის საკმარისი მის ასაცილებლად. კონფლიქტები მაშინ წარმოიშობა, როდესაც ერთმანეთს კვეთენ თავისუფლად მოქმედ ინდივიდთა ინტერესების სფეროები. ერთი ინდივიდის მოქმედების შესაძლებლობა ავტომატურად გამორიცხავს სხვა ინდივიდის ასეთივე მოქმედების შანსის გათვალისწინებას. ასე რომ, კონფლიქტის წყარო ის კონკურენციაცაა - მოქმედების შანსების გათვალისწინებასთან დაკავშირებით

რომ წარმოიშობა. შეიძლება გამოვყოთ კონფლიქტის მართვის ორი ზოგადი შესაძლებლობა (Boulding, 1958/64, გვ. 117):

• პრევენციის გზით შევამციროთ კონფლიქტის საფრთხე. იგულისხმება ზეგავლენის სფეროების გამიჯვნა ექსკლუზიური უფლებების (ან შესაძლებლობების) გაუქმების (ან განეიტრალების) გზით;

• წარმოშობილი კონფლიქტები კი ვმართოთ კომპრომისის, ზნე-ჩვეულებათა, კონვენციის თუ პოზიციური სამართლის ინსტრუმენტების გამოყენებით.

კონფლიქტის პრევენციის საშუალებაა საერთოდ პიროვნების უფლებები და მათ შორის საკუთრების უფლება (ეკონომიკური საქმიანობის უფლება) მთელი თავისი მრავალფეროვნებით. მათი საშუალებით შესაძლებელია მოქმედების სფეროების გამიჯვნა და ხელყოფისაგან კანონიერი გზებით (მაგ., საჩივრის აღძვრა ვალდებულების შეუსრულებლობასთან, ზარალის ანაზღაურებასთან, ან სხვის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრებასთან დაკავშირებით) დაცვა.

კონფლიქტის მართვაში ძირითადად იგულისხმება მოკლევადიანი და გრძელვადიანი შეთანხმებების მიღწევა და მათი დაცვა. ასეთ შემთხვევებში პოტენციური მომრიგებლები (როგორც კონფლიქტის მხარეთა წარმომადგენლები და ექსპერტები) თავიდანვე ითვალისწინებენ, რომ საჭიროების შემთხვევაში გარეშე პირთა არბიტრაჟი უნდა დაინიშნოს. კონფლიქტის მოგვარების პროცედურებსა და შედეგებს ისევ დაუბრუნდებით, როდესაც უსაფრთხოების, როგორც ძირითადი ღირებულების განხილვაზე გადავალთ.

მოქმედების თავისუფლება საშუალებას აძლევს ინდივიდს თავისი გეგმის მიხედვით განახორციელოს დასახული მიზნები. ამასთან, ინდივიდი (ან ეკონომიკური აგენტი) საკუთარი მოქმედების თავისუფლებაზე სხვა ინდივიდის ზეგავლენას თუ განიცდის, იმავაგვარად იწყებს მოქმედებას, რომ მისი მოქმედების შედეგები ზემოქმედების მომხდენი ინდივიდის მიზნებს მიესადაგებოდეს (მოხდეს ინტერესთა თანხვედრა). ზეგავლენის ასეთი შესაძლებლობები ზოგჯერ ზემოქმედების ქვეშ მყოფი ინდივიდის ფსიქიკაშია საძიებელი. ოღონდ მისი (შესაძლებლობის) სიდიდე იმით განისაზღვრება, თუ რა ზომით თმობს მოცემული ინდივიდი თავის ავტონომიურობას ჰეტერონომიურობის სასარგებლოდ. ასეთი ქცევა ზეგავლენის ქვეშ მყოფი ინდივიდისათვის შესაძლოა საზიანოც იყოს, მაგრამ იგი ითვალისწინებს კონფლიქტის მოგვარების ინტერესებს და ნებაყოფლობით თანხმდება ასეთ ზეწოლაზე. მაგ., გაცვლით ურთიერთობებში, როდესაც ერთ მხარეს შემცვლელი საქონლისათვის თავის არიდების შანსი ეძლევა, მეორე მხარეც, შესაძლოა უხალისოდ, მაგრამ მაინც იწყებს ამ ურთიერთობის მიზნის გადასინჯვას, და, პირიქით, შემცვლელი საქონლის არქონის პირობებში გაცვლის პარტნიორი,

რომელიც კონკურენციის გარეშე რჩება, უფრო მძაფრად ცდილობს თავისი ინტერესის განხორციელებას.

ეკონომიკური ძალაუფლების განხილული მაგალითი ცხადყოფს, რომ ზეგავლენის ჩვეულებრივი შესაძლებლობები, არსებითად, ძალაუფლებას უკავშირდება. თავდაპირველად ჩვენ გვერდი ავუარეთ ტერმინ „ძალაუფლებას“, რადგან იგი ისეთ წარმოდგენასა და შეგრძნებას უკავშირდება, არსებითის შეფასებაში ხელს რომ გვიშლის. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია და სასარგებლოც ძალაუფლების მაქს ვებერისეული (1921/2002, გვ. 28) განსაზღვრების გათვალისწინება: „ძალაუფლება სხვა არაფერია თუ არა ნებისმიერი შესაძლებლობა, რომ წინააღმდეგობის მიუხედავად განახორციელო საკუთარი ნება და მნიშვნელობა არ აქვს იმას თუ რას ეფუძნება ასეთი შესაძლებლობა“. საზოგადოდ, ინდივიდთა ურთიერთობის სოციალური საზღვრები უნდა გავიგოთ, როგორც თავისუფლების შეზღუდვა. მაგრამ, მეორე მხრივ, ბუნდოვანია თუ რა ზომით არის შესაძლებელი საკუთარი ნების განხორციელება. ამის გასარკვევად საჭიროა ვებერისეულ განსაზღვრებაში ჩაწვდომა. ამ ასპექტით ძალაუფლება უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც კონტინუუმი ანუ მთლიანობა (მაგ., Dahl, 1963, გვ. 62), რომლის ერთ მხარეს უნდა მოვიაზროთ ავტონომიური ინდივიდი მოქმედების მთელი თავისი შეუზღუდავი თავისუფლებით, მეორე მხარეს კი - სრული ჰეტერონომია ან/და ბატონობა, რომელსაც სხვები ახორციელებენ.

საზოგადოებრივ ურთიერთობებში ჩართული ინდივიდი შეიძლება სხვისი ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდეს. სწორედ ასეთი შესაძლებლობა რეალიზდება ძალადობად, რომელიც სხვა არაფერია თუ ძალაუფლების უკიდურესი ფორმა. ძალადობა წარმოიშობა მაშინ, როდესაც ინდივიდი ცდილობს თავისი შესაძლებლობა გამოიყენოს იმისათვის, რომ სხვა ინდივიდს მისთვის არასასურველი ქმედება ჩაადენინოს. თავის მიზანს მოძალადე აღწევს იმით, რომ ძალადობის პოტენციურ მსხვერპლს არწმუნებს იმაში, რომ თითქოს ის ამით თავს დააღწევს სხვა უფრო სახიფათო და საზიანო მოქმედების შესაძლებლობებს (Hayek, 1960, გვ.134). ამ შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლი დარწმუნებულია, რომ ის გადაწყვეტილება და ქცევა, რომელიც მას თავს მოახვიეს, უფრო მცირე ბოროტებაა. ასე რომ, იგი საკუთარი ნებით იწყებს სხვისი მიზნების განხორციელებას სხვის მიერვე წინასწარ შედგენილი და მისთვის თავსმოხვეული გეგმით. ძალადობის ბატონობის პირობებში ინდივიდს აღარ აქვს თავისუფლება, რომ აღკვეთილი და ზიანის მომტანი მოქმედებები ჩაიდინოს.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოსდა ძალადობის განსაზღვრება, ამავე დროს ძალაუფლების განსაზღვრაც იყოს. საერთოდ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ გარკვეული კონტინუუმი აქ მართლაც არსებობს.

ძალაუფლება და ძალადობა ერთმანეთში გადადის და ერთობ ძნელია იმის დადგენა თუ სად იწყება ერთი და სად მეორე. ამის გათვალისწინება მნიშვნელოვანია, რადგან საზოგადოებრივ ურთიერთობებში (ინდივიდებს შორის) ძალადობის განხორციელება უსამართლობად ითვლება. ძალაუფლებასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა იმის შესახებ არსებობს თუ არა მისი გამოვლენის ისეთი ფორმები, რომლებიც სამართლიანად ჩაითვლება? საზოგადოებრივ და ეკონომიკებში ძალაუფლებას განსხვავებული მიზეზები აქვს, ამიტომ სხვადასხვანაირად ფასდება ხოლმე მათ მიერ მოტანილი სარგებელი. სწორედ ამის დასტურია ის მოვლენები - ბაზარზე თავისუფალი შესვლის შეზღუდვებს რომ უკავშირდება. ერთი მხრივ გვაქვს „პიონერული“ მოგება, მეორე მხრივ კი – მონოპოლიური რენტა. ეს კი ეკონომიკური ძალაუფლებისა და კონკურენციის პოლიტიკის ფარგლებში მისი მოგვარების პრობლემაა.

ჯონ სტიუარტ მილის მიერ გამოთქმული თავისუფლების განსაზღვრებიდან ჩანს, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობებში ერთმანეთთან შეუთავსებელია კერძო ძალადობის აქტები და მოქმედების თავისუფლება. სამართლის ფუნქცია კი მოქმედების თავისუფლების უზრუნველყოფა უნდა იყოს. კანტის სიტყვებით (1790/1993, გვ. 390) „სამართალი არის იმ პირობების ერთიანობა, რომლებიც შესაძლებელს ხდის, რომ ერთი ინდივიდის თვითნებობა თავისუფლების საყოველთაო კანონის თანახმად თავსებადი იყოს სხვა ინდივიდის თვითნებობასთან“. ამ განსაზღვრების საფუძველზე ისმება კითხვა: რა თვისებები უნდა ჰქონდეს სამართალს, რომ იგი თავისუფლების უზრუნველყოფის გარანტად (წესად) გამოდგეს? უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, რომ თითოეული ინდივიდის თვითნებობა (ნების თავისუფლების განხორციელება იმის სურვილების გათვალისწინების გარეშე, ვის მიმართაც ის ხორციელდება) საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროში თანაბარმნიშვნელოვანი უნდა იყოს. აქედან გამომდინარეობს, რომ ზემოხსენებული წესები სავალდებულოა ჩვენთვის უცნობი უამრავი პიროვნებისა და შემთხვევისათვის. სწორედ ეს განაპირობებს სამართალის დამოუკიდებლობას პიროვნებებისა და შემთხვევებისაგან. ამიტომაც შეუძლებელია თავისუფლების განსხვავებულ აღქმაზე დამყარებული ისეთი კატალოგის შექმნა, რომელიც თავს მოუყრიდა ნებადართულ მოქმედებებს. პირიქით, კატალოგში უნდა მოხვედრილიყო ისეთი მოქმედებები, რომლებიც წინანდელი გამოცდილებიდან გამომდინარე არათავსებადია ყველა ინდივიდის თანაბარ თავისუფლებასთან. ამიტომაც ასეთი წესები აკრძალული მოქმედებების საყოველთაო კატალოგის საფუძველზე უნდა შექმნილიყო.

„აკრძალვების“ კატალოგის საფუძველზე შექმნილ სამართალს მაქს ვებერი (1921/2002, გვ. 396) ფორმალურ სამართალს უწოდებს. იგი მას მატერიალური

სამართალისაგან განასხვავებს. პირველი არ არის დამოკიდებული პიროვნულ გარემოებებსა და სპეციფიკურ სიტუაციებზე. მეორე კი იმთავითვე ანგარიშს უწევს განსაკუთრებულ გარემოებებს. მასში გათვალისწინებულია ისეთი არსებითი ნორმები, როგორიცაა „ეთიკური იმპერატივი თუ მიზანშეწონილობის სხვა წესები ანდა პოლიტიკური მაქსიმა“ (იქვე, გვ.397). მაგ., ეთიკური იმპერატივი და პოლიტიკური მაქსიმა იქნებოდა სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, რომელიც ითვალისწინებს განსაკუთრებულ გარემოებებს სამართლიან განაწილებაზე ორიენტაციის სახით.

ფორმალური სამართლის ზემოაღნიშნულ ნიშან-თვისებებს ორგანიზაციის სპეციალური წესები ესადაგება, რომლებიც საზოგადოებრივი ეკონომიკების ბაზართან შეწონილ კოორდინაციას წარმართავს. ეს წესები კერძო და ეკონომიკური სამართლის დაცვას უზრუნველყოფს (რაც შესაბამისობაში უნდა იყოს უნივერსალურ მოთხოვნებთან).

როგორც ვხედავთ საქმე ეხება ორგანიზაციის ისეთ წესებს, კოლექტიურ საქონელს რომ არეგულირებენ. ეს უკანასკნელი ყველასთვის სასარგებლოა მაშინ, როცა მასზე ყველა ზრუნავს. შესაბამისი წესების (მაგ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი) განხორციელებასაც აქვს კოლექტიური საქონლის ნიშან-თვისებები. ცხადია, რომ ცალკეულ ინდივიდს (ამ ურთიერთობებში ჩახედულიც რომ იყოს) არ აქვს თავისთვის ამგვარი გრძელვადიანი წესების შემოღების ინტერესი. მაგრამ როდესაც სხვებიც (მთელი სოციუმი) არ იშურებენ ძალისხმევას მათ დამკვიდრებაზე, მაშინ ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობები ყველასთვის სასარგებლო ხდება. კანონმდებელი ცდილობს, რომ დადგენილი წესები ყველამ დაიცვას.

საზოგადოებრივი ასპექტით ისმება კითხვა თუ როგორ უნდა შეიქმნას ასეთი სამართალი, როგორც კოლექტიური საქონელი/სიმდიდრე?. ეკონომიკური თვალსაზრისით ეს დამოკიდებულია სახელმწიფოსა და მის პოლიტიკურ სისტემაზე. სახელმწიფო აღიარებს, აყალიბებს და ახორციელებს იმ წესებს, რომლებიც თანაბრად უზრუნველყოფენ ყველა ინდივიდის მოქმედების თავისუფლებას. ეს იმას ნიშნავს, რომ:

• მოქალაქეები – ციცერონის სიტყვებით რომ ვთქვათ კანონებს უნდა ემსახურებოდნენ თუკი მათ თავისუფალ არსებებად ყოფნა სურთ (**legum servi sumus ut liberi esse possimus**);

• სახელმწიფომ სამართალის ისეთი სისტემა უნდა შექმნას, მისი ბატონობის კანონიერებას რომ აფუძნებს და საჭიროების შემთხვევაში იგი ძალისმიერი საშუალებებით უნდა უზრუნველყოს;

• სახელმწიფოსადმი მოქალაქეთა დამოკიდებულების მხრივ აუცილებელია უსაფრთხოების ისეთი სამართლებრივი ზომების განხორციელება,

რომლებიც თავიდან აგვაცილებს ბატონობის ორგანიზაციის (სახელმწიფოს) მხრიდან ინდივიდუალური თავისუფლების ხელყოფას თუ გაუქმებას.

საუბარია იმაზე, რომ სახელმწიფო, როგორც ბატონობის ორგანიზაცია, თავისუფლების სამსახურში ჩავაყენოთ და მის მცველად ვაქციოთ. რა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისით ყველასათვის ხელსაყრელია ისეთი საყოველთაო, თანასწორი და სახელმწიფოებრივად უზრუნველყოფილი წესების არსებობა, რომლებსაც ყველა დაემორჩილება. ეკონომიკურად ეს განისაზღვრება, როგორც „განიარაღების" საფუძველზე მიღებული სარგებელი/უპირატესობა (Buchanan, 1975/98, გვ. 58). ასეთი „განიარაღების" შინაარსი ცხადი გახდება თუ გავითვალისწინებთ იმ ხარჯებს, რომლებსაც ინდივიდი თავისი თავისუფლების დაცვისათვის გაიღებს (სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი წესების არარსებობის პირობებში). ასეთ ვითარებაში საზოგადოების ცალკეული წევრი სხვებთან გაუთავებელ კონფლიქტებში ჩაებმებოდა და არ ექნებოდა მათი მოგვარების საყოველთაოდ აღიარებული მეთოდები. რა თქმა უნდა, საქმე არ ეხება არც უტოპიურ საზოგადოებას და არც ადამიანის შესახებ ზედმეტად ოპტიმისტურ შეხედულებას. მაგრამ მეორე მხრივ, ცხადია რაოდენ ძვირად უჯდება თითოეულ ინდივიდს მოქმედების თავისუფლების დაცვა, როცა სახელმწიფო არ ასრულებს საზოგადოებრივი წესრიგის მცველის ფუნქციას (პროტექციონისტური სახელმწიფო). „ბუნებრივი მდგომარეობა", როდესაც ყველა ყველას მტერია, მართლაც დაგვემუქრებოდა და „ადამიანის ცხოვრება მარტოსული, უბადრუკი, საზარელი და ხანმოკლე" იქნებოდა (Hobbes, 1651/2003, გვ. 186).

ადამიანთა თანაცხოვრებას იმ პირობებში, როდესაც ყველა თავისუფალია, სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესების გარეშე თავისუფლებას არანაირი პერსპექტივა არ ექნებოდა. ადამიანების არსებობა ყოველთვის საფრთხეში იქნებოდა და მათ მუდამ დაემუქრებოდათ მორალური ცდუნება, რომ როდესაც ისინი პირადი გამორჩენისა და სარგებლის მიღების მიზნით პერმანენტულად ხელეყოთ თანაცხოვრების წესები. მაგრამ, მეორე მხრივ, როცა ფორმალური სამართლის, როგორც კოლექტიური საქონლის დაცვა გაბატონებულ ორგანიზაციას (ანუ სახელმწიფოს) ეკისრება, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყველაფერი თავისთავად მოგვარდება. პირიქით, საჭიროა სიფრთხილის განსაკუთრებული ღონისძიებები, რომ სახელმწიფომ სხვა მიზნებისათვის ბოროტად არ გამოიყენოს თავისი ძალაუფლება. არ არის აუცილებელი, რომ ამ მდგომარეობამ დესპოტიის სახე მიიღოს. ძალაუფლების ბოროტად გამოყენება თავისუფლების შემზღუდავი კანონების მიღებით ხდება. სრულიად აშკარაა ის საფრთხე, რასაც შეუზღუდავი თვითნებობა უქმნის ინდივიდის თავისუფლებას და რაც ვლინდება ხოლმე „დემოკრატიაში" დაბელოვნებული დიქტატორის ან „ბრძენი" ტირანის ილუზიების სახით. დემოკრატია, როგორც კანონშემოქმე-

დების პროცედურების ერთობლიობა, გამოიყენება ინდივიდუალურ თავისუფლებასა და პოლიტიკურ ბატონობას შორის არსებული დაძაბულობის შესარბილებლად. მაგრამ უნდა ვითვალისწინებდეთ იმ საფრთხესაც „შეუზღუდავი“ დემოკრატიიდან რომ მომდინარეობს. კანონების მოზღვავებული რაოდენობაც საფრთხეს უქმნის დემოკრატიას. ამის ნათელი მაგალითია ათენური დემოკრატია. პლატონი თავის „სახელმწიფოში” გვთავაზობს პოლიტიკური სისტემის ვარიანტს, რომლის სათავეშიც დგას „ბრძენი“ დიქტატორი. მართალია, მისი სურვილი იყო ათენის პოლიტიკური კულტურის დაცემის შეჩერება, მაგრამ მისდაუნებურად პლატონი მოჯადოებულ წრეში მოექცა. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი სიტუაცია განსხვავდება ათენური დემოკრატიისაგან, ისიც არ არის დაზღვეული მოხვდეს შეზღუდული თავისუფლების მოჯადოებულ წრეში (იგულისხმება ისეთი სისტემა, როდესაც ინდივიდთა ყველა ქმედება აურაცხელი კანონებით რეგულირდება და თავისუფლება მაქსიმალურად იზღუდება).

ყოველთვის სასურველი და მიზანშეწონილია ინდივიდს სახელმწიფო საკუთარი თავისუფლების გარანტად მიაჩნდეს. ამას კი ორი ასპექტი აქვს: ჯერ ერთი, „პოლიტიკური თავისუფლების(არჩევნების) გზით ყველა მონაწილეობს სახელმწიფო ხელისუფლების გადაწყვეტილებებში და მეორეც, ამას ემატება ცალკეული ინდივიდისა და საზოგადოების სამოქალაქო თავისუფლება სახელმწიფო ძალაუფლებასთან დაკავშირებით” (Boeckenfoerde, 1972, გვ. 412). ეს არის სამართლებრივი სახელმწიფოს სტრუქტურული ნიშნები. პოლიტიკურ სისტემაში უნდა არსებობდეს სიფრთხილის უამრავი ღონისძიება, რომლებიც მოქალაქეს სახელმწიფოს მოღვაწეობაში მონაწილეობისა და მისი გაკონტროლების საშუალებას მისცემს. გარდა ამისა, ისინი უნდა იცავდნენ მოქალაქეებს სახელმწიფოს მხრივ ძალმომრეობისაგან სწორედ იმ პირობებში, როდესაც იგი ლეგიტიმურად არის მიჩნეული. მაგრამ ყველას პოლიტიკური თავისუფლება როდია იმის საწინდარი, რომ ინდივიდუალური თავისუფლებაც დაცული იქნება. სამართლებრივი სახელმწიფო, თავისუფლების მხრივ, მის ორ სახეობას შორის თანამშრომლობას ეფუძნება (ერთია პოზიტიური თავისუფლება, მეორე კი ნეგატიური), რაც სახელმწიფო ბატონობისაგან დამოუკიდებლობას გულისხმობს.

ეკონომიკური თავისუფლება მოითხოვს ყველა ღონისძიების გატარებას, რათა მოქალაქეებმა შეძლონ პირადი პასუხისმგებლობის საფუძველზე ჩამოყალიბებული ეკონომიკური მისწრაფებების შეუზრუდავი განხორციელება. საბოლოო ჯამში კერძო ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა კოორდინაცია და კონტროლი ხორციელდება ორი პრინციპით:

- პირადი პასუხისმგებლობით და საბაზრო ურთიერთობათა საშუალებით მიმდინარეობს ეკონომიკურ სუბიექტთა კოორდინირება;

• კონკურენციის საფუძველზე წარმოქმნილი ეკონომიკური წნეხით ხორციელდება თვითკონტროლი. იგი განაპირობებს ინდივიდთა მისწრაფებების შესაბამისობას, როგორც განვითარების ხელშემწყობ, ისე შემზღუდავ პირობებთან;

სახელმწიფოს ძირითადი ამოცანა ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფის კუთხით სწორედ ის არის, რომ იძულება განახორციელოს. ის ვალდებულია შექმნას და დაიცვას თვითრეგულირების სამართლებრივი პირობები. ამ ამოცანას ახორციელებს ის არასაბაზრო დაწესებულებები, რომლებიც საბაზრო ეკონომიკური სისტემის სტრუქტურას აყალიბებენ (Mestmaecker, 1975):

• სამართლებრივად თანასწორი მოქალაქეები და იურიდიული პირები კერძო, სუბიექტური ავტონომიის უზრუნველყოფის გზით ისე მოქმედებენ, რომ თავიანთი გადაწყვეტილებები სხვებთან თავსებადობაში მოჰყავთ და გაცვლის საშუალებით მათთან კოორდინაციას ახორციელებენ. ამ პროცესში მიმდინარეობს როგორც კერძო საკუთრებისა და ეკონომიკური თავისუფლების დაცვა, ისე პოზიციათა მრავალფეროვნების უზრუნველყოფა. სწორედ საკუთარი მიზნების რეალიზაციის ინტერესი უბიძგებს მათ (მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს) სხვა ინდივიდებთან კოოპერაციისაკენ.

• უსაფრთხოების სამართლებრივ ღონისძიებათა გატარებით კერძო ავტონომია არ ხორციელდება სხვების ავტონომიურობის ხელყოფის ხარჯზე. ასეთ შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა, ხდება კონკურენციის დაცვა, ხელშეწყობა და ბაზარზე ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ მოქმედების უზრუნველყოფა (რაც ეკონომიკური ძალაუფლების კონტროლის საშუალებაა).

თავისუფალი და თანასწორი ინდივიდები ავტონომიურად რომ გეგმავენ თავინთ ცხოვრებას, ურთერთთანამშრომლობით „სოციალურ კოსმოსს“ ქმნიან, რომელსაც სამართლის არსებული ტიპის მიხედვით შესაძლებელია კერძო სამართლებრივი საზოგადოება ეწოდოს (Böhm, 1966, გვ. 80).

სამართლიანობა

სამართლიანობის, როგორც ძირითადი ღირებულების, გარდა არ არსებობს სხვა ისეთი ნორმა, რომელიც ამდენ ემოციას, დაპირისპირებასა და საზოგადოებრივ კონფლიქტს მოაწესრიგებდა. იგი ყოველთვის იძლეოდა ხოლმე საბაბს უამრავი საზოგადოებრივი უტოპიისათვის. სამართლიანობისკენ სწრაფვა ხშირად განპირობებული იყო იმით, რომ:

• ადამიანები ერთმანეთს ადარებდნენ და აფასებდნენ ცხოვრების ფაქტიურსა და სასურველ გარემოებებს. ამგვარ შეფასებებში ისინი

ითვალისწინებდნენ, როგორც შემოსავლებსა და მოხმარების დონეს, ისე მოთხოვნილებებსა თუ საზოგადოებრივ მდგომარეობას;

• ასეთი სწრაფვა ემყარება ბოლომდე გაუცნობიერებელ წარმოდგენებს თანასწორობაზე (რომელიც ადამიანებს, როგორც საზოგადოების წევრებს შორის არსებობს);

• საზოგადოებრივ ღირებულებათა საფუძველზე არსებული ორიენტაციის სიღრმისეული ანალიზი გვიჩვენებს, რომ მასში საზოგადოებისთვის სასურველი მდგომარეობა მოიაზრება.იგი გაცილებით მეტ მდგრადობას უზრუნველყოფს, ვიდრე ევოლუტორული (ღია) რეალობა;

• მისწრაფებები ხშირად გამომდინარეობს საზოგადოებრივი ურთიერთობების ყოვლისმომცველი ფორმებიდან. თუმცა აღნიშნული ფორმები გამიჯნულია ბედნიერების, ხვედრისა თუ ინდივიდთა ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ხელშემწყობი ან არახელსაყრელი გარემოებებისგან.

„სამართლიანობა იდეალის პროტესტია (Sartori, 1987/97, გვ. 337). იდეალის წვდომა ადვილია, რადგან იგი რეალობისგან აშკარად განსხვავდება. მაგრამ იგი „ხელიდან გვისხლტება“ როგორც კი შევეცდებით პროტესტი, კონსტრუქტივულ (ოპერაციონალურ) სხვა ძირითად ღირებულებებთან ისეთ თავსებად და რეალიზებად ვარაუდებად ვაქციოთ, რომლებიც აუცილებელია საზოგადოების ფორმირებისათვის“ (Sartori, 1987/97, გვ. 337).

სამართლიანობის შესახებ შეხედულებები შეიძლება ორ მიმართულებად დაიყოს. ერთი მხრივ, ეს დამოკიდებულია მათ ორიენტაციაზე, ხოლო მეორე მხრივ, შეხედულებები ეფუძნება საზოგადოებრივ და ეკონომიკურ-პოლიტიკურ დისკუსიას, რომელიც მიმდინარეობს, სოციალურ ან/და კეთილდღეობის სახელმწიფოში:

• სამართლიანობის, როგორც ნორმის შესახებ, რითაც ფასდება სხვა ინდივიდებისადმი დამოკიდებულება, მოპყრობა. ამ შემთხვევაში ყველაფერი ეფუძნება იმას თუ რამდენად თავსებადია სამართლიანობის შესახებ ინდივიდის წარმოდგენა საზოგადოებრივ ურთიერთობებთან (ქცევის სამართლიანობა).

• სამართლიანობის, როგორც ნორმის შესახებ, რითაც ფასდება ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის ურთიერთქმედების შედეგები და მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა. ამ შემთხვევაში სამართლიანობა დამოკიდებულია ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის პოზიციებისა და მოქმედების შედეგთა განაწილებაზე (განაწილების სამართლიანობა).

სამართლიანობის მიზნის მიღწევასთან დაკავშირებით ყოველთვის წარმოიშობა სიძნელე. ეს ასეა რადგან ადამიანები, როგორც სამართლიან დამოკიდებულებას, ისე მოქმედების შედეგთა სამართლიან განაწილებას კანონის საფუძველზე ცდილობენ. გენიალური ბერძენი ფილოსოფოსი

არისტოტელე ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „უსამართლობაა კანონის გადამეტება. ადამიანი, რომელსაც სხვებზე მეტი სურს სამართლიანობის მტერია. სამართლიანია ის, ვინც კანონს იცავს და კმაყოფილია, როცა მას იმდენივე აქვს, რამდენიც სხვებს. სამართლიანი არის ის, რაც კანონსა და თანასწორობას შეესაბამება. უსამართლობა კი კანონთან და თანასწორობასთან დაპირისპირებაა“ (1963, გვ.251).

საზოგადოების რეგულირების პრობლემა ერთი ინსტრუმენტის – სამართლის/კანონის საფუძველზე უნდა გადაწყდეს. ამ შემთხვევაში სამართლიანობის მიზანი ორი ქვემიზნის - ქცევისა და შედეგთა განაწილების სახით წარმოგვიდგება. ეს საკითხი ადვილად მოგვარდებოდა თუ ამოსავალ პუნქტად მიზანდამოკიდებულებათა ემპირიულ ანალიზს მივიჩნევდით. ამ შემთხვევაში ეს ქვემიზნები ერთმანეთს შეავსებდნენ (მიზანთა ჰარმონია). თუ ინსტრუმენტს (კანონს) ერთ ქვემიზანს (მაგ., ქცევას) მივუყენებდით, იგი სამართლიანობის კრიტერიუმის თანახმად მეორე ქვემიზნის მისაღწევადაც გამოდგებოდა. პრობლემა მაშინ იჩენს თავს, როდესაც ერთ ქვემიზანზე ორიენტირება მეორეს გვაკარგვინებს და აუცილებელი ხდება კომპრომისის დაშვება. ემპირიული ანალიზის შედეგების გამოყენება, გვიჩვენებს, რომ კომპრომისი ვერ იქნება გრძელვადიანი და ამიტომაც საბოლოოდ, მოგვიწევს სამართლიანობის მიღწევის ერთი ქვემიზნის დათმობა. ამ შემთხვევაში კომპრომისის გზით მოსაგვარებელი კონფლიქტი დილემად გადაიქცევა. სამივე შესაძლებლობა – ჰარმონია, კომპრომისის გზით მოსაგვარებელი კონფლიქტი და დილემა – ყოველთვის წარმოადგენს საზოგადოებრივი დისკუსიების საგანს, რომელიც, საბოლოოდ, თავისუფლებისა და სამართლიანობის ურთიერთმდამოკიდებულებაზე დაიყვანება.

სამართლის, როგორც საზოგადოებრივი რეგულირების ინსტრუმენტის, ასპექტით ქცევის სამართლიანობაზე შემდეგი კითხვა შეიძლება დავსვათ: როგორი უნდა იყოს სამართალი, საზოგადოების წევრებისათვის მისაღები რომ გახდეს ინდივიდთა ქცევის ნებადართული და უზრუნველყოფილი შესაძლებლობები? ამ აზრით სამართალი არ არის რეგულირების ადვილად გამოსაყენებელი ინსტრუმენტი. მისი ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის იგი მისაღები სამართლის სუბიექტებისათვის. მისი სიმყარე და გამძლეობა კი განპირობებულია იმით, თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი საყოველთაო კონსენსუსი სამართლის მიერ დადგენილი საწყისი შესაძლებლობებისა და ინდივიდთა ქცევის გადაულახავი საზღვრების შესახებ.

დასავლურ კულტურულ სივრცეში სამართალის მიმართ არსებობს მოთხოვნა უფლებრივი გათანასწორების ან/და კანონის წინაშე თანასწორობის შესახებ. ეს ე.წ. იზონომია თავისთავად ცხად რამედ ითვლება, მაგრამ

დასავლეთს მისთვის დიდი მსხვერპლის გაღება მოუხდა. იგი განსაკუთრებით კარგად არის ჩამოყალიბებული 1789 წლის საფრანგეთის ეროვნული კრების VI სტატიაში. საუბარია მოქალაქეთა უფლებების იმ განმარტებაზე, რომელიც ჯერ კიდევ მეფემ მოიწონა: „კანონი არის საერთო ნების გამოხატულება. ყველა მოქალაქის უფლებაა პიროვნულად ანდა წარმომადგენლების საშუალებით მონაწილეობა მიიღოს მის შექმნაში. კანონის წინაშე ყველა მოქალაქე თანასწორია. ყველას თავისი უნარის მიხედვით თანაბრად უნდა მიუწვდებოდეს ხელი ყველა თანამდებობასა და სამსახურზე. მხედველობაში არ მიიღება არც ერთი სხვა რამ, გარდა გამოცდილებისა და ნიჭის მიხედვით განსხვავებებისა."

პროცედურული ანუ ფორმალური სამართლიანობა შემდეგნაირად კონკრეტდება (Popper, 1945/95 გვ. 89):

- თანაბრად ნაწილდება როგორც მოქალაქეობის სიკეთენი, ისე ის ვალდებულებები, რომლებსაც იგი მოქალაქეებს აკისრებს;
- მოქალაქეთა უფლებრივი გათანასწორება ყველასთვის ერთნაირად სავალდებულო კანონით;
- მოქალაქეთა გათანასწორება მიუკერძოებელი მართლმსაჯულების საშუალებით.

სწორედ ეს არის იმის საწინდარი, რასაც "სახელმწიფო მოქალაქეობრივი სტატუსის გათანაბრებას" (Dahrendor, 1972, გვ. 267) უწოდებენ. იგი გამორიცხავს ყოველგვარ (უპირველეს ყოვლისა, წარმომავლობის, რასობრივი კუთვნილების, რელიგიური მრწამსისა და სქესის მიხედვით) დისკრიმინაციას და ყველას ანიჭებს მოქმედების თავისუფლების პრინციპულად თანაბარ შესაძლებლობას. ეს ვითარება შესაძლებელია ასევე დახასიათდეს, როგორც თანასწორი ფორმალური თავისუფლება. თუ ეკონომიკის სფეროს მივუყენებთ, კანონის საფუძველზე უფლებრივი გათანასწორება ნიშნავს ყველა ინდივიდის თანაბარ პირობებში ჩაყენებას. აქედან გამომდინარე, თითოეული ინდივიდი ვალდებულია თავის მიზანს სხვებთან ხელშეკრულებითი კოოპერაციის საფუძველზე ესწრაფვოდეს; საქმე ეხება იმ ეკონომიკურ მიზნებს, რომლებსაც ინდივიდები პირადი პასუხისმგებლობით განსაზღვრავენ. ამ ასპექტით მთავარია კერძო სამართლის ის ბირთვი, რომელსაც დევიდ იუმის (1786, გვ. 293) მიხედვით საფუძვლად უდევს სამი ფუნდამენტური ბუნებრივი სამართალი: საკუთრების ხელშეუხებლობა, ხელშეკრულების საფუძველზე მისი გადაცემის უფლება და დადებული პირობის დაცვა.

კანონის საფუძველზე უფლებრივი გათანასწორების საშუალებით უზრუნველყოფილია პირადი პასუხისმგებლობით მოქმედების ყველასთვის თანაბარი შესაძლებლობები და საზღვრები. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ

ყველასთვის თანაბარი კანონები თითქოსდა ეკონომიკური წარმატებებისა და სოციო-ეკონომიკური პოზიციების გათანარებას იწვევდეს. ამგვარი პოზიციები და შედეგები მატერიალური თავისუფლების ცნების საფუძველზე განიმარტება (Giersch, 1961/90, გვ. 73). კერძო სამართლებრივ საზოგადოებაში ბაზრის მონაწილის მიერ გარკვეულ პერიოდში გაწეული ხარჯები და მის ქონებრივ მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებები იმის ნიშანია - წარმატებით და იღბლიანად გამოიყენა თუ არა მან მის ხელთ არსებული საშუალებები; საუბარია ეკონომიკური მიზნების მიღწევის თანაბარ შესაძლებლობებზე, შემოსავლების გაზრდის შანსებზე ეკონომიკური ძიებისა და გამომგონებლობის პროცესში (Hayek, 1976/2003, გვ. 70). როგორც ვიცით, ბაზრის სუბიექტის მიერ ბაზარზე საქმიანობის შედეგად გარკვეულ პერიოდში მიღებული შემოსავლის განსაზღვრაში მონაწილეობას ღებულობს უამრავი მისთვის სრულიად უცნობი პიროვნება. ამიტომაც აუცილებელია, რომ ბაზრის მონაწილე ანგარიშს უწევდეს უამრავ კერძო ინტერესს, რომლებიც არსებით ზეგავლენას ახდენენ მის ეკონომიკაზე. აქედან გამომდინარე, ამ გზით მიღებული შემოსავლები სავაჭრო წესრიგის ისტორიული განვითარების შემადგენელი ნაწილია; ასეთი წესრიგი კი ყოველთვის საბაზრო კოორდინაციის საფუძველზე ევოლუტორულად ცვლად პირობებში ყალიბდება ხოლმე. ასე რომ, შემოსავლები და ქონებრივი მდგომარეობა ისევე ცვალებადია, როგორც ის გარემოებები და საბაზრო მოქმედებები, საიდანაც ისინი მომდინარეობენ.

სოციალური სამართლიანობა ხვდება მოთხოვნებს, რომელთაც მას თვითრეგულირებადი ბაზარი უყენებს, სადაც განაწილების პროცესს სტიქიური და სწრაფად ცვალებადი ხასიათი აქვს. უპირველეს ყოვლისა, წარმოიშობა კონცეპტუალური სიძნელეები:

- სტიქიური და ევოლუტორული ფენომენი უნდა შეფასდეს მიზანმიმართული და გეგმაზომიერი სახელმწიფოებრივი მოქმედების ანდა არაევოლუტორული ასპექტით;
- სამართლიანი მოქმედებით მოპოვებული შედეგები ან უსამართლოდ უნდა გამოცხადდეს ანდა სოლიდარობის სახელით მათი გადანაწილება მოხდეს.

ინსტრუმენტული თვალსაზრისით თანაბარ პირობებში ჩაყენების (გათანაბრების) პრინციპიდან უფლებრივი გათანასწორებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი შედეგი გამომდინარეობს: თუ უფლებრივი გათანასწორება არათანაბარ შედეგებს იწვევს, მაშინ თანაბარ პირობებში ჩაყენების პრინციპი მისგან გადახვევას მოითხოვს. გათანაბრება აუცილებლად წარმოშობს დისკრიმინაციას რაგინდ უმნიშვნელოც იყოს იგი გამოსავლენ თუ მოსალოდნელ სოციალურ უსამართლობასთან შედარებით. აშკარაა ის კონფლიქტი, რომელიც

პროცედურულ სამართლიანობასა(ფორმალური თავისუფლება) და სოციალურ სამართლიანობას (გათანაბრება მატერიალური თავისუფლების საშუალებით) შორის ინსტრუმენტულ საფუძველზე წარმოიშვა.

დისკრიმინაციის ინსტრუმენტად შეიძლება კანონიც მოგვევლინოს, როცა იგი მიზნად ისახავს სოციალური პოზიციების გათანაბრებას. ამ შემთხვევაში მას უფლებრივი გათანასწორების მიზნით კი აღარ იყენებენ, არამედ გარკვეული პირების(ჯგუფების) და შემთხვევებისათვის სისტემური შედეგების მისაღწევად; საუბარია იმაზე, რომ გათანაბრება სასარგებლო ან საზიანოა მხოლოდ მათთვის, ვისაც იგი თანაბარ პირობებში აყენებს. ვებერისეული კლასიფიკაციით ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მატერიალურ სამართალთან. იგი ან კერძო სამართლის (მაგ., სახელშეკრულებო და საკუთრებითი სამართალი) სათანადო კორექტურიდან მომდინარეობს ანდა მისი წყაროა საჯარო სამართალი (მაგ., რეგულირება). იგი სოციალურ სტატუსთან დაკავშირებული ყოველგვარი უთანასწორობის - კორექტირების საფუძველზე - ნეიტრალიზების საშუალებას გვაძლევს.

სამართლიანობის კრიტერიუმი გვაძლევს პასუხს კითხვაზე თუ რით უნდა ვხელმძღვანელობდეთ, როცა მხარს ვუჭერთ სამართლიანობას, როგორც ძირითად ღირებულებას. ამიტომაც საჭიროა ვიცოდეთ თუ რა არის თანაბრობა თუ უთანაბრობა. პირველი პასუხი - მოქალაქის სტატუსის ასპექტით - უკვე წარმოვადგინეთ საფრანგეთის ეროვნული კრების მე-6 სტატიის სახით; იგი განსაზღვრავს პოლიტიკურ თანასწორობას, რომლის დროსაც ყველა ინდივიდს თანაბრად მიუწვდება ხელი თანამდებობებსა და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ პოზიციებზე. მაგრამ პოლიტიკური თანასწორობა ითვალისწინებს იმას, რომ ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი ნიჭითა და უნარებით - „la carrière ouverte aux talents". ეს პრინციპი სახელმწიფოს ავალდებულებს გააუქმოს ხელოვნურად შექმნილი ყველა ის ბარიერი, რომელთა გამოც გარკვეული თანამდებობები მხოლოდ განსაზღვრულ პირთა პრივილეგიაა. მაგრამ სახელმწიფო სულაც არ არის ვალდებული ყველას – განურჩევლად ნიჭისა და უნარისა – თანაბარი შესაძლებლობები შეუქმნას.

სამართლიანობის კრიტერიუმი რომ უფლებრივი გათანასწორების საფუძველზე თანაბარ ხელმისაწვდომობას განსაზღვრავს, ეს აუცილებლად შანსების გათანაბრებისაკენ გადადგმულ ნაბიჯს როდი წარმოადგენს. პირიქით, ამ კრიტერიუმის თანახმად ამოსავალ წერტილად უნდა განვიხილოთ, როგორც მემკვიდრეობითი სამართალი (მემკვიდრეობით მიღებული ფლობის უფლება), ისე აღზრდისა და განათლების სისტემა (პიროვნული ძალაუფლების ზეგავლენა). ამასთან, ცდას არ უნდა ვაკლებდეთ, რომ ყველას თანაბარ პირობებში ჩაყენების პრინციპი სკოლამდელი ასაკის აღზრდის სისტემაშიც დავნერგოთ, რათა უზრუნველვყოთ სასტარტო პირობებთან დაკავშირებული

სამართლიანობის დამკვიდრება. ზოგიერთ ქვეყანასა და რეგიონში დანერგილია ოჯახურ სფეროში ასეთი ჩარევა. მიზანშეწონილია ოჯახური გარემოს გაუმჯობესება/შეცვლა წარმატების მოპოვების ინდივიდუალურ შესაძლებლობათა გათანაბრების მიზნით; მაგრამ არ არის ცხადი იგი ზემოდან უნდა დაიწყოს თუ ქვემოდან. ოჯახური გარემოდან მოწყვეტამ შეიძლება ხელი შეუწყოს ბავშვში ნიჭის ჩაკვლას, მაშინ როცა მიზანი სწორედ ნიჭისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნაა. ამგვარი გათანაბრება, რა თქმა უნდა, კომენტარის საგანი ხდება: „რაც ერთ რომელიმე ბავშვს აქვს, სასურველია ყველა მათგანს ჰქონდეს; არც ერთ ბავშვს არ უნდა მივცეთ ის, რისი მიცემაც სხვებისათვის არ შეგვიძლია“ (Hayek, 1958, გვ.16).

სამართლიანი სასტარტო პირობების ანდა თანაბარი შანსების თვალსაზრისით არსებითია შემდეგის გათვალისწინება: თანაბარი სასტარტო პირობები (შანსები) არ არის იმის საწინდარი, რომ ყველა თანაბარ შედეგს/წარმატებას მიაღწევს. ამ შემთხვევაში თანაბარი შანსების უზრუნველყოფისათვის ისეთი პირობების შექმნა იქნებოდა განსაზღვრული. ეს კი თავისუფლებას დაემუქრებოდა. ამ უკანასკნელს საფრთხე სწორედ მაშინ ექმნება, როცა შანსებს წარმატების მიხედვით ვაფასებთ და მათ მანიპულირებას ვახდენთ (Sartori, 1987/97 გვ. 351).

ეკონომიკური პოზიციების (შემოსავლებისა და ქონების გაზრდის შესაძლებლობები) ასპექტით სამართლიანი სასტარტო პირობების კრიტერიუმი მიზეზებზე ორიენტაციის გზით უნდა განისაზღვროს. სოციალური სამართლიანობის შემთხვევაში კი იმით უნდა ვიხელმძღვანელოთ შედეგები განაწილებულია თუ არა საზოგადოების წევრთა შრომითი ძალისხმევის შესაბამისად. ამ საკითხთან დაკავშირებით ორი პრინციპული პოზიცია არსებობს: განაწილება სუბიექტური დამსახურების მიხედვით და განაწილება ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით (იხ. Hayek, 1958).

სუბიექტური დამსახურება განისაზღვრება, როგორც ინდივიდის პირადი წვლილი შრომის საერთო შედეგში. მისი გამოთვლა ხდება იმ ძალისხმევის საფუძველზე, რასაც ინდივიდი შრომის პროცესს ახმარს. ამ ვითარებას სამართლიანობის შემდეგი ნორმა მიესადაგება: თანაბარი ძალისხმევა – თანაბარი ანაზღაურება. ინდივიდის მიმართ სამართლიანობა მხოლოდ მაშინაა უზრუნველყოფილი, როცა მას საშუალება ეძლევა ინტერსუბიექტური შედარების საფუძველზე შეაფასოს მის მიერ გაღებული ძალისხმევა. ამისათვის კი აუცილებელია იმის შემოწმება, თუ რა წვლილი მიუძღვის მის ინდივიდუალურ უნარს და ხელსაყრელ გარემოებებს იმაში, რაც საერთო ძალისხმევის შედეგად იქნა მოპოვებული. ამის სრულყოფილი შემოწმება შეუძლებელია. წარმატების შემთხვევაშიც კი აუცილებელია – თუმცა შეფასების ერთობ არასაიმედო სქემებით, მაგრამ მაინც – შეეჯამდეს ყველა ურთიერთგანსხვავებული

ინდივიდუალურად ხელშემწყობი ფაქტორი, რათა შესაძლებელი გახდეს მათი ინტერსუბიექტური შედარება. სწორედ ასე გახდებოდა შესაძლებელი ინდივიდუალური ძალისხმევის გამოთვლა.

ინდივიდუალური ძალისხმევის ინტერსუბიექტური შედარება შესაძლებელი რომ იყოს, მაშინაც შეუძლებელი იქნებოდა იმის დადგენა, თუ რაზე იყო მიმართული ასეთი ძალისხმევა. შრომის მწარმოებლურობის თვალსაზრისით ინდივიდუალური ძალისხმევა მხოლოდ მაშინაა მნიშვნელოვანი, როცა სხვებიც აღიარებენ მის შედეგებს იმით, რომ მათზე, როგორც გაცვლის ობიექტზე მოთხოვნა ჩნდება. მაგრამ საქმე ის არის, რომ ინდივიდუალურ ძალისხმევასთან მიმართებაში ყოველთვის ასე როდი ხდება. ასეთი მცდელობის დროს ერთმანეთს შორდება შრომის შედეგების ანაზღაურება და მათი საცვლელი ღირებულება. მათზე მოთხოვნა კიდეც რომ გაჩნდეს, მაინც გასათვალისწინებელია ის, თუ შრომის დანაწილების შედეგად მოპოვებულ მატერიალურ წარმატებას რამდენად აღიქვამს ინდივიდი თავის სასარგებლოდ. ამგვარი შედარებითი უპირატესობის (სარგებლის) გამოყენების განსაკუთრებული პირობები რომ არსებობდეს, მაშინ განაწილების პრინციპი საერთოდ არ იარსებებდა. პირიქით, ინდივიდს იგი ძალისხმევის გაზრდის სტიმულს მიცემდა, ოღონდ იგი არ იქნებოდა შედარებით უპირატესობაზე ორიენტირებული.

შრომის დანაწილებაზე აგებულ წარმოების პროცესში აუცილებელია ინდივიდუალური ძალისხმევის იმგვარად წარმართვა, რომ იგი სხვებისთვისაც ღირებული იყოს; ამას კი შეესაბამება შრომის შედეგების საცვლელ ღირებულებაზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურება. ამ შემთხვევაში ცალკეული ინდივიდის მიერ მიღებული ანაზღაურება დამოკიდებულია შრომის შედეგების შედარებით სიმცირეზე, წარმოების ფაქტორების რაოდენობასა და წარმოების ტექნიკაზე, რომელსაც იგი საქონლის დასამზადებლად იყენებს. ამგვარ ანაზღაურებას დამსახურებასთან იმდენად აქვს კავშირი, რამდენადაც იგი მესაკუთრეებს სტიმულს აძლევს, რათა მათ არაფერი დაიშურონ უკეთ ანაზღაურებადი ფაქტორების გამოსაყენებლად. მაგრამ ფაქტორების შედარებითი სიმცირე წარმოებული საქონლის სიმცირით აიხსნება; ამიტომაც ინდივიდები თავს არ ზოგავენ საქონლის სიმცირის შესავსებად. ამ პროცესში ცალკეული ინდივიდის ძალისხმევისა და უნარისა გარდა მონაწილეობს, როგორც ის, რომ წარმოების ფაქტორები ბუნებრივადაა განაწილებული, ასევე ის შემთხვევითობები, რომლებიც თან ახლავს ასეთ ფაქტორთა საზოგადოებრივ განაწილებას; ამასთან, წარმოების ფაქტორების რაოდენობა და ხარისხი შრომის დანაწილების საფუძველზე მიღებული შედეგების საშუალებით გადანაწილებულია ცალკეულ ინდივიდებზე. შექმნილი პროდუქტის, საცვლელი ღირებულების თვალსაზრისით, გაცვლის პროცესში მნიშვნელობას იძენს კონკურენციის ის ტენდენცია, რომელიც მსგავსი საქონლის ერთნაირად შეფასების

საშუალებას გვაძლევს. მიღებული შედეგების ასეთი სამართლიანობა არ ეხება იმ ბირთვს, რომლისკენაც სოციალური სამართლიანობის ისწრაფვის.

მოთხოვნილება, როგორც კრიტერიუმი, იმიტომ უნდა განვიხილოთ, რომ არსებობს ისეთი საზოგადოებრივი სიტუაციები (მაგ., შრომისუუნარობა ანდა კატასტროფები), რომლის დროსაც შეუძლებელია მიღებული შედეგების (შექმნილი პროდუქციის) საცვლელი ღირებულების გათვალისწინება. მაგრამ მოთხოვნილების კრიტერიუმის გამოყენება განსაზღვრულ ჯგუფებზე და განსაზღვრულ დროში დაკავშირებულია ცნობილ სიძნელეებთან (მაგ., Gaefgen, 1972, გვ. 20). ისინი თავს იჩენენ, როგორც კი სამართლიანობის თვალსაზრისით შემდეგი კითხვა ისმება: დაკმაყოფილების თანაბარ ხარისხში მსყიდველობითუნარიანობის თანაბრად განაწილება იგულისხმება? თუ არ არსებობს სარგებლიანობის გაზომვისა და შედარების შესაძლებლობა, მაშინ არ გვექნება დაკმაყოფილების თანაბარი ხარისხიც, რაც საეჭვოდ არათანაბარ განაწილებას გამოიწვევდა. აქედან გამომდინარე, დაუკმაყოფილებელი რჩება მსყიდველობითუნარიანობის განაწილების მოთხოვნილება. განაწილებაში არსებული დიფერენციაცია არსებითად ვერაფერს ცვლის სიძნელის არსში: უზრუნველყოფის სიტუაციის სუბიექტურ შეფასებას სხვები და უცნობი ინდივიდები განსაზღვრავენ.

კეთილდღეობის სახელმწიფოში მოთხოვნილების პრინციპის გამოყენების რიცხვი იზრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ კლებულობს მისი გამოყენების გვერდითი მოვლენების რაოდენობა. ინდივიდებისათვის ეს პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ

- ისინი მარაგს ქმნიან იმ შემთხვევებისათვის, როცა გაჩნდება იმის ცდუნება, რომ უარი არ თქვან მოთხოვნილების პრინციპის გამოყენებაზე ანდა (დაუდევრად) მისი პროვოცირებაც კი მოახდინონ (მორალური რისკი);
- სავარაუდო ანდა ფაქტობრივ შემთხვევებში, როცა ასეთი ცდუნების მომენტი დადგება, თავს იჩენენ დემონსტრაციის ეფექტები და მიბაძვის სტიმულები;

ზოგადეკონომიკური თვალსაზრისით მოთხოვნილების პრინციპს ორი შედეგი მოაქვს:

- მატულობს ისეთი შემთხვევების რაოდენობა, როცა მოთხოვნილების პრინციპისადმი ნდობით გამსჭვალულ ორგანიზაციებში ფასების გამალებული ზრდა შეიმჩნევა, რომლის მიზეზი არც მორალური რისკია და არც დემონსტრაციის ეფექტი;
- გამოყენების შემთხვევებისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების ზრდასთან ერთად ტრანსფერის ილუზიის გავრცელების ალბათობაც იზრდება; დაკმაყოფილების პრინციპის გამოყენების სფეროს გაფართოება არა მარტო მოსარგებლეთა რაოდენობის მატებას იწვევს, არამედ იმის ალბათობაც

იზრდება, რომ მათ მიერ მიღებული ფულადი დახმარება ან/და სხვა ჯგუფების ტრანსფერები დაიბეგრება გაწეული ხარჯების დასაფარად.

სუბიექტის შრომის ანაზაურებისა და პირადი მოთხოვნილების, როგორც სამართლიანობის კრიტერიუმების მოკლე გამოკვლევამ ორი რამ ნათელყო: არც ერთი და არც მეორე კრიტერიუმი არ არის დამაჯერებლად ოპერაციონალიზებული, მაგრამ კიდეც რომ ყოფილიყვნენ ასეთი, ისინი მაინც საეჭვო სტიმულებად უნდა მიგვეჩნია. თუმცა, მიუხედავად ამისა, სამართლიანობის შესახებ დისკუსიაში ორივე კრიტერიუმს ამა თუ იმ ფორმით იყენებენ. ამიტომ გონივრული იქნებოდა გამოგვეკვლია თუ რა პირობებში შეიძენდნენ ისინი სრულ მნიშვნელობას. ისტორიულად თუ შევხედავთ, ასეთი პირობების შესწავლა მიზანშეწონილია მცირე საოჯახო მეურნეობის მაგალითზე, რა სახითაც იგი ინდუსტრიალიზაციის ეპოქამდე არსებობდა. ძალისხმევას და მოთხოვნილებას რამდენადმე ვხვდებით იმ გრძელვადიან პირობებს შორის, რომლებიც აუცილებელია მცირე ჯგუფებში შინაარსობრივად ნაკლებად ცვალებადი კოოპერაციისათვის. ისინი ასევე გვხვდება ეფექტიანობის იმ სტიმულებსა და კონტროლის სახეებს შორის, რომლებიც არასაბაზრო სფეროს ახასიათებს და ქმედით როლს თამაშობენ ცხოვრებისა და ეკონომიკის ასეთ ფორმებში. მაგრამ სავარაუდოა, რომ სუბიექტის შრომის ანაზაურება და მოთხოვნილება, როგორც კრიტერიუმი ანონიმურად მოქმედებენ უფრო მაღალი დონის, შრომის დანაწილების პრინციპზე აგებულ და ევოლუტორულ ეკონომიკებში, რომლებიც ისეთი ასოციაციებიდან გამოიკვეთენ – ეკონომიკის ისტორიულ ფორმებს ანდა ოჯახურ მეურნეობებში ჯერ კიდევ შემორჩენილ პრაქტიკას რომ ემყარებიან (Heuss, 1987, გვ. 4).

უნდა გავითვალისწინოთ თანამედროვე ეკონომიკის ისეთი სიტუაციები და გარემოებები, რომლებშიც, უპირველს ყოვლისა, მოთხოვნილება კვლავაც გვევლინება სამართლიანობის კრიტერიუმად, მიუხედავად იმ ნაკლისა, მის გამოყენებას რომ ახლავს. მართალია, ამით ვერ აიხსნება მისი გამოყენების შემთხვევების ზრდა, ვინაიდან ამის მიზეზები კონკურენტული დემოკრატიისათვის დამახასიათებელ ნების ქმნადობის პროცესშია საძიებელი. თუმცა მათი გათვალისწინების გარეშე ყველა დიაგნოზს, ამგვარი შემთხვევების მიზეზების შესახებ, ხშირად ნაჩქარევი ხასიათი აქვს. სავარაუდოა, რომ თანამედროვე ეპოქაში სოციალური სამართლიანობის თვალსაზრისით არსებობს დისკრიმინაციის შემთხვევები; მაგრამ ამ ვარაუდის შესამოწმებლად აუცილებელია იმის დადგენა – მათ თვითრეგულირებადი ბაზარი წარმოშობს თუ ისინი სახელმწიფოს ინტერვენციის წარსულში მიღებული იმ პრაქტიკის შედეგია, რომელსაც სულაც არ ჰქონდა მიზნად სოციალური სამართლიანობა.

რა თქმა უნდა, სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის დამოკიდებულება იცვლება, როცა სახელმწიფო აფართოებს თავისი მოქმედების სფეროს და

უფლებრივი გათანასწორების საფუძველზე შესაძლებლობებისა და შედეგების გამოთანაბრების მიზანს ისახავს. მოქმედების სფეროს ასეთ გაფართოებამდე სახელმწიფო, როგორც ბატონობის ორგანიზაცია, არსებითად იძულების იარაღი იყო, რომელიც თვითჩამოყალიბებული საზოგადოების მიმართ გარანტის ფუნქციას ასრულებდა. ეს ვითარება არ გამორიცხავს იმას, რომ იგი საზოგადოების წევრებს მინიმალურად სოციალურადაც იცავდა. თანაბარი პირობების შექმნა, მისი გამოთანაბრება სოციალური სახელმწიფოებრიობის პრინციპთა პრინციპი და ის მექანიზმია, რითაც სახელმწიფო ბაზარზე ორიენტირებულ ეკონომიკურ წესრიგს აკონტროლებს.

„სოციალური სამართლიანობის" კრიტერიუმს ხშირად პოლიტიკური მიზნით იყენებენ. მეორე მხრივ, მას ვხვდებით ზნეობის სფეროშიც, როგორც მორალის გამოხატულებას და მორალური შეგნების ფლაგმანს. მართალია, ადამიანებს ხშირად უჭირთ ხოლმე იმის თქმა, თუ რომელი მოთხოვნებია აკრძალული, მაგრამ ყველა დარწმუნებულია, რომ „სოციალურ სამართლიანობას" განსაზღვრული შინაარსი გააჩნია, იდეალს გამოხატავს და თანამედროვე საზოგადოებრივი წესრიგის ნაკლზე მიუთითებს, გადაუდებელ გამოსწორებას რომ საჭიროებს (Hayek, 2003, გვ.217). ვინაიდან სამართლიანობის კრიტერიუმის შინაარსი ბუნდოვანია, მისი საშუალებით ნებისმიერი ეკონომიკურ-პოლიტიკური მოთხოვნის ფორმირება შეიძლება; შემდეგ კი ადვილია ასეთი მოთხოვნის მორალიზება და ყველაფერზე ტაბუს დადება, რაც ამ მოთხოვნას არასადავოდ მიაჩნია. ამიტომაც სასურველია იმ ჯგუფური პრივილეგიების მოძიება სახელმწიფოს მხრიდან კონკურენციის შეზღუდვებს რომ ემყარება. ამიტომაც არის, რომ ამგვარმა მოთხოვნამ მყარად დაიმკვიდრა ადგილი ინტერესთა ჯგუფების ფუნქციონირებაში.

სოციალური სახელმწიფოებრიობის პრინციპიდან გამომდინარე სოციალურ სახელმწიფოდ ისეთი ითვლება, რომელიც „თავის თავზე იღებს სოციალური მოქმედების ვალდებულებას" (Benda, 1984/94, გვ.510). ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო მონაწილეობს საზოგადოების ჩამოყალიბებაში, რითაც რამდენადმე სუსტდება საბაზრო-ეკონომიკური წესრიგი და მასთან დაკავშირებული კერძოსამართლებრივი წესებიდან გამომდინარე შედეგების მნიშვნელობა. თავდაცვისა და ერთმანეთზე ზრუნვის ინტერესებიდან გამომდინარე საზოგადოებრივი ჯგუფების სასარგებლოდ ხდება ფორმალური სამართლის მატერიალიზება და იგი მოქმედების უფლების საფუძველზე „სოციალურად" იზღუდება (რეგულირება) და საზოგადოდ, ცვლილებები შედის ხელშეკრულების თავისუფლებაში (საიჯარო, შრომის და რეწვის უფლება). მეორე მხრივ, სახელმწიფო აკმაყოფილებს (სოციალური სამართლის საფუძველზე) საჯარო სამართლის მიერ ხელსაყრელ პირობებში ჩაყენებული

ჯგუფების პრეტენზიებს სახელმწიფო მომსახურების თაობაზე და მის ხარჯებს სხვა წყაროებიდან – მაგ., გადასახადებიდან – ფარავს.

სოციალურ სახელმწიფოში წესრიგთან დაკავშირებული პრობლემები იმ მიზეზით წარმოიშობა, რომ

• არსებობს მნიშვნელობათა მრავალფეროვნება, რომლის იძულებითი შეზღუდვა არ ხდება; ეს საშუალებას გვაძლევს, რომ საზოგადოების არსებობის პერმანენტულად ცვალებადი მატერიალური პირობების საფუძველზე მუდმივად მოხდეს ახალი მოთხოვნების გამართლება.

• იგი უაღრესად მომგებიანი ინსტრუმენტია პოლიტიკური მეწარმის ხელში, რომელსაც ის იყენებს პოლიტიკურ კონკურენციაში და ამ მხრივ ხშირად თანამშრომლობს ხოლმე ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლებთან;

• მოთხოვნების დაკმაყოფილების ღონისძიებათა შესახებ ასეთი კონფორმიზმი ხშირად ძნელად თავსებადია ანდა საერთოდ არ არის თავსებადი საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების პირობებთან.

წესრიგთან დაკავშირებული პრობლემები შეიძლება შემდეგი სახით შევაჯამოთ: ან საბაზრო-ეკონომიკური წესრიგი და მისთვის დამახასიათებელი კერძო ავტონომია იარსებებს დიდხანს ანდა შესაძლოა სოციალური სახელმწიფო აღმოჩნდეს ისეთი წესრიგი, რომელიც უნებლიედ, მაგრამ სისტემურად უწყობს ხელს „დაკაბალებისაკენ სვლას“ (Hayek, 2004).

აშკარაა, რომ როცა საქმე ეხება თავისუფლებისა და სამართლიანობის, როგორც საზოგადოების ძირითადი ღირებულებების სოციალური სამართლიანობის კრიტერიუმად გამოყენებას, კანონი არ არის საკმარისი ინსტრუმენტი მათ შორის წარმოშობილი კონფლიქტის მოსაგვარებლად. ხშირად ცდილობენ ამ კონფლიქტის მნიშვნელობა იმით დააკნინონ, რომ პროცედურულ თუ ფორმალურ სამართლიანობასა და მის საფუძველზე უზრუნველყოფილ მოქმედების თავისუფლებას შორის განსხვავება თითქოსდა ქრებოდეს თავისუფლების მატერიალური შეფასების შესაძლებლობებში. აქედან გამომდინარე, ფორმალური სამართლიანობა (და თავისუფლება) იურიდიული ანდა ფორმალური თვალსაზრისით შეიძლება უფრო მიმზიდველად გამოიყურებოდეს, ვიდრე რეალური მოვლენები და სოციალური სამართლიანობა.

ასეთი არგუმენტაცია მეთოდური თვალსაზრისით ერთობ საეჭვო შედარებას ემყარება: ერთ მხარეზეა უფლებრივი გათანასწორება, მეორე მხარეზე კი მის მიერ ნებადართული შესაძლო შედეგები ანუ სოციალურ-ეკონომიკურ პოზიციებს შორის არსებული განსხვავებები. ვარაუდობენ, რომ ეს უკანასკნელი სხვა არაფერია, თუ არა უფლებრივი გათანასწორების სრული ან ნაწილობრივი შედეგი. მაგრამ სოციალური სამართლიანობის კრიტერიუმად გამოყენებისას სუბიექტმა ერთი პროცედურული შედეგიც უნდა გაითვალსწინოს. ეს უკანასკნელი არ გულისხმობს ფორმალური თავისუფლების შეზღუდვას

უფლებრივი უთანასწორობისა თუ დისკრიმინაციის გზით, არამედ საქმე ეხება მატერიალური თავისუფლების სახელმწიფოებრივად შეზღუდვას გეგმაზომიერი რედისტრიბუციის საფუძველზე რომ ხორციელდება.

მაგრამ უფლებრივი გათანასწორების შეზღუდვის მოთხოვნა სოციალური სამართლიანობის სასარგებლოდ დამოკიდებულია შემდეგ გარემოებებზეც:

- სოციალურ-ეკონომიკურ პოზიციებს შორის განსხვავებების მიზეზად რამდენად შეიძლება ჩაითვალოს სისტემატური საზოგადოებრივი ზემოქმედებები;
- რამდენად დიდია ნდობა იმასთან დაკავშირებით, რომ საზოგადოებრივი დაბეგვრის რაციონალურად ორიენტირებული სისტემა ჩამოყალიბდება.

უკიდურესად რადიკალური პოზიცია იქნებოდა იმის დაშვება, რომ ეკონომიკურ უთანასწორობათა მიზეზი თითქოსდა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება იყოს. ამ შემთხვევაში სოციალური სამართლიანობის მიღწევის გზა კერძო საკუთრების გაუქმება და წარმოების საზოგადოებრივი ორგანიზაცია იქნებოდა. მაგრამ ეს არ არის სოციალური სამართლიანობის დამაკმაყოფილებელი განსაზღვრება. მარქსმა (1875/1972, გვ. 21) წამოაყენა პრინციპი: „ყველასაგან უნარის მიხედვით, ყველას მოთხოვნილების მიხედვით“, რომელსაც აზრი მხოლოდ მარქსისეულ უტოპიაში ენიჭება, მაგრამ ვერ გამოდგება სამართლიანობის კრიტერიუმად ეკონომიკურად ღარიბ საზოგადოებებში.

ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკის თეორიის და პრაქტიკის თანახმად წარმოების საზოგადოებრივი ორგანიზაციის როლი უფრო იკვეთება თავისუფლების ასპექტით. მაგრამ საქმე ის არის, რომ ისედაც მწირი ეკონომიკური თავისუფლება წინააღმდეგობაში მოდის არა მხოლოდ წარმოების საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან, არამედ დაგეგმილ მოთხოვნასა და ასევე დაგეგმილ მიწოდებასთანაც. სახელმწიფო ძალაუფლების სახით კონცენტრირებული ძალადობა არსობრივ საფრთხეს უქმნის თავისუფლებას. ა. ჰამილტონმა (Hamilton, Madison, Jay 1788, გვ. 472) ეს მოკლედ ასე გამოხატა: „ვის ხელშიც არის ცხოვრებისათვის აუცილებელი საშუალებები, ადამიანის ნებაზეც იგი ბატონობს“.

ყოველ შემთხვევაში საეჭვოა, რომ სახელმწიფო, რომელიც ყველაფერს ფლობს – სოციალურ სამართლიანობას ესწრაფვოდეს, მით უმეტეს, როცა თვითონ მიზანი, მისი შინაარსის გაურკვევლობიდან გამომდინარე, თვითნებური ინტერპრეტაციების უსასრულო მრვალაფეროვნებას უშვებს.

მეორე უკიდურესი ლიბერალური თვალსაზრისის (Hayek, 1976/2003, თავი 9) მიხედვით ეკონომიკური უთანასწორობა მხოლოდ და მხოლოდ იღბალისა და ხვედრის საქმეა. ამგვარი მატერიალური შედეგები მოსალოდნელი იყო იმ საზოგადოების პირობებში – კერძო სამართლისა და სახელმწიფო რეგულირე-

ბისგან თავისუფალი პრინციპებით რომ იმართება. ეკონომიკური მოვლენების ურთიერთქმედება, რომლებიც სამართლებრივი სახელმწიფოსა და საბაზრო კოორდინაციის პრინციპს ემყარება, წარმოგვიდგება, როგორც თავისუფალი თამაში. ასე რომ, შეუძლებელია რომელიმე შედეგი ან სამართლიანად ან უსამართლოდ ჩაითვალოს. ასე შეიძლება მხოლოდ მოთამაშეთა მოქმედებები შეფასდეს. კანონის ამოცანა სამართლიანი მოქმედების უზრუნველყოფა იქნებოდა. მაგრამ მაშინ შედეგები კანონიერი იქნებოდა და არა – სამართლიანი. მათი ლეგიტიმურობის საფუძველი კი ფორმალური სამართლიანობა, რომელსაც თამაშის წესებისა და მათი უზრუნველყოფის ამოცანა დაეკისრებოდა. საგანგებო სიტუაციებში შეიძლება შექმნილიყო არასაბაზრო დაცვის მექანიზმი მინიმალური შემოსავლით უზრუნველყოფის სახით. ასეთი რამ განიხილება, როგორც საერთო ინტერესი ან როგორც მორალური ვალი (Hayek, 1976/2003, გვ.87).

რაოდენ სისტემურად და დამაჯერებლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, მაინც შესაძლებელია ამ თვალსაზრისის შეფასებისას მისი აღიარება ან უარყოფა. წესრიგის ყველა დანარჩენი კონცეფციის მსგავსად, ისიც მოიცავს ღირებულებების (თავისუფლების და სამართლიანობის) შესახებ ინსტიტუციონალიზებულ წარმოდგენებს, ასევე ვარაუდებს იმის თაობაზე, თუ როგორ ფუნქციონირებს ინსტიტუციონალურად შექმნილი ეკონომიკური სისტემა. შეფასებითი მოსაზრებები ამ შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა ინსტრუმენტალიზებულია კანონის, როგორც რეგულირების ინსტრუმენტის საფუძველზე. წესრიგის შესახებ წარმოდგენები შეფასებაზე არის ორიენტირებული და მასში არაფერი იცვლება, თუ სოციალური სამართლიანობის გაურკვეველსა და არამდგრად ბუნებაზე მივუთითებთ.

დასავლური კეთილდღეობის სახელმწიფო მიზნად ისახავს თავისუფლებასა და სამართლიანობას შორის კომპრომისს. ამის გამოხატულებაა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამართლებრივ სისტემაში არსებული ცნება: „სოციალური სამართლებრივი სახელმწიფო," რომელშიც შეიძლება უამრავი რამ ვიგულისხმოთ (Benda, 1984/94, გვ. 511). მოსალოდნელია, რომ ამ შემთხვევაში მოხერხდება გრძელვადიანი კომპრომისის მიღწევა. მაგრამ მეორე მხრივ, პოლიტიკური ნების ქმნადობის დემოკრატიული მეთოდები არ იძლევიან ამგვარი კომპრომისის შესახებ მყარი ვარაუდის შესაძლებლობას. პირიქით, პოლიტიკურ კონკურენციაში სოციალურად დაფუძნებული პრივილეგიების ინსტრუმენტად გამოყენება საფრთხეს უქმნის, როგორც მატერიალურ, ისე ფორმალურ სამართალს.

ამავე დროს ის, რომ ფორმალური სამართლის პირობები თავისუფალი საბაზრო წესრიგის ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული, ფორმალური სამართლის ცვლილებას იწვევს, რაც საბოლოო ჯამში ყველასთვის საზიანოა;

საქმე ის არის, რომ ასეთი ცვლილება ხორციელდება ალოკაციის პროცედურების შესუსტების ხარჯზე, რაც კერძო ავტონომიის გამოფიტვის შედეგია. სწორედ ამ ვითარებას ეხება მარკურ ოლსონის ჰიპოთეზა „ინსტიტუციური სკლეროზის“ (1965/2002, გვ. 103) შესახებ, რომელიც სხვა არაფერია თუ არა იმ პრობლემური სიტუაციის გამოხატულება, რომელიც პლურალისტურ დემოკრატიაში პოლიტიკური პროცესის ასპექტით არსებობს. როგორც ჩანს, თავისუფლებასა და სოციალურ სამართლიანობას შორის კომპრომისი მყიფეა. ამასთან, გამორიცხული არ არის, რომ საქმე დილემასთან გვქონდეს. მეორე მხრივ, უნდა შემოწმდეს შეიძლება თუ არა ისე შეიცვალოს ინსტიტუციური პირობები, რომლებშიც პოლიტიკური ნების ქმნადობის პროცესი მიმდინარეობს, რომ შესაძლებელი გახდეს გრძელვადიანი კომპრომისი. ამგვარი შემოწმების საგანი კი სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკური სისტემა. მთავარი ვარაუდი ის იქნებოდა, რომ შეუზღუდავი დემოკრატიის პირობებში შეუძლებელია თავისუფლების დამაკმაყოფილებელი უზრუნველყოფა (Hayek, 1979/2003, გვ. 128). სოციალური სამართლებრივი სახელმწიფოს რეალიზაციის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს ვარაუდი თავისუფლებასა და სოციალურ სამართლიანობას შორის კომპრომისზეც ვრცელდება. თუ მხოლოდ იმის იმედად არ ვიქნებით, რომ თავისუფლების განდევნა მძლავრ პოლიტიკურ პროტესტს გამოიწვევს, მაშინ სასურველი იქნებოდა ისიც შეგვემოწმებინა, შესაძლებელია თუ არა კომპრომისის მიღწევა ინსტიტუციონალური რეფორმების გზით.

უსაფრთხოება

უსაფრთხოება შეიძლება განისაზღვროს, როგორც „თავისუფლების გამო შიშის უქონლობა“ (Giersch, 1961/90, გვ. 83). ამ ასპექტით ისმება კითხვა იმის თაობაზე, თუ რა საფრთხე შეიძლება შეექმნას თავისუფლებას და რამ შეიძლება შიში წარმოშვას. განსაკუთრებულ განმარტებას არ საჭიროებს საგარეო საფრთხე, რომელიც შესაძლებელია საზოგადოებას დაემუქროს. ამიტომაც თავისთავად ცხადია, რომ უსაფრთხოება ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებას მიზნად აქვს დასახული მშვიდობა. რა თქმა უნდა, საზოგადოების შიგნით მშვიდობაც იგულისხმება. ამის დამადასტურებლად გამოდგება სამოქალაქო ომი, როგორც ამ მიზნიდან გადახვევის ყველაზე საშინელი ფორმა.

უსაფრთხოებას ყველაზე დიდ საშიშროებას უქმნის ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში მიმდინარე კონფლიქტები. ამგვარ კონფლიქტთა მიზეზი ისაა, რომ

• საზოგადოებრივი ურთიერთდამოკიდებულების პირობებში თვით-რეალიზება, როგორც წესი, ზღუდავს სხვის თავისუფლებას;

• ინდივიდების შეფასებითი წარმოდგენები ეკონომიკური მოვლენების როგორც შინაარსის, ისე იერარქიის შესახებ, არღვევს ცალკეულ ნორმას;

• ისტორიული განვითარების პროცესში შეფასებები დამოუკიდებელ მიზნებად გვევლინებიან და მოქმედების სტიმულს იძლევიან, რაც ყოველთვის შეიცავს კონფლიქტის შესაძლებლობას.

ასეთი შეზღუდული კონფლიქტები ნაკლები დაპირისპირებით ხასიათდება და მათი მოგვარება უფრო ადვილია, ვიდრე უკიდურესად დაძაბული კონფლიქტებისა. კონფლიქტის მოგვარების მეთოდებია:

• მოლაპარაკებები მხოლოდ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის;

• ამ პროცესში ერთი ან რამდენიმე შუამავლის /მომრიგებლის ჩართვა.

„მესამე" მხარეს კონფლიქტის მოგვარების თვალსაზრისით ზემოქმედების დიდი შესაძლებლობა უნდა მიეცეს (Dahrendorf, 1972, გვ. 42): 1. კონფლიქტის მონაწილე მხარეებს უნდა აუხსნას კონფლიქტური მდგომარეობა და შეიმუშაოს მათი მორიგებისათვის ფორმალურად, მართალია, არასავალდებულო, მაგრამ მატერიალურად ქმედითი პროცედურები; 2. შერიგების პროცესში, როგორც წესი, კონფლიქტის მონაწილე მხარეები თანახმანი არიან შუამავლის შეთავაზებაზე მაშინაც კი, როცა მათ შორის მოლაპარაკებები ჩაშლილია; 3. კერძო მოლაპარაკებათა ნაცვლად საქმეში საარბიტრაჟო სასამართლოს ჩართვა, რომელიც მხარეებისათვის სავალდებულოდ აღსასრულებელი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით სრულდება; 4. არსებობს სამართლებრივი გზაც, რაც გულისხმობს სასამართლოში გასაჩივრებას, რომელმაც თავდაპირველად უნდა შეამოწმოს საქმე ექვემდებარება თუ არა სასამართლო გარჩევს; 5. შუამავლის მიერ ხელშეკრულების მხარეების იძულებითი მორიგება, რასაც ასევე სავალდებულო საჯარო-სამართლებრივი გადაწყვეტილების ძალა აქვს. ეს უფრო კონფლიქტის აღმოფხვრის გზაა, ვიდრე მისი მოგვარებისა. კონფლიქტისა და მისი რეგულირების თვალსაჩინო მაგ., გამოდგება შრომის ბაზარზე სახელფასო გარიგების მონაწილე მხარეებს შორის წარმოშობილი უთანხმოება. რასაკვირველია, კონფლიქტის იძულებითი მოგვარების პროცედურა არაკონსტიტუციური ქმედებაა. კონფლიქტის მოგვარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია (Tuchtfeldt, 1971a, გვ. 32):

• მშვიდობიანი დარწმუნება, რაც გულისხმობს ინტერესთა კოლიზიაში ერთი ან მეორე პოზიციისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებას;

• კომპრომისი იმ შემთხვევაში, როცა ურთიერთდაპირისპირებული მიზნები ადვილად მისაღწევ და ძნელად მისაღწევ მიზნებად იყოფა;

• კომპენსაციები იმ შემთხვევაში თუ საქმე გვაქვს განუყოფელ მიზნებთან, რასაც შედეგად მოჰყვება განსხვავებული მიზნების სწრაფი ანდა თანდათანობითი განხორციელება.

ზოგჯერ საკმარისია კონფლიქტების დეპერსონალიზება, რომ მათ სიმწვავე დაკარგონ და უსაფთხოებას საშიშროება აღარ შეუქმნან. ეკონომიკურ სფეროში ასეთი დეპერსონალიზება ხორციელდება სოციალური ტექნიკის ან/და კონკურენციის საშუალებით. ამაში ვლინდება მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფუნქცია. მართალია, იგი ძალაუფლების კონტროლის მექანიზმია, მაგრამ როგორც კი ის ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მექანიზმად იქცევა, საფრთხეს უქმნის სხვის თავისუფლებას. ამასთან, კონკურენცია მიღწევების (შედეგების) კონტროლის პროცესსაც წარმოადგენს, რადგან როცა ვინმეს ძალისხმევა სათანადოდ არ ფასდება ან ნეგატიურად ფასდება და მცირდება მისი მატერიალური შესაძლებლობები, ამაში დამნაშავეა არა კონკურენტი, არამედ „ბაზრის დიქტატი“. რასაკვირველია კონფლიქტების დეპერსონალიზება იმ შემთხვევაში ფუნქციონირებს, თუ:

• კონკურენცია, როგორც წესრიგის პრინციპი, მისი შედეგებით საზოგადოდ მისაღებია ცალკეული ინდივიდისათვის;

• როგორც კონკურენტები (კარტელისაკენ სწრაფვა) და ასევე სახელმწიფო (მოქმედების შეზღუდვა) ცდილობენ გამოკვეთონ თავიანთი საზოგადოებრივი ფუნქციები.

საბაზრო კოორდინაციას შეუძლია პრობლემები ინდივიდუალურ უსაფრთხოებასაც შეუქმნას. ბაზრის მონაწილეთა ეკონომიკური უსაფრთხოების რისკებს წარმოშობს არამყარი განვითარება ცალკეულ ბაზრებზე, როგორც კონიუნქტურისა და ეკონომიკური განვითარების (ზრდა და სტრუქტურული ცვლილება) ფენომენი. ამ შემთხვევაში უსაფრთხოების რისკი ეფუძნება:

• კონიუნქტურული და სტრუქტურული დასაქმების რისკებს;

• შემოსავლებისა და ქონების რისკებს, რომლებსაც იწვევს ფასთა დონის ცვლილება და შემოსავლების მიღების შესაძლებლობათა შემცირება.

არსებობს რისკის კიდევ ერთი კატეგორია, რომელიც დაკავშირებულია შემოსავლების არქონასთან, რისი მიზეზიცაა ავადმყოფობა და სიბერით გამოწვეული შრომისუუნარობა. ამავე კატეგორიაში შედის ის რისკებიც, რომლებიც შემოსავლების განაწილების შესახებ საზოგადოებრივ დაპირისპირებებს, დასაქმებისა და მსყიდველობითუნარიანობის დაკარგვის საფრთხეებს უკავშირდება. უსაფრთხოების ასეთი რისკების დასაძლევად, გარდა პირადი ძალისხმევისა, აუცილებელია სპეციფიკური განაწილების პოლიტიკის განხორციელება.

საბაზრო კოორდინაცია წინასწარ გულისხმობს მოქმედების უფლებებს, რომლებიც ერთმანეთისაგან მიჯნავს ბაზრის პოტენციურ მონაწილეთა

ზეგავლენის სფეროებს. ამგვარი საზღვრები ასევე იცავენ მათი შემოქმედებითი მოღვაწეობის სფეროებს სხვა მონაწილეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებისაგან. მაგრამ ასეთ დაცვას მხოლოდ ნივთიერი ხასიათი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ დაუცველი რჩება უფლებათა საცვლელი ღირებულება (იხ. Boulding, 1956/87, გვ. 123; Hayek, 1976/2003, გვ. 123). მაგ., ავიღოთ მანქანის მესაკუთრე ანდა დაპატენტებული გამოგონება, რომელიც დაცულია განადგურების ანდა მიმბაძველობისაგან. მისი უსაფრთხოება მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ მოქმედების უფლებათა საფუძველზე უზრუნველყოფილი იქნება მისი ფორმირების სფეროს (ავტონომია) არსებობა. მაგრამ დაუცველი რჩება ამ უფლებათა საცვლელი ღირებულება ანდა მათი გამოყენების შედეგები. ასეთი ღირებულება იკლებს კიდეც იმით, რომ იწყება მაქანის ტიპის მასობრივი წარმოება ანდა ხდება სხვა უფრო სასარგებლო გამოგონების დაპატენტება. მოკლედ, საბაზრო კოორდინაცია არათუ უშვებს ფულად ექსტერნულ ეფექტებს, არამედ მათი არსებობა აუცილებელიცაა.

საცვლელი ღირებულების ცვლილებები არის სუბსტიტუციის პროცესის შედეგი. ამ უკანასკნელს კი იწვევს კონკურენცია მოქმედების უფლებათა გამოყენების სფეროში, რასაც თავის მხრივ პროდუქტის არასაკმარისობა განაპირობებს. მაგ., პირს, რომელიც გაცვლის უფლების საფუძველზე ქმნის მანქანას ანდა თავის სამუშაო ძალას თუ სხვა უფლებებს პატენტისუნარიანი გამოგონების განსახორციელებლად იყენებს, შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ ამ უფლებათა გამოყენების შედეგები მატერიალურადაა დაცული (სამართლებრივი უსაფრთხოება). მათი საბაზრო ღირებულება და მოქმედების უფლების ის საბაზრო ღირებულება, რომელიც მათგან გამომდინარეობს, იმაზეა დამოკიდებული არის თუ არა სხვებისათვის სასარგებლო ის, რაც ამ უფლებების გამოყენების შედეგად იქნა მიღებული. უფლებათა საბაზრო ღირებულება გარდა კონკრეტული ინდივიდისა, სხვა ინდივიდების მოღვაწეობის სფეროებსაც ეხება, რომლებიც უფლებების გამოყენების შედეგების გაცვლაში პარტნიორებად გამოდიან. ამ კატეგორიაში ის ინდივიდებიც შედიან, რომლებიც უფლებათა გამოყენების სუბსტიტუციისუნარიან შედეგებს ფლობენ.

ფორმირებისა და მოქმედების ამგვარი სფეროები ურთიერთდაკავშირებულია. ამიტომაც ყოველ მცდელობას, რომ მოქმედების უფლების ღირებულების დაცვა სუბსტიტუციის სახელმწიფოებრივად დასაშვები კერძო შეფერხებისა თუ პრევენციის საფუძველზე მოხდეს, ორი შედეგი მოსდევს:

• ღირებულების დაცვა შესაძლებელია მხოლოდ მისი ფორმირების სფეროს ხარჯზე, რაც განაპირობებს ყველა სხვა ამასთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული უფლების უზრუნველყოფას; ასევე იგი შესაძლებელია სხვათა ინდივიდუალური თავისუფლების ხარჯზე;

• ღირებულების დაცვა ნიშნავს ცვლილებას და მასთან დაკავშირებული შესაძლო პროგრესის შეფერხებას თუ პრევენციას.

პირველი შედეგი მიმართულია ინდივიდუალური თავისუფლების წინააღმდეგ იმ იმედით, რომ მოქმედების ტრადიციულ უფლებათა მესაკუთრეები უკეთ შეძლებენ უსაფრთხოების უზრუნველყოფას. მოქმედების უფლებათა ღირებულების კლება მესაკუთრეებისათვის იმის ნიშანია, რომ მათ ვერ მოახერხეს ამ უფლებების გამოყენების შეცვლილ გარემოებებთან შესაბამისობაში მოყვანა. ღირებულების ზრდა არა მხოლოდ იღბალია, არამედ ჯილდოცაა, რომელიც ადამიანს ინდივიდუალური თავისუფლების წარმატებით გამოყენებისათვის ენიჭება. ეს უკანასკნელი კი სხვა არაფერია თუ არა იმის უნარი, რომ გარდაუვალსა და სწრაფად ცვალებად სიტუაციებთან ადაპტირება მოახდინო. ღირებულების კლებისაგან დაგვიცავდა სხვების მოქმედების უფლების გამოყენების ისეთი შეზღუდვა, რომ მათ აღარ შეძლებოდათ შეცვლილ გარემოებებზე მოქნილი რეაგირება. ამით მათი თავისუფლება ფასს დაკარგავდა, თუკი ასეთი რამ მათთვის საერთოდ იქნეოდა ხელმისაწვდომი.

სუბსტიტუციის შეფერხება თუ პრევენცია ამავე დროს კონკურენციის შეფერხება თუ პრევენციაც იქნებეოდა. თითოეული კონკურენტი არა მარტო სხვა კონკურენტთა არაკეთილსინდისიერი ქმედებებისაგან (მაგ., ბოიკოტი, ფიზიკური იძულება) იქნებოდა დაცული, არამედ იმ ცვლილებებისგანაც, რასაც მათი მიღწევები გამოიწვევდა. გაცვლის ახალი თუ ხელსაყრელი შესაძლებლობები იმ ზემოქმედების გამო შემცირდებოდა ან გაუქმდებოდა, რასაც ისინი მოქმედების ტრადიციულ უფლებებზე ახდენენ. ექსტრემალურ შემთხვევაში კონკურენცია, როგორც „შემოქმედებითი“ ნგრევის პროცესი, მოქმედების უფლებათა გადაფასების გამო აღარ იქნებოდა შესაძლებელი. საქმის არსი არ იცვლება, როცა მართალია, სუბსტიტუცია არ უქმდება, მაგრამ ყველაფერი კეთდება – ინტერვენციის ისეთი საშუალებებით, როგორიცაა: დაბეგვრა, სუბსიდირება და სხვ. – იმისათვის, რომ იგი ხელსაყრელი არ იყოს. ეს ახშობს უფრო სასარგებლო შემცვლელი საქონლის შესაძლებლობათა ძიების ყოველგვარ სტიმულს. მაშინაც კი, როცა შემცვლელი საქონლისათვის ხელის შეშლის მცდელობა აზრს მოკლებულია, „კონკურენციით მიყენებული ზიანის“ გათანაბრების მოთხოვნა – მაგ., საგარეო ვაჭრობაში – ამ თვალსაზრისით, დაცვის უცნაური სურვილის გამომჟღავნება იქნებოდა.

იმ რისკებიდან გამომდინარე, რომლებიც საბაზრო კოორდინაციას ახასიათებს, უსაფრთხოების ცოტად თუ ბევრად მასშტაბური მოთხოვნები ჩნდება. როცა ტოტალურ უსაფრთხოებას ვესწრაფვით და ვცდილობთ, თავიდან ავიცილოთ ყველა ის რისკი, რომელიც ინდივიდუალურ შემოსავლებსა და მისი მიღების უნარებს უკავშირდება, განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ამ

ვითარებასთან დაკავშირებული, მაგრამ სხვა მიზნებით განპირობებული კონფლიქტები. ტოტალური უსაფრთხოებისათვის საჭიროა ურყევი სისტემა, რომელიც თაობათა შორის თანამშრომლობის შედეგად მიიღწევა. არც შუასაუკუნეობრივი ამქრული ეკონომიკა და არც ცენტრალიზებულ ბიუროკრატიული სოციალიზმის ფორმები არ გამოდგება იმის დასტურად, რომ კონკურენციისაგან თავისუფალი ეკონომიკური სისტემა უპირატესობის მქონეა. თუმცა, როგორც ერთი, ისე მეორე, როგორც ურყევი სისტემები ყველაზე მეტად აკმაყოფილებს ტოტალური უსაფრთხოების მოთხოვნებს. ამგვარი თვალსაჩინოების გარეშეც ცხადია, რომ უსაფრთხოება სხვა ინდივიდთა მიზნების რეალიზაციის ცოტად თუ ბევრად შეფერხებას გულისხმობს. ტოტალური უსაფრთხოება იმას ნიშნავს, რომ სოციალური სტატუსი ხელშეუხებელია და არც ერთ ინდივიდს არ აქვს უფლება სხვის მდგომარეობას საფრთხე შეუქმნას. დასაქმების ასპექტით ეს გულისხმობს უამრავი სამუშაო ადგილის არსებობას. თითოეულ ინდივიდს აქვს გარანტირებული ადგილი, რომელსაც ვერავინ შეუქმნის საფრთხეს ვერც კონკურენციის და ვერც სამეწარმეო დისპოზიციებიდან გამომდინარე. ამასთან შეუძლებელია ტოტალური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური თავისუფლების ურთიერთშეთავსება.

პროგრესი

პროგრესი ორი თვალსაზრისით არის ყველასათვის მნიშვნელოვანი, უპირველეს ყოვლისა იგი წარმოადგენს:

- მეცნიერული მიღწევებისა და სიახლეების შეფასებას და
- ამავე დროს გვიჩვენებს დროის მსვლელობაში რამდენად ახლოს ვიმყოფებით წინასწარ დასახულ მიზანთან.

მეორე თვალსაზრისით ამ ცნების გამოყენება განმარტებას არ საჭიროებს, რადგან შეფასებას დასახული მიზანი განსაზღვრავს. პირველი მნიშვნელობით პროგრესი რაღაც სრულიად ახლისაკენ, ჯერ კიდევ მიუღწეველისაკენ სწრაფვას გულისხმობს. რაციონალურობის თვალსაზრისით ამ შემთხვევაში ადამიანი გახარებულია თავისი მიღწევებითა და კრეატიულობით. ასეთი სიხარული არ არის მიზნობრივად რაციონალური ანუ არ არის დამოკიდებული იმ სარგებელზე, რაც დასახულ მიზანთან მიახლოებას მოაქვს. თუმცა ეს ჩვენს სიხარულს უფრო აძლიერებს (Hayek, 1960, გვ. 40). მთავარია არა ცოდნის გამოყენება, არამედ ამ ცოდნის მიღება და მისი გაღრმავება.

პროგრესის მიმართ ორივე თვალსაზრისით ჩნდება გარკვეული ეჭვი იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად სასურველია იგი. ყოველთვის ცდილობენ, ასეთი კრიტიკული პოზიცია შემეცნების თეორიის, ცოდნის სოციალიზაციის კუთხითა და ეთიკის თვალსაზრისით დაასაბუთონ.

შემეცნების თეორიაზე ორიენტირებული კრიტიკა არ არის მიმართული პროგრესის წინააღმდეგ, იგი მხოლოდ იმ პოზიციას არ იზიარებს, რომელიც ზომაზე მეტად აფასებს გონების შემეცნებით შესაძლებლობებს. არსებითად იგი წარმოადგენს კონსტრუქტივისტული რაციონალიზმის კრიტიკას, რომელიც სათავეს იღებს რენე დეკარტესა და ფრენსის ბეკონის ნაშრომებიდან. რაციონალიზმის ეს ფორმა უპირისპირდება კრიტიკულ რაციონალიზმს, რომელიც დევიდ ჰიუმის ნაშრომებიდან მომდინარეობს (იხ. Popper, 1960/2002). კონსტრუქტივისტული რაციონალიზმის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ გონებისა და დაკვირვების საშუალებით შესაძლებელია ბუნების ჭეშმარიტი რეალობა აღვიქვათ. კრიტიკული რაციონალიზმი კი აქცენტს აკეთებს ადამიანის შემეცნებაში ევოლუტორული ელემენტის არსებობასა და შეცდომის შესაძლებლობაზე. წმინდა ლოგიკის საზღვრებს მიღმა შესაძლებელია ცდომილება, ამიტომ არ შეიძლება წინასწარვე უარვყოთ ემპირიული (ცდისეული) დაკვირვებების შესაძლებლობები.

კონსტრუქტივისტული პოზიციიდან ადვილია იმის მტკიცება, რომ ადამიანს იმდენი შეუძლია, რამდენიც იცის (tantum possumus quantum scimus, Bacon). მკვლევარებმა, რომლებიც ამ პოზიციას ემხრობოდნენ, შთამბეჭდავი პროგრესი განახორციელეს XVIII და XIX საუკუნეებში. რაც თითქოს ადასტურებდა ცოდნის ძალას ბუნებაზე გაბატონების საქმეში. ამიტომაც ამ პერიოდში საკმაოდ საფუძვლიანი იყო ოპტიმიზმი იმის შესახებ, რომ გონების გამოყენებას პროგრესი მოაქვს. გონებრივ შესაძლებლობათა ამგვარ გადამეტებულ შეფასებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ მას გადაჭარბებული მნიშვნელობა მიენიჭა საზოგადოებისა და ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში (Hayek, 1959/2004). გონების მიმართ ასეთი ზომაგადაცილებული ოპტიმიზმის გამო კონსტრუქტივისტული რაციონალიზმის ტრადიციას შემეცნების თეორიაში სამართლიანად „უსაყვედურეს“ და მას გონების მედიდურობა უწოდეს (Röpke, 1944; Hennis, 1984). თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, თითქოსდა გამართლებული იყოს პროგრესის მიმართ აბსოლუტური ეჭვი. ცოდნის სოციალიზაციის თვალსაზრისით პროგრესი სხვა არაფერია, თუ არა შრომის დანაწილებაზე რეაქციის შედეგი. ცნობილია, რომ მეცნიერული შრომის დანაწილება მზარდ სპეციალიზაციას უკავშირდება. კვლევის პროცესის უშუალო მონაწილენი აცნობიერებენ თუ როგორი მზარდი ტემპით ვიწროვდება მათი დისციპლინის სფერო. გარეშე დამკვირვებელს კი სულ უფრო მეტად უძნელდება ცოდნის ფრაგმენტულად მოპოვება, რომლის გამოყენება ყოველდღიურ პროცესებზეც ახდენს ზემოქმედებას. ამგვარად ჩნდება უფსკრული, რომელიც ახალ-ახალი საყვედურებისა და არაორდინარული აზროვნების წყარო ხდება (Jonas, 1979/2003, გვ. 294). სხვა მხრივ კი,

კომპეტენტურ მეცნიერთა პუბლიკაციების კომერციალიზაციას უფრო დიდი საბაზრო შანსი არასოდეს მისცემიათ (Boulding, 1962), როგორიც მათ დღეს აქვთ.

ასეთი შანსების გამოყენება შეამცირებდა იმ შენიშვნების რაოდენობას – შრომის დანაწილების საფუძველზე – ცოდნის გაღრმავების მიმართ რომ გამოთქვამენ. მეცნიერული ურთიერთობების მრავალფეროვანი ფორმები არის ღია საზოგადოების სპონტანური რეაქცია მეცნიერული პროგრესის არასასურველ გვერდით მოვლენებზე.

ყველაზე ძნელია პროგრესის მიმართ ეთიკურ ეჭვებთან გამკლავება. იგი ამტკიცებს, რომ კაცობრიობის მეცნიერული წინსვლა არ იწვევს მის ზნეობრივ გაუმჯობესებას. ბუნებაზე გაბატონების დაუოკებელი სურვილი იმას მოასწავებს, რომ არ არსებობს ქმედითი ზნეობრივი შეზღუდვა. მაგალითად ყოველთვის მოჰყავთ ხოლმე ის ექსპერიმენტები (გენტექნიკური მანიპულაცია), რომლებიც მიზნად ისახავენ ადამიანის გენეტიკური სტრუქტურის ცვლილებას. ფილოსოფოსმა ჰანს იონასმა ამასთან დაკავშირებით წამოაყენა მოწოდება: „გავუფრთხილდეთ ღვთის ხატებას“. იგი გვთავაზობს, „მოწიწებით განვიმსჭვალოთ ადამიანისადმი, როგორიც იგი იყო და არის; მოვიცილოთ ფიქრი იმაზე თუ რად შეიძლება იქცეს იგი გამოგონილ მომავალში“ (Jonas, 1979/2003, გვ. 393).

ადამიანის თვითშემეცნების წარმოდგენილი პოზიცია ცალკეული ინდივიდის საქმედ მიიჩნევს იმის გადწყვეტას – შესაძლებელია თუ არა ამ ზნეობრივი მოთხოვნის მოქმედების მაქსიმუმად გადაქცევა. მეორე მხრივ, ღია საზოგადოება სხვაგვარად გაიაზრებს ასეთ შესაძლებლობას. „გამოგონილ მომავალში“ მოსალოდნელია ადამიანებს გაუჩნდეთ ცდუნება, რომ „ღვთის ხატება“ ძალისმიერი საშუალებებით დაიცვან. იმ ვითარებაში, როცა თავისუფლება ტოტალური საფრთხის წინაშე დგას, ზემოხსენებულ მაქსიმუმთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: მოხდება თუ არა მისი კონკრეტული რეალიზება ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გარეშე. გარდა ამისა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ცოდნის გამოყენებასთან დაკავშირებული საფრთხეები სწორედ ღია საზოგადოებებში იძენს ინტენსიურ პოლიტიკურ ფორმებს. ამის დადასტურებაა გარემოს დაცვასთან დაკავშირებული დისკუსიები, რომლებიც ტექნიკის შედეგებისა და მათი ინსტიტუციონალიზების პრევენციული ხასიათის შეფასებებს იძლევიან. აქედან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ ღია საზოგადოებებიც ამახვილებენ ყურადღებას პროგრესის ნეგატიურ მხარეებზე და შესაბამის პოლიტიკურ ღონისძიებათა გატარების გადაწყვეტილებებს იღებენ. საქმეში ჩახედული ადამიანებისათვის ასეთი ღონისძიებები შესაძლოა არ იყოს დამაკმაყოფილებელი, მაგრამ მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ არსებობს ბევრად უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგო

პროცედურებთან. ასე რომ, ერთმა რომელიმე პრობლემამ, რომელიც დღევანდელ დისკუსიებში შესაძლოა წინა საფეხურზე იყოს წამოწეული, არ უნდა მოადუნოს საზოგადოების ყურადღება სხვა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი პრობლემების მიმართ.

ჩვენ უკვე ვაჩვენეთ ის თუ რა დამოკიდებულება არსებობს პროგრესსა და მოქმედების თავისუფლებას შორის. შეუძლებელია ბუნების კანონების დარღვევა, რომლებიც შესაძლებელი მოვლენის ობიექტურ საზღვრებს წარმოადგენენ. მაგრამ მათი მეცნიერული აღმოჩენა აფართოებს ადამიანური მოქმედების მანამდე არსებულ შესაძლებლობებს. ეკონომიკური თვალსაზრისით პროგრესი დაკავშირებულია ინოვაციის ფენომენთან. ბაზარი ღიაა ინოვაციისათვის (საწარმოო ინოვაციები), რადგან მათი საშუალებით ბაზრის მდგომარეობა უმჯობესდება (ინოვაციური პროცესები). მოთხოვნის კუთხით როგორც ერთი, ისე მეორე უზრუნველყოფის შესაძლებლობათა გაუმჯობესებას ნიშნავს.

ეკონომიკურ პროგრესსა და სოციალურ სამართლიანობას შორის არსებული კონფლიქტების წარმოშობის სათავე შესაძლებელია იყოს კონკურენციის, როგორც განაწილების მეთოდის არასწორი გაგება. სოციალური სამართლიანობის თვალსაზრისით მეცნიერული პროგრესის მიღწევათა საფუძველზე მიღებულ შემოსავლებთან დაკავშირებული პოზიციები კორექტურას საჭიროებს. მაგრამ, მეორე მხრივ, ასეთი კორექტირება შეასუსტებდა ან გააუქმებდა ყოველგვარი ინოვაციის შექმნის სტიმულს. ამ შემთხვევაში საზოგადოება იმაზე ღარიბი იქნებოდა, ვიდრე უნდა ყოფილიყო. მეცნიერული პროგრესის შედეგების ამგვარ „სოციალიზებას“ მხედველობიდან რჩება, რომ მათი მიღწევის პროცესს სწორედ კონკურენცია აღძრავს და აძლიერებს.

ეკონომიკურ სისტემაში პროგრესი ინოვაციის სახით ვლინდება და სტრუქტურული ცვლილებების წყაროა. ერთი მხრივ, იგი წარმოშობს შემოსავლების მიღების ახალ შანსს, მეორე მხრივ კი, საფრთხეს უქმნის უკვე არსებულ შესაძლებლობებს. ინოვაცია ზეგავლენას ახდენს ინდივიდებზე, საფრთხეს უქმნის მათ ეკონომიკურ სტაბილურობას და ახალი გამოწვევის წინაშე აყენებს. ამ გამოწვევის დაუკმაყოფილებლობა იწვევს სტრუქტურულ უმუშევრობას ან/და სოციალურ დეგრადაციას (სტატუსის არანებაყოფლობითი შეცვლა).

ზოგადად პროგრესი ცვლილებების წყაროა. ცვლილებები კი რეორიენტაციისა და ახალ სიტუაციებთან შესაბამისობის მოთხოვნას წარმოშობს. ეკონომიკური განვითარების პროცესებთან შესაბამისობის დაყოვნება კი კონფლიქტებს წარმოშობს. ეკონომიკაში არსებობს კოლიზიის შესაძლებლობა უსაფრთხოების მიზანთან მიმართებაში და სოციალური სამართლიანობის მიზანთან დამოკიდებულებაში, რადგან შესაბამისობის ტვირთი არათანაბრადაა გადანაწილებული და სრულიად არ არის გათვალისწინებული მეცნიერული პროგრესის სასარგებლო შედეგების განაწილება.

სოციალურ ღირებულებათა ასპექტით პროგრესი დაკავშირებულია მისი შეფასების პრობლემებთან. რაკი შესაბამისობა გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, აუცილებელია რაციონალური ზომების მიღება და ადამიანებისათვის დახმარების უზრუნველყოფა. ასეთი ღონისძიებები, როგორც წესი, წინააღმეგობებს ხვდება, რადგან ამისათვის აუცილებელი პოლიტიკური ნების ქმნადობის პროცესები ინერტულობით ხასიათდება. დახმარების უზრუნველყოფას ის საფრთხეც ახლავს, რომ ინდივიდს იგი შესაძლებელია მუდმივ მოთხოვნილებად გადაექცეს და აღარაფერი იღონოს თვითდახმარების უზრუნველსაყოფად.

მეთოდური ნორმები

დემოკრატია

დემოკრატია და რაციონალურობა შეიძლება განვიხილოთ როგორც მეთოდური საშუალებები, რომელთა დახმარებითაც სხვა მიზნები მიიღწევა ისე, რომ ამით ზიანი არ მიადგეს მათ საკუთრივ ღირებულებას (მიზნობრივ ხასიათს). ამიტომაც შესაძლებელია მათი მიჩნევა ფორმალურ მიზნებად (Gäfgen, 1968/1974, გვ. 14).

ადამიანთა საზოგადოება ვერ იარსებებდა სახელმწიფო ორგანიზაციისა და მასთან დაკავშირებული ბატონობისა და მორჩილების სოციალურ ურთიერთობათა გარეშე (იგივე უნდა ითქვას ეკონომიკურ სისტემებზეც). თვითრეგულირებად საბაზრო ეკონომიკურ წესრიგსაც კი, მასში მოქმედი წესების თვალსაზრისით, სახელმწიფო იცავს. გარდა ამისა, არსებობს ეკონომიკურ-პოლიტიკური მოქმედების უამრავი პრინციპი. ეკონომიკური პოლიტიკის გატარება წინასწარ გულისხმობს, რომ გადაწყვეტილება სხვებისათვის მიიღება და აუცილებელია მათი შესრულება. ეს კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ისინი მიღებულ გადაწყვეტილებას ემორჩილებიან.

წარმომადგენლობითი დემოკრატია არის მეთოდი, რომლითაც სარგებლობენ ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებათა გამტარებლები. იოზეფ შუმპეტერის (1942/93, გვ. 428) სიტყვებით, რომ ვთქვათ იგი „პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესრულებისათვის აუცილებელი ინსტიტუტების ერთობლიობაა, რომელთა საშუალებითაც ცალკეული ინდივიდი ცდილობს ხმათა უმრავლესობა მოაგროვოს და გადაწყვეტილების მიღების უფლება მოიპოვოს“. გადაწყვეტილება მიიღება უმრავლესობის ინტერესთა გატარების პრინციპით. ეს ეხება, როგორც გადაწყვეტილების მიღების უფლების მქონე პირის არჩევას (საარჩევნო პროცედურა), ისე გადაწყვეტილებათა უზრუნველყოფას პოლიტიკური პროდუქტით (ხმის მიცემის პროცედურა).

დემოკრატია, როგორც პოლიტიკური მეთოდი არაფერს ამბობს იმ მიზნების შესახებ, რომლებიც მისი საშუალებით მიიღწევა. მხოლოდ მაშინ, თუ მეთოდის პოზიტიურ საკუთრივ ღირებულებას გავზომავთ, ამით შესაძლებელი გახდება შეფასებითი მსჯელობა მისი საშუალებით მიღებული შედეგების შესახებ. აქედან გამომდინარე, არამარტო სავალდებულოა ის, რასაც უმრავლესობა წყვეტს, არამედ პოზიტიურად უნდა შეფასდეს ასეთი გადაწყვეტილების შინაარსიც (Hayek, 1960, გვ. 103). იგივე დასკვნა გამოაქვს ყველას, ვინც დემოკრატიას მხოლოდ ნორმატიულ თეორიად კი არ მიიჩნევს, არამედ მის პოზიტიურ ხასიათსაც აღიარებს. ერთ-ერთი ამ თეორიათაგანია ის, რომელსაც შუმპეტერი (1942/93, გვ. 397) აკრიტიკებს, როგორც „დემოკრატიის კლასიკურ მოძღვრებას". „დემოკრატიული მეთოდი არის ინსტიტუციური წესრიგი პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც საყოველთაო კეთილდღეობას ახორციელებს იმით, რომ ხალხს ანიჭებს საკითხების გადაწყვეტის უფლებას. ხალხი თვითონ ირჩევს იმ პირებსაც, რომლებიც საერთო ნების განსახორციელებლად მოქმედებენ."

წარმომადგენლობითი დემოკრატიის თეორია (Herder-Dorneich, Groser, 1977, გვ. 60) გულისხმობს, რომ

• მეთოდი სასურველ მოტივაციას ანიჭებს პოლიტიკური გადაწყვეტილების გამტარებელს. მას თავისი თავი ამომრჩევლის წარმომადგენლად მიაჩნია და მოქმედებს როგორც მისი წარმომადგენელი;

• გარდა „ვიკარული ფუნქციის" შესრულებისა, პოლიტიკური გადაწყვეტილების გამტარებელი აცნობიერებს ამომრჩევლის ნებას (Kirsch, 1974/97, გვ. 106) და მას „საერთო კეთილდღეობად" აქცევს.

შუმპეტერის შემდეგ მეთოდური ინდივიდუალიზმის პოზიციიდან პოლიტიკური მოქმედების შესახებ ამ იდეალიზებულ შეხედულებას ეჭვის თვალით უყურებენ. მართალია, დემოკრატია მისი თვალთახედვით არის მხოლოდ პოლიტიკური პროდუქტის წარმოება. „მაგრამ დემოკრატიული პოლიტიკის გასაგებად ამოსავალ პუნქტად უნდა მივიჩნიოთ ძალაუფლებისა და თანამდებობისათვის გაჩაღებული კონკურენცია. ამ შემთხვევაში ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ სოციალური ფუნქცია თანმხლები მოვლენაა, ისევე როგორც წარმოება, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა მოგების მიღების თანმხლები მოვლენა" (Schumpeter, 1942/93, გვ. 448). პოლიტიკური მეწარმის მიერ დემოკრატიის ვიკარული ფუნქციის გაცნობიერება (კონკურენციის თეორიის ასპექტით), უპირველეს ყოვლისა, დემოკრატიის, როგორც მეთოდის ძალის (Herder-Dorneich) გამოყენების შედეგია და არა პოლიტიკურ მოღვაწეთა მოტივაციის. ამასთან, მეთოდი, როგორც მოტივაციის წყარო, იმდენად ძლიერია, რომ პოლიტიკური მეწარმე კერძო ინტერესით მოქმედების შემთხვევაშიც კი პოლიტიკური პროდუქტით უზრუნველგვყოფს.

დემოკრატიის (როგორც მეთოდის) პოზიციიდან პოლიტიკური პროდუქტის უზრუნველყოფის ხარისხზე მხოლოდ ინსტიტუციური ცვლილებები ახდენს ზეგავლენას. პოლიტიკური მდგომარეობის საფუძველზე განისაზღვრება, როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილების გამტარებლის მანდატის მოცულობა, ძალაუფლების განაწილების სტრუქტურა, პარტიებისა და გაერთიანებათა სტატუსი, ისე არჩევნებისა და ხმის მიცემის/კენჭისყრის პროცედურები. ასე, რომ პოლიტიკური პროდუქტით უზრუნველყოფის ხარისხი, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური წესრიგის პრობლემაა. განსაკუთრებულ სიძნელეს ქმნის ის, რომ არსებულ დემოკრატიულ ქვეყნებში ეს პრობლემა თვითონ პოლიტიკურმა მეწარმეებმა უნდა გადაჭრან. ისინი განსაზღვრავენ არა მარტო კანონმდებლებისა და მოთამაშეების როლს წესრიგთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, არამედ მოსამართლეების (საკონსტიტუციო სასამართლო) მოქმედების შესაძლებლობებსაც.

როდესაც დემოკრატია გვესმის, როგორც პოლიტიკური მეთოდი, მაშინ უნდა ავხსნათ როგორ ემსახურება იგი ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებს და ახდენს მათ ლეგიტიმაციას. იმ წინააღმდეგობის აზრით, რომელიც ინდივიდუალურ თავისუფლებასა და აუცილებელ პოლიტიკურ ბატონობას შორის არსებობს, მნიშვნელოვანია შემდეგი დებულების გათვალისწინება: „რაკი ბატონობისა და სინამდვილის ლეგიტიმურობა საზოგადოდ დამოკიდებულია თანხმობის (პოლიტიკური თვალსაზრისით პასიური და აქტიური საარჩევნო უფლება) შესაძლებლობაზე, როგორც ბატონობა, ისე მორჩილება კარგავს თვითნებური ძალადობის ხასიათს და ყველა ინდივიდისათვის თანაბარი თავისუფლების შესაძლებლობასთან თავსებადი ხდება“ (Dahrendorf, 1972, გვ. 276). სხვაგვარად, დემოკრატიული მეთოდი დროსა და წარმომავლობაზე გაბატონებაა, რადგან თვითონ მორჩილებაში მყოფნი წყვეტენ თუ ვინ და რა ხანგრძლივობით უნდა ახორციელებდეს მას. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ დემოკრატია თავისუფლებისათვის აბსოლუტურად უსაფრთხო პროცესია, რადგან გამორიცხული არ არის უმრავლესობის მიერ ძალაუფლების გრძელვადიანი უზურპაცია. მეორე მხრივ, არასაკმარისადაა გარანტირებული უმცირესობის უფლებები; ამიტომაც სამართლებრივ სახელმწიფოში უმრავლესობის მხრიდან უმცირესობის უფლებათა დარღვევის პრევენცია ძირითადი უფლებების და მისი დაცვის მთავარი ფუნქციაა.

ფორმალური სამართლიანობა თავსებადი იქნებოდა დემოკრატიულ მეთოდებთან, თუკი კანონის წინაშე თანასწორობა კანონშემოქმედებაში ყველას თანაბრად მონაწილეობასთან შესაბამისობაში მოვიდოდა (Hayek, 1960, გვ. 103). წარმომადგენლობით დემოკრატიაში პოლიტიკური თანასწორობა გამოიხატება იმაში, რომ ადამიანებს მინიჭებული აქვთ საყოველთაო, თანასწორი, თავისუფალი, ფარული და პირდაპირი არჩევანის გაკეთების უფლება. ამავე

დროს ეს არ გამორიცხავს სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ზემოქმედების შესაძლებლობას.

დემოკრატია, როგორც კონფლიქტების მოგვარების მეთოდი, მნიშვნელოვანია აგრეთვე უსაფრთხოების, როგორც ძირითადი ღირებულების მიმართ. იგი საშუალებას გვაძლევს, რომ ინტერესთა შორის წინააღმდეგობები მოწესრიგდეს არა ძალის გამოყენებით, არამედ უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე. მაგრამ ეს ყველა მონაწილეს ყოველთვის როდი აკმაყოფილებს. დემოკრატიული გადაწყვეტილებები, როგორც კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ინსტრუმენტი, მხოლოდ მაშინ არის სრულიად ზედმეტი, როდესაც რეალურად არსებული კონფლიქტებით დატვირთული და მისი მოგვარების მსურველი საზოგადოება ადამიანების უტოპიურ წარმოდგენებში შეცვლილია კონფლიქტებისგან თავისუფალი საზოგადოების მოდელით.

პროგრესის, როგორც ძირითადი ღირებულების ასპექტით, დემოკრატია განისაზღვრება როგორც სიახლეებისა და აღმოჩენების მეთოდი, რომელიც ბაზარს ახასიათებს.

კონსენსუსის ფორმირების პროცესის საფუძველზე ხდება საზოგადოების კოლექტიური საქონლით ანდა უკვე არსებულის გაუმჯობესებით უზრუნველყოფა. ასეთი შესაძლებლობა ემყარება პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებაში მრავალი ინდივიდის პირდაპირ თუ არაპირდაპირ მონაწილეობას. თუმცა უფრო გავრცელებულია არაპირდაპირი მონაწილეობა. რელობაში ამომრჩეველსა (როგორც შემკვეთს) და პოლიტიკურ მეწარმეს (როგორც მიმწოდებელს) შორის პარტიები და ინტერესთა ჯგუფები დგანან. სწორედ ისინი ასრულებენ ამომრჩეველთა და გადაწყვეტილების გამტარებელთა ინტეგრაციისა და მათ შორის შუამავლის ფუნქციას. ამიტომაც პოლიტიკური ნების ქმნადობა წარმოგვიდგება, როგორც კომუნიკაციის საფეხურებრივი პროცესი (Kirsch, 1974/97, გვ. 113), რომელშიც არც პოლიტიკური მეწარმე დგას უშუალოდ უამრავი ამომრჩევლის მოთხოვნის წინაშე და არც ამომრჩეველი მიწოდებული პოლიტიკური პროდუქტის პირისპირ. მეორე მხრივ, დემოკრატია, როგორც მეთოდი და კონკურენცია არ არის ანალოგიური პროცესები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მცირერიცხოვან ინტერესთა ჯგუფების (ოლიგარქია) ბატონობის ნიშნებს იძენენ. საქმე ის არის, რომ გადაწყვეტილებების წინასწარ ფორმირებაზე გავლენას ახდენს (ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს კიდეც) პარტიებისა და გაერთიანებების შედარებით მცირე რაოდენობა. გარკვეულ შემთხვევებში ამ პროცესში არ მონაწილეობს პარტიებისა და გაერთიანებების მთელი მრავალფეროვნება (თუ ეს მრავალფეროვნება არსებობს). ამ პროცესის ოლიგარქიული ელემენტი შრომის დანაწილების იმ პროცესის შედეგია, რომელსაც პოლიტიკური პროდუქტის (იგულისხმება ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფების მოთხოვნათა დაკმა-

ყოფილება) წარმოება ემყარება. ნორმატიული თვალსაზრისით ეს პოლიტიკური თანასწორობის პრინციპის დარღვევაა. მისი მასშტაბები კი მით უფრო დიდია, რაც უფრო მცირეა წარმომადგენელთა მეშვეობით ფუნქციონერთა გაკონტროლების შესაძლებლობები და რაც უფრო ნაკლებია ყველა პოლიტიკური ინტერესის თანაბრად ორგანიზებისა და მათი გათვალსწინების შესაძლებლობები.

დემოკრატიული მეთოდების შედეგთა ავკარგიანობა არა ნაკლებ არის დამოკიდებული პოლიტიკურ აქტიორთა თვისებებზე. სხვა მხრივ, სულაც არ არის აუცილებელი, რომ ისინი უმრავლესობის თვალში ყველაზე ჭკვიანებად და ყველაზე ინფორმირებულებად გამოიყურებოდნენ. მათაც გააჩნიათ ის სისუსტეები, რომლებიც საერთოდ დამახასიათებელია დემოკრატიის არსებული ფორმებისათვის. მაგრამ საქმე ის არის, რომ დეკორატიული მეთოდები ყველაზე უფრო მიესადაგება საზოგადოებრივ ექსპერიმენტებს. მეორე მხრივ, ადამიანთა ძალისხმევა (ნება) პრომლების გადასაჭრელად არასაკმარისია. ამას ემატება ისიც, რომ გადაწყვეტილებათა მიმღებნი (მმართველები) ცდილობენ ეს მცირე ადამიანური შესაძლებლობებიც კი ჩაახშონ თავიანთი უტოპიური წარმოდგენებით, თითქოს მათ ყველაზე უკეთ იცოდნენ თუ რას ნიშნავს ყველას კეთილდღეობა და რა სურს საზოგადოების ყველა წევრს. თითქოს მათ შეეძლოთ მართებული კომპრომისული ქმედებების განხორციელება განსხვავებულ ინტერესთა ჯგუფებთან მიმართებაში.

რაციონალურობა

რაციონალურობაზე ყურადღების გამახვილება არ ნიშნავს იმას, რომ გონებაზე ორიენტირებული ქმედებები აუცილებლად დადებითად უნდა შეფასდეს. ამ მეთოდური ნორმის გამოყენებით რაციონალურობიდან უაღრესად არასამართლიანი მოქმედებებიც გამომდინარეობს. როგორც ჰერბერტ ა.სიმონი (Herbert A. Simon, 1983, გვ.12) აღნიშნავს: „გონება ინსტრუმენტულია. მას არ ძალუძს გვითხრას თუ საით უნდა წავიდეთ. საუკეთესო შემთხვევაში იგი გვეუბნება თუ როგორ მივაღწიოთ იქამდე, საითკენაც მივდივართ.“

ამ პირითადი მნიშვნელობით შესაძლებელია რაციონალურობის დავაკავშირება ნებისმიერ მიზანთან, თუ ეს მიზნები ერთმანეთთან შინაარსობრივად წინააღმდეგობაში არ არიან. რაციონალურობის პრინციპი მოითხოვს იმ საშუალებების განსაზღვრას, რითაც მიღწეული უნდა იქნას მოცემული მიზანი. ეს კი გულისხმობს იმ სარგებლის გამოთვლას, რომელიც შესაძლებელია ამ მიზნის განხორციელებისათვის ხელშეწყობამ მოგვიტანოს. ეკონომიკურ პრინციპსაც ასეთი შინაარსი აქვს. როცა ვცდილობთ პირითადი საზოგადოებრივი ღირებულებების რეალიზებას (მაგ., ინდივიდუალურ

თავისუფლებასა და სოციალურ სამართლიანობას, ანდა უსაფრთხოებასა და პროგრესს შორის კონფლიქტის გადაჭრას), აუცილებელია სხვადასხვა პრობლემის განსხვავებული ასპექტების ანალიზი.

მაქს ვებერის (1921/2002, გვ.13) მიხედვით „ასეთი გამოთვლის საფუძველზე მომზადებული გადაწყვეტილება მოქმედების შესახებ მიზნობრივად რაციონალური მოქმედებაა“. მიზნობრივად და რაციონალურად მოქმედებს ის, ვინც აანალიზებს მიზანს, საშუალებასა და გვერდით შედეგებს შორის დამოკიდებულებას. ამასთან, რაციონალურად ითვალისწინებს სხვა შესაძლო მიზნებთან მიმართებებსაც. თუ უფრო ღრმად ჩავწვდებით ამ მოსაზრების შინაარსს, დავინახავთ, რომ ეს განსაზღვრება მეთოდოლოგიურად აგებულია მიზანსა და საშუალებას შორის დამოკიდებულებაზე. ასეთივე სტრუქტურა აქვს ეკონომიკურ-პოლიტიკურ რაციონალურობასაც.

მიზნის რაციონალურობიდან უნდა გაწვასხვავოთ ამ მიზნის ღირებულებითი რაციონალურობა. პირველისაგან განსხვავებით მეორე არ არის აგებული მრავალმხრივ გაანგარიშებაზე. პირიქით, ამ შემთხვევაში მთავარია ის საკუთრივი ღირებულება (შეფასება), რაც განსაზღვრულ ქცევას (მოქმედებას) მისგან გამომდინარე შედეგების გათვალისწინების გარეშე გააჩნია. ასეთი საკუთრივი ღირებულების წყარო ის არის, რომ მოქმედი ინდივიდი თავის თავს გარკვეულ ეთიკურსა თუ რელიგიურ მოთხოვნებს უყენებს და უპირატესობას ანიჭებს თავის მოქმედებაში.

მიზნობრივად რაციონალური გაანგარიშებები არ ესაჭიროებათ იმ ინდივიდებსაც რომლებიც ჩვეულების ანდა ტრადიციის მიხედვით მოქმედებენ. ამასთან, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათი ქცევა გონიერებას უნდა ეწინააღმდეგებოდეს. ტრადიციები პრობლემის გადაჭრის რუტინული საშუალებებია. ამ შემთხვევაში რაციონალურობა იმაში მდგომარეობს, რომ მცირდება გადაწყვეტილების მიღების ხარჯები, რადგან საჭირო არ არის მოქმედებისათვის გლობალური სამზადისი. ამასთან, ტრადიციისათვის დამახასიათებელი მოქმედების უწყვეტობა გაურკვევლობის შემცირების საწინდარია. საქმე იმაშია, რომ გონებრივ განსჯას არ ემორჩილება აფექტური და განსაკუთრებით კი ემოციური ქმედებები, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ თითქოს ემოციის არქონა მიზნის რაციონალურობის წინაპირობა იყოს. პირიქით, ემოციური ანგაჟირებულობა ზოგჯერ ხელს უწყობს კიდეც ყურადღების კონცენტრაციას და ზრდის პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას (Simon, 1983, გვ. 29).

მიზნის რაციონალურობის უმაღლეს დონესთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა გადაწყვეტილების მიღებისას ინდივიდი ყოველგვარი ვნებათა ღელვის გარეშე მოქმედებს და სუბიექტურად წინასწარ გათვლილ მაქსიმალურ სარგებელს იღებს. ამასთან აუცილებელია, რომ მისი მოქმედების შესაძლებლობათა

მაჩვენებელი შესაბამისობაში იყოს მოქმედების მოსალოდნელი და სრულყოფილად განსაზღვრული შედეგების მაჩვენებლთან. ეს ვითარება შეესაბამება რაციონალურობის ე.წ. „ოლიმპიურ მოდელს“ (Simon, 1983, გვ.23), ვინაიდან მისი რეალიზება მხოლოდ ღმერთების მთის ბინადართ ხელეწიფებათ.

რაციონალურად მოქმედების ჩვენი შესაძლებლობები („მიწიერი მოდელი“) ბევრად უფრო მოკრძალებულია. ამ მხრივ არა ნაკლებ მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოებანი:

• გადაწყვეტილების მიღების სიტუაცია წინასწარ კი არ არის მოცემული, არამედ მას თავად გადაწყვეტილების მიმღები განსაზღვრავს და აცნობიერებს (შემეცნების პრობლემა);

• წინასწარ არ არის ცნობილი რამდენად ლოგიკურია და რეალური ის საფუძვლები, რომლებსაც გადაწყვეტილების მიღების პროცესი ეფუძნება. უფრო მეტიც, გადაწყვეტილების მიღების პროცესი და მისი ოპტიმალურობა დამოკიდებულია გადაწყვეტილების მიმღების ბალისხმევაზე (მოტივაციის პრობლემა);

• გადაწყვეტილების მისაღებად რელევანტური ინფორმაციის წყაროების მოძიების ორგანიზება (ძიების პრობლემა);

• გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქმედების შესაძლებლობათა გაფართოება მოითხოვს მასში რაც შეიძლება მეტი ადამიანის ჩართვას (ინვენციის პრობლემა);

• შეფასების კრიტერიუმები თავიდან სრულყოფილად კი არ არის მოცემული, არამედ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ისინი თანდათანობით ყალიბდება და იცვლება (შეფასების პრობლემა);

• გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებული გაურკვევლობა, რომელსაც აჩენს სუბიექტური მოლოდინი და სუბიექტური მოქმედებების არაკანონზომიერი (ალბათური) და კრეატიული (გამომგონებლური) ხასიათი (გაურკვევლობის პრობლემა);

• გადაწყვეტილება ხშირად ერთჯერადი ხასიათისაა. მისი განმეორების შემთხვევაში ხდება ცვალებადი პირობების გათვალისწინება, (მისი ჩაყენება ევოლუტორულ პირობებში), რითაც მოლოდინის ღირებულება პრობლემის მაქსიმალურ გამარტივებას იწვევს (სინგულარობის პრობლემა);

• ადამიანური რესურსები, რომლებიც პრობლემის გადასაჭრელად (ტექნიკური დახმარების მიუხედავად) გვჭირდება, შეზღუდულია და არ იძლევა ყოვლისმომცველი ანალიზისა და შეფასების შესაძლებლობას (კომპლექსურობის პრობლემა).

მოცემული მიზეზების გამო ობიექტური მიზნის რაციონალურობაზე ხელი არ მიგვიწვდება და ბუნებრივია, მას ვერც მეთოდურ ნორმად გამოვიყენებთ. ჩვენთვის მხოლოდ სუბიექტური რაციონალურობის რამდენიმე

ფორმაა (Simon, 1955, 1959) ხელმისაწვდომი. მათი არსებობა კი განპირობებულია იმით, რომ მცირდება გადაწყვეტილების მიღების პრობლემათა კომპლექსურობა. ეს კი შემდეგნაირად მიიღწევა:

- განისაზღვრება მოთხოვნის დონე, რასაც პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობა უნდა მიესადაგოს;
- ინფორმაციის მოძიება ხდება გამოცდილებით შემოწმებული წესების საფუძველზე;
- მოთხოვნის დონე და მოქმედების შესაძლებლობები შეესაბამება გადაწყვეტილების მიღების პირობებს;
- მნიშვნელობას ვანიჭებთ ინტუიციას, მაგრამ ამით არ ირღვევა პრობლემის გადაჭრის ლოგიკური მოთხოვნები.

შეცდომა იქნებოდა თუ სუბიექტური რაციონალურობის შესაძლებლობებს ოლიმპიური მოდელის მიხედვით შევაფასებდით. ამ შემთხვევაში შედეგად ქცევის დეფიციტს მივიღებდით. სულაც არ არის მცდარი და ირაციონალური, როდესაც ეკონომიკის სუბიექტები გადაწყვეტილებებს მათ მიერ სუბიექტურად შეძენილი ცოდნის საფუძველზე იღებენ და შესაბამისად მოქმედებენ. გათვლები, რომლებსაც „შესაძლებლობების“ საზღვრებში აკეთებენ, აზრს კარგავს, როგორც კი მათ „შეუძლებლის“ სფეროს მივუყენებთ. თუ ასეთი ცდომილების თავიდან აცილება გვსურს, მაშინ რაციონალურობა, როგორც მეთოდური ნორმა, ლოგიკის წესებს უნდა დაექვემდებაროს. ამასთან, უარი უნდა ვთქვათ აპრიორული წესრიგის არსებობის დაშვებაზე, რომელიც თითქოს წინასწარ განსაზღვრავს გადაწყვეტილების გამტარებელთა მოქმედებებს. ობიექტური რაციონალურობიდან არ გამომდინარეობს ემპირიულად აუცილებელი დებულებები. თუმცა გამორიცხული არ არის მის საფუძველზე ჰიპოთეზების წამოყენება. ყველა ჰიპოთეზასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ მთავარია არა ჰიპოთეზის წამოყენება, არამედ მისი ემპირიულად დადასტურება.

საარჩევნო პროცესისათვის აუცილებელია ინფორმაციის არსებობა ცვალებადი გარემოს შესახებ (ასევე ღია სისტემა). იგივე უნდა ითქვას, როგორც რაციონალურობის, ისე ინფორმირებულობის თაობაზეც. გადაწყვეტილების ის ელემენტები, რომლებიც პროცესში დამატებით ერთვებიან, ხელსაყრელ შემთხვევაში, აუმჯობესებს მიღებული გადაწყვეტილების ხარისხს (სწორედ მისგან გამომდინარე და გარანტირებული მოქმედებების აზრით). თუკი არსებობს რაღაც ელემენტები, რომლებზეც ხელი არ მიგვიწვდება, მაშინ ჩვენთვის უცნობი იქნება მისი ზეგავლენა საარჩევნო პროცესზე. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ გადაწყვეტილებისათვის საფუძვლების მომზადება თითქოს ოლიმპიური მოდელის (ობიექტური რაციონალურობა) შედეგთან თანდათანობითი მიახლოების პროცესი იყოს. მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ობიექტური რაციონალურობის მოთხოვნები ხელს არ უწყობდეს

გადაწყვეტილების მომზადებას. მისი ფუნქციაა არა ის, რომ მიგვაახლოოს ილუზორულ ცოდნასთან, არამედ ის, რომ ყოველი კონკრეტული გადაწყვეტილების შემთხვევაში გაგვიადვილოს მისი მიღებისათვის არსებითი ცოდნის მოპოვება. აგრეთვე მან ხელი უნდა შეგვიწყოს ცოდნის საზღვრების დადგენაში, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ამრიგად, ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უარი უნდა ვთქვათ ოლიმპიური მოდელის გამოყენებაზე. ეკონომიკური სამყაროს შესახებ კითხვებზე რაციონალური პასუხის გასაცემად კი სუბიექტურად ხელმისაწვდომ არასრულყოფილ ცოდნას უნდა დავემყაროთ. მაგრამ ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების ხარისხთან დაკავშირებით ახალი კითხვა ჩნდება: რამდენად არის შესაძლებელი ეკონომიკური სუბიექტების მოქმედებათა წარმატებული კოორდინირება მათი უაღრესად შეზღუდული ცოდნის საფუძველზე? ამ კითხვაზე არასრული პასუხი იმაში მდგომარეობს, რომ გადაწყვეტილების მისაღებად ორიენტაცია უნდა ავიღოთ და მოვიძიოთ ინსტიტუციური შეზღუდვის მექანიზმები (იხ. Langlois, 1986, გვ. 235). საბაზრო ეკონომიკურ სისტემაში ასეთ შეზღუდვებს მიეკუთვნება კერძო სამართალი, რომელიც ერთმანეთისაგან მიჯნავს პირადი პასუხისმგებლობით განხორციელებულ მოქმედებათა სფეროებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მოქმედების უფლება გვაწვდის ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რომელი მოქმედებაა გამართლებული და რომელი არა. მოქმედების უფლებათა შეფასება ტრანსაქციათა საფუძველზე ხორციელდება. ასეთ ტრანსაქციებს უამრავი საგარეო თუ ადგილობრივი ინსტიტუცია ზღუდავს ან ამარტივებს. ცოდნის მიღების თვალსაზრისით ინსტიტუტებზე ასეთი ორიენტაციის შესაძლებლობა ტრანსაქციებზე გაწეული ინფრასტრუქტურული ხარჯებიდან გამომდინარეობს. ჩვენ მიერ დასმულ კითხვაზე პასუხის პირველი ნაწილი ასეთია: ინსტიტუტები ამცირებენ იმ ცოდნის მოცულობას, რომლის მიღება აუცილებელია ინდივიდუალური გეგმების განხორციელებისათვის. გარდა ამისა, სტაბილურ ინსტიტუციურ ჩარჩოებში უფრო ადვილია სასურველი ცოდნის შეძენა. მეორე მხრივ, იმავე ჩარჩოებში ეკონომიკური სუბიექტები გამოცდილების საფუძველზე სწავლობენ ერთმანეთის ინსტიტუციურად ფორმირებულ ქცევას; მართალია, ეს არ არის გაცნობიერებული პროცესი, მაგრამ იგი გვეხმარება იმის შეცნობაში, თუ რა არის ეკონომიკური ინტერესებისა და მისგან გამომდინარე ქცევის სტაბილურობის საფუძველი. ასე, რომ ყოველდღიური ტრანსაქციების უდიდესი ნაწილი რეფლექსიის გარეშე, მოქმედების ინსტიტუციურ საფუძველზე ხორციელდება.

პასუხის მეორე ნაწილი იმაში მდგომარეობს, რომ ფასწარმოქმნის პროცესი გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას. ფასწარმოქმნის მექანიზმი ფუნქციონი-

რებს, როგორც კომუნიკაციის სისტემა. ამასთან, არ ხდება იმ სპეციფიკური გარემოს შესახებ კონკრეტული ინფორმაციის გაცვლა, რომელშიც ბაზრის მეშვეობით ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური სუბიექტები მოქმედებენ. პირიქით, ასეთი ინფორმაცია კოდირებულია ტრანსაქციის მოთხოვნებით. მისი გამჟღავნება ხდება მხოლოდ ტრანსაქციის განხორციელების შემდეგ, როდესაც გაირკვევა როგორც ფასი, ისე სხვა დანარჩენი პირობებიც. მაგრამ გადაწყვეტილების გამტარებლისათვის ეს საკმარისია რათა შეამოწმოს - მოსალოდნელი ფასი იქნება თუ არა სასარგებლო ტრანსაქციასთან დაკავშირებული მისი პირადი გეგმების თვალსაზრისით. ეს იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია სრულად გავითვალისწინოთ ის კონტექსტი, რომელშიც ფასწარმოქმნა მიმდინარეობს. ასე, რომ პასუხის მეორე ნაწილის მიხედვით საბაზრო სისტემის მიმართ წაყენებული მოთხოვნები ცოდნასთან დაკავშირებით, ამ სისტემის ეფექტიანობაზე უმნიშვნელო ზეგავლენას ახდენს. პირიქით, მნიშვნელოვანია სწორედ ის, რომ „ბაზრის მონაწილემ რაც შეიძლება ცოტა იცოდეს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმოქმედოს სწორად" (Hayek, 1945, გვ.527).

როდესაც ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა და ფასწარმოქმნის მექანიზმი ურთიერთშეწყობილად მოქმედებს - არ იგრძნობა კონსტიტუციური ცოდნის დეფიციტი. ასეთ პირობებში ეკონომიკურ სუბიექტებს უადვილდებათ რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება. ინოვაცია ეკონომიკურ სუბიექტს ცვალებად ეკონომიკურ გარემოსთან მისადაგების უამრავ შესაძლებლობას უხსნის. გარდა ამისა, ინოვაცია არის კონსტიტუციური ცოდნის შევსების წყარო. იგი მნიშნელოვანია იმ ასპექტითაც, რომ ეკონომიკურ სუბიექტს მოქმედების ისეთ შესაძლებლობებს ანიჭებს, რომლებსაც ვერ ზღუდავენ გარე ინსტიტუციები. რაციონალურობის, როგორც მეთოდური ნორმის თვალსაზრისით ეს ნიშნავს, რომ: ოლიმპიური მოდელის შემთხვევაში არა მარტო რაციონალური მოქმედების უნარი, არამედ ასეთი მოქმედების შესაძლებლობაც იზღუდება; ინდივიდუალურ ეკონომიკურ წარმატებაზე ზეგავლენას ახდენს არა მარტო რაციონალური განსაზღვრა (გათვლა), არამედ მასში ინტუიცია, ინოვაცია და იღბალიც მონაწილეობს; კონსტიტუციური ცოდნის ნაკლებობის პირობებში, ფუნქციონირებადი ეკონომიკური წესრიგის ასპექტით, მოქმედი სუბიექტისათვის თითქმის არ აქვს მნიშვნელობა ცოდნასთან დაკავშირებით მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

საზოგადოების ეკონომიკური წარმატება უმეტესწილად დამოკიდებულია ისეთ ინსტიტუტებზე, რომლებიც ეკონომიკურ სუბიექტებს ეხმარება ისეთი არჩევანის გაკეთების პროცესში, რომელიც ყველაზე უკეთ მიესადაგება სპეციფიკურსა და ცვალებად ეკონომიკურ პირობებს.

ეკონომიკური სამყაროს არასრულყოფილ ცოდნაზე დაფუძნებული მეთოდი არ არის საკმარისი და აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ

ეკონომიკურმა სუბიექტმა წარმატებას მიაღწიოს. თუმცა აქედან არც ის გამომდინარეობს, რომ ყოველგვარ რაციონალურ მოქმედებაზე უარის თქმა თითქოსდა წარმატების რეცეპტი იყოს. რაციონალურობაზე შესაძლებელია ვთქვათ, რომ იგი გაუცნობიერებელი სარგებლის მიღების პროცესში ხელშემწყობის ფუნქციას ასრულებს. ეს იმას ნიშნავს, რომ რაციონალურობა – სუბიექტურობის ასპექტით – აუცილებლობას კი არ წარმოადგენს, არამედ იგი მხოლოდ ეკონომიკური ინტერესის ძიების და მისგან გამომდინარე ქცევის ჰიპოთეზაა, რომელსაც მიზანშეწონილია ვითვალისწინებდეთ ეკონომიკური მოვლენების გაანალიზებისას.

აქედან გამომდინარე, ეკონომიკური წარმატება არის არა გადაწყვეტილების ინდივიდუალური გამტარებლის მიერ განხორციელებული რაციონალურ მოქმედებათა აგრეგაციის, არამედ ინსტიტუციური სტრუქტურებით გაშუალებული ინტერაქციის შედეგი. ჰაიეკისა და სმიტის მეცნიერულ ტრადიციაზე დაყრდნობით კარლ რაიმუნდ პოპერი (1948/2002, გვ. 342) ხაზგასმას აკეთებს იმაზე, რომ „ეკონომიკური წარმატება გაწონასწორებულ, თუმცა წინასწარ განუზრახველ მოქმედებათა შედეგია“.

რაციონალურობის ასპექტით ყველა წონასწორულ მოდელში კონკურენციული წესრიგი ერთნაირად არის წარმოდგენილი. იგი გააზრებულია არა როგორც საბაზრო კოორდინაციის შედეგი და განსაკუთრებულ მოქმედებათა წესრიგი, არამედ როგორც ორგანიზაციის ანალოგი. საერთო ეკონომიკური შედეგი წარმოდგენილია, როგორც ობიექტურად რაციონალურ გადაწყვეტილებათა ერთობლიობა. „იგი ხორციელდება არა „უხილავი ხელის“, არამედ „ვალრასიანელი აუქციონერის“ რაციონალური მოქმედების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ ეს მოდელი ოლიმპიური მოდელით იქნას ჩანაცვლებული“ (Streit, 2005, გვ.271).

ზოგადად საინტერესოა ეკონომიკური პოლიტიკის თუ რა შედეგები გამომდინარეობს საბაზრო კოორდინაციის შეზღუდვის გადაწყვეტილებებიდან? ეკონომიკური გადაწყვეტილების ცალკეულ გამტარებელს ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეხება, როცა აქცენტს ინდივიდების ეკონომიკური ინტერესების და მათგან გამომდინარე სუბიექტური ქცევის რაციონალურობაზე გავაკეთებთ. ამის ინსტრუმენტებს სწორედ ინსტიტუციური შეზღუდვები წარმოადგენს.

ჰიპოთეზები, სულ მცირე, სწორედ ასეთ ქცევებს უნდა ითვალისწინებდეს. მაგრამ როგორც აქამდე ჩატარებული ანალიზიდან ირკვევა, ინდივიდთა სუბიექტური რაციონალურობის ასპექტით ამას მხოლოდ კვაზი კანონების სახე ექნება, რომლებიც მართვის ეკონომიკურ-პოლიტიკურ უნარებად გარდაიქმნება.

თავი 4. ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები და მათი ურთიერთდამოკიდებულება

ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებების განხილვის შემდეგ მიზანშეწონილია იმის ნათელყოფა, რომ ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით ისინი დაკავშირებულია მაკროეკონომიკურ მიზნებთან, რომლებსაც განვითარებული ქვეყნები და ახალი ინდუსტრიული სახელმწიფოები ესწრაფვიან. სხვა მხრივ, ეკონომიკური პოლიტიკის კონკრეტული მიზანი იმ პრობლემის განმარტებაცაა, რომელიც მისი ოპერაციონალიზების შესაძლებლობას უკავშირდება. პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკისა და მისი წარმატებული კონტროლის მოთხოვნებიდან გამომდინარე აუცილებელია მიზნებთან დაკავშირებული პრობლემების განხილვა. განსაკუთრებით კი საქმე ეხება ამ მიზნებთან დაკავშირებული კონფლიქტების გააზრებას. რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს მაკროეკონომიკური მიზნები.

ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები და მათი შესაბამისობა ძირითად ღირებულებებთან

ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებულია დასახული მიზნების მიღწევაზე. ასეთ მიზნებს კი ეკონომიკური სიტუაცია და უამრავი ნორმატიული პოზიცია (ძირითადი ღირებულებები) განაპირობებს. მიზანთა ერთი ნაწილის შესახებ განვითარებული ქვეყნების უმრავლესობას შორის ერთგვარი თანხმობა სუფევს. მთავრობების მიერ მიღებულ დადგენილებებსა და კანონებში ხშირად გამოყოფილია ისეთი ეკონომიკური მოვლენები, როგორიცაა: მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა, დასაქმების დონე, დასაქმების მაღალი კოეფიციენტი, ეროვნული ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის ზრდა, როგორც ფასების დონის სტაბილურობის მაჩვენებელი, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, საგარეო ეკონომიკური წონასწორობა ან შემოსავლებისა და ქონების სამართლიანი განაწილება. ეს მიზანთა ძალზე არასრული კატალოგია, მაგრამ იგი საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ მიზნები მხოლოდ საშუალებაა (ინსტრუმენტია) საზოგადოებრივი ღირებულებების ყოვლისმომცველი ნორმების რეალიზებასთან დაკავშირებით.

ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებსა და ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებს შორის ურთიერთდამოკიდებულება მოკლედ შესაძლებელია შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: 1. ეკონომიკური ზრდა, როგორც ინსტრუმენტი, პროგრესს უკავშირდება. სოციალური პროდუქტის ზრდით უმჯობესდება მოსახლეობის კეთილდღეობის დონე. იგი სიღატაკესთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებასაც წარმოადგენს და ამდენად მატერიალური თავისუფლების

ზრდის გამოხატულებადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ. პროგრესი ამ შემთხვევაში ნიშნავს გაუმჯობესებას, რომლის სიდიდე სხვა მიზანთან დამოკიდებულებაში დგინდება. ეს მდგომარეობა შესაძლებელია სამართლიანობის თვალსაზრისითაც გავიაზროთ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თავისუფლებიდან გამომდინარე შესაძლებლობები და უფლებები არათანაბრადაა განაწილებული. 2. დასაქმების ნორმა შესაძლებელია სხვა მაჩვენებლით ჩავანაცვლოთ და იძულებითი უმუშევრობის შესახებ ვიმსჯელოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც ინდივიდი მოკლებულია გარკვეულ სოციალურ პროდუქტს, ეს აღიქმება, როგორც მატერიალური თავისუფლების შეზღუდვა. ამასთან, აშკარაა ის საფრთხე, რაც მატერიალურ თავისუფლებას ექმნება. სხვა მხრივ, ვინაიდან დასაქმების შესაძლებლობები იძულებითი უმუშევრობის პირობებში არათანაბრადაა განაწილებული, ამდენად ამ ვითარებას სამართლიანობის პრობლემის ასპექტითაც უნდა შევხედოთ. 3. ფულის ღირებულების ცვალებადობა ზეგავლენას ახდენს ალოკაციის (რესურსების განაწილების) ხარისხზეც, რადგან ფული, როგორც წესი, არ არის ნეიტრალური ეკონომიკური ციკლის ცვალებადობის (რყევების) მიმართ. ეფექტიანობის შემცირების გამო მოსახლეობის საქონლით უზრუნველყოფის დონე ეცემა, რაც ზღუდავს მატერიალურ თავისუფლებას. ფულის ღირებულების ცვალებადობა იწვევს ცვლილებებს შემოსავლებისა და ქონების განაწილებაში, რაც არ არის შესაბამისობაში სამართლიანობასთან. გარდა ამისა, იგი უსაფრთხოების რისკს ზრდის მისი ნეგატიური ზემოქმედების ქვეშ მყოფი ინდივიდისათვის. 4. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ასპექტით გასათვალისწინებელია შრომის დანაწილების ის პროცესი, რომელიც მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარეობს. ის სარგებელი, რომელიც ამ პროცესს მოაქვს, ზრდის მატერიალურ თავისუფლებას. აქ ისეთივე ვითარებაა, როგორიც შიგა ბაზრის შემთხვევაში: შრომის დანაწილება მეტი დამოკიდებულებისა და დიდი რისკის მომტანია. განსხვავება კი ის არის, რომ ეკონომიკური პოლიტიკის კორექტირება ამ შემთხვევაში (ანუ საერთაშორისო დონეზე) აღარ არის დამოკიდებული ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივ გამტარებელზე. საგარეო ეკონომიკურმა ურთიერთობებმა შესაძლებელია ხელი შეუწყოს ან საფრთხე შეუქმნას შიგა ბაზრის წონასწორობას. 5. რაც შეეხება შემოსავლებისა და ქონების განაწილების სამართლიანობასთან კავშირის პრობლემას, ჩვენ უკვე მივუთითეთ განაწილებასთან დაკავშირებული კონფლიქტების არსებობის შესახებ, რამაც შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას საზოგადოებრივ სიმშვიდესა და უსაფრთხოებას.

ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების იდენტიფიცირება წინასწარ გულისხმობს მიზნების ოპერაციონალიზების შესაძლებლობას. ამ უკანასკნელთან კი საქმე გვაქვს მაშინ, როცა შესაძლებელია: რეალური ეკონომიკური მოვლენების დადგენა, რომლებსაც მიზნის შინაარსისათვის დამახასიათებელი თვისებები გააჩნიათ (დაკონკრეტების შესაძლებლობა); მიზნის განსაზღვრებადი მახასიათებლების სტატისტიკური გაზომვა (გაზომვადობა); კონკრეტულ მიზანთან მიმართებაში განსაზღვრებადი და განსახორციელებადი მახასიათებლების გაერთიანება (აგრეგირების შესაძლებლობა).

მას შემდეგ, რაც დადგენილია მიზნების ოპერაციონალიზების შესაძლებლობა, ხდება მათი მიღწევის დონეების განსაზღვრაც. სწორედ ასეთი დამოკიდებულება გვაძლევს, როგორც პრობლემათა გადაჭრის კონკრეტული მცდელობის, ასევე მიღწეული შედეგების კონტროლის საშუალებას.

იმის გამო, რომ მიზანს მრავალი განზომილება აქვს, შესაძლებელი ხდება ისეთი პრობლემის იდენტიფიცირება, რომელიც ეკონომიკური ზრდის მიზანს უკავშირდება. შეიძლება კონკრეტული მიზანი თავისი თვისებებით ბირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან გაზომვას დაქვემდებარებული ურთიერთობების კონტექსტში გვეძლეოდეს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს მისი ოპერაციონალიზების შესაძლებლობას. აუცილებელია, რომ მიზნის მახასიათებლები გაზომვადი და აგრეგირებადი იყოს. მეორე მხრივ, აუცილებელია იმ მნიშვნელობის დადგენა, რომელიც მათ ასეთი აგრეგაციით ენიჭება.

მოვლენათა შეფასებისა და გაზომვის თვალსაზრისით (იგულისხმება მოვლენები, რომლებიც ეკონომიკური პოლიტიკის მიზნის განსაზღვრის შემადგენლებს წარმოადგენს) ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ: რაოდენობითი/კარდინალური და რიგობითი/ორდინალური გაზომვა.

რაოდენობითი/კარდინალური გაზომვის დროს ხდება იმის განსაზღვრა თუ როგორია დაშორება მიზნის ცვლადების განსხვავებულ მდგომარეობებს შორის. იგი ასეთი დაშორების მასშტაბს აფასებს ანდა მათი სხვადასხვა ხარისხობრივი მაჩვენებლები ერთმანეთთან იერარქიულ დამოკიდებულებაში მოჰყავს. კარდინალური გაზომვის გამოყენება შესაძლებელია, მაგ., როცა ეკონომიკური პოლიტიკის მიზნად დასახულია ინტენსიური ეკონომიკური ზრდა, მაშინ მისი მაჩვენებლები საშუალებას გვაძლევს, რომ ისინი მიზნის საზომად გამოვიყენოთ. საქმე ეხება ერთ სულ მოსახლეზე ნეტო საზოგადოებრივი პროდუქტის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებლის გაანგარიშებას, სტაბილური საბაზრო ფასების გათვალისწინებით ხუთი წლის პერიოდისათვის. ამ შემთხვევაში აღნიშნულ პერიოდებს შორის განსხვავება

იერარქიულად კი არ გამოიხატება, არამედ პროცენტებში. მაგრამ ამ გზით შეუძლებელია ერთ სულ მოსახლეზე საზოგადოებრივი პროდუქტის ზუსტი გაზომვა, ამიტომ მიზანშეწონილია, კარდინალური გაზომვის უფრო მარტივი ფორმით დავკმაყოფილდეთ.

ორდინალური გაზომვის დროს მიზნის ცვლადების განსხვავებული მდგომარეობა (რასაც მკვეთრად გამოხატული იერარქიული ხასიათი აქვს) მხოლოდ რაოდენობრივად გამოიხატება. მაგ., რეგიონული პოლიტიკის მიზანია, რომ რეგიონთაშორისი განსხვავებები ერთ სულ მოსახლეზე რეგიონულ ბრუტო შიდა პროდუქტში შემცირდეს. თუ ასეთი გაზომვის დროს გათვალისწინებული იქნებოდა სტანდარტიდან განსხვავებული მაჩვენებლები ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებულ რეგიონულ შემოსავლებში, მაშინ შესაძლებელი გახდებოდა წლების მიხედვით შეგვედარებინა და შეგვემოწმებინა შემცირდა თუ არა ზემოაღნიშნული განსხვავებები და არის თუ არა ეს ცვლილება ეკონომიკურ-პოლიტიკური აქტივობის შედეგი.

ორდინალური გაზომვის განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა მიზნის ცვლადების რიცხვი მცირდება და „მიღწეულ“ და „მიუღწეველ“ მიზნებზე დაიყვანება. გაზომვის შესაძლო შედეგები ამ შემთხვევაში დუალური (ბინარული) იქნება. საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მიზნად შეიძლება ჩაითვალოს ვალუტის სრული კონვერტირებადობა. მაგრამ ამგვარი მცდელობა უარყოფითად დასრულდება ყველა საფეხურზე, როგორც ადგილობრივი და უცხოელი მოქალაქეებისათვის, ასევე სავაჭრო და საფინანსო ტრანსაქციებში მონაწილეთათვის. თუმცა ეს მაგალითი ცხადყოფს, რომ გაზომვა არ არის მიმართული მხოლოდ და მხოლოდ მიზნის შინაარსის მახასიათებლებზე. მას ხომ დასახული მიზანი განისაზღვრავს. როგორც ირკვევა მცირე გადახრების შესაძლებლობა ეკონომიკურ-პოლიტიკურ შეფასებებში, რომელიც პოლიტიკური მეწარმის ინტერესებს ემყარება, არ შეიძლება განუსაზღვრელი იყოს.

მაქსიმალური ოპერაციონალიზება (ითვალისწინებს რა, უწინარეს ყოვლისა, კონკრეტიზაციას) მოითხოვს, რომ გაზომვადი და მრავალგანზომილებიანი მიზნების შემთხვევაში, ეკონომიკური პოლიტიკის მიზნის დეფინიციის აგრეგირებადი მახასიათებლები რაც შეიძლება სრულად გამოხატავდეს მიზნის შინაარსს. აქედან გამომდინარე, მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი გაზომვაში სხვაობა ანუ განსხვავება მიზნის შინაარსსა და გაზომვის ინსტრუქციით დადგენილ სტანდარტს შორის.

გაზომვაში სხვაობის მიზეზებია: 1. მიზნის შინაარსის მრავალმნიშვნელოვნება და აქედან გამომდინარე, სხვადასხვა სტანდარტის არსებობა; 2. სტანდარტის დადგენასთან დაკავშირებული სიძნელეები, რომლებიც აუცილებლად წარმოიშობა მიზნის შინაარსის მახასიათებლების დადგენისას.

3. არა მარტო დასაშვებია ორივე მიზეზის კომბინაციები, არამედ, როგორც წესი, სწორედ ასეთ კომბინაციებს ვხვდებით ხოლმე. გაზომვაში სხვაობებს ისინიც ითვალისწინებენ, ვინც გარკვეულ მიზნებს ისახავს ან ამ მიზნების შესაბამისად მოქმედებს. ასეთი ვითარებაა როდესაც: მიზნები ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციებიდან გამომდინარე საყოველთაო და გრძელვადიან პრინციპებს ემყარება და იმ საზღვრებს ხვდება, რომელებშიც პრაქტიკული პოლიტიკა ხორციელდება. კომპრომისი კონკურენტულ მიზნებს შორის წინასწარ არის შეზღუდული და შეუძლებელია მიზნის შინაარსთან დაკავშირებით ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფების სრულყოფილი გაერთიანება.

მიზანშეწონილია ოპერაციონალიზების პრობლემა პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის მიზანთა საშუალებით განვმარტოთ. შინაარსის მხრივ ტიპურია „შემოსავლებისა და სიმდიდრის უფრო სამართლიანი განაწილების" მიზანი. საკმაოდ მრავალმნიშვნელოვანია ჩვენს მიერ უკვე განხილული ალტერნატივები, რაც გულისხმობს სამართლიანობის ორად დაყოფას: სამართლიანობა წვლილის (დამსახურების) და მოთხოვნილების მიხედვით. ამიტომაც, შემოსავლებისა და სიმდიდრის განაწილების შესახებ შეხედულებები სხვადასხვა მიზნობრივი შეფასებების ფორმით ყალიბდება. ზემოხსენებული პრაქტიკული მიზანი – „უფრო სამართლიანი განაწილება" – იმ განსხვავებათა საფუძველზე აიხსნება, რომლებიც უკვე არსებობს ეკონომიკურ აგენტებს შორის შემოსავლებისა და ქონების განაწილების სახით. შესაძლებელია, რომ დაკვირვებების საფუძველზე ჩამოყალიბებულმა ვერც ერთმა მოსაზრებამ სრულყოფილად ვერ განსაზღვროს ყველასთვის სასურველი სამართლიანობის ფორმა. ამ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რაც უფრო ნაკლებად არათანაბრადაა განაწილებული შემოსავლები და ქონება, მით უფრო სამართლიანია ამგვარი განაწილება.

სტანდარტის დადგენასთან დაკავშირებული სიძნელეები თავს იჩენს სხვა მიზნებთან დამოკიდებულებაში. თუ „სტაბილური ფასების" მიზნის შემთხვევაში მაქსიმალურად ბევრი პროდუქტის ფასს ავიღებდით და ერთმანეთს შევადარებდით მათ დონეებს, აუცილებლად დავუშვებდით უზუსტობას, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა ფასების ინდექსის დადგენასა და გრძელვადიან პერიოდში მის საიმედოობასთან. კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს „საგარეო ეკონომიკური წონასწორობა". იგი დამოკიდებულია რამდენიმე წინაპირობის არსებობაზე. ამ წინაპირობებში შედის ფიქსირებული სავალუტო კურსი, რაც განაპირობებს ქვეყნის სავალუტო კურსისა და რეზერვების სტაბილურობას. მეორე მხრივ, ასეთ სტაბილურობას არ უნდა ვაღწევდეთ სახელმწიფო ტრანსაქციების შემცირებით ან სხვა მანიპულაციებით. მაგ., როდესაც არსებობს მზარდი ტენდენცია იქითკენ, რომ უცხოური ვალუტის შემოდინების საკომპენსაციოდ სახელმწიფო იმპორტი

გაიზარდოს ან/და კერძო იმპორტის მიმართ საგადასახადო დისკრიმინაცია განხორციელდეს. ამ შემთხვევაში გაზომვის ოპერაციისათვის აუცილებელი იქნებოდა ყველა საანგარიშსწორებო ბალანსის იდენტიფიცირება და გაანალიზება.

მიზნის მრავალმნიშვნელოვანმა განმარტებამ და მასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ შესაძლებელია თავი იჩინოს იმაში, რომ მაგ., დასაქმების მიზანი აიხსნას „დასაქმების მაღალი დონის" მიღწევის მიხედვით. მაგრამ საქმე ის არის, რომ დასაქმების დონის ზუსტი მაჩვენებლის დასადგენად (მისი სტრუქტურული ცვლილების გათვალისწინებით) უნდა ვიცოდეთ თუ როგორ ფუნქციონირებს დასაქმების ბაზრები და რამდენად არიან ან იქნებიან ისინი გაჯერებული. ამ მიზნებთან დაკავშირებით გამოცდილება შესაძლებელია შეცდომის წყაროდ იქცეს. მაგ., წარსულში განვითარებულ ქვეყნებში უმუშევრობის კოეფიციენტს უილიამ ბევერიჯის „მაგიური" ფორმულით ითვლიდნენ (სამი უმუშევარი ყოველ ას ადამიანზე). შესაძლებელია ეს ფორმულა ადრე ამართლებდა, მაგრამ დღეს მისი გამოყენება არაეფექტიანია (თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში იგი დღესაც ძალაშია).

კონკურენტულ მიზნებს შორის კომპრომისი ძნელად მიიღწევა ისეთ ფენომენთან მიმართებაშიც, როგორიცაა „სტაბილური და თანაბარზომიერი ეკონომიკური ზრდის" უზრუნველყოფა. სახელმწიფოში თანაბარზომიერი ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია სხვა მიზნებზე, რომლებსაც საქმე აქვს სწორედ ზრდის „ხარისხის" განსაზღვრასთან. ამ შემთხვევაში სხვა მიზნების მიღწევაზე დანახარჯები ეკონომიკური ზრდის ალტერნატიულ დანახარჯებს წარმოადგენს. ახალი მიზნის განსაზღვრისათვის კი აუცილებელი იქნებოდა ახალ-ახალი კომპრომისები. მიზანთა კონფლიქტი, რომელიც ყოველთვის ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტთანაა დაკავშირებული, განმარტების თვალსაზრისით მოითხოვს გარკვეულ სიზუსტეს მიზნის შინაარსის შესახებ.

ოპერაციონალიზების პრობლემა დაკავშირებულია იმასთან, თუ რა პოზიცია უკავია პოლიტიკური გადაწყვეტილების გამტარებელს ეკონომიკისა და საზოგადოების ფორმირებისა და განვითარების პროცესებთან დაკავშირებით (Kirsch, 1977, გვ. 612): მოთხოვნისა და ცოდნის მიხედვით აქტიური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება გადაწყვეტილების გამტარებლისაგან მოითხოვს, რომ მას ჰქონდეს ოპერაციონალიზებული მიზნები (ალოპლასტიკური პოლიტიკა); ეკონომიკასა და საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებთან რეაქტივული შესაბამისობა გულისხმობს ღია და ნაკლებად ოპერაციონალიზებულ მიზნებს (ავტოპლასტიკური პოლიტიკა).

რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც ალოპლასტიკურობასა და ავტოპლასტიკურობას შორის შუალედური პოზიცია უკავია, დამოკიდებულია იმაზე, თუ:

• მართვის რა უნარ-ჩვევები აქვს ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელს, რომელთა საფუძველზეც იგი შეძლებს სამომავლო მოქმედების შესაძლებლობათა (დაგეგმვას) შეფასებას;

• რას ფიქრობს გადაწყვეტილების გამტარებელი ინოვაციათა შესახებ. მიაჩნია თუ არა მას, რომ ინოვაციები, სულ მცირე, ნეგატიურ ზეგავლენას არ ახდენენ განსაზღვრულ მიზნებზე;

• რას უნდა გაუწიოს ანგარიში ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელმა იმ შემთხვევაში, თუ ა) გადაწყვეტილების ფორმირების მისეული მცდელობა მარცხით დასრულდება და ბ) მასთან დაკავშირებული დანახარჯების კომპენსირების შესაძლებლობაც გამორიცხული იქნება.

მიზანთა ურთიერთდამოკიდებულება

აქამდე ისეთი მიზნები განვიხილეთ, რომლებიც ერთმანეთთან ვერტიკალურ ურთიერთობაში იყო ან/და საუბარი ეხებოდა ისეთ მიზნებს, რომლებიც სხვა მიზნების მიმართ საშუალებებად (ინსტრუმენტებად) გამოიყენება. რაც შეეხება ჰორიზონტალურ მიზანდამოკიდებულებებს, ისინი ლოგიკური ბუნებით ხასიათდებიან ან საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებულ გვერდითი მოვლენების შედეგებს წარმოადგენენ და ტექნოლოგიურ და ემპირიულ ხასიათს ავლენენ. ამ მიზანთა ლოგიკური ურთიერთობებია: იდენტურობა, თავსებადობა ან/და არათავსებადობა (ანტინომია). ტექნოლოგიური ხასიათი აქვთ: კომპლემენტარულობას (ჰარმონია), დამოუკიდებლობასა (ნეიტრალურობა) და კონკურენციას (კონფლიქტი).

მიზანდამოკიდებულებათა ლოგიკური ანალიზი მოცემულია დებულებებში, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება მიზნების შინაარსობრივი დახასიათება. იდენტურობის შესაძლებლობასთან საქმე გვაქვს მაშინ, როცა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ორი ან მეტი მიზანი ერთმანეთისაგან შინაარსობრივად არ განსხვავდება. ასე რომ, უმუშევრობის თავიდან აცილება და სრული დასაქმება შესაძლებელია იდენტურ მიზნებად განვიხილოთ. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან მხოლოდ სხვადასხვა მიდგომის საფუძველზე. ოპერაციონალიზების ასპექტით შინაარსობრივი განსხვავება არც „ცხოვრების სტანდარტის აწევის“ მიზანსა და „რეალური შემოსავლების მაღალი და მუდმივად მზარდი დონის“ მიღწევის მიზანს შორის არსებობს. ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემებთან დაკავშირებულ დისკუსიებში ამ მიზანთა ტავტოლოგიური ხასიათი ბუნდოვანია.

„ფულის ღირებულების სტაბილურობა“ და „ინფლაციისა და დეფლაციის თავიდან აცილება“ შინაარსობრივად იდენტური მიზნებია. ასე, რომ ის

ტაქტიკური განსხვავებები, რომლებიც ამ ტერმინებს უკავშირდება მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური დისკუსიების შედეგია.

თავსებადობა გვიჩვენებს თუ რამდენად წინააღმდეგობრივია დებულებები, რომლებიც მიზნებს გამოხატავენ. მაგ., თავსებადია ფასების დონის სტაბილურობა და დასაქმების მდგომარეობა. არათავსებადობასთან (ანტინომია) საქმე გვაქვს მაშინ, როცა ერთი მიზანი მეორე მიზნის საწინააღმდეგო შინაარსისაა და მის უარყოფას გულისხმობს. ასეთი წინააღმდეგობის პრაქტიკული შედეგია ის, რომ არც ერთი და არც მეორე მიზნის რეალიზება არ არის შესაძლებელი. ლოგიკურად არათავსებადია ავტარკია (საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების არარსებობა) და შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობებით სარგებლობა. რამდენიმე მიზნის ერთდროულად განხორციელების შესაძლებლობის წინაპირობა სწორედ მათი ლოგიკური თავსებადობაა. თუმცა ასეთი მცდელობა მარცხით სრულდება, როგორც კი მოვინდომებთ კონკრეტული საშუალებებით მათ ერთდროულ რეალიზებას. ამ შემთხვევაში ერთ მიზანთან მიახლოვება დანაკარგებს იწვევს სხვა მიზნებთან მიმართებაში (კონკურენცია, მიზანთა კონფლიქტი). იგივე უნდა ითქვას ფასების სტაბილურობის დონესა და დასაქმების მდგომარეობასთან დაკავშირებით. ამასთან, ვნახავთ რომ მიზანთა კონფლიქტს ის ტექნოლოგიური დამოკიდებულებები წარმოშობს, რომლებიც მაკროეკონომიკური ასპექტით მიზნებსა და საშუალებებს შორის არსებობს.

რაც შეეხება დამოუკიდებლობას (ნეიტრალურობა), იგი შესაძლებელია მხოლოდ სხვა მიზნებისაგან განყენების საფუძველზე. მაგრამ მას უპირისპირდება ეკონომიკური მოვლენების ურთიერთდამოკიდებულება. რაც უფრო მეტია მიზეზ-შედეგობრივად განპირობებული მოვლენებისა და ურთიერთდაკავშირებული მიზნების რაოდენობა, მით უფრო იზრდება არანეიტრალური დამოკიდებულებების ალბათობა. ურთიერთდაკავშირებული მიზნების არსებობა კი იმ გვერდითი მოვლენების შედეგს წარმოადგენს, რომელსაც სხვადასხვა საშუალებების გამოყენება იწვევს. უმუშევრობის შემცირებისა და წარმოების მოცულობის ზრდის შემთხვევაში დასაქმება და ეკონომიკური ზრდა კომპლემენტარულ (ურთიერთშემავსებელ) მიზნებად გვევლინებიან. კომპლემენტარულობის შესახებ შესაძლებელია მხოლოდ იმ მიზნებთან მიმართებაში ვისაუბროთ, რომლებიც სხვა მიზნების მიღწევის საშუალებებად არ გამოიყენებიან.

მიზნებს შორის კონკურენცია (კონფლიქტი) შეფასების პრობლემებს უკავშირდება, რაც აძნელებს ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებათა მიღებას. ორ კონფლიქტურ მიზანს შორის ურთიერთობის პირობებში საქმე ეხება მაქსიმალური კომპრომისის მიღწევას. თუ არ გავითვალისწინებთ ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მაშინ რეალიზების

ხარისხის თვალსაზრისით ოპტიმალური იქნებოდა კომბინაცია, რომლის დროსაც ამ მიზანთაგან ერთ-ერთთან მიახლოება უფრო მეტ სარგებლობას მოგვიტანდა იმ ალტერნატიულ ხარჯებთან შედარებით, რაც დაკავშირებული იქნებოდა ნებისნიერი სხვა მიზნის მიღწევასთან.

მიზანთა ასეთი კონფლიქტის მაგალითზე ვივარაუდეთ, რომ ფასების სტაბილურობასა და დასაქმების მაღალ დონეს შორის ურთიერთკავშირი არსებობს თუ მხედველობაში მივიღებთ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკის კონვენციონალურ (ტრადიციულ) ინსტრუმენტებს (Samuelson, Solow, 1960). მიზანთა შორის განსხვავებიდან გამომდინარე ფასების დონის ზრდის შემცირების თვალსაზრისით მხედველობაში უნდა მიგველო უმუშევრობის დონის ზრდა. ფიქსირებული სავალუტო კურსის შემთხვევაში დასაქმების მაღალ დონეს, ფასების სტაბილურობასა და საგარეო ეკონომიკურ წონასწორობას შორის დამოკიდებულება გამოიხატება ფრაზით: „მაგიური სამკუთხედი". მაგრამ ამ მიზნებიდან ორი მაინც რეალიზებადი უნდა იყოს.

ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებს შორის ასეთი კონკურენტული (კონფლიქტური) ურთიერთობების მიზეზი ცნობილი გახდება, როდესაც დავადგენთ: 1. თუ რამდენი ინსტრუმენტის გამოყენებაა შესაძლებელი მიზნის მისაღწევად; 2. მიზანთა კომპლექსის განსახორციელებლად როგორ ხდება ინსტრუმენტების გამოყენება მართვის არსებული უნარ-ჩვევების პირობებში; 3. რა გვერდითი მოვლენების (ექსტერნალიების) პირობებში მიმდინარეობს მიზნის რეალიზება.

მიზანთა კონფლიქტის პირველი მიზეზი ის შეუსაბამობაა, რაც დასახულ მიზანსა და მისი მიღწევის საშუალებებს შორის არსებობს. მაგ., როდესაც მოცემულია ორი მიზანი და ერთი საშუალება და ამ უკანასკნელის გამოყენებას ერთ-ერთი მათგანის მიმართ ორივე მიზნისათვის უარყოფითი გვერდითი შედეგი მოაქვს. ამ შემთხვევაში უარყოფითი გვერდითი შედეგების კომპენსირება სხვა ინსტრუმენტის გამოყენებით ხდება. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სწორი რაოდენობრივი თანაფარდობა მიზნებსა და საშუალებებს შორის ეკონომიკური პოლიტიკის წარმატების საწინდარი იყოს. წარუმატებლობას ხშირად ხელს უწყობს, როგორც ინსტრუმენტების შეზღუდული რაოდენობა, ისე გაურკვევლობა გვერდითი მოვლენების ზეგავლენის შედეგებთან დაკავშირებით.

მიზანთა კონფლიქტები (ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებით) მაშინაც წარმოიშობა, როცა უზრუნველყოფილია რაოდენობრივი თანაფარდობა მიზნებსა და საშუალებებს შორის. საქმე ის არის, რომ მართალია, გადაწყვეტილების გამტარებელი წინასწარ ვარაუდობს იმას, თუ რა ზეგავლენა ექნება მის მიერ ინსტრუმენტების გამოყენებას, მაგრამ თავიდან შეუძლებელია იმის გათვალისწინება - შეძლებს თუ არა იგი სხვა მიზანთა რეალიზების

დონის ფაქტობრივ გაკონტროლებასაც. ეს პრობლემა თვალსაჩინო გახდება დასაქმების მაღალ დონესა და ფასების სტაბილურობას შორის დამოკიდებულების მაგალითზე, როცა ორივე მიზნის რეალიზებას მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტებით ვცდილობთ. მაკროეკონომიკური თეორიის მიხედვით, როგორც ერთი, ისე მეორე ერთობლივი მოთხოვნის მართვის მიზნით გამოიყენება. თეორიული ასპექტით სრულიად მარტივი რამ იგულისხმება: შრომის მწარმოებლურობაზე მოთხოვნა და მიწოდება განსაზღვრავს ხელფასის დონეს. სახელფასო დანახარჯები ზეგავლენას ახდენს ფასწარმოქმნასა და შემოსავლებზე, ორივე ერთად კი – ერთობლივი მოთხოვნის ჩამოყალიბებაზე. შრომის მწარმოებლურობაზე მოთხოვნა – საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის საფუძველზე წარმოიქმნება. მაგრამ საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის საშუალებით ისე უნდა ფასდებოდეს, რომ ჩვენთვის გასაგები გახდეს: 1. თუ რა მდგომარეობაა შრომის ბაზარზე და 2. როგორ ხდება მის საფუძველზე ხელფასის ზრდა, რაც თავის მხრივ, თავსებადი უნდა იყოს ფასების დონის სტაბილურობასთან. ამავე დროს საქონელსა და მომსახურებაზე დოზირებულმა ერთობლივმა მოთხოვნამ უნდა მოაწესრიგოს (დაასტაბილუროს) მიმწოდებლის საფასო პოლიტიკა. უნდა შევეცადოთ, რომ ფასებისა და დასაქმების ფაქტიური დონე მხოლოდ ერთობლივ ეკონომიკურ მოთხოვნაზე ზემოქმედების (ცვლილებათა) საშუალებით ვმართოთ. ამასთან, მიწოდების პირობების მართვა უკანა საფეხურზე გადადის. საკითხის მოცემული ლოგიკით განხილვა ნიშნავს, რომ მიზანთა კონფლიქტი (თუ სხვა ხელისშემშლელ ზეგავლენებზე არაფერს ვიტყვით) წინასწარ არის დაპროგრამებული საგარეო ეკონომიური ურთიერთობების საფუძველზე. ეს ისეთი მდგომარეობაა, როდესაც ფასების ზრდა არ ემყარება მოთხოვნის გააქტიურებას (თუმცა გამორიცხული არაა), არამედ დაფუძნებულია როგორც მიმწოდებლის დისპოზიციებზე, ისე საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე. მიმწოდებელთა ორივე ჯგუფს ნომინალური მოთხოვნების მიხედვით თუ შევაფასებთ, მოთხოვნის დოზირება, რომელიც სტაბილურობისადმი კონფორმულობით ხასიათდება, სხვა არაფერია თუ არა დეფლატორული წნეხი და რაოდენობის რეაქცია (უმუშევრობა ანდა გამოუყენებელი სიმძლავრეები). ამით ცნობილი ხდება, რომ შესაძლებელია რეალური ხელფასის მაღალ დონესა (ხელფასის არაპირდაპირი დანახარჯები, როგორიცაა სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების ხარჯები) და დასაქმებას შორის კონფლიქტის მიზეზები ბევრად უფრო ღრმა იყოს, ვიდრე ეს ზედაპირულად ჩანს. სხვა მხრივ, შეუძლებელია ამ ორ მიზანს შორის გრძელვადიანი კომპრომისის მიღწევა, როდესაც მიმწოდებელთა ჯგუფები ცდილობენ თავიანთ ნომინალურ მოთხოვნებში ინფლაციის დასაშვები სიდიდე გაითვალისწინონ.

დასაქმების მდგომარეობა და ფასების სტაბილურობის დონე იძლევა იმის ახსნის საშუალებას, თუ რატომ წარმოიშობა გვერდითი პირობების საფუძველზე კონკურენტული ურთიერთობების შესაძლებლობა. როგორც ითქვა, კონფლიქტის მოსალოდნელობა - ამ შემთხვევაში - იქედან გამომდინარეობს, რომ ორივე ინსტრუმენტი გავლენას ახდენს მოთხოვნაზე, მაშინ როცა მიწოდების დისპოზიციები კერძო პირთა დამახასიათებელი მოვლენა ხდება. საქონლისა და მომსახურების მიმწოდებლები უშუალოდ შეფერხებას არ განიცდიან იმ მხრივ, რომ განაწილების კონფლიქტის ფარგლებში ფასებისა და ხელფასის ზრდის ისეთი ღონისძიებები განახორციელონ, სტაბილიზაციის ინტერესებს რომ ეწინააღმდეგება. პირიქით ცდილობენ, რომ საბაზრო ძალაუფლებისათვის დამახასიათებელი დაპირისპირებანი მოთხოვნის შემცირების საშუალებით ფასების სტაბილურობის მიღწევის სასარგებლოდ შეასუსტონ. ამ პროცედურამ შესაძლებელია ისეთი სახე მიიღოს, რომ მის საფუძველზე თავისუფალი ფასწარმოქმნისა და სატარიფო ავტონომიის გვერდითი პირობებიც კი შესრულდეს. მიზნებს შორის კონკურენციის შესუსტება თუ მისი თავიდან აცილება ამ პროცედურის გაუქმების გარეშე მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გამოყენებული იქნება ისეთი ინსტრუმენტი, რომელიც ამ პროცესში მიმწოდებელსაც ჩართავს. სხვას არაფერს ნიშნავს შემოსავლების პოლიტიკისათვის ქმედითობის მინიჭება; მნიშვნელობა არ აქვს თუ როგორ მოხდება ეს: საინფორმაციო პოლიტიკის თუ ნებაყოფლობითი თანხმობის საფუძველზე. ასეთი ძალისხმევა იქედან გამომდინარეობს, რომ თვითონ მიმწოდებლებს აქვთ შესაძლებლობა, რელევანტური ეკონომიკურ-პოლიტიკური მონაცემები გააანალიზონ და ერთმანეთთან ითანამშრომლონ.

თავი 5. ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები და მათი გამოყენების კრიტერიუმები

მიზანთა ოპერაციონალიზების პრობლემების და მათ შორის ლოგიკური და ტექნოლოგიური ურთიერთობების გაანალიზების შემდეგ მიზანშეწონილია ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემები ინსტრუმენტების თვალსაზრისით განვიხილოთ. რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა მრავალფეროვან საშუალებებს მოიცავს. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ რა ზეგავლენას ახდენენ ისინი ეკონომიკურ მოვლენებზე მათი რეგულირების ასპექტით და არა ის, თუ როგორ ხდება მათი მეშვეობით ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანების გაცნობიერება. როცა მართვის შესაძლებლობათა სპექტრი დაკონკრეტებულია და იგი სისტემურ კავშირშია ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების კატალოგთან, ყალიბდება მიზანი - საშუალება - სისტემები. ასეთი სისტემა შეიძლება იყოს მეტ-ნაკლებად მდგრადი, მომცველი და გრძელვადიანი. განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი სისტემები, რომლებიც ყველა სახის ეკონომიკურ-პოლიტიკურ აქტივობასთან მიმართებაში ორიენტირის, გზამკვლევისა თუ მიმართულების მიმცემის ფუნქციას ასრულებს; საუბარია სწორედ ეკონომიკურ-პოლიტიკურ კონცეფციებზე.

ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების კატეგორიები

რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაში ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტარიუმის სისტემატიზაციის სხვადასხვა წესი არსებობს (იხ. Tuchtfeldt, 1957). ყველაზე მოსალოდნელი იქნებოდა ისეთი წესი, რომელიც ფუნქციურად განასხვავებს ერთმანეთისაგან ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანების სფეროებს. საქმე ეხება, როგორც წესრიგის, ალოკაციისა და სტაბილიზაციის პოლიტიკის, ასევე განაწილების პოლიტიკის ინსტრუმენტებს. აქედან გამომდინარე, თუკი შევეცდებოდით ინსტრუმენტების განაწილებას ამოცანათა სფეროების მიხედვით, მაშინ იძულებული გავხდებოდით წინასწარ შეგვეფასებინა ის ძირითადი და თანხმლები მოვლენები, რომლებსაც წარმოშობს ინსტრუმენტების გამოყენება.

შემოთავაზებული კლასიფიკაცია, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური სუბიექტების ქცევაზე ორიენტირებულ პოზიციას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ გარემოებას, რომ მართვის ყველა სოციო-ეკონომიკური ტექნოლოგია, საბოლოო ჯამში, შეფასდება იმ რეაქციით, რომელიც ექნებათ მათზე ეკონომიკურ სუბიექტებს (Dahl, Lindblom, 1953, გვ. 97). სწორედ ეს იწვევს გაურკვევლობას იმის თაობაზე, თუ როგორ წარიმართება ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენება და რა შედეგები

მოჰყვება მას. ამასთან, თავიდანვე უნდა უარვყოთ მოსაზრება, რომ ეკონომიკის მართვის პრობლემები თითქოს მხოლოდ მექანიკურ გადაწყვეტას ექვემდებარებოდეს.

შესაძლებელია, ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ინსტრუმენტთა შემდეგი ზოგადი კატეგორიები (Giersch, 1961/90, გვ. 312; Dahl, Lindblom, 1953, გვ. 99): მიზანზე პირდაპირი ზემოქმედების ინსტრუმენტები და ინსტრუმენტები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ეკონომიკური სუბიექტების ქცევაზე (არაპირდაპირი მოქმედების ინსტრუმენტები).

პირდაპირი მოქმედების ინსტრუმენტთა გამოყენების უშუალო შედეგი, იმ პირობებში, როცა სხვა ყველაფერი უცვლელი რჩება, არის დასახულ მიზანზე ზემოქმედება. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის რეაქციები, რომლებიც მათ გამოყენებაზე ექნებათ კერძო ეკონომიკურ ერთეულებს. ასეთ რეაქციებს შეუძლიათ გააძლიერონ ანდა შეასუსტონ მიზანზე უშუალო ზემოქმედება. რაც შეეხება არაპირდაპირი მოქმედების ანუ ეკონომიკური სუბიექტების ქცევაზე ზეგავლენის მომხდენ ინსტრუმენტებს, ისინი, პირიქით, ხელს უწყობენ კერძო ეკონომიკური ერთეულების მხრიდან მიზნისადმი კონფორმული რეაქციების წარმოშობას. ამრიგად, ინსტრუმენტთა ასეთი ვარიაციები სხვა არაფერია, თუ არა ქმედითი სტიმულები, რომლებიც ხელსაყრელ შემთხვევაში ეკონომიკური გეგმების მიზნისადმი კონფორმული ცვლილებების საშუალებას იძლევიან.

მიზანზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელია, როდესაც: ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისი უზრუნველყოფა სახელმწიფოს უშუალო ჩარევით ხდება; შემოსავლების მიღებისა და გაზრდის შანსები უშუალოდ იცვლება კონიუნქტურის გაუარესების ან გაუმჯობესების გზით; ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციები ისე მოქმედებენ, როგორც ბაზრის გავლენიანი მონაწილენი. ისინი ცდილობენ უშუალო ზემოქმედება მოახდინონ საბაზრო შედეგებზე, როგორც მიზნობრივ სიდიდეებზე. ბაზრის მონაწილეთა ქცევა კონტროლდება და უშუალოდ სასურველ საბაზრო შედეგებზეა მისადაგებული.

ბაზრის შესაბამისი უზრუნველყოფა (მისი შევსება) მაშინ ხდება, როცა კოლექტიური საქონელი სახელმწიფო ინსტანციებში ან მათი შეკვეთით მზადდება, რასაც - როგორც მოსალოდნელია - უშუალო ზეგავლენა ექნება კეთილდღეობის მიზანზე. ამასთან, შესაძლებელია, რომ კოლექტიური საქონლის მიწოდებით საერთოდ ბაზარზე ფუნქციონირებისუნარიანი საქონლის მიწოდების პირობებიც გაუმჯობესდეს. ასეთი კომპლემენტარული ურთერთობა, უპირველეს ყოვლისა, მატერიალურ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით არსებობს. ამიტომ იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც ქცევაზე ზეგავლენის ინსტრუმენტიც. ასეთი რამ ხდება, როცა რეგიონული განვითარების მიზნის მისაღწევად წინასწარ აუმჯობესებენ მატერიალურ ინფრასტრუქტურას იმ იმედით, რომ კერძო ინვესტორებს მოიზიდავენ.

არსებობს ფისკალური ინსტრუმენტების მთელი რიგი, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება შემოსავლების მიღების შესაძლებლობათა ცვლილებები. ამ შემთხვევაშიც დიდი მნიშვნელობა აქვს კერძო ეკონომიკური ერთეულების რეაქციებს (სტიმულის პრობლემა); საქმე ეხება იმას თუ რამდენად არის გათვალისწინებული, ერთი მხრივ, გადასახადებისაგან თავის არიდების ფორმები; მეორე მხრივ კი შრომითი შემოსავლების ტრანსფერული შემოსავლებით ჩანაცვლების შესაძლებლობა.

ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციები მოქმედებენ, როგორც ბაზრის გავლენიანი მონაწილეები, როცა ისინი ინტერვენციის მეშვეობით ცდილობენ ცალკეულ ბაზრებზე შედეგების (ფასების) სტაბილურობას მიაღწიონ. სტაბილიზაციის ასეთმა მცდელობამ შესაძლებელია შედეგად მოიტანოს ის, რომ არასტაბილურობის წინააღმდეგ მიმართულმა კერძო ინიციატივებმა მარცხი განიცადონ სახელმწიფო ინსტანციების მასტაბილიზებელ ზემოქმედებასთან კონკურენციაში.

მიზანზე პირდაპირი ზემოქმედების მაგალითია, როდესაც სახელმწიფოს საინვესტიციო აქტივობის ცვლილებები მთელ ბაზარზე ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებებს იწვევს. ასეთი რამ, როგორც წესი, იმ იმედით ხდება, რომ მოთხოვნის სახელმწიფოებრივი ცვლილება სტიმულს მისცემს კერძო მწარმოებელთა რეაქციებს (მულტიპლიკატორული და აქსელერატორული ზემოქმდებები), რომლებიც გააძლიერებენ მიზანზე ზემოქმედებას. ქცევაზე ზეგავლენის ინსტრუმენტთა შეზღუდვის, განსაკუთრებით ცალკეული ეკონომიკური გეგმის მონაცემების გაკონტროლების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ მოსალოდნელი არაპიდაპირი ზემოქმედება შესაძლებელი ხდება მიზანზე პირდაპირი ზემოქმედების ინსტრუმენტის გამოყენებით.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლის ფასებზე ანტისაბაზრო მანიპულირების (დაბალი ფასების უზრუნველსაყოფად) განსახორციელებლად აუცილებელია, რომ სახელმწიფო ინსტანციებმა გავლენიანი მყიდველის როლი ითამაშონ. ამ შემთხვევაში მათი მიზანია პროდუქტის ერთეულზე შემოსავლის გაზრდით წარმოების შემოსავლები გაზარდონ. მაგრამ სინამდვილეში საქმე გვაქვს ფარულ სუბსიდირებასთან, რომელსაც საეჭვო შედეგი მოაქვს. შემოსავლები მოცემული დანახარჯების პირობებში მხოლოდ მაშინ გაუმჯობესდება, თუ ერთ ერთეულზე მიღებული შემოსავლის ზრდა არ იქნება კომპენსირებული მოთხოვნის შემხვედრი რეაქციით. მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ამ პროცესს აფერხებს გარანტირებული სახელმწიფო შესყიდვები. ფასების ასეთ გამყარებას შესაძლებელია პოზიტიური შედეგიც ჰქონდეს წარმოების სტიმულების გაზრდის სახით; თუმცა ჭარბი ინვესტირება ხელს უწყობს ამგვარი სტიმულების განელებას. შემოსავლების პოლიტიკით მოტივირებული ფასების მანიპულაციას საფრთხეს უქმნის კერძო სექტორის რეაქცია, რომელსაც მიზანზე

პირდაპირი ზემოქმედება (ფასების აწევა) იწვევს. ამიტომაც აუცილებელი ხდება, რომ სიჭარბის ძვირადღირებულ აკუმულირებას და მის სხვა საშუალებებით დაკლებას, ახალი არასასურველი შედეგებით (მაგ., მღელვარება მსოფლიო აგრარულ ბაზარზე) წარმოების სახელმწიფოებრივად კონტროლირებადი (სუბსიდირებული) შემცირება დავუპირისპიროთ. ინვესტიციებს ასეთი ჯაჭვური რეაქციები მოჰყვება ხოლმე, როცა გაცვლის კურსის სტაბილიზებას ანტისაბაზრო პარიტეტებით ცდილობენ.

როდესაც ბაზრის მონაწილის (მწარმოებლის) ქცევა კონტროლირებულია და ბაზრის შედეგზეა ორიენტირებული, ჩვენს წინაშეა სახელმწიფო რეგულირების განსაკუთრებული ფორმა. ამგვარი რეგულირების კიდევ ერთი მაგალითია წარმოების მოცულობის სახელმწიფო კონტროლი სოფლის მეურნეობის სექტორში და ფასების კონტროლი დაზღვევის სფეროში.

კერძო ეკონომიკური სუბიექტების ქცევაზე ზემოქმედი ინსტრუმენტები შემდეგნაირად შეიძლება დაიყოს:

• საინფორმაციო პოლიტიკა არსებული და სამომავლო მდგომარეობის შესახებ - ინფორმაციის მიწოდების გზით;

• მიზნის შესახებ წარმოდგენების კორექტურის მცდელობა (მორალური რისკი);

• ცალკეული ეკონომიკური გეგმის მონაცემების, საბაზრო ფასებისა და ბაზრის ინსტიტუციური პირობების ცვალებადობა;

• ნებაყოფლობითი თანხმობა;

• იძულება.

ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებისათვის არსებული მდგომარეობის ახსნით და ინფორმაციის მიწოდებით იმ საინფორმაციო საფუძვლების გაუმჯობესებას ცდილობენ, რომელზე დაყრდნობითაც კერძო ეკონომიკური სუბიექტები თავიანთ გადაწყვეტილებებს იღებენ. ეს პროცედურა ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ მცდარი წარმოდგენების კორექტურასაც გულისხმობს. მცდარი შეფასებების საფუძველი კი ის არის, რომ საკომუნიკაციო სისტემის ბაზარს ძალზე ბევრი დრო ჭირდება, რათა მდგომარეობის ცვლილების შესახებ გვაცნობოს. ამგვარი ინფორმირებულობის შესაძლო სარგებლიანობაზე მეტყველებს ჩვენს მიერ ადრე დამოწმებული მაგალითი ცალკეული ბაზრების არასტაბილურობის თაობაზე. მაკროეკონომიკური სტაბილიზების ასპექტით ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს განვითარებულ ქვეყნებში მთავრობების მიერ ყოველი წლის დასაწყისში წარმოდგენილი ანგარიშების დიაგნოსტიკური ნაწილები (ეკონომიკური სტაბილურობისა და ზრდის შესახებ კანონი). გარდა ამისა, არსებული მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციას შეიცავს საქონლის შემოწმების შესახებ მასალების პუბლიკაცია, რომელიც ხელს უწყობს ბაზრის გამჭვირვალობას. საინფორმაციო პოლიტიკის წარმატების საწინდარი ის არის,

რომ ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლის ინფორმირებულობის დონე ფაქტობრივად აღემატება კერძო ეკონომიკური სუბიექტების ინფორმირებულობის დონეს.

მომავალი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას მაშინ აქვს აზრი, როცა ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელს ხელი მიუწვდება ისეთ ინფორმაციაზე, რომელიც არ არის ცნობილი კერძო ეკონომიკური გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტებისათვის (1) ანდა მისი მოპოვება ძალიან ძვირი ჯდება (2); ინდივიდთა ერთობლიობისათვის საჭირო ინფორმაციაზე გაღებული ხარჯები გამართლებულია (ინფორმაციის არასაკმარისობა ინდივიდების მომჭირნეობის გამო). როცა საბაზრო კოორდინაციას შევსება ესაჭიროება და ასეთი რამ შესაძლებელიცაა, მაშინ ღირს კიდეც სათანადო ინფორმაციის მოპოვება. მაგ., შეგვიძლია დავასახელოთ ორიენტაციის ის ფუნქცია, რომელსაც მოთხოვნილების ანალიზი ასრულებს პროფესიის არჩევის საქმეში და რეგიონული პროექტები, რომლებიც იმავე ფუნქციას ასრულებენ სამუშაო ადგილების არჩევის პროცესში. მაგრამ მეორე მხრივ, ამ შემთხვევაში აუცილებელია კარგად გვქონდეს გაცნობიერებული საინფორმაციო პოლიტიკის საზღვრები. იგივე უნდა ითქვას მომავლის შესახებ ინფორმირებულობის ასპექტითაც. ამ შემთხვევაში საქმე ეხება იმას, რომ გვერდი ავუაროთ ოპტიმიზმისა და პესიმიზმის მადესტაბილიზებელ ტალღებს.

მომავლის შესახებ ინფორმირებულობა ასევე გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას იმის თაობაზე, თუ ეკონომიკური პოლიტიკის რა ზომების მიღებაა გათვალისწინებული (პროგრამული ინფორმაცია). ამგვარი ინფორმაცია სასარგებლოა იმ მხრივ, რომ იგი საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ ეკონომიკური პოლიტიკის მონაცემების დაგეგმილი ცვლილებების მიზანსა და შინაარსთან დაკავშირებული გაუგებრობები. აქედან გამომდინარე, იგი შემავსებელი ინსტრუმენტია, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ზომების შევსებას ემსახურება. ამ ინსტრუმენტის საშუალებით შესაძლებელია სხვა ზომებისათვის დამახასიათებელი მერყეობის განეიტრალება. რაც შეეხება ყოველწლიურ ანგარიშს, ის არა მარტო არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის, არამედ პროგრამული ინფორმაციის წყაროცაა. ამავე ფუნქციას ასრულებენ ქვეყნის მხარეების განვითარების გეგმები რეგიონული სტრუქტურული განვითარებისა და ზრდის სფეროებში. ამ ინსტრუმენტის ბოროტად გამოყენების მაგალითია, როცა სავალუტო კურსის ფიქსირებული (უფრო ზუსტად: მოუქნელი) სისტემა არ უშვებს კორექტურის შესაძლებლობას.

ინფორმაციის ობიექტური შინაარსი მოიცავს ასეთი კორექტურის მცდელობების ანდა მორალური რისკის დახასიათებას. რაც შეეხება რჩევებს, ისინი კრიტიკულ გაფრთხილებასაც გულისხმობენ, რომ მიზანშეწონილია ინდივიდების ანდა ჯგუფების წარმოდგენები მიზნების შესახებ ეკონომიკური

პოლიტიკის მიზნების ინტერესებიდან გამომდინარე შეიცვალოს. ასეთ ფუნქციას ასრულებენ ხელფასის არასავალდებულო განაკვეთები, რომლებიც იმ მიზნით დაგინდება, რომ ერთმანეთთან მოარიგოს სატარიფო გარიგების მხარეები, რაც - ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციების თვალსაზრისით – ფასების სტაბილურობაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის ინტერესებში შედის. ამგვარ შეგონებათა რიცხვს განეკუთვნება მოწოდება იმის თაობაზე, რომ შეიძინონ სამამულო წარმოების პროდუქტები. საქმე ეხება პრეფერენციების საშუალებით ვაჭრობაზე დაწესებული შეზღუდვების შეცვლას თუ შევსებას. დამაჯერებელია თუ არა ასეთი შეგონებები მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ოსტატურად არის წარმოდგენილი ეკონომიკური პოლიტიკის პოზიცია. შესაძლებელია, რომ კარგად მოფიქრებული არგუმენტაცია მარტივ და სხარტ ლოზუნგადაც კი ჩამოყალიბდეს. ეს გამოიწვევს პოზიტიური ინფორმაციის მოცულობის შემცირებას და შეხედულების მანიპულაციის წინ წამოწევას.

დაგეგმილი მონაცემების ცვლილებისას იმის მოლოდინი არსებობს, რომ კერძო ეკონომიკური სუბიექტებიც შესაბამისად ეკონომიკურად გამოთვლილ და რაციონალურ ცვლილებებს განახორციელებენ. ეს კი მათ ეკონომიკური პოლიტიკის სასურველ შედეგებამდე მიიყვანდა. ამ შემთხვევაში მაჩვენებელთა ცვლილების გზით მიზანზე ზემოქმედება მოსალოდნელია დაგეგმვის კერძო სუბიექტების რეაქციების მხრიდან და არა უშუალო ინტერვენციების მხრივ. ეკონომიკურ-პოლიტიკურად ვარირებადი დაგეგმილი მონაცემებია:

- საბაზრო ფასები და
- ინსტიტუციური საბაზრო პირობები.

ფულადი და საკრედიტო ინტერვენცია ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ ხორციელდება მართვა საბაზრო ფასების ცვლილების გზით. ამ შემთხვევაში ეროვნული ბანკი მისი მონოპოლიური მდგომარეობიდან გამომდინარე არის ფულის მთავარი მიმწოდებელი. ამ გზით იგი ახორციელებს, როგორც საქონელზე მოთხოვნის, ისე მასთან დაკავშირებული ფასებისა და დასაქმების დონის მართვას. მნიშვნელოვან საბაზრო ფასებს წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთები. არა აქვს მნიშვნელობა რა სახისაა ისინი, სხვადასხვა ვადით გაცემული ფულადი კაპიტალის ფასებია, თუ ანაბრების ალტერნატიული ხარჯები. ცნობილია, რომ სახელმწიფოს ცენტრალური ბანკი მინიმალური რეზერვების (სარეზერვო ნორმის) პოლიტიკას ახორციელებს, რომელიც სადისკონტო და ღია ბაზრის საპროცენტო განაკვეთებს ეანაპირობებს. სასაქონლო წარმოების, ფასებისა და დასაქმების სტაბილიზების მიზნებისათვის კი ცენტრალური ბანკის სადეპოზიტო ფულის გამოყენება ხდება (ე.წ. ტრანსემისიების სახით). აშკარაა, რომ ცენტრალური ბანკის მიერ ფულის მიწოდების ამ ორ ასპექტს შორის დამოკიდებულება კომპლექსურსა და

თეორიულად საკამათო საკითხს წარმოადგენს (იხ. Issing, 1996). აქედან გამომდინარე, ძალზე ხშირად იცვლება ხოლმე ის სიდიდეები (ე. წ. ინდიკატორები და შუალედური მიზნები), რომლებზეც ცენტრალური ბანკი ფულის მიწოდების მხრივ არის ორიენტირებული.

საპროცენტო განაკვეთების სუბსიდირება, საექსპორტო კრედიტები, იმპორტზე დადებული გაჟი, გარემოსთვის ზიანის მომტან სასუქებზე მოსაკრებლის დაწესება ან/და კვლევაში დამატებით ჩართული პერსონალის ხარჯების სუბსიდირება უფრო ადვილად შესაფასებელი იქნება, თუ ამ მოვლენებს მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის სახით წარმოვადგენთ. ამ შემთხვევაშიც ფასებზე ზემოქმედება მართვის ღონისძიებათა საშუალებით შეიცვლება. მხოლოდ ამ დროს იარსებებს იმის მოლოდინი, რომ გადაწყვეტილების მიმღებ კერძო პირებს ფასების სტაბილურობის მიზნისადმი კონფორმული რეაქცია ექნებათ. მაგრამ სასურველი რეაქციის გამოწვევა გარანტირებული არ არის. კვლევაში დამატებით ჩართული პერსონალის სუბსიდირებისას გამორიცხული არ არის, რომ მოგვიანებით იგი ამ პროცესში ისედაც ჩაერთვებოდა (ე. წ. გადატანის ეფექტი).

ასეთ პირობებს, უპირველეს ყოვლისა, წესრიგის პოლიტიკა ადგენს. მყარ საბაზრო კოორდინაციას სწორედ ისეთი გარე ინსტიტუტები განაპირობებს, როგორიცაა სახელშეკრულებო კანონმდებლობა, საპროცესო სამოქალაქო სამართალი და საკუთრებითი კანონმდებლობა. ბაზრის ფუნქციონირების პირობებში ცვლილებები კონკურენციის კანონმდებლობას შეაქვს. მას განეკუთვნება კანონი, რომლის საფუძველზე კონკურენციის შეზღუდვა იკრძალება.

პრაქტიკულად ყოველთვის საწინააღმდეგო შედეგს ვიღებთ, როგორც კი კონკურენციის დაცვა კონკურენტის დაცვად გადაიქცევა. ადვილი შესაძლებელია ასეთი რამ მოხდეს საცალო ვაჭრობაში საფასო კონკურენციის რეგულირების დროს. აქ საქმე ეხება, როგორც ბონუსებისა და სადისკონტო პროცენტების რეგულირებას, ისე სავაჭრო ობიექტების დახურვის წესებს. შესაძლებელია სწორედ კონკურენციის ასპექტით, უამრავი სხვა წესიც პრობლემატური იყოს. მაგ., წესები, რომლებიც ბაზარზე თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელთა (არქიტექტორები, აფთიაქრები, მუსიკოსები და სხვ.) გასვლას ანდა ხელოსნებისათვის შესაბამისი სერთიფიკატების მინიჭების პროცედურებს არეგულირებს.

ინსტიტუციური საბაზრო პირობები შესაძლებელია არასატარიფო მოქმედებათა შეზღუდვებად გადაიქცეს. საქმე ეხება ჰიგიენური და ტექნიკური ნორმებისა თუ სხვა სახის ფორმალობების ბოროტად გამოყენებას ბაზარზე შესვლის გაძნელების მიზნით. სხვა მხრივ, ინსტიტუციური საბაზრო პირობების

ზემოქმედება დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად მოქნილსა და მომგებიან რეაგირებას მოახდენენ მათზე ეკონომიკური სუბიექტები.

ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედება თუ უმოქმედობა შესაძლებელია ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელსა და ინტერესთა ჯგუფებს შორის ნებაყოფლობითი შეთანხმების საგნად იქცეს (Dahl, Lindblom, 1953, გვ. 109). აღმასრულებელი ხელისუფლება ეკონომიკურ სუბიექტებთან შეთანხმებას იმ შემთხვევაში ცდილობს, როდესაც ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებს ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტები საფრთხეს უქმნის. ამ ინსტრუმენტის შინაარსის გასაგებად მნიშვნელოვანია გავეცნოთ განვითარებულ ქვეყნებში მოქმედ ნორმებს. მათ შორის გავრცელებულია „ჩარჩო ხელშეკრულება ექსპანსიისა და სტაბილურობის შესახებ". ასეთი ხელშეკრულება სახელმწიფოსა და შრომის ბაზრის მხარეებს (სატარიფო პარტნიორებს შორის) შეთანხმების რეკომენდაციას გვაძლევს. ზოგჯერ სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა კონიუნქტურის მიზნობრივი სტიმულირება, ხოლო შრომის ბაზრის მონაწილეთა მხრივ დათმობა სტაბილიზაციის პოლიტიკის სასარგებლოდ. განვითარებულ ქვეყნებში ასეთი თანხმობის ინსტიტუციურ პლატფორმას წარმოადგენს ეკონომიკური სტაბილურობისა და ზრდის ხელშეწყობის კანონები. ისინი განვითარებისა და ზრდის მიზნის მისაღწევად რეგიონული ხელისუფლების, პროფკავშირებისა და მეწარმეთა გაერთიანებების ერთდროულ და ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებას უწყობს ხელს.

ასეთი შეთანხმების მნიშვნელობის ასპექტით საჭიროა იმის გაცნობიერება, რომ ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლის მიერ მიღწეული შედეგი არადამაკმაყოფილებელი იქნება ინტერესთა ჯგუფების მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ინტერესთა ჯგუფები ეკონომიკური პოლიტიკის გატარების სფეროში ძალაუფლებას ფლობენ და ზეგავლენას ახდენენ სახელმწიფო პოლიტიკაზე. ამით კი იზღუდება ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთა ავტონომია. იმის გათვალისწინებით, რომ დაუშვებელია ინტერესთა ჯგუფების ძალაუფლების შეზღუდვა, ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები შემდეგი ალტერნატივის წინაშე დგანან:

- ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების განხორციელებას ისინი ცდილობენ იმ პირობებში, როდესაც შესაძლებელია ინტერესთა ჯგუფებმა მათზე ზეგავლენა მოახდინონ. ამასთან აცნობიერებენ იმას, თუ რამდენად არიან ინტერესთა ჯგუფები პასუხისმგებელნი იმ ზიანზე, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების განხორციელების ეხება;
- ისინი ცდილობენ ინტერესთა ჯგუფებთან შეთანხმებას იმ საფუძველზე, რომ მიზნის განხორციელებაზე დამზარალებელი ზემოქმედებით თვითონ ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლებიც ზარალდებიან.

ფასების სტაბილურობისა და დასაქმების მაღალი დონის მიზნებს შორის კონფლიქტი პირველი ალტერნატივის გამოხატულებაა. ამ დროს ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელი ფასების სტაბილურობის პირობებში დასაქმების მაღალი დონის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობას საქონლისა და სამუშაოს მიმწოდებლებს აკისრებს. ამ შემთხვევაში ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელი ფასების სტაბილიზების მის ხელთ არსებულ შესაძლებლობებს გამოიყენებდა და შეაფასებდა თუ რამდენად უარყოფითად იმოქმედებდა მიწოდების პირობების დადგენა (როგორც განაწილებასთან დაკავშირებული კონფლიქტების შედეგები) დასაქმებასა და საწარმოო სიმძლავრეების ეფექტიან გამოყენებაზე. ეკონომიკური პოლიტიკის ამ პოზიციასთან დაკავშირებული პრაქტიკული სიძნელეები, უპირველეს ყოვლისა, იქედან გამომდინარეობს, რომ იგი საკმარისად არ ითვალისწინებს დასაქმების პრობლემის სხვადასხვა მიზეზებს მიწოდების მხრიდან სტაბილურობის დარღვევის მოქმედებათა ჩათვლით.

მეორე შესაძლებლობა - შეთანხმება, როგორც ჩანს, პრაქტიკული გონების მოთხოვნაა. კონსტიტუციური პოლიტიკის თვალსაზრისით იგი შეიძლება სხვადასხვანაირად შეფასდეს. ეს ინსტრუმენტი მისი კორპორაციული ასპექტის გამოა სასურველი. სტაბილურობის პოლიტიკა ადასტურებს თავისუფალ საზოგადოებაში ორგანიზებული ინტერესთა ჯგუფების არსებობას. მისი სახით ჩვენ მოვიპოვეთ მოქნილი მეთოდი, რომელიც საზოგადოებაში არსებულ ავტონომიურ ინტერესთა ჯგუფებს ეკონომიკური პოლიტიკის წინასწარ ფორმირებაში მონაწილეობას შეაძლებინებს (Schiller, 1968, გვ. 71). საწინააღმდეგო პოზიციიდან, პირიქით, საეჭვოა ეკონომიკური პოლიტიკის წინასწარ ფორმირებაში, როგორც შეთანხმების მაძიებელი ხელისუფლების წარმომადგენლის, ისე ინტერესთა ჯგუფების, გაერთიანებების მონაწილეობა. განსაკუთრებით საეჭვოა ის თუ რამდენად ლეგიტიმურია ამ პროცესში ხელისუფლების წარმომადგენლის მონაწილეობა. ირღვევა თუ არა ამით დემოკრატიულად და კონსტიტუციურად გარანტირებული უფლება, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებებზე ხელი ყველას უნდა მიუწვდებოდეს? ინტერესთა ჯგუფების, გაერთიანებების მონაწილეობა პრობლემურია იმ მხრივ, რომ მათი შინაგანი სტრუქტურა (პარტიებისგან განსხვავებით) დემოკრატიულ საწყისებს არ ემყარება. მათ არ აქვთ პრეტენზია იმაზე, რომ ისინი ყველა ამომრჩეველს წარმოადგენენ. უპირველეს ყოვლისა, მათ არ აქვთ საყოველთაო პოლიტიკური მანდატი, რაც აუცილებელია ეკონომიკურ პოლიტიკასა და ჩვეულებრივ პოლიტიკას შორის ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით. ამ პოზიციის წარმომადგენელს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა არ არის სახელმწიფო ორგანოებთან დაკავშირებული გავლენიანი ჯგუფების კონსორციუმი, არამედ იგი ეხება თითოეულ სუვერენულ მოქალაქეს,

რომელიც გადასახადებს იხდის და როგორც ეკონომიკური სუბიექტი ხარჯებს სწევს" (Rupp, 1971, გვ. 15).

ეკონომიკური პოლიტიკის კორპორაციული ხასიათის წინააღმდეგ მარტო კონსტიტუციური პრინციპები როდი მეტყველებს (იხ. Gäfgen, 1987b). ასეთ ვითარებაში ეკონომიკური პოლიტიკის შედეგებიც საეჭვო ღირებულებისაა. ავტონომიურობის მხრივ დიდი მსგავსებაა ეკონომიკური პოლიტიკის სახელმწიფო გამტარებელსა და ორგანიზებულ ინტერესთა ჯგუფებს შორის. ეკონომიკური პოლიტიკის ასპექტით პოლიტიკური გადაწყვეტილების გამტარებლის მოვალეობაა გაუმჯობესოს საწარმოო პირობები, ბიზნესის, კონკურენციისა და არჩევანის გაკეთების შესაძლებლობები. რაც შეეხება ურთიერთქმედებას, მოსალოდნელია, რომ ორგანიზებული ინტერესთა ჯგუფები აღნიშნულ პირობებსა და შესაძლებლობებზე მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს (მათი მზარდი ძალაუფლების გამო). საწარმოო პირობების გაუმჯობესება ამ შემთხვევაში გლობალური კონტროლის საფუძველზე ხორციელდება. თუ ავიღებთ დანახარჯების შემცირების მიზანს, მაგ., ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში, მნიშვნელოვანია, როგორც საწარმოო პირობები, ისე მომსახურების გაყიდვის შესაძლებლობები. მართვის სისტემაში დაგეგმილი რეფორმების თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელობა სწორედ დანახარჯების შემცირების მიზანს ენიჭება იმ ზეგავლენის გამო, რომელიც მასზე შესაძლებელია ინტერესთა ჯგუფებმა, გაერთიანებებმა მოახდინოს.

„პოლიტიკური გაცვლის" პროცესში ჩართული ინტერესთა ჯგუფები, გაერთიანებები, უპირველეს ყოვლისა „განაწილების კოალიციათა" ინტერესებით მოქმედებს (Olson, 1991,გვ. 56). გლობალური მართვის შემთხვევაში საქმე ეხება სახელფასო და საფასო პოლიტიკასთან დაკავშირებულ უსაფრთხოებას. იგი მართვის ასპექტით პოლიტიკური გადაწყვეტილების გამტარებლის პოზიციაზე ანდა შემოსავლების მიღების შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. მართვის პროცესის ორივე ვარიანტი განაწილებასთან დაკავშირებით ითვალისწინებს ორგანიზებული ჯგუფების ინტერესებს. სწორედ ამით არის განპირობებული ის ზარალი, რომელსაც ინტერესთა გაერთიანებები განიცდის იმის გამო, რომ მათ ძალაუფლებაზე ხელი არ მიუწვდებათ. ასე რომ, მათი ინტერესების დაკმაყოფილება გაცვლის ობიექტთან დამოკიდებულებაში სხვაგვარად უნდა მოხდეს. მნიშვნელოვანია, რომ სათანადოდ დაფასდეს ის პრესტიჟი, რომელსაც ინდივიდს რომელიმე დიდი გაერთიანების წევრობა ანიჭებს. ეს ხდება იმის გამო, რომ პირდაპირ თუ არაპირდაპირ გაერთიანებათა უმრავლესობა ჩართულია პოლიტიკური იდეებისა და შეხედულებების ფორმირების პროცესში.

განაწილებასთან დაკავშირებული პოზიციები გარკვეული ფორმით პოლიტიკური გაცვლის საგანს წარმოადგენს. ეს გარემოება მიშვნელოვანია ორი

ასპექტით. ერთი უკავშირდება მოლაპარაკებების პროცესს, მეორე კი - ასეთი მოლაპარაკებების შედეგებს, რომლებსაც შესაძლებელია წესრიგის პოლიტიკისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეთ. რაც შეეხება მოლაპარაკებების პროცესს, იგი წარმოგვიდგება, როგორც განაწილების კორპორაციული თამაში, რომელსაც რეალურ პირობებში ერთმნიშვნელოვანი შედეგი არ აქვს. პირიქით, ასეთი თამაშისათვის ნიშანდობლივია ინფორმაციის, ცდომილებისა და საფრთხის სტრატეგიული ერთობა. იგი ძირითადად გადაწყვეტილების მიღების რიტუალს უკავშირდება. სწორედ ეს რიტუალური ასპექტი გულისხმობს სხვადასხვა ბიუროკრატიულ განშტოებებს, რის გამოც შედეგთან დამოკიდებულებაში ხშირად გაუთვალისწინებელი გარემოებები იჩენს თავს (Johansen, 1979; Streit, 2003, გვ. 181).

რაც შეეხება გაცვლის შედეგს, იგი წარმოადგენს პოლიტიკურ საზღაურს, რომელიც მოლაპარაკებების პროცესში მიიღწევა. საუბარია იმ პროცესზე, რომელიც წარიმართება პოლიტიკური გადაწყვეტილების გამტარებლის პოზიციისა და მასში ჩართული გაერთიანებების ინტერესთა გათვალისწინების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესისგან განსაკუთრებული სარგებლის მიღებას ორივე მხარე ცდილობს. თავიდანვე არამყარია ეკონომიკური სიტუაციის სტაბილიზების ის ასპექტები, რომლებიც საწარმოებს საფასო პოლიტიკასთან, ხოლო დამქირავებელს სახელფასო პოლიტიკასთან დაკავშირებით წინდახედულების გამოჩენას ავალდებულებს. პოლიტიკური საზღაური შესაძლებელია სრულიად სხვა სფეროში იყოს საძიებელი (მაგ., შრომითი კანონმდებლობის სფეროში). საქმე ეხება იმ შედეგებს, რომლებიც პოლიტიკურ ინიციატივებს ემყარება და მოგვიანებით ვლინდება. სხვა მხრივ, წესრიგის პოლიტიკის ასპექტით მნიშვნელოვანია ის, რომ განსაკუთრებული ეკონომიკური სარგებელი ხშირად დაკავშირებულია საბაზრო სისტემისათვის დამახასიათებელი ინკრუსტაციის პროცესთან.

ეკონომიკური პოლიტიკის ასპექტით სახელმწიფოებრივი ძალადობის მაგალითებია: ფასებისა და ხელფასების გაყინვა, იმპორტის აკრძალვა ან თითქოსდა ისეთი უწყინარი ფორმები, როგორიცაა ფურაჟში მინარევების შეტანა და სხვა. ამ შემთხვევებში ძალადობა კონფრონტაციაშია ინდივიდუალურ თავისუფლებასთან.

სახელმწიფოებრივი ძალადობა დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სადამსჯელო ღონისძიებების გატარებას ითვალისწინებს. მაგრამ დამორჩილების პირობებშიც კი ინდივიდს იმის შანსსაც კი არ უტოვებს, რომ მან თავისი საკუთარი მიზნები განახორციელოს. ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით ძალადობის ინსტრუმენტთა ქმედითუნარიანობა საეჭვოა იმიტომ, რომ (Dahl, Lindblom 1953, გვ. 107):

• იგი დასჯას ემყარება. ამიტომაც ინდივიდისგან მორჩილებას უნდა მოველოდეთ და არა მიზნის მიმართ კონფორმულ ინიციატივებს. ასეთი ინიციატივები მხოლოდ მაშინ ჩნდება, როდესაც ინდივიდს მის მიერვე დასახულ მიზანთა რეალიზების შესაძლებლობა აქვს.

• თუკი ინდივიდს თავისი მიზნების რეალიზების შესაძლებლობა არა აქვს, იგი მთელ თავის დროსა და უნარს იმ საშუალებათა გამონახვას უთმობს, რომ როგორმე ძალადობასა და სასჯელს თავი დააღწიოს. სწორედ ამაზე მეტყველებს უამრავი მცდელობა იმისა, რომ ინდივიდებმა კანონმდებლობასა და გადასახადების გადახდას თავი აარიდონ;

• თუ ინდივიდი შინაგანად არ ეთანხმება ასეთ ძალადობას, მისი მოქმედება, როგორც წესი, მორჩილებას ანდა კონტროლისა და დასჯის მკაცრ სისტემას ეფუძნება. ამავე დროს, როგორც სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება მოწმობს ხელფასებისა და ფასების გაყინვა-შეჩერება დიდ ადმინისტრაციულ ხარჯებთანაა დაკავშირებული და არც მაღალი ეფექტიანობით ხასიათდება;

• ძალადობა მხოლოდ მაშინ არის დროებით შედეგიანი, როდესაც ინდივიდებს, რომლებსაც იგი ეხება, მისი თავიდან აცილების არანაირი შანსი არ აქვთ. სწორედ ამიტომ მისი გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც ინდივიდებს არ ძალუძთ მისგან თავის დაღწევა. ამის ნათელი დადასტურებაა სსრკ-ის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, ვიეტნამის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების ისტორია.

რაც შეეხება ძალადობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო შეზღუდვებს, ეკონომიკური პოლიტიკის ასპექტით მნიშვნელოვანია, რომ:

• მოქმედების თავისუფლების შეზღუდვა არ არის ძალადობრივი თუ ინდივიდებს მათ მიერ დასახული მიზნების განხორციელების რეალური (არა მარტო ფორმალური) შესაძლებლობა აქვთ. უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ის კანონები და წესები, რომლებიც რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის სისტემაში ეკონომიკურ თავისუფლებას ზღუდავს. ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვა არ ნიშნავს თავისუფლების აღკვეთას და ეკონომიკური თავისუფლების ნაცვლად ვოლუნტარისტული, ძალადობრივი გზით მართული ეკონომიკის შემოღებას;

• ცალკეულ შემთხვევებში განხორციელებული საკანონმდებლო ძალადობა მთლიანობაში მოქმედების თავისუფლების შენარჩუნების მიზანს ემსახურება. სწორედ ასეთ ფუნქციას ასრულებს სხვადასხვა კანონები, რომლებმაც შესაძლო ძალადობისგან ინდივიდის დაცვა უნდა უზრუნველყოს .

მართვის შესახებ მოძღვრება ერთმანეთთან აკავშირებს მიზნებსა და მათი განხორციელების საშუალებებს, იმისათვის, რომ: გადაჭრას ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემები (ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამა); და უზრუნველყოს ის ზოგადი ჩარჩო პირობები, რომელშიც შესაძლებელი გახდება მომავალში წარმოშობილი კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტა (ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია).

როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს მიზანი - საშუალება - სისტემასთან. მათ შორის კავშირის შესაძლებლობა იმას ემყარება, რომ კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამა კონცეფციის საფუძველზე ყალიბდება. ახლა მნიშვნელოვანია სწორედ ის საკითხი განვიხილოთ თუ რატომ არის აუცილებელი ზემოაღნიშნული შესაძლებლობის გამოყენება (რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების პოზიცია).

ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების ზოგადი ჩარჩო პირობები, მისი საფუძველი და ორიენტირი. როდესაც ასეთი კონცეფცია რაციონალურობის პრინციპს ემყარება, იგი წარმოადგენს ზოგად და მასშტაბურ მიზანთა კარგად გააზრებულსა და მყარ სისტემას. იგი ასევე მოიცავს წესრიგის პოლიტიკის პრინციპებს, მათთან თავსებადსა და მიზნის მიმართ კონფორმულ საშუალებებს. ამ პოზიციიდან კი ეკონომიკა სხვა არაფერია თუ არა ბევრად უფრო მასშტაბურ საზოგადოებრივ მიზანდასახულობათა შემადგენელი ნაწილი. ეკონომიკური კონცეფცია აადვილებს რაციონალური ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას. ამ საფუძვლის გარეშე მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებზე რაციონალური გადაწყვეტილების მიღება უამრავი მისწრაფებისა და მოქმედების შესაძლებლობათა გათვალისწინებასთან არის დაკავშირებული. ეს კი, ბირითადი ღირებულებებისა და ზოგადი მიზნების საფუძვლიან გააზრებასაც გულისხმობს. ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია სწორედ მოქმედების შესაძლებლობათა წინასწარი შერჩევის საშუალებას გვაძლევს. სწორედ ის ადგენს ინტერვენციის წესს, როგორც ინსტრუმენტთა გამოყენების კრიტერიუმს (Tuchtfeldt, 1982, გვ. 202). ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია საშუალებას გვაძლევს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის გარკვეული გადაწყვეტილება მოქმედებათა მაქსიმალური რაოდენობის უშუალო შემოწმების გარეშე მივიღოთ. სწორედ კონცეფციის საფუძველზე დგინდება მათი (გადაწყვეტილებათა) თავსებადობა საზოგადოების უფრო მასშტაბურ მიზნებთან, რაც ეკონომიკური პოლიტიკის კონკრეტული მიზნების რეალიზებას ხელს უწყობს.

როდესაც მეთოდური ნორმა რაციონალურობაა, მაშინ კონცეფცია კრიტიკული რეფლექსიის შედეგია. სწორედ ეს გარემოებაა იმის საწინდარი, რომ იგი ლოგიკურ წინააღმდეგობებს არ შეიცავს. მართალია, კონცეფცია განსაზღვრავს ეკონომიური პოლიტიკის მოქმედების მიმართულებას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თითქოსდა იგი წინასწარ ჭვრეტდეს: მომავალში ეკონომიკური პოლიტიკის რა ტიპის ცვლილებები მოხდება და როგორ განვითარდება ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებული ცალკეული პროცესები. ამიტომაც, ოპერაციონალიზების თვალსაზრისით კონცეფციაში ჩამოყალიბებული მიზნები საეჭვოდ არ მიიჩნევა. ამასთან ერთად, არც მართვის შესახებ მოძღვრების მიზანია ეკონომიკური პოლიტიკის კანონზომიერებათა რაოდენობრივად ზუსტად განსაზღვრა, თუმცა იგი ერთმანეთთან აკავშირებს მიზნებსა და საშუალებებს. ეკონომიკას არ ახასიათებს ასეთი კანონზომიერებები. სწორედ მუდმივად მიმდინარე საზოგადოებრივი ცვლილებები განაპირობებს იმას, რომ მათი ლეგიტიმურობა დროში შეზღუდულია. რაც შეეხება კონცეფციას, მასში მოცემულია მიზნებსა და საშუალებებს შორის გრძელვადიან ურთიერთობათა სისტემა. ამიტომაც ერთი მხრივ, იგი გვაწვდის დებულებებს მოქმედების იმ არეალის თაობაზე, რომელშიც ესა თუ ის ინსტრუმენტი კონცეფციით ჩამოყალიბებული მიზნის მიღწევას ემსახურება, მეორე მხრივ კი, წესრიგის პოლიტიკის პრინციპებთან მის თავსებადობას განსაზღვრავს.

ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია დაკავშირებულია წესრიგის პოლიტიკასთან, რაზეც სწორედ კონცეფციით გათვალისწინებულ საშუალებებსა და ეკონომიკური წესრიგის პრინციპებს შორის დამოკიდებულება მიუთითებს. ასეთ ურთიერთმიმართებაში კოორდინაციის წინასწარ მოცემული პროცედურებიც იგულისხმება. კონცეფცია სწორედ მაშინ არის თანმიმდევრული და მყარი, როდესაც მასში მოცემული ინსტრუმენტები, ეკონომიკური წესრიგის პრინციპები და სხვა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით - კოორდინირებული და ჰარმონიული მოქმედების პირობას აკმაყოფილებს. ასე, რომ საბაზრო კოორდინაცია შესაბამისობაშია საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპთან. კერძო ეკონომიკური მოქმედებები, რომლებიც კონკურენციის საფუძველზე ხორციელდება, სრულ თანხმობაშია ეკონომიკურ-პოლიტიკური მართვის მოთხოვნასთან, რომელიც საინფორმაციო პოლიტიკისა და მონაცემთა ცვლილების საშუალებით ხორციელდება. საბაზრო მოთხოვნებთან შეუთავსებელი იქნებოდა კერძო ეკონომიკური მოქმედებების კოორდინირებულობის სახელმწიფო მართვის პირდაპირი ძალადობრივი ფორმით ჩანაცვლების მცდელობა. აქედან, უპირველეს ყოვლისა, მოქმედების თავისუფლების ასპექტით, მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგი გამომდინარეობს. საქმე ეხება იმას, თუ რაოდენ გამართულად ფუნქციონირებს კოორდინაციის პრინციპზე დამყარებული კონფორმული სისტემა.

კონცეფციაში მოცემულ წესრიგის პოლიტიკის ელემენტებზე განსაკუთრებით აისახება ის ზეგავლენა, რომელსაც ეკონომიკური პოლიტიკის ტენდენციებზე ახდენს საზოგადოების საბოლოო მიზნები და მათი ინტერპრეტაციები. ეკონომიკური წესრიგი, რომელიც საფუძვლად უდევს ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციას, თვითმიზანი არ არის. იგი საზოგადოებაში არსებული ძირითადი შეხედულებების გამოხატულებაა. სწორედ ამის საფუძველზე უნდა გავიაზროთ რეგულირებადი ბაზრის ორი ასპექტი, რომელთაგან ერთი კოორდინირებული სისტემის მართვას უკავშირდება, მეორე კი, იმის დადგენას გულისხმობს თუ რამდენად არის შესაძლებელი ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენათა მართვა. არსებობს ორი ალტერნატივა საბაზრო ეკონომიკისა და ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკის სახით. მაგრამ გასარკვევია სწორედ ის, თუ რა პოზიცია უკავია ამ ალტერნატივაში ეკონომიკური წესრიგის იმ ტიპს, რომელიც რეგულირებად საბაზრო ეკონომიკას ემყარება. გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ განისაზღვრება - ეკონომიკური ასპექტით - ინდივიდუალური თავისუფლება და სამართლიანობა. როდესაც აქცენტი კეთდება მოპოვებული სოციალური სტატუსის შენარჩუნებასა და სამართლიანობის შესახებ სუბიექტურ აღქმაზე, მაშინ საბაზრო კოორდინაცია და მასზე დაფუძნებული კერძო საკუთრების ავტონომია გარკვეულ შეზღუდვასა და კორექტირებას საჭიროებს. მაგრამ თუ აქცენტი გადატანილია წარმატებაზე და ინდივიდის უნარზე მიესადაგოს პროგრესის მომტან ცვლილებებს, მაშინ სუბიექტური ავტონომიის მაღალ დონესთან ერთად აუცილებელია მატერიალური სტიმულებიც არსებობდეს. მათ განაწილებას სრულიად განსხვავებული, მაგრამ ყველასთვის ასატანი და მისაღები შედეგები უნდა მოჰყვეს.

ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია ვერ იქნება მეცნიერულად დასაბუთებული თუნდაც იმიტომ, რომ საქმე ინდივიდებისა და ცალკეული ჯგუფების ეკონომიკურ ინტერესთა რეალიზაციასთან გვაქვს. პრობლემა იმაშია, რომ მეცნიერული დასაბუთება მიზნებსა და საშუალებებზეც ვრცელდება. ამისათვის კი არა მარტო შეფასებითი დებულებები, არამედ შეფასებათა შესახებ დებულებებიც აუცილებელი იქნებოდა. მიზნები მეცნიერულად ხელმისაწვდომია მხოლოდ:

- ოპერაციონალიზების,
- მათ ლოგიკურსა და ემპირიულ თვისებებს შორის კავშირისა და
- მიზანი - საშუალება - დამოკიდებულების ასპექტით.

ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციასთან დამოკიდებულებაში მეცნიერული ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს იმაზე, რომ:

- იგი მიზანი-საშუალება - სისტემის საფუძველზე აიხსნას;
- შემოწმდეს ხომ არ მოიცავს იგი წინააღმდეგობას;

• გაანალიზდეს რამდენად გამართულად ფუნქციონირებს კოორდინაციის პროცედურები, არიან თუ არა ისინი შესაბამისობაში სისტემით დაშვებულ საშუალებებთან (სისტემის კონფორმულობა), და რამდენად რეალიზებადია დასახული მიზნები (მიზნების კონფორმულობა);

• შეფასდეს მათი განხორციელების შესაძლებლობა პოლიტიკური ნების ფორმირების პროცესის გათვალისწინებით.

აღნიშნულ ძალისხმევათა შედეგი იმის გამოვლენა უნდა იყოს, რომ მართვის თეორიის ასპექტით კონცეფციები პოლიტიკურად წინააღმდეგობისგან თავისუფალია და ყალბ წარმოდგენებს არ შეიცავს. ეკონომიკური პოლიტიკის, როგორც მეცნიერების ამოცანა ალბათ სწორედ ამის დადგენა და კონცეფციების იდეოლოგიური ელემენტების აღმოჩენა უნდა იყოს. მაგრამ ასეთი მცდელობა განსხვავდება იმ მცდელობებისგან, რომლებიც ეკონომიკური წესრიგის ტიპების ანდა მოდელების შემუშავებას ისახავს მიზნად. ამ ტიპის აბტრაქციების შემთხვევაში წინააღმდეგობის არარსებობა მთავარი მოთხოვნაა. როდესაც საქმე ეხება ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების საფუძველს, მაშინ წინააღმდეგობის გარეშე აბსტრაქციები მხედველობაში მისაღები არ არის. ისინი მოკლებული არიან ემპირიულ შინაარსს და კონკრეტული ეკონომიკური მიზნების ჩამოყალიბების დროს ინსტიტუციურ ასპექტებს არ ითვალისწინებენ. ექსტრემალური ეკონომიკური წესრიგის ტიპებში ეს ვითარება განსაკუთრებით თვალში მოსახვედრია. მაგ., აშკარაა ეკონომიკური პოლიტიკის რეკომენდაციების აბსტრაქციის ხარისხი, რომლებიც სრულყოფილ კონკურენციას, როგორც სასურველ სისტემას, ისე ითვალისწინებს. რეალობაში პრაქტიკულ მიზნებთან მიმართებაში ასეთი რამ არ გამოდგება.

კონცეფციამ რომ შეასრულოს თავისი ამოცანა და ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების მყარ და გამძლე საფუძვლად იქცეს, აუცილებელია გრძელვადიანი პოლიტიკური კონსენსუსის უზრუნველყოფა. იგი უნდა ითვალისწინებდეს, რომ ეკონომიკა არის სისტემის სტრუქტურული რგოლი და ამ მხრივ მისი მიზნები უფრო მასშტაბური საზოგადოებრივი მიზნების შემადგენელი ნაწილია. ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციის განხორციელებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ პრაქტიკული ნაბიჯების გადასადგმელად საჭიროა:

• გარკვეული დრო;

• მისი შედეგები უნდა შეფასდეს მხოლოდ შედარებითი ანალიზით;

• გათვალისწინებული უნდა იქნეს პირითადი და თანმხლები მოკლევადიანი და გრძელვადიანი ზემოქმედებები, რომლებმაც შესაძლებელია მიზანთა კონფლიქტები გამოიწვიოს. მათი მოგვარებისათვის კი აუცილებელია

• შემოწმდეს ხომ არ შეიცვალა ძირითადი ღირებულებების შესახებ შეხედულებები და მიღწეულ კონსენსუსს ნაწილობრივ ან მთლიანად ხომ არ გამოეცალა საფუძველი.

აქედან გამომდინარე საჭიროა, რომ ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციები მუდმივად მოწმდებოდეს და დროთა განმავლობაში მათში შესწორებები შედიოდეს. ამავე დროს, კონკრეტულ გარემოებათა ზეგავლენით - მიუხედავად ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლის ძალისხმევისა - შესაძლებელია, რომ კონცეფცია და ფაქტობრივი პოლიტიკა ერთმანეთს დაშორდეს. ამით კონცეფცია, როგორც პრაქტიკული მიზნების ორიენტირი მნიშვნელობას როდი დაკარგავს. თუ მასზე უარს ვიტყვით, მაშინ ჩვენს წინაშე შემდეგი კითხვა გაჩნდება: რით უნდა ჩავანაცვლოთ იგი თითქმის გაუაზრებელი ინტერვენციების საფრთხე თავიდან რომ ავიცილოთ? მსოფლიო აზროვნებაში, სულაც არ იგრძნობა ისეთი მოდელების დეფიციტი, რომლებიც ადამიანთა თანაცხოვრების იდეალურ მდგომარეობას გვიხატავენ. საუკუნეთა მანძილზე ყოვლისმომცველ საზოგადოებრივ ცვლილებებს ბიძგს სწორედ ასეთი უტოპიები აძლევდა.

ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციის შექმნას იგივე მიზეზი აქვს, რაც საზოგადოდ – ეკონომიკური პოლიტიკის ყველა პრობლემას. ესაა ფაქტობრივ მდგომარეობასა და სასურველ ეკონომიკურ განვითარებას შორის განსხვავება. აუცილებელია უმრავლესობის მხარდაჭერის მოპოვება იმისათვის, რომ წარმომადგენლობით დემოკრატიებში კონცეფციების განხორციელება შესაძლებელი გახდეს. ეს კი დამოკიდებულია, როგორც იმაზე თუ რამდენად მიმზიდველია მათ მიერ ჩამოყალიბებული მიზნები, ისე მათი მიღწევის საშუალებებზე. ისინი კი ტექნოლოგიის შესახებ მსჯელობათა ანალიზმა უნდა ცხადჰყოს. სხვა მხრივ, რაკი საქმე ეხება მიზნებისა და საშუალებების ინდივიდუალურ შეფასებებს, შეუძლებელია ინტერესთა კონფლიქტები თავიდან ავიცილოთ. უმრავლესობის მხარდაჭერის მოსაპოვებლად აუცილებელია, რომ ისინი (მიზნები და მათი მიღწევის საშუალებები) საკმარის კომპრომისებსა და კომპენსაციებს გვთავაზობდნენ. გამორიცხული არ არის, რომ კონცეფციის ქომაგები შეფასებით მსჯელობებსა და მართვის შესახებ წარმოდგენებში, (საზოგადოებრივად ჩამოყალიბებული მიზნების, წესრიგის პოლიტიკის პრინციპებისა და შესაბამისი, მიზნისადმი კონფორმული საშუალებების შესახებ საკუთარი კომბინაციით ხელმძღვანელობდნენ. რაც ძალზე წააგავს იდეალური კონცეფციის მოდელს. თუ ასეთი მოდელის მიხედვით შევაფასებთ, მაშინ მეცნიერული შემოწმებისას შეიძლება აღმოჩნდეს, რომ კონცეფცია, რომელსაც უმრავლესობის მხარდაჭერის მოპოვების უნარი უნდა ჰქონდეს, უმნიშვნელო კომპრომისს გვთავაზობს.

უტოპიები, რომლებიც იდეალურ სახელმწიფოებს გვიხატავს, ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციებისაგან თავიანთი უკომპრომისო ხასიათითა და იმითაც განსხვადება, რომ შეუძლებელია მათი მეცნიერული შემოწმება. პლატონის „სახელმწიფო"–ში (390 წ.), თომას მორის „უტოპია"-ში (1516წ.), ტომაზო კამპანელას „მზის ქალაქსა" (1602წ.) თუ კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" (1848წ.) წარმოდგენილი უტოპიები ადამიანთა საზოგადოების იდეალურ მდგომარეობას ახასიათებს, რომელსაც „საზოგადოებრივ ჰარმონიას" (Dahrendor, 1958, გვ. 88) უწოდებენ. ამ ნაშრომებში მოცემული „საზოგადოებრივი ჰარმონია" არარეალურია, ამავე დროს აშკარაა მათი გაურკვეველი და უკომპრომისო ხასიათი. უტოპიებში წარმოდგენილია ცხოვრება, რომელშიც მშვიდობა სუფევს, ადამიანის მოთხოვნილებები სრულად არის დაკმაყოფილებული, აღმოფხვრილია უთანასწორობა და არ არსებობს არავითარი ჩაგვრა, დაქვემდებარება და მორჩილება.

ამგვარ ჰარმონიაში არ ხდება ინტერესთა შორის კონფლიქტები, რომელთა მოგვარება აუცილებელია იმისათვის, რომ საზოგადოებას არსებობის შესაძლებლობა ჰქონდეს. უტოპიურ საზოგადოებებში ყველა ინდივიდუალური შეხედულება ჰარმონიულად თანაარსებობს. სხვაგვარად მოაზროვნეები – როგორც წესი - არ არსებობენ. მათი არსებობის ცალკეული შემთხვევები კი პათოლოგიად ითვლება, ხოლო სხვაგვარად მოაზროვნე – სამშობლოს მტრად ცხადდება. საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია მათი გადამზადება, ახლიდან აღზრდა და გამოსწორება. ჯერ კიდევ პლატონი თავის „კანონებში" (თავი 10) გამართლებულად თვლიდა სხვაგვარად მოაზროვნეების (ათეისტების) გარკვეული ვადით დაპატიმრებას მათი გამოსწორების მიზნით. დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის შემთხვევაში მათ სიკვდილით დასჯა ემუქრებოდათ. უტოპიებში ხშირად გაურკვეველია როგორ აპირებდნენ ინდივიდუალური შეხედულებების გრძელვადიან ჰარმონიზებას. რაც შეეხება ინტერესთა კონფლიქტებს, ავტორები თვლიდნენ, რომ მათი აღმოფხვრის ერთადერთი გზა საზოგადოებრივი პირობების რადიკალური ცვლილებაა. ამ ცვლილებებში ზოგიერთი უტოპიური სოციალისტი გულისხმობს კერძო საკუთრების გაუქმებას და ახალი რელიგიის ანდა ამქრული ეკონომიკის რაღაც ფორმების შემოღებას. ზოგიერთის ლიბერალური პოზიციის მიხედვით კი საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესთა შორის გრძელვადიანი ჰარმონია დაისადგურებდა თუ გავაუქმებდით ყველა ეკონომიკურ შეზღუდვას და არ შევაფერხებდით ეკონომიკური ცხოვრების ბუნებრივი „კანონების" მოქმედებას (ჩაურევლობის პრინციპი). ინტერესთა შორის კონფლიქტების არარსებობის კიდევ ერთი საფუძველია აღზრდის ქმედითი მეთოდები და კონტროლის ეფექტიანი

მექანიზმები. მაშინ როცა უტოპიები გენეტიკური მანიპულაციებისა და ტოტალური მეთვალყურეობის დაუნდობელ შედეგებს წარმოგვიდგენს.

საზოგადოების განვითარების უტოპიური მოდელის ბირითად სიძნელეს წარმოადგენს მომავლის საზოგადოებებში გაბატონებული ტექნოლოგიების დეფიციტი. უტოპიებში ცდილობენ გამოცდილების ბორკილების დამსხვრევას და მთელი სიცხადით წარმოგვიდგენენ იმას, რისი განხორციელებაც აქამდე არ მომხდარა. ამასთან, გაურკვეველია თუ როგორ ფუნქციონირებს ასეთი საზოგადოებები. ეს ასეა მაშინაც, როდესაც უტოპიები გვაწვდის ცნობებს იმის შესახებ თუ მართვისა და კოორდინაციის რა და რა პროცედურები უნდა იქნას გამოყენებული. იგივე უნდა ითქვას იმ მტკიცებულებების თაობაზეც, რომლებსაც ისინი ადამიანური ქცევის ფორმებისა და მათი ურთიერთქმედების შესახებ გვაწვდიან. გამოცდილება წინასწარ არის მოცემული. მისი უარყოფა არ ხდება უტოპიით ნავარაუდევი შედეგების საფუძველზე. საქმე ის არის, რომ რადიკალურად უნდა შეიცვალოს ადამიანური ცხოვრების პირობები, საიდანაც გამოცდილება მომდინარეობს. მიუხედავად ამისა, ყველა უტოპიისათვის საერთოა, რომ ისინი იშვიათად გვაძლევენ ისეთი მექანიზმების დატალურ დახასიათებას, რომლებიც რეალურად აუცილებელია საზოგადოებების მართვისათვის. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს უკლასო, კომუნისტური საზოგადოება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტექნოლოგიების დეფიციტი არ ეხება მარტო უტოპიური საზოგადოებების პროექტებს. საქმე ის არის, რომ უტოპიები არაფერს ამბობს იმის შესახებ თუ ტექნოლოგიურად როგორ უნდა განხორციელდეს ისტორიაში მოცემული პერიოდის საზოგადოებიდან მომავლის საზოგადოებაზე გადასვლა. უშედეგოდ დასრულდა ლენინის მცდელობა წარმოედგინა ის კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც პროლეტარიატის რევოლუციას კომუნიზმამდე მიიყვანდა. იგივე მოუვიდა პლატონსაც. როდესაც იგი თავის „სახელმწიფოს" წერდა, დარწმუნებული იყო, რომ ათეისტური დემოკრატიის გაუქმების შემდეგ არისტოკრატიული წესრიგი თავისთავად დამყარდებოდა. მაგრამ იგი თანდათან რწმუნდებოდა იმაში, რომ შეუძლებელია რევოლუციის შედეგების წინასწარ განჭვრეტა. „კანონებში" პლატონი შეეცადა თავი აერიდებინა წინასწარ განჭვრეტის აბსურდისათვის და სახელმწიფო აზრობრივად დააარსა განცალკევებულსა და დაუსახლებელ ადგილზე. მოქალაქეები ისე უნდა შეერჩიათ ბერძენი მოსახლეობისაგან, რომ ისინი ასეთი ჩაკეტილი საზოგადოებისათვის შესაბამისი ყოფილიყვნენ. მზარდი ავტარკიულობის ინტერესებიდან გამომდინარე გარეშე ეკონომიკური ზეგავლენები მაქსიმალურად გამორიცხული უნდა ყოფილიყო. ცხადია, რომ პლატონთან, ისევე როგორც სხვა ავტორებთან, უტოპიებში ჰარმონიის დამყარება შესაძლებელია მხოლოდ „ჩაკეტილ საზოგადოებაში" (პოპერი).

უტოპიები ადამიანთა თანაცხოვრების იდეალურ მდგომარეობას გამოხატავს, სადაც ყოველგვარი ცვლილება (მათ შორის ტექნიკური პროგრესი) საფრთხეს უქმნის იდეალს. ამიტომაც უტოპიებს სტატიკური ხასიათი აქვთ და ასეთ მოდელებში საზოგადოება ცდილობს გაემიჯნოს გარე სამყაროს. საზოგადოების შიგნით კი ცდილობენ თავიდან მოიშორონ განსხვავებული აზროვნებისა და განხეთქილების ჩამომგდებნი. აქედან გამომდინარე, ეგზომ სანატრელი საზოგადოების „შექმნა“ ცალკეული დიქტატორის თვითმიზნად იქცევა ხოლმე. მათ ცნობიერებაში ადამიანთა სურვილები უნდა ემორჩილებოდეს იმ მიზნებს, რომლებსაც უტოპია განასახიერებს. ყველა უტოპია, დიდ მოაზროვნეთა მიერ გაცხადებული პრეტენზიის მიუხედავად, კოლექტივისტურ მსოფლმხედველობას წარმოადგენს.

უტოპიის მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ

• იგი რადიკალურად უპირისპირდება არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს და მათი კრიტიკის ფორმად გვევლინება.

• მისი „კვლევითი ხასიათი“ (Engelhardt, 1969, გვ. 666) გასათვალისწინებელია იმ ასპექტით, რომ გამოთქმულ მოსაზრებათა მეცნიერული დამუშავება მომავალში მოხდეს. ამ შემთხვევაში მხედველობაში თანამედროვე მეცნიერული ფანტასტიკა გვაქვს;

• პროგრამული ხასიათიდან გამომდინარე უტოპია მოიცავს სასურველ მიზანთა კომბინაციებს, რომლებსაც მოქმედების უცვლელ პრინციპებად აცხადებს.

ეს ბოლო ასპექტი მნიშვნელოვანია იმით, რომ რაციონალურ ქმედებას წარმოადგენს (იხ. Popper, 1948a/2002, გვ. 358). იგი საშუალებას გვაძლევს, ნებისმიერი მოქმედების საბოლოო მიზანი მაქსიმალური სიცხადით წარმოვიდგინოთ. საზოგადოებასთან დამოკიდებულებაში ეს ქმედება მოითხოვს, რომ ნათლად გვქონდეს გაცნობიერებული მისი საბოლოო მიზნები. რა უნდა ვქნათ თუ მიზნები იცვლება, როდესაც ჩვენ ვცდილობთ მათთან მიახლოებას? რას ნიშნავს ის, რომ ჩვენი თანამედროვეები სხვა იდეალებს იზიარებენ? რას ნიშნავს ის, რომ ყველა თაობას თავისი ახალი იდეალები მოაქვს? ყოველივე ეს ეჭვს ბადებს იმის შესახებ საერთოდ არსებობს თუ არა საბოლოო მიზანი. საკამათოა მიზნების მეცნიერულად ფორმირების შესაძლებლობა. ასეთი რამ კი აუცილებელია საზოგადოებისათვის, მათ საყოველთაო და განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე პრეტენზიის გასამართლებლად. არ არის სადავო აგრეთვე ის, რომ ზოგიერთი მიზანი, რომელიც ადრე მიღწეულად ითვლებოდა, მოგვიანებით განხორციელდა. მოქმედებათა რაციონალურობის თაობაზე მსჯელობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც თავიდანვე ნათელი წარმოდგენა გვაქვს მიზნებსა და მათ ღირებულებაზე. გარკვეულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ მიზნის რეალიზებაზე მიმართული პოლიტიკური მოქმედების

შედეგები შეიძლება საზოგადოებისათვის სახიფათო იყოს. ასეთი საფრთხეები კი იმაში მდგომარეობს, რომ:

• შესაძლებელია საზოგადოებას არ გააჩნდეს იდეალის შეიძლება საკმარისი სულიერი და მატერიალური რესურსები და მხედველობიდან გამორჩეს უშუალო და კონკრეტული ნაკლოვანებების აღმოფხვრის აუცილებლობა;

• ზოგჯერ ახალი საზოგადოების შექმნას ხელისუფლება ცდილობს იმ თაობათა დათრგუნვის ხარჯზე, რომლებსაც გარდამავალი ხიდის როლს დააკისრებს;

• შესაძლებელია სხვაგვარად მოაზროვნეთა ძალადობრივი გარდაქმნა და დამორჩილება გამართლებულ ტაქტიკად ჩაითვალოს, ვინაიდან ისინი საფრთხეს უქმნიან უტოპიური საზოგადოების იდეების ხორცშესხმას.

სავარაუდოდ საფრთხეებს ის გაურკვევლობებიც ემატება, რომლებიც დაკავშირებულია მასთან, რომ უტოპიები მოქმედებათა ტექნოლოგიას მოკლებული არიან. იდეალის ხორცშესხმის მიზნით აურაცხელი საზოგადოებრივი ცვლილება განხორციელებულა. თუ მათ შესახებ საკმარის ინფორმაციას შევაგროვებთ, დავრწმუნდებით, რომ შეუძლებელია მათი რაციონალური შემოწმება. საქმე ის არის, რომ უტოპიურად ორიენტირებული პროგრამები ფსევდორაციონალურობით ხასიათდებიან. ძალზე ვიწროა ის სფერო, რომელსაც შეიძლება სოციალური ტექნიკა მივუყენოთ.

ეკონომიკური პოლიტიკა მოწოდებულია თანმიმდევრული დიაგნოზირების საფუძველზე აღმოფხვრას კონკრეტული ნაკლოვანებები და აქედან გამომდინარე შედეგები შემდგომი მოქმედებებისას მაქსიმალურად გაითვალისწინოს. მან უნდა აჩვენოს ის თუ როგორ უნდა მოხდეს სოციალურ ტექნიკაზე დაფუძნებული თანმიმდევრული რეფორმების განხორციელება. იმ შემთხვევაში თუ ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში არსებული პრობლემები რაციონალურად არის გააზრებული, მაშინ მათი განხორციელების ყოველი ეტაპი, ერთი მხრივ, ერთმანეთთან თანხმობაში უნდა იყოს. მეორე მხრივ, კი საზოგადოების მდგომარეობისა და განვითარების შესახებ გლობალურ შეფასებებს უნდა შეესაბამებოდეს. ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია, როგორც ჩარჩო პროგრამა, სწორედ ამ მიზანს ემსახურება. შეფასებებსა და ტექნოლოგიის ცოდნაში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით მისი გადამოწმება პერიოდულად უნდა მოხდეს.

ისტორიული ასპექტით სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია ჩამოყალიბდა, როგორც რეაქცია:

• იმ მზარდსა და ორიენტაციას მოკლებულ ინტერვენციონიზმზე, რომელსაც ახორციელებდნენ განვითარებული სახელმწიფოები ორივე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში;

• ცენტრალიზებულად მართვად ეკონომიკასთან დამოკიდებულებაში დაგროვილ გამოცდილებაზე, რომელმაც სრულიად დაადასტურა მეცნიერულად ჩამოყალიბებული პროგნოზები;

• იმ სტრატეგიაზე, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის პირველ წლებში ცდილობდა სიღატაკის აღმოფხვრას ბიუროკრატიულ-ეკონომიკური მეთოდებით.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის სულიერი მამები არიან ლიბერალი მეცნიერები, ე.წ. ფრაიბურგის სკოლის წარმომადგენლები: ფრანც ბიომი, ვალტერ ოიკენი, ფრითც მეიერი, ალფრედ მიულერ-არმაკი და ალექსანდერ რიუსტოვი. უპირველეს ყოვლისა, ლუდვიგ ერჰარდი - გერმანიის ამერიკულ-ბრიტანული საოკუპაციო ზონის ეკონომიკის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, მოგვიანებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრი - და მასთან ერთად ალფრედ მიულერ-არმაკი ეკონომიკის ფედერალური სამინისტროს სახელმწიფო მდივანი – ის პიროვნებები არიან, რომლებმაც სცადეს მეცნიერული ვარაუდები პრაქტიკულ პოლიტიკაში გადაეტანათ.

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის თვალსაზრისით სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის კონკრეტული ტიპის ჩამოყალიბების მცდელობაა. ამ კონცეფციის მიზანია, რომ „საბაზრო თავისუფლების პრინციპი სოციალურ თანასწორობასთან დაეკავშიროს“ (Mueller-Armack, 1956, გვ. 390). ამით აღიარებული იქნება ინდივიდუალური თავისუფლებისა და სამართლიანობის მიზნები. შესაძლებელია, როგორც დასახელებული, ისე სხვა მიზნების, სულ ცოტა, ნაწილობრივი დახასიათება, ვინაიდან ისინი გათვალისწინებულია კონცეფციის პრინციპებსა და საშუალებებში. კონცეფციის დამოკიდებულება ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან მოკლედ შესაძლებელია შემდეგნაირად დავახასიათოთ:

• ეკონომიკის სფეროში ინდივიდუალური თავისუფლება ხორციელდება იმით, რომ გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება მეტწილად გადადის კერძო ინდივიდების ხელში და იგი შესაბამისობაშია სუბიექტის ავტონომიისა და კერძო საკუთრების კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებთან. ეკონომიკური თავისუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას არ გვაძლევს კონკურენციის კანონმდებლობის შემოღება და განხორციელება. კერძო საკუთრების გამოყენება შეესაბამება სოციალური ვალდებულების კონსტიტუციურ ნორმას. ამიტომაც სხვა ინდივიდთა უფლებების უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარე კერძო საკუთრების უფლება იზღუდება;

• თავისუფალი კონკურენციის შედეგების გაკონტროლება, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება სამართლიანობის, როგორც ყველასთვის თანაბრად

მისაღები პირობების უზრუნველყოფის ამოცანას. საბაზრო შედეგების კორექტირება გათანაბრების სამართლიანობის თვალსაზრისით ხორციელდება. პრაქტიკაში ეს პროცესი მიმდინარეობს, როგორც შემოსავლების პროგრესიული დაბეგვრით, ისე ტრანსფერების საშუალებით. ქონების გადასახადი და ქონების გასხვისებით მიღებული შემოსავლების გადასახადი, სიმდიდრის ფორმირების მხარდაჭერა, განათლების სუბსიდირება და მართვის სხვა „სახელმწიფოებრივი" ღონისძიებები ხელს უწყობს შესაძლებლობათა თანაბრად განაწილებასა და თანაბარი სასტარტო პირობების შექმნას. ასეთია სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციურ პრინციპზე დაფუძნებული პოზიცია;

• ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშეწყობა ინდივიდის საარსებო პირობებზე ზრუნვასაც გულისხმობს, რომელიც ხორციელდება, როგორც ქონების დაგროვების, ისე სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზით. სოციალური სახელმწიფოს ინსტიტუტები სუბსიდირებას უწევენ სუბიექტთა უსაფრთხოებას და სახელმწიფო ძალაუფლების შეზღუდვის ინტერესებით მოქმედებენ. სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფას ხელს უწყობს აგრეთვე ეკონომიკური პოლიტიკის ძალისხმევა, რომელიც მიმართულია იმაზე, რომ შეარბილოს კონიუნქტურული რყევები, ეკონომიკურ ზრდასათან დაკავშირებული კონფლიქტები და სტრუქტურული ცვლილებები. ისინი სიტუაციასთან შესაბამისობის გაადვილებას გულისხმობს და არა ტრადიციული სტრუქტურების შენარჩუნებას.

• პროგრესს ხელს უწყობს საბაზრო კოორდინაცია, რომელიც კონტროლირებადი ფასების საფუძველზე კონკურენციის ფორმით მიმდინარეობს. კონკურენციასთან შესაბამისობისა და განვითარების ფუნქცია ხელს უწყობს მატერიალურ თავისუფლებას, რადგან მატერიალური უზრუნველყოფის შესაძლებლობებს აფართოებს. სწორედ ეს არის სოციალური სამართლიანობისა და უსაფრთხოების დონის ამაღლების წინაპირობა. ცხადია, რომ როგორც თავისუფლებასა და სამართლიანობას, ისე უსაფრთხოებასა და პროგრესს შორის კონფლიქტების მოგვარებისათვის ეკონომიკური ზრდა უკეთეს პირობებს ქმნის.

ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების განხორციელება ხელს უნდა უწყობდეს ძირითადი ღირებულებების რეალიზებას. ისეთი ფორმულირებები, როგორიცაა „ეკონომიკური ზრდის მიზანმიმართული პოლიტიკა", „დასაქმების უფრო მაღალი დონე", „მყარი სავალუტო სისტემა" (Müller-Armack, 1956, გვ. 391) შინაარსობრივად სრულ შესაბამისობაშია მიზანთა იმ კატალოგთან, რომელიც სასურველია ყველა სახელმწიფოს კანონებში აისახოს. „სოციალური ინტერვენციის რეგულირების პრინციპი" (Müller-Armack,იქვე), უპირველეს ყოვლისა, შინაარსობრივად შეესაბამება როგორც შემოსავლებისა და ქონების სამართლიანად განაწილების, ისე სოციალური უსაფრთხოების პრინციპს.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციას საფუძვლად უდევს ორი მარტივი პრინციპი:

• საბაზრო კოორდინაცია ხორციელდება იმ პროცედურის საფუძველზე, რომელიც კონკურენციის პროცესში ფასების რეგულირებას გულისხმობს. მაგრამ ვინაიდან კონკურენცია თავისთავად არ გვაძლევს ამის საშუალებას, საჭიროა მისი ინსტიტუციური უზრუნველყოფა. საუბარია იმაზე, რომ „გამოირიცხოს კონკურენციის შეზღუდვა, გაკონტროლდეს მონოპოლიები, ოლიგოპოლიები და კარტელები და ამით - მომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარე - ამაღლდეს კონკურენციის ეფექტიანობა“ (Müller-Armack, იქვე);

• ეკონომიკური პოლიტიკის მართვის ღონისძიებები ემსახურება „სოციალურ მიზანდასახულობას და არ აფერხებს საბაზრო მექანიზმის მუშაობას“ (Müller-Armack,იქვე). ამით დგინდება სისტემისადმი კონფორმულობა, როგორც ინსტრუმენტების გამოყენების კრიტერიუმი. განსხვავებული ზომების გამოყენება მოწმდება იმის მიხედვით თუ რამდენად შეასრულებენ ისინი მათზე დაკისრებულ ფუნქციას საბაზრო კოორდინაციის გაბატონებულ სისტემაში.

ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანები გადანაწილებულია ორ განსაკუთრებულ ინსტიტუტზე, რაც კონცეფციის კიდევ ერთი მახასიათებელია. ანტიმონოპოლიური სამსახურის ამოცანაა კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით ღონისძიებათა გატარება, როგორც ეს განსაზღვრული უნდა იყოს კონკურენციის შეზღუდვათა აკრძალვის შესახებ კანონით. მეორე ორგანიზაცია კი დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკია. სახელმწიფო ხელისუფლებისათვის ფულად მასაზე კონტროლის ფუნქციის ჩამორთმევა უნდა გავიგოთ, როგორც ინფლაციური პოლიტიკის პრევენციის მცდელობა. ამ კონტექსტში უნდა გავიაზროთ „საოჯახო მეურნეობის სტაბილურობის“ (Müller-Armack, იქვე) პრინციპიც. თუმცა თეორიასა და რაქტიკაში, ეს პრინციპი არ არის დაკონკრეტებული. გაურკვეველია თუ რას ნიშნავს იგი კონიუნქტურის პოლიტიკის ასპექტით. კონცეფციის მხარდამჭერი ეკონომისტები არ იზიარებენ გამიზნულსა და ციკლურ ფისკალურ პოლიტიკას. და ბოლოს, ზემოაღნიშნულ „სოციალური ინტერვენციის რეგულირების პრინციპთან“ ერთად უნდა დავასახელოთ „საწარმოო სოლიდარობის“ პრინციპიც (Rüstow, 1953, გვ. 102). იგი უნდა გავიგოთ, როგორც „შრომითი კანონმდებლობა, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეწარმის მონაწილეობის გააქტიურებას“.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპებმა პოლიტიკური მნიშვნელობა მსოფლიოში მას შემდეგ შეიძინა, რაც ისინი 1949 წ. დიუსელდორფში გერმანელებმა (ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა) თავისი ეკონომიკური პროგრამის ბირთვად გამოაცხადეს. ომის შემდგომ პერიოდში იგი ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის მიერ ფორმირებული

ყველა მთავრობის პრაქტიკულ ეკონომიკურ პოლიტიკას წარმოადგენს. მასში გარკვეული შეზღუდვების შეტანისა და აქცენტების გადაადგილების შემდგომ კონცეფცია თანდათან სოციალურ-დემოკრატიულმა ოპოზიციამაც გაიზიარა.

უნდა ითქვას, რომ კონცეფციის მომხრე ეკონომისტების მიერ შემუშავებული შეხედულებები არ არის საკმარისად ნათლად ფორმულირებული, ამიტომაც მათი მცდარი ინტერპრეტირების შესაძლებლობა არ არის გამორიცხული. მარტო ის გარემოება, რომ ეკონომიკური პოლიტიკის დებულებები კონცეფციაში შევიდა ანუ პრაქტიკული პოლიტიკის მიზნად იქცა, არ არის მათი სიზუსტის საკმარისი გარანტია. კონცეფციას საკმაოდ კონკრეტული ხასიათი აქვს იმისათვის, რომ იგი რეალობას შევადაროთ და მათ შორის განსხვავება დავინახოთ.

კონკურენციის უზრუნველყოფის მიმართულებით გაუბედავი ნაბიჯებია გადაგმული. ასე გაგრძელდა 1960 წლამდე, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში არ შეიქმნა კონკურენციის დაცვის კანონმდებლობა. შემდგომ წლებში კანონების დეფიციტი ნაწილობრივ შეივსო. თუმცა ამ ცვლილებებმა შემდგომშიც კი ოდნავადაც ვერ ამოწურა ის სამართლებრივი შესაძლებლობები, რაც აუცილებელია „კონკურენციის მაქსიმალური ინტენსივობის მისაღწევად მომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარე“;

• თავიდან ვერ იქნა აცილებული ისეთი ღონისძიებები, რომლებიც საბაზრო კოორდინაციას აფერხებს. პირიქით, სწორედ მათი საშუალებით განვითარებულ და ახლა განვითარებად ქვეყნებშიც საბაზრო კოორდინაციას გამოეთიშა ისეთი დარგი, როგორიცაა სოფლის მეურნეობა. ორი ათეული წლის შემდეგაც კი ვერა და ვერ იქნა მიღწეული „სოციალურ უსაფრთხოებაზე ორიენტირებული ზოგიერთი დარგის სრულად ჩართვა საბაზრო ეკონომიკაში“ (Müller-Armack, 1956, გვ.392). აღსანიშნავია, რომ მდგომარეობა დღემდე უცვლელი რჩება;

• რაც შეეხება „სავალუტო წესრიგს“, ფულის ღირებულების გაუარესება იმავე ორი ათეული წლის განმავლობაში გვაფიქრებინებს, რომ კონცეფციიდან გადახვევა მოხდა. ამ მოვლენის ერთ-ერთი მიზეზი იყო ზოგიერთ ქვეყანაში, მაგ., გერმანიაში, ფასების განსაზღვრის სახელმწიფო პოლიტიკა. იგი კონცეფციასთან სრულიად შეუთავსებელია. სავალუტო კურსის თავისუფალი ცურვის რეჟიმი გამორიცხავს მასში კორექტურის შეტანის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, ცენტრალური ბანკი უძლურია გააკონტროლოს მონეტარული ექსპანსია. ამავე დროს, სავალუტო კურსის კორექტირების ნაცვლად გატარდა სისტემისადმი ნაკლებ კონფორმული ღონისძიებები, როგორიცაა მაგ., უცხოური კაპიტალის მოძრაობის გაკონტროლება, საგარეო ვაჭრობის შეზღუდვა და სხვა.

• ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციასა და ეკონომიკურ-პოლიტიკურ რეალობას შორის გაჩენილი ღრმა ბზარი შესაძლებელია გლობალური მართვის შედეგი იყოს (Tuchtfeldt, 1973). სოციალური საბაზრო ეკონომიკა, არსებითად უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს კონიუნქტურის პოლიტიკასა და მართვის შესახებ მოძღვრებას (ასევე „განხორციელების შესაძლებლობას"). სწორედ ასეთი იყო კონცეფციის ინიციატორთა ჩანაფიქრიც. გლობალური მართვა წესრიგის პოლიტიკის მიხედვით საბაზრო კოორდინაციის თავისებურ გაგებას ემყარება. სახელდობრ, იგი განისაზღვრება, როგორც მოქმედების, წესრიგის პოლიტიკაზე ორიენტირებული მოვლენა. ეს თვალსაზრისი არ ითვალისწინებს პოლიტიკის კანონზომიერებებს, როგორც ხელის შემშლელ ფაქტორს, რომელიც არ გვაძლევს მართვის გეგმის თანმიმდევრულად გამოყენების შესაძლებლობას. კონტროლის გარეშე რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს გლობალურ მართვას დღემდე არ მოუტანია დამაჯერებელი შედეგი (იხ. Streit, 1981).

• კონცეფციის ინიციატორებს მისი სოციალურ-სახელმწიფოებრივი კომპონენტებიდან გამომდინარე მიაჩნდათ, რომ ე. წ. დინამიკური რენტის გამოყენება „არათანამიმდევრულობას" წარმოადგენდა. ვ.რიოპკე თვლიდა, რომ ეს იყო „კეთილდღეობის სახელმწიფოსკენ გადადგმული უზარმაზარი ნაბიჯი, რომელიც ადამიანს სრული გასახელმწიფოებრიობის საფრთხეს უქადის" (ციტირებულია Molitor–ის მიხედვით, 1958, გვ. 66). მაგრამ უეჭველია, რომ ეს ამავე დროს იყო „სხვებზე ზრუნვის" რეალიზებისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ამას მოჰყვა სხვა ნაბიჯებიც, მაგრამ ამავე დროს, მან სოციალური დაცვის გამტარებელთა ინსტიტუციური გამოფიტვა გამოიწვია. სოციალური სახელმწიფო თავისი შინაარსით ხელს უწყობს სუბსიდირების პრინციპის თანდათანობით განდევნას, რაც პოლიტიკური კონკურენციის შედეგია. კონცეფციის გადატვირთვასა და გამოფიტვას განაპირობებს მწვავე პრობლემა, რომელიც დემოკრატიის ერთ განსაზღვრულ ფორმას უკავშირდება. საუბარია კეთილდღეობის სახელმწიფოსა და დემოკრატიის იმ ფორმაზე, რომელიც მას (უმრავლესობის კეთილდღეობას) ემყარება. ეს პრობლემა საკითხის ეთიკური ასპექტის მიჩქმალვას იწვევს. ზოგჯერ კი მას ტაბუდ აქცევს. საქმე ეხება განსხვავებულ ინტერესთა ჯგუფების პოლიტიკურ უგულვებელყოფასა და მათ მიმართ ოპორტუნისტულ რეაქციას. რასაც ისიც ამლიერებს, რომ უმრავლესობის ინტერესთა ჯგუფები (ტნკ-ის ეკონომიკური ინტერესები) და პოლიტიკური აქტიორები ერთმანეთთან კავშირში არიან, როგორც პერსონალურად, ისე ფინანსურად. (იხ.Streit, 2003).

განხილული მაგალითები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ კონცეფცია და პრაქტიკული პოლიტიკა ერთმანეთს განვითარების გარკვეულ ეტაპზე შორდება. ეს დაკავშირებულია კონცეფციის რეალიზების ბირეულ პრობლემებთან. საქმე ეხება იმ პრობლემებს, რომლებიც საბაზრო ეკონომიკური

წესრიგის პოლიტიკაში საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ორიენტირებული პოლიტიკური პროცესის გამო წარმოიშვა. ამ მხრივ გასათვალისწინებელია შემდეგი მოსაზრება (Kloten, 1986, გვ. 78): „სოციალური საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციური ჩარჩო არ არის საკმარისად მტკიცე და მყარი, რომ მან გაუძლოს ან წინააღმდეგობა გაუწიოს, ერთი მხრივ, ეკონომიკური წესრიგის პოლიტიზირების ტენდენციებს (იგულისხმება არაფორმალური სექტორის ინტერესები), მეორე მხრივ, კი მისგან გამომდინარე ოპორტუნისტული შესაძლებლობების რეალიზებას (იგულისხმება კორუფციული გარიგებები“).

საზოგადოდ, ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციის რეალიზებას წინ ელობება, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური დაბრკოლებები. თუ გვსურს კონცეფციასა და რეალობას შორის გაჩენილი ბზარის აღმოფხვრა, აუცილებელია ამ დაბრკოლებების იდენტიფიცირება და მათი დაძლევა. ამისათვის კი საჭიროა:

• მათი თავიდან აცილების ტექნოლოგიის ცოდნის გაუმჯობესება, როგორც ეკონომიკურ ურთიერთზემოქმედებათა, ისე პოლიტიკური ნების ფორმირების პროცესის თვალსაზრისით;

• როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტარიუმის, ისე პოლიტიკური მეთოდების გაუმჯობესება.

კონკრეტულად უნდა შემოწმდეს შესაძლებელია თუ არა:

• ეკონომიკურ-პოლიტიკურ აქტივობათა გარდაუვალი კოორდინაციის გაუმჯობესება, როდესაც ეკონომიკური პოლიტიკის უამრავი გამტარებელი არსებობს;

• ინტერესთა ჯგუფების ზეგავლენის შეზღუდვა ეკონომიკურ-პოლიტიკური ნების ფორმირების პროცესზე;

• გადაწყვეტილების გამტარებელთა მართვის ცოდნის გაუმჯობესება ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა შედეგების კონტროლის საფუძველზე და აადვილებს თუ არა ეს პოლიტიკური პასუხისმგებლობის იდენტიფიცირებას და მათთვის (საჭიროების შემთხვევაში) სანქციების დაკისრების შესაძლებლობას.

ამავე დროს, აუცილებელია იმის გაცნობიერება თუ რა არის, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციის რეალიზებისა და მისი შემდგომი განვითარების, ისე ეკონომიკური და საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ შეხედულებათა ჩამოყალიბების მთავარი წანამძღვარი. სწორედ ეს არის რაც შეიძლება ფართო კონსენსუსი იმ ძირითადი ღირებულებების შინაარსისა და მასშტაბის თაობაზე, რომლის რეალიზაცია საზოგადოებას სურს. პრაქტიკული მოქმედების სფეროში მათი გადმოტანა პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ხშირად პოლიტიკური კონკურენციის ზეწოლით საკითხი

არაფრისმთქმელი დეკლარაციებითა და სიმბოლური მოქმედებებით შემოიფარგლება.

ჩვენ უკვე გავაანალიზეთ, როგორც მიზნები და მათ შორის არსებული დამოკიდებულებები, ისე მიზანი-საშუალება-სისტემები, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების (ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია) პროგრამული ჩარჩო. ახლა საჭიროა იმის განხილვა თუ რა ინსტრუმენტები შევარჩიოთ კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებისას. ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებათა გამოყენების პროცესის რაციონალურად წარმართვის მიზნით უნდა გავითვალისწინოთ ინტერვენციის სამი წესი: მიზნის მიმართ კონფორმულობა, კონცეფციის მიმართ კონფორმულობა და სისტემის მიმართ კონფორმულობა. ამასთან, საჭიროა დავიცვათ გარკვეული თანამიმდევრობის პრინციპი. თავდაპირველად უნდა განვიხილოთ ის თუ რამდენად უწყობს ხელს მოცემული საშუალება მიზნის განხორციელებისაკენ სწრაფვას. ასეთი საშუალება შესაძლებელია შეფასდეს თუ რამდენად არის ის მიზნის მიმართ კონფორმული. ამის შემდეგ საშუალებები უნდა შევაფასოთ კონცეფციისა და სისტემის მიმართ კონფორმულობის საფუძველზე. ამით დგინდება რამდენად კონფორმულია ღონისძიება კონცეფციასთან დამოკიდებულებაში, რაც წინასწარი არჩევანის გაკეთების საშუალებას იძლევა. ღონისძიებათა საბოლოო შეფასება ეკონომიკური პოლიტიკის დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზს საჭიროებს. აუცილებელია საშუალების გამოყენების როგორც ძირითადი და თანმხლები, ისე გრძელვადიანი და მოკლევადიანი შედეგების გათვალისწინება და გაანალიზებული ღონისძიებების ურთიერთშედარება. გარდა ამისა, ყოველთვის არის მოსალოდნელი მთელი რიგი პრობლემების წარმოშობა.

მიზნის, კონცეფციისა და სისტემის მიმართ კონფორმულობა

ეკონომიკური პოლიტიკის ისეთ ღონისძიებათა ძიების პროცესში (რომლებმაც თავიდან უნდა აგვაშოროს დასახული მიზნისგან გადახვევა), თავდაპირველად აუცილებელია შემოწმდეს თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოსალოდნელი შედეგი უშუალოდ ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებთან დამოკიდებულებაში. მიზნის მიმართ კონფორმულად უნდა მივიჩნიოთ ყველა ის ღონისძიება, რომელიც მიესადაგება ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემის გადაჭრას. მიზნის მიმართ კონფორმულობით ხასიათდება მიზანშეწონილი ღონისძიებებიც.

ასეთი შემოწმების შედეგად ტელეოლოგიური მიდგომა ყალიბდება. მაგრამ იგი არ ითვალისწინებს აქვს თუ არა საკუთარი ღირებულება შერჩეულ საშუალებას. ამასთან ერთად გასარკვევია რა თანმხლები ზემოქმედება შეიძლება იქონიოს მისმა გამოყენებამ ეკონომიკური პოლიტიკის სხვა

მიზნებზე. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ კიდევ განსახილველი და გასაანალიზებელია ის შედეგები, რაც შეიძლება მათ გამოყენებას მოჰყვეს უფრო ფართო საზოგადოებრივ მიზნებთან დამოკიდებულებაში. მაგ., ინფლაციის შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ და ღონისძიებად განვიხილოთ, როგორც ფულის ექსპანსიის შენელება, ისე ფასებისა და ხელფასების კონტროლის მაქსიმალურად ფართო ქსელი. ორივე ღონისძიება, როგორც წესი, მიზნის მიმართ კონფორმული იქნებოდა. ამავე დროს ისინი სხვადასხვანაირად უნდა შევაფასოთ, ერთი მხრივ, ეკონომიკური ზრდის ასპექტით, მეორე მხრივ, კი განაწილების ასპექტით, ვინაიდან ორივე ღონისძიება ეკონომიკური პოლიტიკის განსხვავებულ მიზნებს წარმოადენს. ასევე სრულიად სხადასხვაგვარ შეფასებას მოითხოვს ის თუ რა დამოკიდებულებაშია ჩვენს მიერ ზემოთ განხილული მიზნები უფრო მასშტაბურ, ინდივიდუალური თავისუფლების საზოგადოებრივ მიზანთან. ასეთი საკითხების განსახილველად აუცილებელია სხვა მნიშვნელოვანი კრიტერიუმების გათვალისწინება.

ეკონომიკურ პოლიტიკაში რაციონალური გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია შემოწმდეს და გავიაზროთ მიზნის მიმართ კონფორმულ ინსტრუმენტთა მნიშვნელობა. ეს უნდა განხორციელდეს მიზანთა მთელ სისტემასთან დამოკიდებულებაში, იმ მიზნების ჩათვლით, რომლებიც ძირითად ღირებულებებად არის აღიარებული. გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული დანახარჯების შესამცირებლად საჭიროა ისეთი კრიტერიუმი, რომელიც შეფასებას გააადვილებს. უნდა გამოვიკვლიოთ აგრეთვე ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამიდან გამომდინარე კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტისათვის რომელი საშუალების გამოყენებაა დასაშვები. ასეთი პროგრამა არის ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია. იგი გვაწვდის საკმარის და ერთმნიშვნელოვან ინფორმაციას არსებითი და პოლიტიკურად მნიშვნელოვანი კონსენსუსის თაობაზე. საქმე ეხება იმ კონსენსუსს, რომელიც გულისხმობს, რომ ეკონომიკას, როგორც საზოგადოებრივ მიზანთა უფრო მომცველი სისტემის შემადგენელ სფეროს, დაქვემდებარებული ადგილი უკავია. ეს მდგომარეობა განსაზღვრავს მის ღირებულებას. ამ გარემოების გათვალისწინება გვიადვილებს დავადგინოთ მიზანი სისტემის მიმართ კონფორმულობით ხასიათდება თუ არა.

სისტემის მიმართ კონფორმულობა სწორედ ის კრიტერიუმია, რომლითაც იზომება ის, რაც მთავარია მოცემულ ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციაში. ძირითად ღერძს წარმოადენს კოორდინაციის ის მეთოდები, რომლებიც ეკონომიკას ახასიათებს, როგორც დაქვემდებარებულ სფეროს (ქვესისტემას). მნიშვნელოვანია სწორედ ამ საყრდენი ღერძის არჩევა, ვინაიდან ეკონომიკის, როგორც ქვესისტემის არსებობა კოორდინაციის მეთოდების ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული. ეკონომიკურ მდგომარეობასა და განვითარებას, ერთი

მხრივ, აქვს დამოუკიდებელი ღირებულება, მეორე მხრივ, კი იგი წარმოადგენს უფრო მასშტაბური (გლობალური) საზოგადოებრივი მიზნების მიღწევის საშუალებას.

კოორდინაციის მეთოდების თვალსაზრისით რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა თავისებური დუალიზმით ხასიათდება. ძირითადი ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტის საქმეში, პასუხისმგებლობის გადანაწილების მხრივ, ის კერძო სექტორზეა ორიენტირებული. მეორე მხრივ, კი იგი წარმოადგენს ეკონომიკის კონკრეტულ ტიპს, რომელსაც შუალედური ადგილი უკავია წმინდა საბაზრო ეკონომიკასა და ცენტრალიზებულად მართვად ეკონომიკას შორის. აქედან გამომდინარე, მასში სახელმწიფო სექტორი მნიშვნელოვნად გამოირჩევა. ასე, რომ გლობალური საზოგადოებრივი საქონლით უზრუნველყოფის კოორდინაცია ცენტრალიზებულად რეგულირდება. საბაზრო ბერკეტებითა და ცენტრალიზებულად რეგულირებული სექტორები ერთმანეთთან კავშირში იმყოფებიან მართვის სხვადასხვა ღონისძიებათა საფუძველზე, რაც ეკონომიკური პოლიტიკის მიზანდასახულობით ხორციელდება. დუალისტური ხასიათის მქონე სისტემის ფუნქციონირების შესაძლებლობა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია იმაზე თუ:

- რამდენად კოორდინირებულად მუშაობს ორივე სექტორი;
- რა ზეგავლენას ახდენს საბაზრო კოორდინაციის სექტორის ფუნქციონირებაზე, მისი მართვის მიზნით, სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები.

სისტემის მიმართ კონფორმულობის კრიტერიუმი მართვადი საბაზრო ეკონომიკისათვის ძალზე მნიშვნელოვანია. მისი საშუალებით მართვის ღონისძიებათა ხარისხი შესაძლებელია, უწინარეს ყოვლისა, საბაზრო კოორდინაციის ფუნქციონირებისუნარიანობის ასპექტით შეფასდეს. კოორდინაციის მეთოდების ფუნქციონირების გაუმჯობესება ან გაუარესება იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთმა მიზანმა, რომელსაც კონკრეტული დუალისტური სისტემის საფუძველზე ვესწრაფვით, დადებითი ზემოქმედება განიცადა, ზოგმაც უარყოფითი. შეფასების პრობლემის წარმოშობა სწორედ ამას უკავშირდება. რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის კონკრეტულ ტიპთან დამოკიდებულება-ში გასარკვევია თუ რა შედეგი მოაქვს გააზრებულ ღონისძიებას. განაწილების მიზნებიდან გამომდინარე საქმე იმის გარკვევას ეხება ხომ არ „დაზიანდა“ საბაზრო კოორდინაცია და ხომ არ შემცირდა განაწილების სიზუსტე.

კონცეფციის და სისტემის მიმართ კონფორმულობის კრიტერიუმის გამოყენებამ რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის პირობებში თავიდან უნდა აგვაცილოს დეზორიენტირებული ინტერვენციონიზმი. ასეთ ინტერვენცი-ონიზმს, უპირველეს ყოვლისა, ორი ფაქტორი განაპირობებს:

• ჯერ ერთი, იმ ადამიანების თვალსაწიერის შეზღუდულობა, რომლებიც ეკონომიკის ქვესისტემის სპეციფიკურ პრობლემათა ანალიზით არის დაკავებული. ამავე დროს, პირდაპირ ზეგავლენას განიცდის ან როგორც უშუალოდ პოლიტიკური თანამდებობის პირი (მინისტრი ან შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტის წევრი) ან როგორც ინტერესთა ჯგუფის დამცველი (რომელიმე გაერთიანების ფუნქციონერი);

• მეორეც, პოლიტიკური მოღვაწე მუდამ წარმატების მიღწევის წნეხის ქვეშაა, ვინაიდან იგი ცდილობს მოკლე საპარლამენტო პერიოდში ისეთი ღონისძიებები გაატაროს, რომელიც მაქსიმალურ უკუგებას მოუტანს. იგი გათვლას მიზნის მოკლევადიან ზემოქმედებებზე აკეთებს და გრძელვადიან პერსპექტივას არ ითვალისწინებს.

ინტერვენციონიზმის საფრთხე, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ იგი არასასურველ კუმულაციურ ეფექტებს იწვევს. იქმნება უამრავი ისეთი სიტუაცია, რომლის დროსაც სისტემა ფასდება, როგორც ფუნქციონირების უნარის არმქონე. მაგრამ ასეთი შეფასება შესაძლებელია მცდარი აღმოჩნდეს. საქმე ის არის, რომ გათვალისწინებული არ არის გატარებულ ღონისძიებათა შემოწმებისა და შესწორების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში პასუხგაუცემელი რჩება კითხვა იმის შესახებ, რომ ღონისძიებათა კორექტურის შემდეგ სისტემა კვლავ შეძლებს თუ არა ფუნქციონირებას. საერთოდ, იმთავითვე არ გამოირიცხება, რომ სწორედ ასეთი კორექტურის შემდეგ გახდეს შესაძლებელი ძნელად მისაღწევ მიზნებთან მიახლოება, რომელთა გამოც სისტემა ფუნქციონირების უნარის არმქონედ შეფასდა.

ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა სისტემის მიმართ კონფორმულობის შემოწმებისას მიზანშეწონილია იმ ინსტიტუტებს დავეყრდნოთ, რომლებიც საბაზრო-ეკონომიკურ წესრიგს აყალიბებენ. ისინი უნივერსალური თვისებებით ხასიათდებიან და აკმაყოფილებენ საყოველთაობის, ღიაობისა და განსაზღვრულობის კრიტერიუმებს. რაც შეეხება ინტერვენციებს, მათ არც ღიაობა ახასიათებთ და არც საყოველთაობა. პირიქით, ამ შემთხვევაში კონკრეტულ ეკონომიკურ შედეგებს ხშირად მხოლოდ გარკვეულ ინტერესთა ჯგუფები იმკიან. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებათა რეალიზება მით უფრო ძნელია და იგი უფრო დიდ ზიანს აყენებს თვითრეგულირებადი ბაზრის ფუნქციონირებას, რაც უფრო მეტად შორდება შესაბამისი წესები უნივერსალურობის თვისებას (საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის მოთხოვნებს).

მეცნიერ Tuchtfeldt–ის (1960,გვ.207) კლასიფიკაციით გამოიყოფა კონფორმულობის ხუთი ხარისხი. ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები სისტემისათვის შეიძლება იყოს: აუცილებელი, ხელშემწყობი, ადექვატური, გამაუარესებელი ან დამანგრეველი. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ისე, როგორც

ზოგადად კატეგორიათა ჩამოყალიბების დროს, ამ შემთხვევაშიც კონფორმულობის ხარისხებს შორის საზღვრები ცვალებადობით ხასიათდება. ამიტომაც მნიშვნელოვანია ისინი გავიაზროთ, როგორც ორიენტირები იმ შკალაზე, რომლის ერთ ბოლოში სისტემისათვის აუცილებელი, მეორეში კი სისტემის დამანგრეველი ღონიძიებებია განთავსებული.

სისტემისათვის აუცილებელია ყველა ის ღონისძიება, რომელთა საფუძველზეც კოორდინაციის სპეციფიკური მეთოდები ყალიბდება. საბაზრო კოორდინაციის შემთხვევაში საქმე ეხება, როგორც კომპეტენციების გადანაწილებასა და მათ კონტროლს, ისე წარმატების მოტივთა სამართლებრივი ფორმების ჩამოყალიბებას. უპირველეს ყოვლისა, სამართლის იმ ფორმებს, რომლებიც აგებს და აწესრიგებს, როგორც კერძო ავტონომიას, ისე მისი გაცნობიერების საშუალებებს. ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანების ასპექტით ამაში უპირატესად წესრიგის პოლიტიკა იგულისხმება.

სისტემის ხელშემწყობად კი ისეთი ღონისძიებები ითვლება, რომლებიც მისი ფუნქციონირების შესაძლებლობას უზრუნველყოფს. საბაზრო კოორდინაციის შემთხვევაში ასეთ ღონისძიებებს ის ზომები განეკუთვნება, რომლებსაც განაწილებასა და კონკურენციასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის მიზნით ახორციელებენ.

სისტემის მიმართ ადეკვატურია ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ან სრულიად არ ზღუდავს მის ფუნქციონირებას ანდა უმნიშვნელო ზიანს აყენებს მას. ამ ღონისძიებებში შედის ის ზომები, რომლებსაც შემოსავლების მიღების შესაძლებლობათა გათანაბრების მიზნით ატარებენ. შემოსავალების გადანაწილების მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ სისტემის მიმართ კონფორმულობა ამ შემთხვევაში დამოკიდებულია მიღებული ზომების ფორმასა და დოზირებაზე.

სისტემის გამაუარესებელი ღონისძიებები მართალია ამცირებს მისი ფუნქციონირების შესაძლებლობას, მაგრამ არ ანგრევს მას. ამ ტიპის ღონისძიების მაგალითია ისეთი საკანონმდებლო ზომები, რომლებიც ზღუდავს ბაზარზე შესვლის შესაძლებლობას. სისტემის გამაუარესებელ ზომებთან გვაქვს საქმე, როდესაც ერთი მხრივ, ხდება მობილობის დამაბრკოლებელი საკანონმდებლო შეზღუდვების დაწესება, ხოლო მეორე მხრივ, როდესაც სოფლის მეურნეობის ისეთი ხელშემწყობი ზომები ტარდება, რომლებიც ფასების მარეგულირებელ ფუნქციას ძალას უკარგავს. ასეთი ღონისძიებები გარდა ნაწილობრივი ზემოქმედებისა, სისტემის დამანგრეველ კუმულაციურ ეფექტებსაც იწვევს.

სისტემის დამანგრეველი ღონისძიებები ან საგრძნობლად აფერხებს მის მუშაობას ანდა მის პარალიზებას იწვევს. სწორედ ასეთ ღონისძიებათა კატეგორიაში შედის: სავალუტო კონტროლი, საბაზრო კოორდინაციიდან გარკვეული სექტორების ამოღება, ფასებისა და ხელფასების კონტროლი,

ინვესტიციების სახელმწიფოებრივი მართვა და სხვა. ამასთან, ხშირად ხდება ხოლმე, რომ სისტემის დამანგრეველი ერთი რომელიმე ღონისძიების უზრუნველყოფის მიზნით სხვა ისეთი რამ ტარდება, რომელიც მისი წარმატების გარანტია. ასეთი ღონისძიების მაგალითია წარსულში საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნებისმიერი მცდელობა, რომ როგორმე საგარეო სავაჭრო კანონმდებლობის საშუალებით კონტროლი დაეწესებინათ კაპიტალის საერთაშორისო მიმოქცევაზე. კაპიტალის იმპორტთან დამოკიდებულებაში ეს ღონისძიებები მოიცავს, როგორც ფულადი დეპოზიტისა და კუპონის გადასახადს, ისე ლიცენზირების ვალდებულებას ფასიანი ქაღალდების უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის მიყიდვის შემთხვევაში. ასეთი ღონისძიებები იწვევს შეზღუდვათა ჯაჭვურ რეაქციას, რომლის შესაწყვეტად აუცილებელი ხდება ცალკე ზომების გატარება.

გრადაციასთან დაკავშირებული სიძნელეები მაშინ წამოიჭრება, როდესაც საქმე ცალკეული ღონისძიების ორგანიზებასა და დოზირებას ეხება, ასევე იმას, თუ რა და რა ღონისძიებებთან არის შესაძლებელი მისი კომბინირება. აღნიშნული სიძნელეები უფრო მეტად იჩენს თავს, რაც უფრო ბუნდოვანია ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია. გრადაციები, რომლებიც ზემოაღნიშნულ კრიტერიუმს აკმაყოფილებს იმ მოთხოვნას ემყარება, რომ კონცეფციით გამოხატული პოლიტიკური კონსენსუსი ძალაშია ეკონომიკის ქვედა დონის წესრიგის ფარგლებს გარეთაც (ანუ მთელ საზოგადოებაში). ასეთი წანამძღვრის გათვალისწინება იმას ნიშნავს, რომ მაგ., სისტემის გამაუარესებელი ღონისძიების შემთხვევაში - აქცენტი უარყოფით გვერდით ზემოქმდებებზე კეთდება. ის ზეგავლენა, რომლის მიღება ღონისძიებით სურთ – იერარქიულად უფრო მაღალ საფეხურზე დგას, ვიდრე ყველა ის თანმხლები ზემოქმედება და აქედან გამომდინარე, შედეგი, რომელიც კოორდინაციის ფუნქციონირების უნარს ზღუდავს.

სისტემისადმი კონფორმულობა - რეგულირებად საბაზრო ეკონომიკასთან დამოკიდებულებაში - არ არის იგივე, რასაც (თუნდაც ნაწილობრივ) ბაზრის მიმართ კონფორმულობაში ვგულისხმობთ. ბაზრის მიმართ კომფორმულობასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც „ფასწარმოქმნის მექანიზმი და ბაზრის თვითრეგულირება, რომელსაც იგი იწვევს, კი არ უქმდება, არამედ მას ახალი „მაჩვენებლები“ემატება და მათთან ასიმილირება ხდება.“ (W. Röpke, ციტირებულია Thalheim- ის მიხედვით, 1955, გვ. 578). ფასწარმოქმნის მექანიზმის ასპექტით რაღაც ღონისძიება, რომელიც ბაზრის მიმართ კონფორმულია, შესაძლებელია საბაზრო კოორდინაციისათვის საზიანო აღმოჩნდეს, გააუარესოს სისტემა ან სულაც დაანგრიოს იგი. ამის მიზეზი შესაძლებელია იყოს, როგორც დოზირების პრობლემა, ისე ის მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი ზემოქმედებები, რომლებიც თან ახლავს საშუალების გამოყენებას. დოზირების

პრობლემის კლასიკური მაგალითია აკრძალვითი ბაჟი. ერთი შეხედვით ალოკაციისაგან განსხვავებით - ასეთი ღონისძიება არ აზიანებს ფასწარმოქმნის მექანიზმს, ამიტომაც იგი ბაზრის მიმართ კონფორმული ღონისძიებაა. მეორე მხრივ, საგარეო ვაჭრობაში აკრძალვითი ბაჟის შემოღებით მიღებული ზემოქმედება აუქმებს კონკურენციის შეზღუდვის კონტროლის შესაძლებლობას. ამიტომ, ეს ღონისძიება აუარესებს სისტემის მუშაობას. რაც შეეხება იმ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების გამყარება ინტერვენციაზე მოთხოვნის საშუალებით, ისინი ზიანს არ აყენებს ფასწარმოქმნის მექანიზმს (ცხადია, თუ ეს WTO-ს მოთხოვნებს არ ეწინააღმდეგება) და ამდენად ბაზრის მიმართ კონფორმული ღონისძიებებია. გარდა ამისა, ისინი შესაძლებელია სისტემის მიმართ კონფორმულ ღონისძიებებადაც ვაღიაროთ – თუ ინტერვენციაზე მოთხოვნის საშუალებით აგრარულ ბაზარზე ფასების მერყეობის შემცირება მოხერხდება. თუ სახელმწიფო ინტერვენციის შემთხვევები დაგეგმილს ბევრად აჭარბებს, ეს უკვე უტყუარი ნიშანია იმისა, რომ საბაზრო კოორდინაციის ფუნქციონირება დაირღვა. აშკარაა, რომ ჩვენს წინაშეა რესურსების გაფლანგვის შემთხვევა. ეს ღონისძიება სისტემის გამაუარესებელი ზომაც იქნება. რაციონალურობის წანამძღვრიდან გამომდინარე და მიზნის მიმართ კონფორმულობის გათვალისწინებით, ასეთი ღონისძიებები მაშინ იქნება გამართლებული თუ: 1) ხელი არ მიგვიწვდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობ სხვა უფრო ადეკვატურ ზომებზე, 2) მათ (ზომებს) უფრო ნაკლები რესურსები და დანახარჯები დაჭირდება.

ინსტრუმენტების ოპტიმალური გამოყენება

რაც შეეხება არჩევანის შესაძლებლობებს, ინტერვენციის ჩვენ მიერ განხილული წესების (Tuchtfeldt, 1982) საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ

- მიზნის მიმართ კონფორმულობის კრიტერიუმის გამოყენება მხოლოდ იმის უფლებას გვაძლევს, რომ ღონისძიებათა ეფექტიანობის შესახებ მხოლოდ ერთიანი (არადიფერენცირებული) მოსაზრება გვქონდეს;
- კონცეფციის თუ სისტემის მიმართ კონფორმულობის კრიტერიუმი მხოლოდ წინასწარი მსჯელობის ნებართვას გვაძლევს, რომლის საფუძველზე მიზნის მიმართ კონფორმულ ღონისძიებათა აგრეთვე მხოლოდ წინასწარ არჩევა შეიძლება.

ღონისძიებათა სწორი არჩევანი მოითხოვს უფრო მრავალმხრივ და დიფერენცირებულ მსჯელობას. ამიტომ საჭიროა განვაგრძოთ საშუალებათა გამოყენების შეფასება. საშუალებების შესახებ შეფასებითი მსჯელობები შესაძლებელი იქნება თუ კონკრეტულ ღონისძიებასთან დამოკიდებულებაში

ერთმანეთს შევადარებთ ეკონომიკური პოლიტიკის მოსალოდნელ სარგებელსა და ხარჯებს.

სარგებლის ასპექტით უნდა გავითვალისწინოთ:

• პირდაპირი სარგებელი, როგორც დასახულ მიზანზე საშუალების (ინსტრუმენტის) ზემოქმედების შედეგი და

• არაპირდაპირი სარგებელი, როგორც სხვა მიზნებზე შესაძლო დადებითი თანმხლები ზემოქმედების შედეგი. საქმე ეხება იმ მიზნებს, რომლებიც საშუალების გამოყენების პროცესში ურთიერთშემავსებელი დამოკიდებულებების საფუძველზე ყალიბდება.

დანახარჯების ასპექტით უნდა გავითვალისწინოთ:

• პირდაპირი დანახარჯები, რომლებსაც ღონისძიება გადაწყვეტილების გამტარებელს ანდა იმ ინდივიდს აკისრებს, რომელსაც იგი ეხება და

• დანახარჯები, როგორც სხვა მიზნებზე ღონისძიების უარყოფითი თანმხლები ზემოქმედების შედეგი. საქმე ეხება იმ მიზნებს, რომლებიც კონკურენტული ურთიერთობის საფუძველზე ყალიბდება.

ეკონომიკური პოლიტიკის კონკრეტული პრობლემის გადაჭრის თვალსაზრისით აუცილებელი იქნება ისეთი ღონისძიების იდენტიფიცირება, რომელსაც სხვა ზომებთან შედარებით ყველაზე მეტი საერთო სარგებლობის მოტანა შეუძლია.

ხარჯებისა და სარგებლის ეკონომიკურ–პოლიტიკური ანალიზი შესაძლებელი იქნება თუ გადაჭრილია ორი პრობლემა:

• ძირითადი და თანმხლები ზემოქმედებების შეფასება გულისხმობს მართვის შესაბამის ცოდნას (ცოდნის პრობლემა);

• გადაწყვეტილების მიმღებ ინსტანციას მოეთხოვება მოსალოდნელ ზემოქმედებათა შეფასება (შეფასების პრობლემა).

ცოდნის პრობლემის დაძლევამდე აუცილებელია ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პრობლემის ახსნა, რომლის გადაჭრასაც ხარჯებისა და სარგებლის ანალიზი გაგვიადვილებს. ასეთი პრობლემები ოპერაციონალიზებას უკავშირდება. მიზნისა და კონცეფციის მიმართ კონფორმული საშუალებების, მათი ზემოქმედებებისა და გამოყენებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯები მნიშვნელოვანია მას შემდეგ გავაანალიზოთ, რაც დაკონკრეტდება მიზნები. მათ განხილვამდე საჭიროა საშუალებების მართვასთან დაკავშირებული საკითხები ავხსნათ. ასეთია: შერჩეული საშუალების დოზირების შემოწმება, ასევე იმის შეფასება, თუ რა საფრთხეებს გამოიწვევს დოზირებასთან დაკავშირებული ცდომილება.

დასახულ მიზანთან მიახლოება იმის საშუალებასაც მოგვცემს, რომ შევაფასოთ სხვა მიზნებზე მისი, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ზემოქმედება. ამავე დროს შეუძლებელია შეფასებათა მეცნიერული ანალიზი

განხორციელდეს. მეცნიერულად შესაძლებელია დასაბუთდეს მხოლოდ მტკიცებები, როგორც დასახული მიზნის რეალიზების, ისე გამოყენებული საშუალების ზემოქმედების თაობაზე. საქმე ეხება იმის შეფასებას, თუ რამდენად ზრდის ან ამცირებს კონკრეტული ღონისძიება დასახული მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. ამისათვის უნდა ვისარგებლოთ ცოდნით იმის შესახებ, თუ რა ზემოქმედება შეუძლია მოახდინოს მიზანზე გამოყენებულმა საშუალებამ. ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილების გამტარებელთა შეფასებები, როგორც წესი, პარტიებისა და ინტერესთა ჯგუფების მიმართ პოლიტიკურ ანტიპათიებსა თუ სიმპათიებში ვლინდება ხოლმე. საერთაშორისო კვლევების პრაქტიკაში მიღებულია პოლიტიკური სპექტრის უბეში დაყოფა კონსერვატორებად, ცენტრისტებად და სოციალისტებად. კირშენმა (1964, გვ.87–129; 146) სწორედ ასეთი კვლევის საფუძველზე ჩამოაყალიბა შეხედულება იმის შესახებ, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების ასპექტით პრეფერენციები ძალზე განსხვავებულად არის გადანაწილებული. კონსერვატორები მიზანზე პირდაპირი ზემოქმედების ინსტრუმენტებთან შედარებით უპირატესობას კერძო სექტორის ეკონომიკაში დაგეგმილ მონაცემთა სხვადასხვა ვარიაციების გამოყენებას ანიჭებენ. ისინი ამჯობინებენ არა მონეტარული, არამედ ფისკალური ღონისძიებების გატარებას. პირდაპირ დაბეგვრასთან შედარებით უპირატესობას არაპირდაპირ დაბეგვრას ანიჭებენ. კონსერვატორები სახელმწიფოს როლის ზრდას მხარს არ უჭერენ. სოციალისტები, პირიქით, სახელმწიფოს ჩარევასა და კონიუნქტურულ პოლიტიკაში „დეფიციტური ხარჯვის“ ღონისძიებებს ემხრობიან. ინტერესთა ჯგუფები (დამქირავებლები, პროფესიული კავშირები, სოფლის მეურნეობის მუშაკები), როგორც მოსალოდნელი იყო, იმ პარტიების პოზიციებს იზიარებენ, რომლებთანაც უფრო ახლოს არიან. ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა მიმათ წინააღმდეგობამ შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურება გამოიწვიოს. მაგ., როდესაც ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციები პარლამენტის თანხმობის მოპოვებას ცდილობს. ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურება კი, როგორც წესი, ღონისძიებათა ზემოქმედების ფორმაზეც აისახება.

ცოდნასთან და შეფასებასთან დაკავშირებული პრობლემები ნათლად გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ხარჯებისა და სარგებლის ანალიზი საუკეთესო შემთხვევაში არასრული ხასიათის იქნება. ასეთ ანალიზს შემეცნებითი და პრაგმატული მნიშვნელობაც აქვს: იგი მეთოდურ დახმარებას გვიწევს მართვასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემის იდენტიფიცირებისა და მისი სწორად შეფასების საქმეში.

კონკრეტული ღონისძიების შეფასების პირობაა იმის ცოდნა, თუ რა ზემოქმედებას მოახდენს იგი (საშუალება) დოზირებული გამოყენების შემთხვევაში. სწორედ ასეთი ცოდნის საფუძველზე ხდება შესაძლებელი

ღონისძიების მიერ გამოწვეული, როგორც ძირითადი და თანმხლები, ისე მოკლევადიან და გრძელვადიან ზემოქმედებათა განსაზღვრა და შეფასება. ხშირად საშუალების გამოყენების დანახარჯებიც მისი გამოყენების დოზირებაზეა დამოკიდებული.

საშუალების გამოყენების ეფექტი მიზნებსა და საშუალებებს შორის დამოკიდებულებების ტექნოლოგიას ეხება. ასეთი მიმართებები კი განსაზღვრავს რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების შესაძლებლობათა სფეროს. მათი უგულვებელყოფა ეკონომიკური პოლიტიკის ასპექტით არასასურველ შედეგებს გამოიწვევს. მათი მიზეზი კი ძირითად მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთობათა შესახებ შეზღუდული ცოდნის არსებობაა. მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობები ხშირად მხედველობის არედან ქრება, და ეს ხდება იმიტომ რომ:

- საშუალებასა და მიზანს შორის „ჩართულია" მრავალი სხვა პროცესი;
- საშუალების მიზნობრიობა იცვლება იმ ზემოქმედებათა საფუძველზე, რომლებიც კერძო ინდივიდთა რეაქციას მოჰყვება ხოლმე, როგორც საშუალების გამოყენების შედეგი;
- გარკვეული დროა საჭირო იმისათვის, რომ მიზანზე კერძო სუბიექტთა რეაქციის ყველა ზემოქმედება დასრულდეს.

ამ სირთულეებს სტაბილიზების პოლიტიკის ასპექტით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. კეინზიანური მოდელი მათი ნათლად განსაზღვრის საშუალებას გვაძლევს. თუ მიზანი არის მთლიანი შიდა პროდუქტის გაზრდა და სამთავრობო ხარჯების ზრდის შეფასება, მაშინ გარდა მიზანზე პირდაპირი ზემოქმედებისა, აუცილებელია ფულად და სასაქონლო ბაზარებზე მიმდინარე სხვა (საგარეო ვაჭრობის ჩათვლით) პროცესების გათვალისწინებაც. ამის შედეგია ის, რომ მულტიპლიკატორული ეფექტი სუსტდება. არსებული ფულის მასის პირობებში სირთულეები გულისხმობს სამომხმარებლო ხარჯების ზრდას, რაც, თავის მხრივ, სამთავრობო ხარჯების ზრდის უშუალო შედეგს წარმოადგენს. ხარჯების ზრდასთან დაკავშირებული შემოსავლებზე დამატებითი ზემოქმედება გრძელვადიან პერიოდში სუსტდება. ამის მიზეზი შეიძლება იყოს (გაჟონვა), რომელიც მიმდინარეობს: დანაზოგის ზრდით, ასევე შემოსავლებთან დაკავშირებული დაბეგვრის უარყოფითი ეფექტებითა და იმპორტის ზრდით. ამას როგორც წესი – ემატება ის ნეგატიური ზემოქმედებაც, რომელსაც საინვესტიციო ხარჯების შემცირება მულტიპლიკატორულ ეფექტებზე ახდენს. პროცესი კიდევ უფრო ღრმავდება, როდესაც ტრანსაქციების ფულზე შემოსავლებით სტიმულირებული მოთხოვნა იზრდება. მაშინაც კი, როდესაც ეკონომიკა წონასწორულ მდგომარეობაშია და მომხმარებელთა ქცევა (მოხმარების ფუნქცია) შეყოვნებულ რეაქციებს გულისხმობს, თავს იჩენს

მესამე სირთულე. პერიოდული ანალიზი ეკონომიკური პროცესების მხოლოდ ნაწილს მოიცავს, მაგრამ საქმე ის არის, რომ მომდევნო პერიოდებში რეაქციების შეყოვნებაზე ზემოქმედებას ინსტრუმენტების ცვალებადობა ახდენს. ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა დოზირება შესაძლოა შეესაბამებოდეს მხოლოდ მიმდინარე პერიოდს. ამავე დროს არ არის გამორიცხული, რომ შუალედურ პერიოდში მისი ზედმეტი დოზით გამოყენება მოხდეს.

საშუალების გამოყენებისას, გარდა იმისა, რომ აუცილებელია გარკვეული შეფასებების გაკეთება, დოზირების საზღვრებიც უნდა გავითვალისწინოთ. ასეთი საზღვრები, უპირველეს ყოვლისა, ტექნიკურად არის განპირობებული. რა თქმა უნდა, შეუძლებელია ყველა საშუალების თანაბარი სიზუსტით დოზირება. ამ კონტექსტში მხედველობაში უნდა გვქონდეს თვისებრივ და რაოდენობრივ საშუალებებს შორის განსხვავება. თვისებრივი საშუალებაა შრომის დაცვის კანონი, უკიდურესი ღონისძიების კარტელის აკრძალვის, ანდა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ კანონი. რაოდენობრივი საშუალებაა საგადასახადო ტარიფი და საპროცენტო განაკვეთი, სახელმწიფო საინვესტიციო ხარჯები ან თამასუქის განაღდებისას საპროცენტო გადასახდელი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დოზირების ის საზღვრები, რომლებიც ნაციონალური კანონმდებლობით ანდა საერთაშორისო ხელშეკრულებებითაა დადგენილი. ისინი როგორც წესი, ზღუდავს ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთა მოქმედების არეალს. მაგ., განვითარებულ ქვეყნებში, ცენტრალური ბანკის შესახებ კანონის თანახმად, იგი ვალდებულია არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტების დეპოზიტებზე სარეზერვო ტარიფები მაქსიმალური სიდიდის გათვალისწინებით დააწესოს. ასევე შეიძლება, განვმარტოთ საოჯახო მეურნეობის შესახებ კანონი, რომელიც ზღუდავს აღმასრულებელი ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკის შესაძლებლობებს. იმის მაგ., თუ როგორ იზღუდება ინსტრუმენტების დოზირება საერთაშორისო დონეზე, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO) გამოდგება, რომელიც შეზღუდვებს უწესებს წევრ სახელმწიფოებს საგარეო ვაჭრობის სფეროში. სისტემისადმი კონფორმულობის მაგ., შეიძლება დავასახელოთ ინსტრუმენტთა დოზირების ის წესები, რომლებიც კონსტიტუციით არის გარანტირებული. ასეთი საკონსტიტუციო გარანტიები საკუთრებას გააჩნია. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ კერძო საკუთრების საჯარო საკუთრებაში გადასვლა იზღუდება. ეს ვითარება შეესაბამება სამართლის შესახებ გაბატონებულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც საკუთრების სოციალიზება დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში (თუმცა მაინც დასაშვებია).

ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტთა გამოყენების ასპექტით შეფასების პრობლემა დოზირების პრობლემას უკავშირდება. ამ პრობლემის

გათვალისწინება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც: 1) შესაფასებელი საშუალება მაქსიმალურად ზუსტად არის დოზირებული; 2) როგორც მიზანზე ზემოქმედება, ისე თანმხლები ზეგავლენა დოზირების ხარისხთან ერთად იცვლება და შეფასებულია, როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი ზემოქმედება; 3) საშუალების გამოყენების ხარჯები ფიქსირებულ ხარჯებზე კი არ დაიყვანება, არამედ ისიც დოზირების ხარისხის მიხედვით ცვალებადობას განიცდის და ცნობილია მისი საერთო რაოდენობა. ამ უკიდურესად გამარტივებული წანამძღვრებიდან გამომდინარე შესაძლებელია ერთმანეთისგან განვასხვავოთ დოზირების შემდეგი ხარისხები:

• საშუალება ოპტიმალურად არის დოზირებული, როდესაც მისი სხვაგვარად დოზირების შესაძლებლობა უფრო დიდ საერთო სარგებელს არ მოიტანდა;

• საშუალების დოზირების ხარისხი აბსოლუტურად არასაკმარისია, როდესაც მისი გამოყენების დანახარჯები მიღებულ სარგებელს აჭარბებს. საერთოდ სარგებელი გაიზრდება თუკი საშუალების დოზას საგრძნობლად გავზრდით;

• შედარებით არასაკმარისად ანდა საკმაოზე მეტად დოზირებულია საშუალება, როდესაც მართალია მისი გამოყენების საერთო სარგებელი აღემატება საერთო დანახარჯებს, მაგრამ უფრო მეტი ან ნაკლები დოზირება გაცილებით მეტი სარგებლის მომტანი იქნებოდა;

• საშუალება აბსოლუტურად ზედმეტად დოზირებულია, როდესაც საერთო დანახარჯები აღემატება საერთო სარგებელს და დადებითი სარგებლიანობა მოსალოდნელია მხოლოდ მისი უფრო მცირე დოზის შემთხვევაში.

როგორც ჩანს შეუძლებელია ზუსტად განვსაზღვროთ ეკონომიკური პოლიტიკის კონკრეტული საშუალების დოზირების ხარისხი. საშუალების აბსოლუტურად არასაკმარის დოზირებასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც იგი მიზანზე ზემოქმედებას ვერ ახდენს და მის გამოყენებაზე სახსრები ყოველგვარი უკუგების გარეშე იხარჯება. მინიმალური დოზირება მაშინ არის აუცილებელი, როდესაც უნდა ავცდეთ ინდივიდების რეაქციას (ბარიერს), რომელსაც ეს ღონისძიება ეხება. ასეთი ზღურბლის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ ძალზე დიდი იქნება ის დანახარჯები, რომლებიც კერძო სუბიექტთა ეკონომიკური მისწრაფებების შეცვლასთან არის დაკავშირებული. უფრო რომ დავაზუსტოთ ეს ეკონომიკურ-პოლიტიკური დაგეგმილი მონაცემების ცვალებადობაზე სუბიექტთა რეაქციების გადალახვას გულისხმობს. ასეთი დანახარჯები კი იზომება მიღწეული შედეგების ან/და იმ დანახარჯების მიხედვით, რომელთა თავიდან აცილება შეიძლებოდა. ასეთი ბარიერი შესაძლებელია წარმოიშვას, როგორც შედეგი იმ სხვაობისა, რაც რეაქციის მოსალოდნელ სარგებელსა და

სუბსიდირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს შორის არსებობს. ასევე შესაძლებელია გარკვეული სხვაობა არსებობდეს საგადასახადო განაკვეთებსა და საპროცენტო განაკვეთების ვარიაციებში. ამის მაგალითია ე.წ. წვრილმანი გადასახადები, რომლის დროსაც გასათვალსწინებელია როგორც საკანონმდებლო, სამთავრობო და კერძო დანახარჯები, ისე საგადასახადო შემოსავლები.

შედარებით ან/და აბსოლუტურად არასაკმარის დოზირებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების შემოღებისას არ ითვალისწინებენ ან უგულვებელყოფენ ეკონომიკის კერძო სექტორის გეგმებს. ასეთ შესაძლებლობაზე ნათლად მეტყველებს გადასახადებისადმი მზარდი წინააღმდეგობა. მიზანთან დამოკიდებულებაში საშუალების კონფორმულობის შეფასებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ, როგორც აქტიური (გადასახადებისათვის თავის არიდება ან მათი უარყოფა, საგადასახადო ბოიკოტი), ისე პასიური წინააღმდეგობის ფორმები (ეფექტიანობის დაცემა). ასეთი არაზუსტი დოზირების შედეგია, მაგ., არალეგალური ეკონომიკა, როგორც ჩრდილოვანი ეკონომიკის ნაწილი.

შედარებით ან/და აბსოლუტურად არასაკმარისი დოზირება საშუალების გამოყენებისას შესაძლებელია გრძელვადიანი ზემოქმედებების გაუთვალისწინებლობამაც გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში სარგებელსა და ხარჯებს შორის მოკლევადიანი სასურველი თანაფარდობა გრძელვადიან პერსპექტივაში მის საპირისპირო თანაფარდობად გადაიქცევა. ასეთ საშუალებას კონტრპროდუქტიული ხასიათი აქვს. „ბუმერანგის ეფექტს“ ვღებულობთ მაშინ, როდესაც ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს, როგორც ფართო მოხმარების საქონლის მწარმოებლებს, ხელსაყრელი პირობები ექმნებათ იმით, რომ მათ პროდუქტებზე ფიქსირებული ფასები წესდება, რომლებზეც მსოფლიო ბაზრისათვის დამახასიათებელი ციკლური რყევები გავლენას ვერ ახდენს. მოკლევადიან პერსპექტივაში ამან შეიძლება გამოიწვიოს მწარმოებელთა ეფექტიანობის ზრდა, თუ ფართო მოხმარების საქონელზე ფასების ელასტიკურობა შედარებით დაბალია. გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებელია ბუმერანგის ეფექტი მოგვევლინოს იმ ფორმით, რომელიც გულისხმობს (სხვა თანაბარ პირობებში), რომ ფართო მოხმარების საქონლის წარმოება მარტივია და მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებით არ იწარმოება. შესაბამისად, სხვა განვითარებადი ქვეყნებიც ერთვებიან წარმოების პროცესში, რის შედეგადაც მსოფლიო ფასები და წარმოების ეფექტიანობა ეცემა. იგივე ეფექტი იჩენს თავს, როდესაც მიწოდების სიდიდეს ფასების გრძელვადიანი ელასტიკურობის გათვალისწინებით ადგენენ. მოთხოვნის ასპექტით - გამორიცხული არ არის, რომ მაღალი ფასები დადებით ზეგავლენას ახდენდეს სუბსიდირებისა და უკუგების პროცესებზე. აქედან გამომდინარე კი ფასების მიმართ მოთხოვნის ელასტიკურობა მატულობს.

შედარებით ან/და აბსოლუტურად ზედმეტი დოზირების კიდევ ერთი შემთხვევა წარმოიშობა, როდესაც საშუალების გრძელვადიანი ზემოქმედება საერთო ზემოქმედებად განისაზღვრება და მასთან დამოკიდებულებაში ხდება დოზირების ზრდა, რაც კონტრპროდუქტიულ ღონისძიებად გვევლინება. როდესაც მოკლევადიან პერსპექტივაში კონიუნქტურა პროგრამის განხორციელებაზე საგრძნობ ზეგავლენას ვერ ახდენს, ჩნდება იმის ცდუნება, რომ არსებული პროგრამა „გაუმჯობესებული“ იქნეს სხვა პროგრამით. როდესაც შედეგის დაყოვნება მოკლევადიანი და სუსტი რეაქციის საბაბად გადაიქცევა, ისე როგორც ყველა კიბერნეტიკული სისტემის შემთხვევაში, თავს იჩენს ხოლმე „გადაჭარბებული“ მართვის საფრთხე. ამ შესაძლებლობასთან ახლოსაა კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც „ჯამურ ეფექტს“ (Tuchtfeldt, 1970a, გვ. 732) უწოდებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებას საქმე ინტერვენციისაგან თავისუფალ სიტუაციასთან კი არა, არამედ მოქმედებისას სხვა ადრე მიღებულ ზომებთან აქვს შეხება. ამიტომ დროთა განმავლობაში აუცილებელი ხდება სხვადასხვა სახის დახმარება, რომელიც ხელს უწყობს სტრუქტურის შენარჩუნებას ან/და მასზე მისადაგებას აშკარა თუ ფარულ მიზანთან დამოკიდებულებაში. ამას ემატება განაწილების პოლიტიკასთან დაკავშირებული უამრავი ღონისძიება, რომელთა თანმხლები ზეგავლენები (ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემა) მობილობას აფერხებს. მათი თავიდან აცილება შესაძლებელია იმავე ეფექტების მქონე ზომებით (წარმოების შიგნით დისლოკაციის ადგილის შეცვლასთან დაკავშირებული ბარიერები), რომელთა შესახებ წინასწარ თანხმდებიან შრომის ბაზრის მხარეები. კონკურენციის პოლიტიკაში დაშვებული შეცდომები (ვაჭრობის შეზღუდვასთან დაკავშირებული ზომები) დიდ ზიანს აყენებს კონკურენციასთან შესაბამისობისა და მისი განვითარების ფუნქციას. ასეთ ღონისძიებათა „ჯამური ეფექტი“ იმაში მდგომარეობს, რომ იზღუდება თავისუფალი სტრუქტურული ცვლილებების შესაძლებლობა. იგი საწარმოების დახურვასა და სტრუქტურულ უმუშევრობაში გამოიხატება, ვიდრე საქმე სექტორული და რეგიონული რესურსების გადანაწილებაზე მიდგებოდეს. ზოგი ინდივიდისათვის წარსულში განხორციელებული ინტერვენციების „ჯამური ეფექტი“ იგივეა, რაც საბაზრო კოორდინაციისა და სტრუქტურული ცვლილების უარყოფა. ამიტომაც იგი ვერ ხედავს ცალკეულ ღონისძიებასთან დამოკიდებულებაში ხარჯებისა და სარგებლის ხელახლა შეფასებისა და ღონისძიების სხვა ზომით ჩანაცვლების აუცილებლობას.

და ბოლოს, არაზუსტ დოზირებას ხშირად ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმილ მონაცემთა ცვალებადობა იწვევს, როდესაც ცალკეული ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების გეგმა ბაზარზე ადაპტირების უსაშველოდ დიდ უნარს ითხოვს. ეს იმას ნიშნავს, რომ გადაფასებულია შესაბამისობის რეაქციების

შესახებ აუცილებელი ცოდნა. თუ კვლავაც განვაგრძობთ მართვის შესახებ არსებული ცოდნის საფუძველზე ღონისძიებათა შეფასებას, დოზირებასთან დაკავშირებულ ცდომილებებს ისევ უნდა ველოდოთ.

ცალკეულ საშუალებასთან დაკავშირებულია დოზირების სხვადასხვა ხარისხი. ამიტომ ოპტიმალური დოზების შემთხვევაში სხვადასხვა საშუალებას შორის შედარების შესახებ ჯერ კიდევ არაფერია ნათქვამი. იგულისხმება ყველა სხვა ინსტრუმენტი, რომელთა საშუალებითაც პრინციპულად შესაძლებელია იმავე მიზნის მიღწევა. ასეთი შედარება კი მიზანშეწონილია, როდესაც კონკურენციული ღონისძიებები იერარქიულად ლაგდება მათი საერთო სარგებლიანობის მიხედვით. საქმე ეხება იმ სარგებელს, რომელიც ნებისმიერ დროს მიიღწევა ოპტიმალური დოზირების შემთხვევაში. ასეთი შეფასება ყოველთვის ნაწილობრივია, ვინაიდან იგი არ ითვალისწინებს ინსტრუმენტთა შორის კომბინაციების შესაძლებლობას. ასეთი კომბინაციებიდან კი იმას უნდა მიენიჭოს უპირატესობა, რომელიც ყველაზე მეტ სარგებელს გვპირდება. საშუალების შეფასება ასეთი კომბინაციების გათვალისწინების გარეშე ვერასოდეს მიგვიყვანს სასურველ შედეგამდე, ღონისძიების ოპტიმალურ დოზირებამდე. მართვის ცოდნისა და აუცილებელი შეფასებისადმი წაყენებული მოთხოვნები იზრდება. ეს ხდება მაშინ, როდესაც ღონისძიების ნაწილობრივი შეფასების ნაცვლად აუცილებელი ხდება ცალკეული კონკურენციული საშუალების კომბინაციების შეფასება. იგი უნდა განხორციელდეს საშუალებისა და მიზნის მეტ-ნაკლებად მომცველი სისტემების ან/და ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამების შედარების გზით. ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება პრობლემა იმის შესახებ, თუ რამდენად არის შესაძლებელი მოქმედების წესრიგის ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება.

დოზირებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული პრობლემა ჩნდება, როდესაც ყოვნდება ეკონომიკური პოლიტიკის საშუალების გამოყენება ან მისი ზემოქმედება. ეკონომიკური ასპექტით დაყოვნებებს ყოველთვის იწვევს ტექნიკური, ინსტიტუციური და ქცევასთან დაკავშირებული კონფლიქტები. ტექნიკური დაყოვნება ნიშნავს იმას, რომ საშუალების გამოყენებას ეფექტი გარკვეული დროის შემდეგ მოჰყვება. ქცევასთან დაკავშირებული დაყოვნება გულისხმობს იმ ვითარებას, რომელიც გადაწყვეტილების მომზადებასა და გატარებას უკავშირდება. ეს პროცესი განპირობებულია ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებების გამტარებელთა ქცევის დაყოვნებით.

ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციები დაყოვნების პრობლემას ხვდებიან, როგორც თავიანთი ზეგავლენის სფეროში (ენდოგენური დაყოვნებები), ისე ამ სფეროს გარეთ (ეგზოგენური დაყოვნებები). გარდა ამისა, საშუალების მოქმედებას ახასიათებს საერთო დაყოვნებები, რომლებიც მისი გამოყენების პროცესს თავიდან ბოლომდე გასდევს. ეკონომიკური პოლიტიკის

ინსტანციისათვის დამახასიათებელია ის საერთო დაყოვნება, რომელიც შემეცნებას უკავშირდება და ხშირად ეგზოგენური დაყოვნების ფორმა აქვს. იგი შედგება:

• აღქმის დაყოვნებისაგან, რისი მიზეზიც ის არის, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ცდომილებებზე დაკვირვება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ხდება შესაძლებელი;

• კომუნიკაციის დაყოვნებისგან, რომელიც გულისხმობს, რომ ცდომილების შესახებ ინფორმაციის მომზადებასა და გადაცემას გარკვეული დრო ჭირდება.

მოვლენათა მეორე ჯგუფს წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციისათვის შინაგანად დამახასიათებელი დაყოვნებები:

• დიაგნოზის დაყოვნების მიზეზი ის არის, რომ მიღებული ინფორმაციის შეფასებისა და ცდომილების ანალიზისათვის აუცილებელია გარკვეული დრო;

• დაგეგმვასთან დაკავშირებული დაყოვნება იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამის შედგენა გარკვეულ დროს საჭიროებს;

• გადაწყვეტილების დაყოვნებაც იმ დროსთანაა დაკავშირებული, რომელიც აუცილებელია მოქმედების შესაძლებლობათა შესაფასებლად.

განხორციელების დაყოვნება თავს იჩენს პროგრამის ხორცშესხმის პროცესში, როდესაც მიმდინარეობს საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

საშუალების გამოყენება და მის შესახებ ინფორმაცია ცვლის კერძო სუბიექტების პოზიციებს და იწვევს მათ განსხვავებულ რეაქციას. ამის შედეგად წარმოშობილ დაყოვნებებს გარეგან დაყოვნებათა ფორმა აქვს და შემდეგი ელემენტებისაგან შედგება:

• პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, მის შემდეგ წარმოშობილი დაყოვნება, რომელიც ღონისძიების დასრულების შემდეგ და მიზანზე პირველ ზემოქმედებამდე იჩენს ხოლმე თავს;

• პროცესით განპირობებული დაყოვნებები, რომლებსაც იწვევს ის, რომ პროცესის დასრულების შემდგომი დაყოვნებები მყისიერად არ წარმოიშობა. ისინი ჩნდება გარკვეული დროის შემდეგ, სანამ მიზანზე საერთო ზემოქმედება მოხდება.

ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციებისათვის დამახასიათებელი დაყოვნებები განსხვავებული ელემენტებისაგან შედგება, ვიდრე კერძო სექტორისთვის დამახასიათებელი ანალოგიური დაყოვნებები. კერძო სექტორის შემთხვევაში საქმე ეხება კერძო სუბიექტების რეაქციებს ეკონომიკური პოლიტიკის ცვალებადობაზე.

ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციების შემთხვევაში - შემეცნებასთან, ინსტანციებთან და ზემოქმედებასთან დაკავშირებული დაყოვნებები მანამ წარმოიშობა, ვიდრე საშუალების გამოყენებას ზემოქმედება მოჰყვება. ამიტომაც

აუცილებელია პროგნოზირება, რომელიც ინფორმაციას გვაწვდის იმის შესახებ, თუ რა ვითარებაა ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემასთან დაკავშირებით დროის მოცემულ მომენტში. ამ სიძნელის უგულვებელყოფა ან მისი მცდარად შეფასება ეკონომიკური პოლიტიკის კონიუნქტურის სფეროში იმას ნიშნავს, რომ სტაბილიზების მიზნით გატარებულმა ღონისძიებამ მარცხი განიცადა.

ინსტრუმენტების დისკრეციული გამოყენება

ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლისათვის მინიჭებული თავისუფლებიდან გამომდინარე შესაძლებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ:

- საშუალების დისკრეციული გამოყენება, როდესაც მთლიანად ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლის შეფასებაზეა დამოკიდებული რომელიმე საშუალება რა სიტუაციაში და როგორ გამოიყენოს;
- საშუალების გამოყენება წესის მიხედვით, როდესაც ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლის შეფასება იმით იზღუდება, რომ თავიდანვე იძულებითი სამართლებრივი წესით განსაზღვრულია: რა პირობებში, რა საშუალება, რა დოზით და რამდენი ხნით უნდა გამოიყენოს.

ძალზე ცვალებადია საზღვარი, რომელიც ერთმანეთისგან ჰყოფს საშუალების დისკრეციულ გამოყენებას (რომელსაც შემთხვევით ინტერვენციასაც უწოდებენ) და წესის მიხედვით მის გამოყენებას, რასაც ფორმალურ მოქნილობადაც მოიხსენიებენ ხოლმე. მეორესთან, უპირველეს ყოვლისა, მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც საშუალებას სტაბილიზების პოლიტიკის მიზნით იყენებენ.

საკუთარი შეხედულებით მოქმედების თავისუფლება და საშუალების დისკრეციული გამოყენება შესაძლებელია, რამდენადაც ეკონომიკური პოლიტიკის სიტუაცია მიზნისადმი მაქსიმალურად კონფორმული საშუალების გამოყენების ნებას გვაძლევს. ამას წინ ეღობება რამდენიმე დაბრკოლება. სწორედ დაყოვნებებისა და მათთან დაკავშირებული საფრთხის გამო სტაბილიზების მიზნით გატარებულმა ღონისძიებამ შესაძლებელია საწინააღმდეგო შედეგი გამოიღოს. ამას მივყავართ მნიშვნელოვან მოსაზრებამდე, საქმე ეხება დაყოვნების ელემენტთაგან ზოგიერთის მოცილებას, ხოლო სხვებისათვის მოქმედების ხანგრძლივობის შემცირებას. ეფექტიანი წესების შემოღების შემთხვევაში შესაძლებელია ინსტანციებთან დაკავშირებული დაყოვნებების თავიდან აცილება ანდა შემცირება. წინასწარი დიაგნოზის მიხედვით მომავალში ერთნაირი კონკრეტული მოვლენები (მაგ., უმუშევრობის ქვოტის ზრდა) ეკონომიკური პოლიტიკის ერთნაირ შედეგებამდე (სტრუქტურული ან ციკლური უმუშევრობა) მიგვიყვანს და მათი თერაპიაც (საშემოსავლო გადასახადის შემცირება) ერთნაირი იქნება.

უნდა აღინიშნოს, რომ შემთხვევითი ინტერვენციებით დაყოვნების საფრთხეებს ვერ ავიცილებთ. პირიქით ეკონომიკური პოლიტიკის იდეების ფორმირების ასპექტით საკითხავია სურს და შეუძლია თუ არა საკანონმდებლო ხელისუფლებას სათანადოდ გამოიყენოს შეფასების ის არეალი, რომელსაც მას აღმასრულებელი ხელისუფლება სთავაზობს. შეფასების თავისუფლებისა და შემთხვევითი ღონისძიებების წინააღმდეგ რამდენიმე პრეტენზია ჩნდება, რომლებიც აუცილებლობას არ წარმოადგენს წესების შემოსაღებად:

• საკუთარი შეხედულებით მოქმედების თავისუფლებამ შესაძლებელია არასასურველი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების ცდუნება აღძრას. პარლამენტმა შეიძლება შეცდომით ჩათვალოს, რომ რაც შეიძლება ბევრი კანონის მიღება მისი წარმატებული მუშაობის დადასტურებაა. ასევე შესაძლებელია, აღმასრულებელი ხელისუფლებაც საფრთხის წინაშე დადგეს, საკუთარი შეხედულებით მოქმედების თავისუფლება ბოროტად გამოიყენოს და ამით ძალაუფლების დემონსტრირება მოახდინოს;

• საკუთარი შეხედულებით მოქმედების თავისუფლება აადვილებს ეკონომიკური პოლიტიკის ლავირებას მოკლევადიან შედეგთან დამოკიდებულებაში. ამავე დროს, მას თან ახლავს საფრთხე, რომელიც ჯამურ ნეგატიურ ეფექტს უკავშირდება. ლავირებისკენ სწრაფვა იწვევს ინტერვენციების ზრდას, რასაც თან ახლავს, როგორც მოკლე ისე გრძელვადიან ზემოქმედებათა მატება. ეს ამნელებს ანდა სრულიად შეუძლებელს ხდის შედეგების საპარლამენტო კონტროლს და ლავირებისკენ სწრაფვას კიდევ უფრო ამლიერებს;

• საკუთარი შეხედულებით მოქმედების თავისუფლება შესაძლებელს ხდის, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ინტერესთა ჯგუფების გავლენის ქვეშ მოექცეს. კერძო ინტერესების რეალიზება უფრო ადვილია, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლება მათ მხარს უჭერს. ასეთი ზეწოლის თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ საკანონმდებლო კონტროლის გზით;

• შემთხვევითი ღონისძიებები ამნელებს ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვასა და გეგმაზომიერ კოორდინაციას. ერთი მხრივ, მათი წინასწარ განჭვრეტა უფრო ძნელია, ვიდრე წესების მიხედვით განხორციელებული ინტერვენციებისა. მეორე მხრივ კი, შემთხვევით ინტერვენციებთან დაკავშირებული დანაკარგები და კონტროლის ცდომილებები მაშინ ჩნდება, როდესაც ეკონომიკური პოლიტიკის გეგმების შემოწმებისა და კოორდინაციისათვის გარკვეული დროა საჭირო;

• წარმატების წინაპირობაა მართვის ცოდნა, რის დეფიციტსაც ხშირად განვიცდით. ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ელემენტების ურთიერთქმედებათა არასაკმარისი ცოდნა ხშირ შემთხვევაში უზარმაზარი რისკის წინაშე გვაყენებს. ამის მიზეზია გადამეტებული ნდობა, რომელსაც

ვუცხადებთ უცნობ, დაყოვნებულ ზემოქმედებათა პროგნოზირების შესაძლებლობებს.

წესების დადგენის სხვადასხვა ფორმაში რამდენიმე საერთო სტრუქტურული ელემენტი გამოიყოფა. ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანცია ან ზუსტად დაგენილი წესის მიხედვით მოქმედებს ანდა მისი მოქმედების შესაძლებლობები შეზღუდულია. აუცილებელია ისეთი ინიცირებული ვითარებების (ინდიკატორები) განსაზღვრა, რომელიც ინსტანციას ავალდებულებს ანდა უფლებას ანიჭებს, რომ მან აუცილებელი მოქმედება განახორციელოს, ანდა დადგენილ ფარგლებში იფუნქციონიროს.

დადგენილმა წესებმა ავტორიტეტის ძალა რომ შეიძინოს აუცილებელია წესებიდან გადახვევა სანქციებით ისჯებოდეს. ამიტომაც საჭიროა წესების დაცვაზე კონტროლის დაწესება.

ვიდრე კონკრეტულ მაგალითებს მოვიყვანდეთ, მნიშვნელოვანია წარმოსახული სიტუაციის დახმარებით გავარკვიოთ, თუ რას ნიშნავს მკაცრად დადგენილი წესი. სავალდებულო წესად შესაძლებელია მოგვევლინოს საშემოსავლო გადასახადის ანტიციკლურად დაგეგმილი ვარიაცია:

• საშემოსავლო გადასახადის შემცირებას (ან გაზრდას) ცენტრალური ხელისუფლება საკანონმდებლო პროცესში მაშინ მიმართავს, როდესაც სტატისტიკური მონაცემებით დადგენილია, რომ უმუშევრობის ქვოტა სამი მომდევნო თვის განმავლობაში ყოველ ას სულ მოსახლეზე სამზე (ან ორზე) მაღალი ან დაბალია;

• საშემოსავლო გადასახადის შემცირება (ან გაზრდა) ყოველი ასი სული მოსახლიდან ხუთზე ვრცელდება და ძალაშია ცხრა თვის მანძილზე. იგი იწყება სამი თვის მომდევნო თვიდან, როდესაც უმუშევრობის ქვოტა კრიტიკულ ზღვარზე მაღლა აიწევს (ან დაიწევს);

• შემცირების (გაზრდის) ხანგრძლივობა კიდევ ექვსი თვით გაგრძელდება თუ ზემოაღნიშნული სამი თვის განმავლობაში სეზონური სტატისტიკური ანგარიშის მიხედვით უმუშევრობის ქვოტა ყოველ ას სულზე სამზე (ან ორზე) მაღალი ანდა დაბალი იყო.

წარმოსახულ სიტუაციაში ინიცირებული ვითარება (ინდიკატორი) ზუსტად არის განსაზღვრული. იგი სავალდებულოს ხდის: ღონისძიების, როგორც მოქმედების ფორმას, ისე მის დოზირებას, როგორც მის დასაწყისს, ისე დროში ხანგრძლივობას. წესები, რომლებიც რეალობაში გვხვდება ნაკლები სიმკაცრით ხასიათდება, რის მიზეზებზეც მოგვიანებით ვისაუბრებთ (უპირველეს ყოვლისა საქმე ეხება იმას თუ რამდენად ზუსტი იქნება მომავალში არჩეული ინდიკატორი და რამდენად იქნება მიზნის მიმართ კონფორმული ინიცირებული ღონისძიება).

მაგალითი 1. წესით დადგენილი იყო, რომ ქვეყნებს ჰქონოდათ სავალუტო ინტერვენციის ვალდებულება, როგორც ეს განსაზღვრულია ბრეტონ-ვუდსის შეთახმებით. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე პარიტეტიდან გადახვევა, ყიდვა-გაყიდვის მხარდაჭერის გზით, დასაშვები იყო მხოლოდ წინასწარ დადგენილ საზღვრებში. პარიტეტის ცვლილება შესაძლებელი იყო მხოლოდ „წონასწორობის ფუნდამენტური დარღვევის“ შემთხვევაში და ამისათვის აუცილებელი იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანხმობა.

მაგალითი 2. სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის პირობებში ცენტრალურ ხელისუფლებას უფლება აქვს საშემოსავლო გადასახადის ცვლილება მოახდინოს. ასეთი ცვლილების მაქსიმალური ზღვარი არის ას სულ მოსახლეზე ათი დასაბეგრი (გადახდის ვალდებულების მქონე) პირი, ამ ციფრის გაზრდა ან შემცირება შესაძლებელია მაქსიმუმ ერთი წლის მანძილზე. ამ უფლების სრულად გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იქნება დადგენილი პირობა. ზღვრის დაკლება შესაძლებელია, როდესაც დარღვეულია საერთო-ეკონომიკური წონასწორობა, რაც გაყიდვების ანდა დასაქმების მკვეთრ შემცირებას იწვევს. განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც მკვეთრად იკლებს მოთხოვნა საინვესტიციო საქონელსა და სამშენებლო მომსახურებაზე. ცენტრალურმა მთავრობამ პარლამენტთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით უნდა იმოქმედოს.

ბრეტონ-ვუდსის შეთანხმების შემდგომ უფრო ადვილი გახდა საინვესტიციო ვალდებულებათა შემთხვევაში მოქმედებასა და ინიცირებულ ვითარებას შორის არსებული დამოკიდებულების გააზრება. დადგენილმა წესმა შედარებითი ერთმნიშვნელოვნება შეიძინა. „წონასწორობის ფუნდამენტური დარღვევის“, როგორც სავალუტო პარიტეტის ცვლილების პირობა მარტო ეკონომიკურად საეჭვო და იურიდიულად გაურკვეველი ცნება არ არის. იგი სიმპტომია იმისა, რომ შეუძლებელია წესის გრძელვადიან პერიოდზე მორგებული ფორმულირება და მისგან გადახვევის ასევე მკაფიო კრიტერიუმის დადგენა. „საერთო-ეკონომიკური წონასწორობის“ შემთხვევაში საქმე სამართლის ასევე ბუნდოვან ცნებას ეხება. იგი მეთოდურადაც პრობლემურია. აღმასრულებელი ხელისუფლების შეხედულებაზეა დამოკიდებული და იგი ადგენს როდის ხდება „საერთო-ეკონომიკური წონასწორობის“ დარღვევა. ამას შემდეგ თანმიმდევრულად მოჰყვება საკანონმდებლო ხელისუფლების თანხმობის მოპოვება. ეს კი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ თუ რა იწვევს გადაწყვეტილების მიღების და განხორციელების დაყოვნებას.

განხილული მაგალითები ნაწილობრივ სხვადასხვა ფორმით აყენებს ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციების კანონიერი მოქმედებისა და მათი შეცდომების გაკონტროლების პრობლემას. კონკრეტული წესის დაცვის

გაკონტროლება შესაძლებელია პრობლემური იყოს შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე:

• მაშინაც კი, როდესაც დადგენილია, რომ განსაზღვრული ეკონომიკური პოლიტიკა უნდა განხორციელდეს, ყოველთვის არსებობს სხვადასხვა მანიპულაციით მისგან გადახვევის შესაძლებლობა, რასაც სანქცია არ მოსდევს. განსაკუთრებით ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემაში არსებობდა უამრავი შესაძლებლობა, რომ საგარეო ვაჭრობის სფეროში ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინტერვენციული ყიდვა-გაყიდვებით საგადამხდელო ბალანსზე ორიენტირებული ტრანსაქციები და მანიპულაციები შეიცვალოს ანდა შეივსოს. ასევე შესაძლებელია, რომ პარიტეტების აუცილებელი ცვლილება განხორციელდეს;

• საკუთარი შეხედულებით მოქმედება, რომელსაც ინსტანცია უშუალოდ ანდა ინიცირებული ფაქტის საშუალებით ახორციელებს, იშვიათად გვაძლევს დაბეჯითებით რაიმეს მტკიცების შესაძლებლობას. ეს ერთანაირად ეხება, როგორც სამართლის ბუნდოვან ცნებას, ისე საერთო-ეკონომიკურ წონასწორობას. აქ, უპირველეს ყოვლისა, ისეთი შემთხვევები იგულისხმება, როდესაც ინსტანცია თავისი შეხედულებით მოქმედებს და ასეთი მოქმედების სამართლებრივი საფუძველი არსებობს;

• როდესაც საშუალება, რომელიც ინსტანციამ მოქმედების ინიცირებულ ფაქტზე დააფუძნა, არ არის მკაფიოდ დოზირებული და იგი შეფასების პრობლემად იქცევა. ხშირად პრობლემურია ღონისძიების მოქმედების ფორმა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მიზანზე ზემოქმედება არაპირდაპირ ხდება. ასევე შესაძლებელია, რომ საშუალების გამოყენების სხვადასხვა დოზა მიზნის მიმართ კონფორმული იყოს.

დადგენილ წესებზეა დამოკიდებული კონტროლის რომელი ინსტანციები, რომელი მეთოდები და სანქციებია შესაძლებელი და მიზანშეწონილი:

• რაც უფრო მკაფიოა წესი, მით უფრო ადვილია მისი დაცვა ანდა შემოწმება სასამართლოსა თუ სპეციალური ორგანოების მიერ (აუდიტი). ამ შემთხვევაში საქმე არ ეხება მარტო უარყოფით პოლიტიკურ სანქციებს, არამედ ითვალისწინებენ აგრეთვე იმ ინდივიდთა პრეტენზიებს (კერძო სარჩელი), რომლებიც ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციის შეცდომით დაზარალდნენ;

• ამდენი არაზუსტი წესის არსებობის პირობებში შემოწმების ყველაზე ეფექტური ფორმაა პარლამენტის მიერ განხორციელებული პოლიტიკური კონტროლი და მის მიერ დადგენილი პოლიტიკური სანქციები;

• საპარლამენტო კონტროლი შესაძლებელია შეავსოს ან ნაწილობრივ კიდეც ჩაანაცვლოს საექსპერტო შემოწმებამ, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციის ქცევას აფასებს. ექსპერტიზის შედეგები ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამის ინსტანციებს წესების დაცვის სტიმულს მისცემს. მაგრამ

საქმე ის არის, რომ აუდიტის მხრივ ანგარიშებმა დარწმუნების ფუნქცია ვერ შეასრულა. თუმცა ადმინისტრაციათა ცდომილებები დამაჯერებლად იყო დასაბუთებული.

ის, რაც მართვის შესახებ მომღვრების ასპექტით დისკრეციული პოლიტიკის წარმატების წანამძღვრის შესახებ ითქვა, უფრო მეტად ძალაშია საკუთარი შეხედულებებით მოქმედების შედარებით შეზღუდული სფეროს მიმართ. პრობლემის კონკრეტული არეალის შესახებ არსებული ცოდნის მოცულობა, როგორც წესი, შეზღუდულია. ეს შემდეგი დილემის წინაშე გვაყენებს: ისეთი წესების შემოღება, რომლებმაც უნდა მოაწესრიგოს საკუთარი შეხედულებებით მოქმედების შესაძლებლობები, მარცხით სრულდება. ასე ხდება სწორედ იმის გამო, რომ არასაკმარისია მართვის შესახებ ცოდნა. საშუალების დისკრეციული გამოყენების ასპექტითაც პოლიტიკური პრობლემების გვერდით თავს ცოდნასთან დაკავშირებული სირთულეები იჩენს. თუ ამ პირობებში შესაძლებელია შემთხვევითი ინტერვენციები, რომლებსაც პარლამენტი გააკონტროლებს, ისინი პრობლემური მაინც იქნება. საქმე ის არის, რომ ინსტანციების მხრივ დაყოვნების პროცესი კიდევ უფრო გაჭიანურდებოდა და ამ მასშტაბის კანონშემოქმედება სულის შემხუთველი საკანონმდებლო პროცესი იქნებოდა, რომელიც მოქალაქეთა ეკონომიკურ აქტივობას საფრთხეს შეუქმნიდა. ეს კი დასცემდა საკანონმდებლო ხელისუფლების ავტორიტეტს. მიუხედავად ამისა, ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში სწორედ ასეთი ეფემერული საკანონმდებლო პროცესი შეინიშნება. ეს ნათელს ჰფენს იმ მოვლენასაც, თუ რატომ არის გამართლებული ყველა ის არგუმენტაცია, რომელიც სტანდარტული ვალდებულებების შემოღებას მხარს უჭერს. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ კანონმდებელს სურს ეკონომიკური პოლიტიკა წესების საშუალებით ჩამოაყალიბოს. შემდეგ კი ეფემერული არგუმენტაციის გზით ეს წესები დაიცვას და მათ სიმყარე მიანიჭოს.

იმ შემთხვევებში, როდესაც შესაძლებელია წესების შემოღება და მათი რეალიზება, ეკონომიკური პოლიტიკის მცირე ინტერვენციის რამდენიმე შესაძლებლობა არსებობს. შესაძლებელი ზარალის თავიდან აცილების მიზნით მათი გათვალისწინება აუცილებელია. მცირე ინტერვენცია და „მეტი ეკონომიკური პოლიტიკის სიმყარე“ (Eucken,1959/2004, გვ. 285). ერთი მხრივ, ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის უფრო ცოტა შანსი არსებობს, მაგრამ მისი კონტროლის სიზუსტესთან დაკავშირებული რისკებიც მცირდება. იზრდება ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედებათა პროგნოზირების შესაძლებლობა და დროის ასპექტით იგი სრულ შესაბამისობაშია საბაზრო კოორდინაციის მოთხოვნებთან.

რაც უფრო მეტად არის გათვალისწინებული და დაფასებული საბაზრო კოორდინაციის თვითრეგულირების უნარი, მით უფრო მცირდება შემთხვე-

ვითი ინტერვენციების საფრთხე. უპირატესობა ენიჭება თანმიმდევრულ, გრძელვადიანსა და ფრთხილ ეკონომიკურ პოლიტიკას. განსაკუთრებულ სიფრთხილეს უნდა ვიჩენდეთ, როდესაც ვცდილობთ ჩარჩო პირობების დადგენას თვითრეგულირების გაუმჯობესების მიზნით.

იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს წესების შემოღების შესაძლებლობა, ინტერვენციის პოლიტიკასთან შედარებით უპირატესობა სწორედ მას უნდა მივანიჭოთ. ასე უნდა მოხდეს მაშინაც, თუ ინტერვენციები თვითრეგულირების პრინციპულად გაუმჯობესების შესაძლებლობას გვაძლევს. წესები გულისხმობს, როგორც წინასწარი პროგნოზის, ისე ეკონომიკური პოლიტიკის ერთჯერადი გადაწყვეტილების შესაძლებლობას. რაც უფრო იძულებითი და მკაფიოდ ფორმულირებულია რომელიმე წესი, მით უფრო მცირდება ინსტანციებთან დაკავშირებული დაყოვნების პროცედურა.

ნაწილი II. გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების პრობლემები ეკონომიკურ პოლიტიკაში

თავი 6. ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების სტრუქტურა

ჩვენ ღრმად ჩავწვდით მიზნის პრობლემატიკას, წარმოვადგინეთ ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების კატეგორიები, ჩამოვაყალიბეთ საშუალებათა გამოყენების კრიტერიუმები და ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებათა ინდივიდუალური გამტარებლების პოზიციები. ახლა შეგვიძლია ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებათა მომზადებისა და მიღების განხილვაზე გადავიდეთ. იმ შემთხვევაში თუ რაციონალურობა მოცემულია, როგორც მეთოდური ნორმა, მისი გააზრება შესაძლებელია ინტერვენციის შესახებ მოძღვრების პოზიციიდან. ამ წანამძღვრიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ჯერ დავაკონკრეტოთ თუ რა არის რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა. ეკონომიკური პოლიტიკის ობიექტურად რაციონალური მოდელის სიღრმისეული განხილვა გარკვეულწილად გულისხმობს იმ შედეგების გათვალისწინებას, რაც ნაშრომის პირველ ნაწილში მივიღეთ. ამავე დროს აუცილებელია მათ მიმართ კრიტიკული დისტანციაც შევინარჩუნოთ. გარდა ამისა, შესაძლებელი გახდება ეკონომიკურ-პოლიტიკური დაგეგმვის ელემენტების განხილვა, კერძოდ, შევეხებით დიაგნოზის, პროგნოზის, პროგრამის მონახაზისა და მისი განხორციელების შედეგების კონტროლის პრობლემებს.

რაციონალურობა ეკონომიკურ პოლიტიკაში

მიზნის რაციონალურობა, როგორც მეთოდური ნორმა, როცა მას ეკონომიკურ პოლიტიკასთან მიმართებაში ვიყენებთ, მოითხოვს, რომ კრიტიკულად გავიაზროთ ,როგორც მიზნები, ისე მიზნებსა და საშუალებებს შორის არსებული სავარაუდო დამოკიდებულებაც. თუმცა კრიტიკული გააზრება ვერ შეცვლის იმ ფაქტს, რომ საბოლოო ჯამში საუბარია ნორმატიულობის პრობლემაზე. ეს ეხება, როგორც მიზნის, ისე მოქმედების განსაზღვრას (ინსტრუმენტების გამოყენება). ამიტომაც ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემათა მეცნიერული განხილვის საფუძველზე მიღებულ შედეგებს ვერც ერთი პოლიტიკოსი გვერდს ვერ აუვლის (როგორც მიზნების ფორმირების, ასევე მათი მიღწევის საშუალებების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას). ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემის მეცნიერულად გადაჭრის შედეგი ცოდნის სახით გვეძლევა შემდეგ საკითხებზე:

- თუ რა სახის დამოკიდებულებაა დასახულ მიზნებს შორის;

• რა ინსტრუმენტებს ვფლობთ ამ მიზნების მისაღწევად;

• რა თანმხლები მოვლენები მოჰყვება ცალკეული ინსტრუმენტის გამოყენებას;

• გადაწყვეტილების მომზადებისა და მიღების ლოგიკიდან გამომდინარე რა დამხმარე საშუალებების გამოყენებაა შესაძლებელი.

რამდენადაც ამგვარი ცოდნა პოლიტიკოსის აზრით სანდოობის გარკვეული ხარისხით სარგებლობს, ამდენად იგი მას კიდეც იყენებს თავისი მოქმედების მომზადების პროცესში. მის წინაშე (გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული დამატებითი პრობლემის სახით) წამოიჭრება ხოლმე საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად შესაძლებელია ცოდნის მოპოვება და შეფასება. ზოგადად უკეთესი იქნება ამ საკითხების კვლევას თავდაპირველად თავი ავარიდოთ და ეკონომიკური პოლიტიკის რაციონალურობის „ოლიმპიური მოდელის“ განხილვით დავიწყოთ.

ჰერბერტ გირშმა (1961/90, გვ. 22) იდეალურად რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა შემდეგნაირად დაახასიათა: „...პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია მიზანთა გლობალური, კარგად მოფიქრებული (გააზრებული) და შინაგანად გაწონასწორებული სისტემის განხორციელებაზე, რომელიც წარმატების იმ უმაღლეს დონეს გვიჩვენებს, რისი მიღწევაც შესაძლებელია არსებულ გარემოებებში“.

მოცემული განსაზღვრება ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებებს იმ ლოგიკის საფუძველზე წარმოგვიდგენს, რომელიც ტრადიციულად ეკონომიკურ მოძღვრებას ახლავს. ამ ლოგიკის მიხედვით უნდა არსებობდეს აუცილებელი მახასიათებლები, რომლებიც გადაწყვეტილების ელემენტების ანალიზსა და მათ შედარებას რეალურ შესაძლებლობებთან მისაღწევს გახდის.

ობიექტურ რაციონალურობაზე ორიენტირებული გეგმის არჩევა არ ნიშნავს იმას, რომ ინტერვენციის წესები და დაგეგმვის ჯერ კიდევ გასაანალიზებელი საფეხურები „იდეალთან“ მიახლოვების საშუალებად მივიჩნიოთ. ასეთი რამ შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ პრინციპულად შეუმოწმებადი ვარაუდის საფუძველზე. ამ შემთხვევაში უნდა დაგვეშვა, რომ გადაწყვეტილების საფუძველთა ყოველი გაფართოება აუცილებლად აუმჯობესებს გადაწვეტილების მიღებას, და როგორც წესი, „იდეალთან“ გვაახლოვებს. ასეთი ვარაუდი ერთობ ბუნდოვანია და არ საბუთდება. ობიექტური რაციონალურობის მოთხოვნაზე ორიენტირება აუცილებელია იმისათვის, რომ:

• უკეთ შევძლოთ იმ საზღვრების იდენტიფიცირება, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია არსებული ცოდნის საფუძველზე ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების გადაწყვეტა;

• სისტემური მიდგომის საფუძველზე გამოვნახოთ გადაწყვეტილების მომზადებისა და მიღების დამხმარე საშუალებები, რომლებიც მათი შეზღუდულობის გამო ყოველთვის სუბიექტურად რაციონალურია.

რაციონალურობის ჩვენს მიერ ციტირებული განსაზღვრებიდან გამომდინარე მიზანთა სისტემა „გლობალური" უნდა იყოს. ეს ასეა რადგან ეკონომიკური პოლიტიკისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიზნებს შორის უამრავი ვერტიკალური და ჰორიზონტალური დამოკიდებულება არსებობს. თუ ეს მოთხოვნა არ გავითვალისწინეთ, მაშინ წინასწარ იქნება დაპროგრამებული გაუაზრებელი მოქმედების შედეგებთან დაკავშირებული ცდომილებები. ამიტომაც რეალურ სიტუაციაში ყოველთვის არსებობს იმის რისკი, რომ მოქმედების გარკვეული შედეგები გაუთვალისწინებელი დარჩება. ამავე დროს იმის მცდელობა, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ყველა ინდივიდუალური გადაწყვეტილება მიზანზე ყველასთვის მისაღები ზემოქმედებისკენ მივმართოთ - ძალზე ხანგრძლივი და ძვირადღირებული პროცედურა იქნება. შესაძლოა, უფრო მისაღები და შემამსუბუქებელი საშუალება იყოს ის, რომ გადაწყვეტილების პროცესი მრავალსაფეხურიანი გავხადოთ. ამისათვის კი აუცილებელია გრძელვადიანი კრიტერიუმი, რომელიც საშუალებას მოგვცემს მოქმედების ესა თუ ის შესაძლებლობა წინასწარ ავირჩიოთ. სწორედ ამას ნიშნავს კონცეფციის მიმართ კონფორმულობა. იგი გულისხმობს, რომ ჩამოყალიბებულია ეკონომიკური პოლიტიკის ისეთი კონცეფცია, რომელიც გლობალურ საზოგადოებრივ მიზნებთან დამოკიდებულებაში ეკონომიკის, როგორც ქვესისტემის, სტატუსისა და ფორმირების თაობაზე საკმაოდ გრძელვადიან პოლიტიკურ კონსენსუსს ემყარება. ამგვარი კონცეფციის განვითარება და მისთვის ხანგრძლივი არსებობის პირობების უზრუნველყოფა წესრიგის პოლიტიკის ამოცანაა. იგი აუცილებლად რაციონალურობის მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს. რაკი რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრების ელემენტები „კარგად გააზრებული" და „შინაგანად გაწონასწორებულია", შესაძლებელი ხდება მიზნებს შორის დამოკიდებულებების სათანადოდ გათვალისწინება. კარგად გააზრებული (თანმიმდევრული) ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს, რომ სწორად შევაფასოთ მიზნებს შორის კონფლიქტები და ანტინომიები თავიდან ავიცილოთ. კონცეფცია შინაგანად გაწონასწორებულია თუ ნაპოვნია ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ მიზნებს შორის მაქსიმალურად შესაძლებელი კომპრომისი. ამისათვის კი საჭიროა, რომ ცალკეული მიზანი მხოლოდ გარკვეულ დონეზე იქნეს რეალიზებული. ეს საშუალებას გვაძლევს, რომ მიზანთან შემდგომი მიახლოების დამატებითმა ხარჯებმა შესაძლო პოზიტიური გვერდითი მოვლენების ჩათვლით არ გადაფაროს მისი რეალიზებით მიღებული უკუგება. ასეთი რამ მოსალოდნელია, რადგან საშუალებათა გამოყენება ყოველთვის დაკავშირებულია, როგორც რესურსების დანახარჯებთან (პირდაპი-

რი ხარჯები), ისე „კონკურენტ მიზნებზე" შესაძლო ნეგატიურ ზემოქმედებებთან (არაპირდაპირი ხარჯები). ამავე დროს, საშუალებათა სხვადასხვა კომბინაციებიდან ისეთი უნდა შევარჩიოთ, რომელიც დასახულ მიზანთან დამოკიდებულებაში ყველაზე მეტ სარგებელს მოგვცემს. ამგვარი პრაგმატული გადაწყვეტილება კი მიზნის ოპერაციონალიზაციის გარდა ზემოქმედებებისა და გვერდითი მოვლენების ცოდნასაც გულისხმობს. მათ შესახებ ინფორმირებულობა კი იგივე არ არის, რაც ღირებულებების შეფასების პრობლემა. ის პოზიტიური ცოდნის მოპოვების პრობლემა და მეცნიერული პროგნოზირების ამოცანაა. ეს კი შემეცნების საგნის სტრუქტურიდან გამომდინარე შესაძლებელია მხოლოდ ნაწილობრივ გადაწყდეს. ასეთ გადაწყვეტას გრძელვადიან შედეგებზე პრეტენზია არ ექნება. ცოდნის მოპოვების პრობლემას შეფასების პრობლემაც ემატება, როცა საქმე ეხება საშუალებებსა თუ საშუალებათა კომბინაციებს შორის შედარებას. იგი ეკონომიკური პოლიტიკის ხარჯებისა და სარგებელის ანალიზთან არის დაკავშირებული.

ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა წარმატებით განხორციელება გულისხმობს, რომ იდეალურ შემთხვევაშიც კი უნდა ამოვიდეთ არა გარანტირებული, არამედ სავარაუდო პოლიტიკური შედეგებიდან. ასეთი ვარაუდი კი მიუხედავად მისი სუბიექტური ხასიათისა, არ უნდა წარმოადგენდეს პრობლემის შეუსაბამო გამარტივებას. სწორედ ეს არის ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიღების ხელოვნება.

ამრიგად, წარმატების ხარისხი დამოკიდებულია არა გამოყენებული თეორიების რაოდენობაზე, არამედ ეკონომიკური პოლიტიკის კონკრეტული გამტარებლის სტრატეგიულ მდგომარეობაზე. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია:

- ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილების უამრავ გამტარებელს შორის კოორდინაციის პრობლემა;
- იმ ინდივიდებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების ზეგავლენა, რომლებიც მნიშვნელოვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალაუფლებას ფლობენ;
- ეკონომიკური სუბიექტები, რომელთა ქცევამაც ზეგავლენა უნდა განიცადოს, ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების მოლოდინის საფუძველზე მოღვაწეობენ.

მაქსიმალური წარმატების მიღწევა მიზანთან მიახლოვების ხარისხის მიხედვით ხდება. მიზნის ოპტიმიზაცია კი რეალური შესაძლებლობების საფუძველზე რაციონალურობის პრინციპთან ჰარმონიზების საშუალებასაც გვაძლევს. თუ მიზნის ოპტიმიზაციისას პრობლემის საუკეთესოდ გადაწყვეტას ვცდილობთ, მაშინ არეალის სწორი ამორჩევის შემთხვევაში ითვლება, რომ პრობლემა დამაკმაყოფილებლადაა გადაჭრილი. ამასთან, მიზნის „ცვლადი" იმ არეალშია, რომელიც შემოსაზღვრულია მისი მიღწევის ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი დონეებით. ასევე შესაძლებელია, რომ არეალს მიზნის მიღწევის აღ-

ნიშნული დონეების კომბინაციის სახე ჰქონდეს. რაციონალურობის პრინციპიდან გამომდინარე შესაძლებელია დამაკმაყოფილებელი და საუკეთესო შედეგების გაერთიანება. რაციონალური მოქმედების შეზღუდულობის გათვალისწინებით მისაღებია პრობლემის გადაწყვეტაზე პრეტენზიის შერბილება. გადაწყვეტილების გამტარებელს გადაწყვეტილების მიღების ველი ესაჭიროება. კონკრეტულ შემთხვევაში, რაც უფრო მცირედ ფასდება ამგვარი ველის სწორად ჩამოყალიბების შესაძლებლობა, მით უფრო სავარაუდოა, რომ მიზნის და სიტუაციის შესაბამისი ფორმულირებები (ავტოპლასტიკური ალოპლასტიკურისაგან განსხვავებით) მივიღოთ.

განსაზღვრების მნიშვნელოვანი ელემენტი - „დაგეგმვა" როგორც სამომავლო მოქმედების წინასწარ განჭვრეტის ფორმა, შესაძლებელია დამოკიდებულებაში იყოს, როგორც ადამიანთა მოქმედებასთან, ასევე მოქმედებისგან თავის შეკავებასთან. ამასთან, მიზანშეწონილია ერთმანეთისგან განვასხვავოთ დაგეგმვის შემდეგი საფეხურები:

• რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვა გულისხმობს მიზანზე ორიენტირებული სიტუაციის აღწერას და ანალიზს: დიაგნოზი;

• სამომავლო განვითარების წინასწარმეტყველებას უცვლელი ეკონომიკური პოლიტიკის შემთხვევაში: სტატუს-კვო პროგნოზი;

• შესაძლო ღონისძიებებისა და მათი კომბინაციების შემოწმებას იმ მიზნით, რომ დადგინდეს, როგორც ძირითადი და გვერდითი მოვლენები, ისე მოკლე და გრძელვადიანი ზემოქმედებები მიზანთა სისტემის გათვალისწინებით: ზემოქმედებათა პროგნოზირება;

• გეგმების შედგენა, რომლებშიც მიზნები და საშუალებანი ერთმანეთთან განსაზღვრული წინასწარმეტყველების საფუძველზე არის დაკავშირებული: პროგრამის მონახაზი;

• წინასწარ შედგენილი და უკვე განხორციელებული პროგრამების შედარებითი ანალიზი იმ მიზნით, რომ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი მომავალში გაუმჯობესდეს.

რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრების ელემენტთა ანალიზმა კიდევ ერთხელ უნდა დაგვანახოს, რომ მოქმედების მართვის ცოდნა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მთავარ როლს თამაშობს. ამ მხრივ საქმე გვაქვს ორ სიძნელესთან:

• მართვისათვის აუცილებელი ცოდნა, რომელზეც ხელი მიგვიწვდება ძალზე შეზღუდულია და

• გადაწყვეტილების გამტარებლის მიერ ამგვარი ცოდნის შეძენა და შეფასება ისეთი პრობლემაა, რომელიც სუბიექტური რაციონალურობის საფუძველზე უნდა გადაიჭრას.

ამ გარემოებებიდან გამომდინარე და მეთოდოლოგიური მიზანი-საშუალება-პრობლემის გათვალისწინებით შესაძლებელია მსჯელობა ასე შევაჯამოთ: „როცა რაციონალური პოლიტიკა არ გულისხმობს არათავსებად მიზნებს (არსებული ინფორმაციით) და მათი მიღწევის საშუალებებიც (საკუთარი შეფასებითი პოზიციიდან) შეესაბამება მიზნების სათანადო კომბინაციებს, რაც მათი მაქსიმალური რეალიზების პერსპექტივას (ინფორმაციის იმ მდგომარეობით, რომელიც წინაპირობად არის აღებული) ქმნის, მაშინ ამგვარ პოლიტიკას წინაპირობად მხოლოდ ინფორმაციული სისტემა აქვს (მიზანი-საშუალება-სისტემების სახით). რაციონალური პოლიტიკა სწორედ ამდენად არის შესაძლებლობის ხელოვნება" (Albert,1960,გვ.226). საზოგადოდ ეკონომიკური პოლიტიკის რაციონალურობა ინდივიდუალური ეკონომიკური რაციონალურობიდან არსებითად არ განსხვავდება. ერთიც და მეორეც ისეთ დამხმარე მეთოდურ საშუალებას წარმოადგენს, რომლებსაც სახელმწიფოსთვის გაურკვეველი სარგებლობა მოაქვს. ამავე დროს მისი ალტერნატივა მხოლოდ სისტემურობასა და რაციონალურ მოქმედებაზე უარის თქმაა.

ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვის ელემენტები

აბრამ ლინკოლნის გამონათქვამი მოკლედ და ზუსტად ახასიათებს დაგეგმვის პროცედურას: „თუ წინასწარ გვეცოდინებასად ვიმყოფებით დარა გვსურს, მაშინ უკეთ შევაფასებთ თუ რა გავაკეთოთ და როგორ გავაკეთოთ". ამ სიტყვებით არსებითად დახასიათებულიადაგეგმვის სამივე ელემენტი: დიაგნოზი („სად ვიმყოფებით"), სტატუს-კვო პროგნოზი („რას ვესწრაფვით") და პროგრამის მონახაზი („რა გავაკეთოთ და როგორ გავაკეთოთ").

დიაგნოზი, უპირველეს ყოვლისა, პასუხს გვაძლევს შემდეგ კითხვებზე:

- რამდენად დაშორდა ეკონომიკური სიტუაცია დასახულ მიზნებს?
- როგორ აიხსნება მიზნებიდან გადახვევა არსებული ეკონომიკური განვითარების საფუძველზე?
- შესაძლებელია თუ არა მიზნებიდან გადახვევა შევამციროთ ან თავიდან ავიცილოთ ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების ანასეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების გზით?

იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ შეკითხვაზე მოხდა თუ არა მიზნიდან გადახვევა, აუცილებელია კონკრეტულ ინფორმაციას ვფლობდეთ, როგორც იმის შესახებ თუ რა უნდა იყოს (მიზანი), ასევე თუ რა არის (ეკონომიკური პოლიტიკის რეალობა). ამრიგად, ერთის მხრივ, საქმე ეხება მიზნების ოპერაციონალიზებულ განსაზღვრებას, მეორეს მხრივ, კი რეალობაზე დაკვირვებას და მის სტატისტიკურ აღწერას. მაგრამ ეს ორი ამოცანა არ არის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი. პირიქით, საბოლოო ჯამში მიზნები და

მასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვების დანახარჯები განსაზღვრავს იმას, რაც წინასწარიდაკვირვებით მოვიპოვეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ დამკვირვებელი შეფასების საფუძველზე არჩევანს აკეთებს მათ შორის, რასაც აკვირდება. თუმცა ეს როდი ნიშნავს იმას, რომ დაკვირვებაში მოცემული რაიმე მეცნიერულ შეფასებას არ გამორჩება. ხშირად დიაგნოზში გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაცია, ეკონომიკური პოლიტიკის ასპექტში, ერთი კონკრეტული საკითხის განხილვისათვის საკმარისი არ არის. ამიტომაც შესაძლებელია, რომ დაკვირვების ფაქტობრივად ხელმისაწვდომი მასალა არ ემთხვეოდეს იმას, რაც აუცილებელი იქნებოდა ემპირიული შემოწმებისათვის. დიაგნოზი ყოველთვის იმაზეა ორიენტირებული, რომ განმარტოს ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მოვლენები. აქედან გამომდინარეობს დამატებითი პრობლემები არა მარტო დიაგნოზთან, არამედ ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვასთან დამოკიდებულებაშიც.

ეკონომიკური თეორიის ამოცანებში ისიც შედის, რომ ჩამოაყალიბოს მიზნიდან გადახვევის შემთხვევის განმარტებისათვის აუცილებელი წინაპირობები. ეს იმას ნიშნავს, რომ მან (ეკონომიკურმა თეორიამ) შესაძლებელი უნდა გახადოს დიაგნოზთან დაკავშირებული მეორე კითხვის ფორმულირება. ეს ამოცანა მით უკეთ იქნება შესრულებული, რაც უფრო ნაკლებად იქნება შეზღუდულიდროსა და სივრცეში (კონკრეტული ეკონომიკისათვის განსაზღვრული პერიოდში) ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ფაქტების განმარტებები (რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, წარმოდგენილია მიზნის ცვლადებით) და რაც უფრო ცხადად იქნება წარმოდგენილი მიზეზსა და შედეგს შორის დამოკიდებულება. მიზეზებად და შედეგებად დახასიათებულ მოვლენებს შორის დამოკიდებულებები შესაძლებელია ჰიპოთეზის სახით წარმოვადგინოთ. თუ ეს ჰიპოთეზა მიზნის, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ცნების განმარტების საფუძველზე იქნა დასაბუთებული, მაშინ გამონაკლის შემთხვევებში მიზნიდან გადახვევის მიზეზებიც შესაძლებელია მკაფიოდ განვმარტოდ. განმარტება (ახსნა) დამაჯერებელი რომ იყოს, ჰიპოთეზა ცალმხრივი (ერთი მიზეზით განპირობებული) დამოკიდებულების არსებობას უნდა გულისხმობდეს, განსხვავებით განმარტების იმ მცდელობებისგან, რომლებიც მრავალი მიზეზის მოქმედებას მოიცავს. ამ შემთხვევაში ჩნდება კითხვა: რა ღირებულება უნდა მიენიჭოს ერთადერთ განმარტებულ ცვლადს– მიზანს რომ მივაღწიოთ.

სტაბილიზაციის პოლიტიკის საზღვრებში (ეკონომიკური ასპექტით) ეკონომიკური თეორიის ამოცანას კონიუნქტურის განსაზღვრა წარმოადგენს. ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით კი წინა საფეხურზე წამოიწევდა ისეთი მაკროეკონომიკური ცვლადების ახსნის მცდელობა, რომლებსაც სტაბილიზაციის პოლიტიკისმიზანთა ასპექტით პირდაპირი ან შუალედური

მნიშვნელობა ექნებოდა.ამ პროცესის შედეგად დინამიკურ მაკროეკონომიკურ მოდელს მივიღებდით.

შემდეგი საფეხური მიკროეკონომიკურ მოდელთან მიგვიყვანს, ე.ი. მოხდება თეორიულად დახასიათებული პარამეტრების გარკვეულწილად საიმედო კვანტიფიცირება. ამ შემთხვევაში მიზანთან დამოკიდებულებაში მნიშვნელოვანი ცვლადების დროში ცვალებადობის ახსნა, მათ ფაქტობრივ ცვლილებებში უნდა ვეძიოთ. საუბარია ისეთ ცვლადებზე, რომლებსაც ინსტრუმენტული ხასიათი აქვს ანდა რომელთა გამოყენება ინსტრუმენტებთან ერთად შესაძლებელია. აქ საქმე ეხება ისეთ ცვლადებს, რომლებიც ზემოქმედებას არ განიცდის და მხოლოდ მოცემულად ითვლება.

აქ საქმე გვაქვს განმარტების იზოლირებულ პრინციპთან, რომელიც გამონაკლისს წარმოადენს და წესად არ გამოდგება. ამას ადასტურებს შემდეგი გარემოებები:

• არსებობს ეკონომიკური თეორიები, რომლებიც ანგარიშს უწევს სინამდვილეს, მაგრამ რეალობაში მათი გამოყენების შემთხვევაში ისინი უამრავ ისეთ პირობას აყენებენ, რომელთა შესრულება შეუძლებელია. ამავე დროს მათი დებულებები არ არის მკაცრად განსაზღვრული, რაც აძნელებსშემოწმებასა და შესწორებას. აქედან გამომდინარე წინასწარი განმარტების ფუნქციას ისინი ვერ შეასრულებენ.

• ეკონომიკური პოლიტიკის ბევრი პრობლემის კვანტიფიცირება მხოლოდ მათი შემადგენელი ნაწილებიდან აბსტრაჰირების გზითაა შესაძლებელი. ეს კი განმარტებისა და შემოწმების ისეთი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს, რომლებიც აქამდე ჩვენ განკარგულებაში არ იყო.

აქედან გამომდინარეობს ისეთი საფრთხე, რომელსაც დიაგნოსტიკური პრობლემის სახე აქვს:

• კვანტიფიცირებისას (ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემის თეორიული ფორმულირების შემთხვევაში) იგივე პრობლემის გადაწყვეტა არსებით დანაკარგებთან არის დაკავშირებული (მნიშვნელობა არა აქვს ეს განზრახ თუ მის გარეშე ხდება);

• კონკურენტული ჰიპოთეზების არსებობის პირობებში, თითოეული განსხვავებულ „თერაპიას“ გვთავაზობს. ჰიპოთეზები განაგრძობს თანაარსებობას და მოხდება თუ არა მათი გამოყენება ეს მხოლოდ ინტერესთა სტაბილურობაზე ანდა ინფორმაციის ხარისხზეა დამოკიდებული.

თუ თვალს გადავავლებთ კონიუნქტურული და სტრუქტურული პოლიტიკის დიაგნოზებს (თუნდაც მხოლოდ ფორმალური მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულებების გათვალისწინებით), დავრწმუნდებით რაოდენ შეზღუდულია დიაგნოზირების შესაძლებლობები. ასეთი დიაგნოზების გაცნობა შესაძლებელია სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისა და საერთაშორისო

ინსტიტუციების ანგარიშებში, რომლებიც ყოველწლიურად განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ რჩევებს აქვეყნებენ:

• ვერბალური არგუმენტაციის საგნად გვევლინება არა დეტალური და რაოდენობრივად განსაზღვრული მოდელები, არამედ სხვადასხვა ფორმის ნაწილობრივი მოდელები (მაგ., რეგრესიისა და კორელაციის ანალიზი);

• უმეტეს შემთხვევაში ფაქტების პრეზენტაცია (რომლებიც თავსებადია შინაარსობრივ თეორიებთან) ჩანაცვლებულია დეტალურად კვანტიფიცირებული და შემოწმებული არგუმენტაციით;

• მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულებების განმარტების მიზნით ხშირად მიმართავენ იმ სიტუაციებთან ისტორიულ პარალელებს, რომლებშიც მიზნის პროგნოზირებულ პერიოდში რეალიზება მეტნაკლებად მოხდა;

• რაც შეეხება შედარებებს საერთაშორისო სიტუაციებთან, ჯერ-ჯერობით სასურველი (ქმედითი) ინფორმაციის შესაგროვებლად ინსტრუმენტები ან საერთოდ არ არსებობს ან ძალზე ცოტაა.

თუ განმარტების მცდელობა წინასწარი მონახაზის მიხედვით წარიმართა, მაშინ ეკონომიკური პოლიტიკის მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე, ნათელი გახდება მესამე კითხვაზე რა პასუხი უნდა გავცეთ. ეს პასუხი განმარტების მცდელობის ისეთ ტრანსფორმირებას მოითხოვს, რომ: (1) დაკვირვებაში ფაქტობრივად მოცემული ღირებულებები მიზნად დასახული ღირებულებებით უნდა შეიცვალოს და (2) ისეთი ინსტრუმენტები გამოიძებნოს, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს დასახული მიზნები სხვა თანაბარ პირობებში განვახორციელოთ. ამ თვალსაზრისით დიაგნოზის ეს ნაწილი დამატებითი „თერაპიაა“. იგი ინფორმაციას გვაწვდის ეკონომიკური პოლიტიკის სამომავლო მოქმედების შესაძლებლობათა შესახებ.

დიაგნოზის გარდაქმნა დამატებით „თერაპიად“ ერთობ პრობლემურიცაა. იგი თითქმის არ არის ორიენტირებული იმ საშუალებებსა და მათ კომბინაციებზე, რომლებსაც განმარტების პრინციპი მოიცავს. ამის საპირისპიროდ რაციონალური დაგეგმვა სწორედ იმას გულისხმობს, რომ აქამდე შეუმოწმებელი პროგრამის შეფასება მოხდეს. ამავე დროს საქმე უნდა ეხებოდეს იმ პროგრამას, რომელიც დასახულ მიზნებს მიესადაგება. თუ ეს გარემოება არ იქნა გათვალისწინებული, მაშინ დამატებითი „თერაპიის“ შედეგებზე ორიენტირება თეორიული შეფასების სახეს მიიღებს. ამდენად იგი ეკონომიკური პოლიტიკის პრაქტიკასთან შესაბამისობაში აღარ იქნება.

ლინკოლნის შეკითხვით „რას ვესწრაფვით“ გამოთქმულია სტატუს-კვო პროგნოზის არსი. საქმე ეხება წინასწარმეტყველებას იმის თაობაზე თუ როგორ წარიმართებოდა საერთო ეკონომიკური განვითარების პროცესი სტაბილურ ვითარებაში (პრობლემებზე ზემოქმედების გარეშე), როდესაც ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციები ისევე მოქმედებს, როგორც წარსულში (ან თავს

იკავებს მოქმედებიდან, როგორც წარსულში). ფორმალურად ასეთი სტატუს-კვო პროგნოზი ნიშნავს: არ შევეცადოთ, რომ საშუალების ცვლადების ცვლილებებმა ზეგავლენა მოახდინოს მიზნის ცვლადებზე. შედეგმა ანუ პროგნოზირების პერიოდში მიზნიდან მოსალოდნელმა გადახვევამ უნდა მოგვცეს წინასწარი ინფორმაცია ეკონომიკური პოლიტიკის გადასაჭრელი პრობლემის მასშტაბისა- და სტრუქტურის შესახებ.ინფორმაციამ პასუხი უნდა გასცეს ორ შეკითხვაზე, რომლებიც მნიშვნელოვანია „თერაპიის“ თვალსაზრისით:

• შესაძლებელია, რომ ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემა ახლო მომავალში თავისთავად მოგვარდეს?

• რამდენად მასშტაბური იქნება მიზნიდან გადახვევა, როცა ინსტრუმენ-ტების გამოყენება (მასთან დაკავშირებული დაყოვნებების გათვალისწინებით) გარკვეულ ზემოქმედებებს გამოიწვევს?

თუ გვსურს თავიდან ავიცილოთ ინსტრუმენტთა არაზუსტი დოზირება, აუცილებელია ამ კითხვებზე პასუხის გაცემა. პროგრამის მონახაზიც ემყარება გარკვეულ პროგნოზებს, სადაც საქმე ეხება იმ ზემოქმედებათა შეფასებას, რომლებსაც ინსტრუმენტების ცვლილებები იწვევს. აქედან გამომდინარე სტატუს-კვო პროგნოზისგან განსხვავებით, მათ შეგვიძლია ზემოქმედებათა პროგნოზები ვუწოდოთ.

ანალიტიკური თვალსაზრისით ყველაზე პრეტენზიული პროგნოზები ემყარება ზემოქმედებათა შორის წარსულში ჩამოყალიბებულსა და კვანტიფიცირებულ დამოკიდებულებებს (ანდა პროგნოზის ფარგლებში განმარტების მცდელობის საფუძველზე მიღებულ შედეგებს). თუ მოცემული არ არის ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია და „საყრდენი წერტილები“, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ზემოაღნიშნული დამოკიდებულებები არსებითად არ შეიცვლება. ეს იმას ნიშნავს, რომ მიზანსა და შედეგს შორის რაოდენობრივი დამოკიდებულებები კვლავაც ძალაში იქნება. ამ შემთხვევაში მოქმედების განმარტება და პროგნოზი ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდება. ამასთან განმარტების განსაზღვრისას მოცემულია შესასწავლი მოვლენა და საძიებელია ჰიპოთეზა, რომელიც როგორც ზოგადი ვარაუდი, წინასწარ განჭვრეტილი მოვლენების მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულებების სა-ფუძველზე მოცემულ მოვლენასაც განმარტავდა. რაც შეეხება პროგნოზს, სიტუაცია რადიკალურად განსხვავებულია. ჯერ ჰიპოთეზა უნდა დასაბუთდეს. შემდეგ ჩნდება კითხვა:მოცემულ პირობებში გამოყენების შემთხვევაში უნდა ველოდოთ თუ არა იმ მოვლენების დადგომას, რომელთა შორის მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულებები ჰიპოთეზის საფუძველზეა დადგენილი. სტატუს-კვო პროგნოზისმიხედვით კი ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედება (რამდენადაც იგი მიზეზ-შედეგობრივ მოვლენებს განეკუთვნება) დიაგნოზის პერიოდთან დამოკიდებულებაში ცვლილებებს არ გულისხმობს.

ვინაიდან ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრის პროგნოზირება დიაგნოზის ჩარჩოებში მიმდინარეობს, იგი დამოკიდებულებაშია მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთობებთან. პროგნოზები ამ ურთიერთობათა საფუძველზე უნდა გავაანალიზოთ. პროგნოზირებული დებულებების წანამძღვარი (დიაგნოსტიკური დებულებების მსგავსად) ის არის, რომ ეკონომიკური პოლიტიკის მწიშვნელოვანი მოვლენები ერთჯერადობით არ ხასიათდება. ასე რომ ყოფილიყო ისინი შემთხვევითობა იქნებოდა. პირიქით, ეკონომიკური პოლიტიკას მსგავს გარემოებებში იდენტური შედეგები მოსდევს, ხოლო ეკონომიკური ინდივიდების ქცევა - განსაზღვრულ ფარგლებში - განმეორებადი დაპროგნოზირებადია.

პროგნოზირება გაძნელებულია ყოველთვის, როდესაც არსებობს ინფორმაციასთან დაკავშირებული პრობლემები. საქმე ეხება ინფორმაციას იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც დასაბუთებული ჰიპოთეზის მიხედვით პროგნოზის შემუშავების პერიოდში უნდა გამოვიყენოთ. პროგნოზირებაზე გაწეული ხარჯები მიზანშეწონილია თუ ზემოაღნიშნული მოვლენების შესახებ ინფორმაცია უფრო ადვილად მოსაპოვებელია, ვიდრე პროგნოზირებადი მოვლენების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში გამართლებული იქნებოდა მოსაზრება, რომლის მიხედვით მომავლის სწორად განჭვრეტა შესაძლებელია.

პროგნოზი, ერთი მხრივ, იმ გარემოებას ემყარება, რომ პროგნოზირების მომენტისათვის ცნობილია ის მოვლენები,რომლებსაც მომავალში (დაყოვნების გათვალისწინებით) გარკვეული ზემოქმედება მოჰყვება. მეორე მხრივ, ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვა კონკრეტულ გადაწყვეტილებებად უნდა იქცეს დაპოლიტიკური იდეების ფორმირების პროცესში ჩაერთოს. თუ მომავალთან დაკავშირებით ვფლობთ მნიშვნელოვან ინფორმაციას, მაშინ გონივრული იქნება, რომ პროგნოზირებადი მოვლენებიდან მომავალში განსასაზღვრ მოვლენებზე გადავინაცვლოთ. ამგვარად შესაძლებელი გახდება შეიქმნას სათანადო პირობები სასურველი მოვლენების გამოსაწვევად. თუ მომავალში განსასაზღვრი მოვლენების შესახებ არ ვფლობთ მნიშვნელოვან ინფორმაციას, მაშინყველა პირობა ერთნაირად სავარაუდო არ იქნება, ხოლო მოვლენები ჰიპოთეზების საფუძველზე ერთნაირად ვერ აიხსნება.

ზოგადად პროგნოზების თაობაზე შესაძლებელია ითქვას, რომ ისინი მრავალი ასპექტით განპირობებული წინასწარმეტყველებებია. რამდენადაც ყველა პროგნოზი ჰიპოთეზებს ემყარება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი სამომავლოდაც ძალაში იქნება. ეს იმას ნიშნავს, რომ მათიმოქმედების პირობები მომავალზეც გავრცელდება. მომავლის ბევრი მოვლენა, რომელთა შორის ჰიპოთეზური კაუზალური დამოკიდებულებები არსებობს, მეტ-ნაკლებად დასაბუთებულ ვარაუდებს ემყარება, რითაც ისინი პირობების ხასიათს იძენენ.

მომავალთან დამოკიდებულებაში პროგნოზებს შეზღუდული დებულებების სახე აქვს.

პროგნოზების კაუზალური ანალიტიკურობა არ შეიძლება უფრო მკაცრად ხასიათდებოდეს, ვიდრე განმარტების იმ მცდელობათა სიმკაცრეა, რომლებსაც ისინი ემყარება. თუ მომავალთან დაკავშირებული ინფორმაციის დეფიციტსაც გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება თუ რატომ აყალიბებენ და იყენებენ ისეთ ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც ანალიტიკურობაზე მცირე პრეტენზიას აცხადებს. აქ საქმე ეხება:

- ექსტრაპოლაციის მეთოდებს;
- ე.წ. ადრეული ინდიკატორების გამოყენებას და
- ინდივიდუალური ეკონომიკური გეგმების შესახებ გამოკითხვის შედეგების შეფასებას.

ექსტრაპოლაციის მეთოდები, იმას ემყარება, რომ ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი სიდიდის - სტატისტიკურ მონაცემთა მწკრივის - დროში თანამიმდევრობა სტატისტიკური მეთოდებით მოწმდება (მათი ციკლური რყევებისა და ტენდენციების დახასიათებით). თუ განვითარების წარსული პერიოდიდან აღებული ნიმუში ერთი მხრივ, ნაწილობრივ აუცილებლობით ხასიათდება, მეორე მხრივ, კი ალბათობის ასპექტით მისი მოქმედება მომავალშიც გაგრძელდება. ექსტრაპოლაციური მეთოდები იმ შემთხვევებშიც კი გამოიყენება, როცა საქმე გრძელვადიან კონიუნქტურულ პროგნოზებს ეხება (რომლებიც პროგნოზირების კაუზალურ-ანალიტიკური პროცედურების საშუალებით შემუშავდება). ამასთან, აუცილებელია გავითვალისწინოთ ალბათური მოსაზრებები (ცალკეულ მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ მონაცემთა დროითი მწკრივის ექსტრაპოლაციის სიმტკიცის დადგენისათვის). ისინი კი განიხილება დამოწმდება ისევე, როგორც მათ იყენებენ ეროვნულ ანგარიშებში. მაგალითად, საზოგადოებრივი პროდუქტის სამომხმარებლო ასპექტის შეფასებები შესაბამისობაში უნდა იყოს მისი წარმოშობის ასპექტის შეფასებებთან. გრძელვადიანი პროგნოზირების ანდა პროექტირების საზღვრებში (განსაკუთრებით კი დარგობრივ პროექტირებაში) ექსტრაპოლაციის სიმტკიცის შემოწმების მიზნით ჩართული უნდა იყოს სექტორებს შორის კავშირ-ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია (რომელიც შემოსავალ-გასავლის ცხრილების საფუძველზე მოიპოვება).

ინდიკატორული მეთოდების გამოყენების შემთხვევაში დაკვირვებების საფუძველზე ვლინდება, რომ ზოგიერთი დროითი მწკრივი „წინ უსწრებს“ სხვა მწკრივებს. ასე, რომ ეკონომიკაზე ზემოქმედების შედეგად მომხდარი ცვლილებები, პირველ რიგში, გასაგები ხდება საინვესტიციო საქონლის წარმოების ნაკადებიდან, ვიდრე საქმე საინვესტიციო დანახარჯებში ფაქტობრივად განხორციელებულ ცვლილებებზე მიდგებოდეს. დაკვირვებებმა

ასევე აჩვენეს, რომ კონიუნქტურაში შესაძლო ცვლილებების განჭვრეტა დროში შედარებით უფრო ადრე ხდება, რასაც საფონდო ბაზარზე გარკვეული რყევები მოსდევს (რომლებიც ინფორმაციას გვაწვდის სავალუტო კურსის ცვლილებებთან დაკავშირებით). ადრეულ ინდიკატორთა სხვადასხვა კომბინაციების საფუძველზე გარკვეული ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა ეკონომისტებისთვის საყოველთაოდ ცნობილია, როგორც ჰარვარდის ეკონომიკური საბჭოს „კონიუნქტურის ბარომეტრი"- ს სახელწოდებით. მაგრამ ინფორმაციის მოპოვების ეს მცდელობა ზუსტად ისე, როგორც მისი მსგავსი სხვა ექსპერიმენტები უშედეგოდ დასრულდა.

ინვესტორებისა და მომხმარებლების გამოკითხა მათი მდგომარეობის, მოლოდინებისა და ხარჯების გეგმების შეფასების თვალსაზრისით ინფორმაციულია მხოლოდ ძალზე მოკლევადიან პერსპექტივაში. მეტს არც უნდა ველოდოთ, ვინაიდან შეფასებები და გეგმები ადვილად იცვლება. მეორე მხრივ, ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვის თაობაზე გამოკითხვის შედეგები ღირებულია იმ თვალსაზრისით, რომ ისინი სტატისტიკური სამსახურის მონაცემებს დროში წინ უსწრებს და ხშირად მათ ავსებს კიდეც. გარდა ამისა, ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციების შესახებ ჩატარებული გამოკითხვები იმ მიზნით გამოიყენება, რომ შესაბამისი მოვლენების სუბიექტური ვარაუდები გაამყაროს.

პროგნოზებს საქმე აქვთ ალბათური ხასიათის დებულებებთან, ვინაიდან პირობები, რომლებსაც ისინი ემყარება, უტყუარობით არ ხასიათდება. ხშირად დომინირებენ სუბიექტური, ინტუიციაზე დაფუძნებული ვარაუდები. აპრიორული ვარაუდი, საიდანაც შესაძლებელია წარმატების მიღწევა, ეკონომიკურ მოვლენებში არანაირ როლს არ თამაშობს. აპოსტერიორული ვარაუდებიც აგრეთვე შეზღუდული რაოდენობისაა. ასეთ ვარაუდებს შეიძლება ეკონომიკური პოლიტიკის შეფასებითი დებულებები მივაკუთვნოთ. ისინი მოცემულ სფეროში ემპირიული დაკვირვებების საფუძველზე მიღებულ მტკიცებულებებს მოიცავს (მაგ., სავარაუდო ქცევის პარამეტრების ანდა მოხმარების ზღვრული მიდრეკილების შესახებ). ასეთი აპოსტერიორული ვარაუდი დამოკიდებულია წინაპირობაზე. იგულისხმება მიზეზების კომპლექსი, რომლებმაც ემპირიულ დაკვირვებამდე მიგვიყვანა და დაკვირვების მთელ პერიოდში უცვლელი იყო. პროგნოზირების ჩარჩოებში მიმდინარე შეფასებების მიხედვით მიზეზების ერთობლიობა პროგნოზირებად პერიოდში არ უნდა შეიცვალოს. ამავე დროს ეკონომიკის სფეროში თითქმის შეუძლებელია, როგორც ერთი, ისე მეორე პირობის შესრულება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია შედეგების ეკონომეტრიკული შეფასების გულმოდგინედ გააზრება.

ეკონომიკური პოლიტიკის პროგნოზებში დომინანტურია სუბიექტური ვარაუდები. ისინი განპირობებულია სამი მიზეზით:

• უპირველეს ყოვლისა, ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა(მათ შორის ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებიც) არ არის იმ დონეზე კვანტიფიცირებადი, როგორც ამას ეკონომიკური ანალიზი და მასზე დაფუძნებული პროგნოზები მოითხოვს. ამდენად ასეთ შემთხვევებში აპოსტერიორული ვარაუდების ფორმირება შეუძლებელია;

• როგორც უკვე ითქვა, არც ის ხერხდება, რომ კვანტიფიცირებადი მოვლენები მიზეზთა კომპლექსის საფუძველზე გრძელვადიან პერსპექტივაში განისაზღვროს (როგორც ეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ხდება);

• გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეკონომიკური სისტემები მეტწილად ღია სისტემებს წარმოადგენს. ეს ნიშნავს, რომ შეუძლებელია იმ ფაქტორთა რაოდენობის დადგენა, რომლებიც ხელს უწყობს ანდა აფერხებს განსაზღვრული ეკონომიკური მოვლენის წარმოშობას. სხვა მხრივ, ამგვარ სისტემებს ხელოვნურად ჩაკეტილ სისტემებად აქცევენ ხოლმე. ეს იმით არის განპირობებული, რომ საერთოდ შეუძლებელია განვითარების ფაქტორთა სრულყოფილი გაგება. შესაძლებელია ამან, პროგნოზირებული მოვლენებიდან შემთხვევითი გადახვევები გამოიწვიოს. ასეთი გადახვევებისათვის საუკეთესო შემთხვევებში გარკვეული (ეკონომეტრიკული) საზღვრებიც კი არის გათვალისწინებული. აშკარაა აგრეთვე, რომ პროგნოზები შესაძლებელია მაშინაც კი აღმოჩნდეს მცდარი, როდესაც სუბიექტების გაცნობიერებული ქცევა სწორად არის შეფასებული. საქმე ის არის, რომ შედეგებზე ზოგჯერ აქამდე უცნობი ან უმნიშვნელოდ მიჩნეული ფაქტორები ახდენს ხოლმე ზეგავლენას.

პროგნოზირება არსებითად გაძნელებულია იმითაც, რომ პროგნოზირებად მოვლენებზე ზეგავლენა შესაძლებელია თვითონ პროგნოზებმა მოახდინოს. როდესაც ეკონომიკური სუბიექტები ეცნობიან პროგნოზის შედეგებს, ამით მათი ქცევის პროგნოზირებაც ხდება. ისინი ცდილობენ, რომ წინასწარ განჭვრიტონ მათი დაგეგმვის შედეგები. ამ პროცესის შედეგია ის, რომ პროგნოზები თავიანთ თავს ან უპირისპირდებიან ან ადასტურებენ. თუმცა ისიც საკითხავია რამდენად სასურველია ეს ეკონომიკური პოლიტიკისათვის. ამ გარემოებამ მიზნობრივი პროგნოზის წარმოშობის საფუძველი განაპირობა. მისი მიზანია პროგნოზის შედეგი გამოიწვიოს ან თავიდან აიცილოს. ამგვარი სტრატეგიული პროცედურა იმ წინაპირობიდან გამომდინარეობს, რომ ზემოქმედებას დაქვემდებარებული საგეგმო კომიტეტები ვერ ამჩნევენ ამ მანევრს ან/და მცდარი პროგნოზების შემთხვევებში თვითონაც მასზე არიან ორიენტირებულნი.

მეცნიერული პროგნოზების გაურკვევლობამ შესაძლებელია მათზე ხელი აგვაღებინოს. მაშინ საკითხავი იქნება რით უნდა ჩავანაცვლოთ ისინი. ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში მოქმედება, ისე როგორც ყველა სხვა

გეგმაზომიერი საქმიანობა,მომავლის მოვლენათა წინასწარგანჭრეტას ემყარება. აქტივობა ეკონომიკურპოლიტიკაში მომავალზეა ორიენტირებული.

როგორც ვხედავთ არ იქნება გონივრული თუკი სარწმუნო პროგნოზების მოლოდინი გვექნება. გამოცნობა რომ შეგვეძლოს რა მოხდება მომავალში, მოვლენათა განვითარებაში მაინც ვერაფერს შევცვლიდით. ასეთვითარებაში ყოველდღიური მოქმედებებიც წინდაწინ დანამდვილებით გვეცოდინებოდა. მომავლის შესახებ ცოდნა მნიშვნელობას დაკარგავდა, ვინაიდან არ გვექნებოდა იმის საშუალება, რომ მოქმედების სხვადასხვა შესაძლებლობებს შორის თავისუფალი არჩევანი გაგვეკეთებინა. ამ მხრივ, საინტერესო პროგნოზები სწორედ მოქმედების შესაძლებლობებზეა ორიენტირებული. სწორედ პროგნოზები გვაწვდის იმ ინფორმაციას, რომელსაც მომავლის ფორმირება ემყარება.

უპირობო პროგნოზირების მოთხოვნა იმას ნიშნავს, რომ მოქმედების საფუძვლად წინასწარმეტყველება ვაქციოთ. მაგრამ იგი არგვეუბნება თუ რატომ ხდება რაღაც მოვლენა(იგი უბრალოდ ამტკიცებს, რომ რაღაც აუცილებლად მოხდება).უპირობო პროგნოზირების მეორე გზა უარყოფს ინფორმაციას იმ პირობების შესახებ, რასაც პროგნოზი უნდა ემყარებოდეს. ამგვარი ცოდნა პროგნოზის მომხმარებელს საკუთარი ვარაუდის ჩამოყალიბებაში ეხმარება. უამრავი გარემოება განაპირობებს იმას, რომ სხვადასხვა პროგნოზი (ეკონომიკური პოლიტიკის ერთი და იგივე პრობლემის თაობაზე) აბსოლუტურად განსხვავებულ შედეგებს გვთავაზობს. ამის გათვალისწინება აუცილებელია, რომ მოცემულ შემთხვევაში სწორად მივიღოთ გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რომელი მათგანი გავიხადოთ მოქმედების საფუძვლად.

პროგნოზების ფუნქცია სწორედ იმ ბუნდოვანების გაფანტვაა, რომელშიც ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღება გვიხდება. მათი საშუალებით ჩვენ სუბიექტური ვარაუდის შესაძლებლობათა სპექტრს განსაზღვრულ ჩარჩოებში ვაქცევთ. მომავლის მოვლენებთან დაკავშირებით ადამიანებს გარკვეული მოლოდინი აქვთ. ამ მხრივ მოლოდინს ახასიათებს პროგნოზის ოპტიმისტური, პესიმისტური ან შუალედური ვარიანტები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის პირობები, რომლებიც მათ შეესაბამება.

პროგნოზური ხასიათისაა ის დებულებებიც, რომლებსაც ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციები ადგენენ მომავალში რომელიმე ინსტრუმენტის გამოყენების შედეგებთან დაკავშირებით. სტატუს-კვო პროგნოზებისგან განსხვავებით, ამ ტიპის პროგნოზები გვაუწყებენ რა მოხდება, თუ ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელი ინსტანციები შეცვლიან (ზემოქმედების პროგნოზები) თავიანთ ქცევას. აქ საქმე არ ეხება საკუთრივ მოქმედების თუ მოქმედებისგან თავის შეკავების პროგნოზირებას. პირიქით, ამგვარი

დებულებები სწორედ იმას გვიჩვენებს, თუ როგორ მიიღწევა მიზანი ინსტრუმენტის გამოყენებით ან მისი შეცვლის გზით.

ზემოქმედების პროგნოზი პროგრამის მონახაზის შედგენას აადვილებს. შემდგომში იგი ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებათა მიღების საფუძველი უნდა გახდეს. მყარად დადგენილი წესების არსებობის პირობებში ეკონომიკურ პოლიტიკაში შედარებით რაციონალური და კომპეტენტური გადაწყვეტილებების მომზადებასა და მიღებას შევძლებთ.

როგორც სტატუს-კვო პროგნოზი, ისე ზემოქმედების პროგნოზიც იმ წანამძღვარს ემყარება, რომ მიზანდასახულობანი გარკვეულწილად წინასწარ ცნობილი და ოპერაციონალიზებადია. მიზანდასახულობის გარეშე კიპროგნოზებზე ორიენტაციას აზრი დაეკარგებოდა. ყველა მიზანდასახულობა არის წინასწარი, ვინაიდან მან, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვის შედეგმა, შესაძლებელია ცვლილება განიცადოს. რამდენადაც დაგეგმვა ეკონომიკურ პოლიტიკაში რჩევის მიცემის საგანია, მრჩეველსა და რჩევის ადრესატს შორის დამოკიდებულება ანგარიშგასაწევი ხდება.

სტატუს-კვო პროგნოზებისგან განსხვავებით ზემოქმედების პროგნოზებში გამოყენებული ტექნოლოგიები მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. უარი უნდა ვთქვათ ექსტრაპოლაციისა და ინდიკატორულ მეთოდებზე, ვინაიდან საქმე სწორედ შემეცნების ტენდენციის ცვლილებების შემოწმებას ეხება. ეს კი წინასწარ გულისხმობს ზემოქმედებათა შორის დამოკიდებულებებისა და კაუზალურ-ანალიტიკური პროცედურების შესახებ ცოდნას ან/და დასაბუთებულ ვარაუდს მაინც. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ სიძნელეებს ვაწყდებით არასაკმარისად კვანტიფიცირებადი ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემებისა და ღონისძიებების სახით.

კიდევ ერთ პრობლემას ქმნის ეკონომიკური პოლიტიკის იმ ღონისძიებათა ანალიზი, რომელთა შემოწმება მანამდე არ მომხდარა. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება (აქაც დიდი სიფრთხილეა საჭირო). მათი გათვალისწინება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ისეთი ვარაუდების შეფასება, რომლებიც ემპირიულ შემოწმებას არ ექვემდებარება.

მოქმედების იმდენი ურთიერთგანსხვავებული შესაძლებლობა არსებობს, რამდენი დამოკიდებულებაცაა მიზნებს, მათი მიღწევის საშუალებებსა და ამ უკანასკნელის სხვადასხვაგვარ დოზირებას შორის. ისინი ასევე ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შედეგებისა და მათთან დაკავშირებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი ზემოქმედებების მიხედვით. ამ მხრივ ინსტრუმენტის შეცვლით გამოწვეული პირდაპირი ხარჯები ასევე მნიშვნელოვანია. ეკონომიკურ-პოლიტიკური ანალიზით იქმნება ინსტრუმენტებსა და მათ კომბინაციებთან დაკავშირებული ხარჯებისა და სარგებელის შეფასების წინაპირობები.

ექსპერიმენტები ხელს უწყობს უკვე შემოწმებული და მოქმედების საფუძველზე შეფასებული ინსტრუმენტების სრულყოფას (მარტო შეუმოწმებელი ინსტრუმენტების ზემოქმედება როდია გასაანალიზებელი). თუ ანგარიშს გავუწევთ განსაზღვრული ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციის პოზიციას, მაშინ უნდა გავითვალისწინოთ სხვა მსგავსი ინსტანციების, ეკონომიკურ-პოლიტიკური ზეგავლენის მქონე პირებისა თუ ჯგუფების მოქმედებაც. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლის თვალსაზრისით მოქმედების ასეთ მოდელს სირთულეებითა და გაურკვეველობებითსტრატეგიული თამაშის სახე აქვს.

ზემოქმედების პროგნოზების შედგენა კიდევ უფრო ძნელია. ეს ასეა რადგან კერძო ეკონომიკური სუბიექტებიც გადაწყვეტილებას თავიანთ სამომავლო მოქმედების შესახებ ინფორმაციაზე დამყარებული მოლოდინის საფუძველზე იღებენ. მოლოდინზე დამყარებული მოქმედებები მით უფრო მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე ეკონომიკურ-პოლიტიკური მართვის მცდელობაზე მათ რეაქციებს ეხება. ამგვარი მცდელობა არის არაპირდაპირი ზემოქმედება, რასაც მიზნის მისაღწევად ინსტრუმენტთა გამოყენება იწვევს.

კერძო ეკონომიკური სუბიექტები ცდილობენ წინასწარ გამოიცნონ ის ცვლილებები, რომლებიც მათი მოქმედების შედეგებითა და მნიშვნელოვანი გარემოებებითაა განპირობებული. ზუსტად ასევე იქცევიან ისინი ეკონომიკურ-პოლიტიკური მართვის შედეგების მიმართაც. უფრო მეტიც, ამ შემთხვევაში ისინი ითვალისწინებენ მათთვის ხელმისაწვდომ ყველა ინფორმაციას. აქ იგულისხმება, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება, ისე ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლის ქცევა და მისი შედეგები.

ეკონომიკური პოლიტიკის სუბიექტის მიერ წინასწარ მართვის შედეგების გამოცნობა, ეკონომიკური პოლიტიკის მოვლენას ენდოგენურ ელემენტად აქცევს. ეს მართვის მცდელობას (პოლიტიკის რეაქცია) არა მარტო სტიმულს აძლევს, არამედ სუბიექტი მას ნაწილობრივ წინასწარ ჭვრეტს კიდეც. ზემოქმედების პროგნოზის შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ ეკონომიკური სუბიექტები მართვის მცდელობებზე (ისტორული ნიმუშების მიხედვით) მექანიკურად რეაგირებენ. ამ შემთხვევაში პრაქტიკულ ეკონომიკურ პოლიტიკასთან ერთად იცვლება ქცევის ძველი წესებიც. სწორედ ამაშია იმ შეზღუდვის არსი, რომელიც ამ სახის რეაქციაზეა დაწესებული (ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებათა იმ მოდელებში, რომლებსაც საფუძვლად უდევს რაციონალური მოლოდინის თეორია. Lucas,1976).

ზემოქმედების პროგნოზის შედგენისას შეზღუდვა, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია დამკვიდრებული მაკროეკონომიკური მოდელის გამოყენების წინააღმდეგ (ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის გათვალისწინებით). განვითარებულ ქვეყნებში (გლობალური კრიზისის დაწყებამდე) ამგვარი

მცდელობები არსებითად ეკონომიკური პოლიტიკის „რუტინას" დაუახლოვდა. ამან საგრძნობლად გაზარდა კერძო ეკონომიკური სუბიექტების შესაძლებლობა, რომ მათ პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკისა და მის შედეგების თვალსაზრისით გარკვეული გამოცდილება დაეგროვებინათ. ამის საფუძველზე მათ ჩამოაყალიბეს რაციონალური მოლოდინის ტენდენციები (Gäfgen, 1986, გვ.5). მაგალითად, მათ მიიღეს გამოცდილება იმის შესახებ, რომ ეკონომიკის (ბიზნეს აქტივობის) გაჯანსაღების ღონისძიებებს ინფლაციური შედეგები მოჰყვება. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ გააქტივებული მოთხოვნის ზრდა (თუ მისი ნაწილობრივი განეიტრალება არ მოხდა) როგორც წესი, უარყოფითად მოქმედებს, როგორც სასაქონლო ისე შრომის ბაზარზე. ეკონომიკური პოლიტიკის აქტივობის დაქვეითება ინვესტორებს აფრთხობს, რაც დაქვეითებას კიდევ უფრო აჩქარებს. ამის დასტურია ინვესტიციების, წესად ქცეული, საგადასახადო სტიმულირება. რაციონალურ მოლოდინის შემთხვევაში არსებობს იმის საფრთხე, რომ სტაბილიზაციის პოლიტიკამ ხელშემწყობი გარემოებების ეფექტიანობა შეამციროს ან/და ისინი კონტრ-პროდუქტიული გახადოს.

ასე, რომ რაციონალური ჰიპოთეზების ან/და რაციონალური მოლოდინის ტენდენციათა ემპირიული მნიშვნელობა თუ აბსოლუტურად გაუგებარი არა, ძალზე საკამათო მაინც არის (Schiller, 1978; Kirchgässner, 1985; Gäfgen, 1986). ამ მხრივ გასათვალისწინებელია, რომ ა) მართვის ცოდნა კერძო ეკონომიკურ სუბიექტებს შორისაც ვრცელდება; ბ) მათ უნარი შესწევთ შეაფასონ ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პროცესი და გ) აქედან გამომდინარე, შესაძლებლობებზე წინასწარ შემუშავებული პოზიციებით იმოქმედონ. ამ პირობებს, რა თქმა უნდა, ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანების ყველა სფერო ერთნაირად ვერ დააკმაყოფილებს. ამავე დროს, მოლოდინის ფორმირების პროცესს ერთჯერადი ან ხელისუფლების მიერ პერიოდულად განხორციელებული ინტერვენციები აფერხებს. მიუხედავად ამისა, რაციონალური მოლოდინის არგუმენტი მნიშვნელობას მაინც ინარჩუნებს. როგორც კი გავითვალისწინებთ, რომკერძო ეკონომიკური სუბიექტები ცდილობენ წინასწარ განჭვრიტონ პოლიტიკური გადაწყვეტილებები და მათგან გამომდინარე შედეგები, მაშინვე საეჭვო ხდებამათი ქცევის სტაბილურობა. ეკონომიკური პოლიტიკისათვის ეს იმას ნიშნავს, რომ საბაზისო ცოდნა (რომელიც „რუტინასთან" შედარებით ისედაც მწირია) მართვის ერთჯერადი თუ არარეგულარული მცდელობების შემთხვევაში კიდევ უფრო მცირდება.

მოქმედების შესაძლებლობათა ანალიზი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გვაძლევს ერთმანეთთან კარგად შეთანხმებულ ღონისძიებათა კომბინაციებს (პროგრამის მონახაზები). ასეთი გამონაკლისები არის გადაწყვეტილების აბსოლუტურად კვანტიფიცირებული და ჩაკეტილი მოდელების გამოყენების

შედეგი. რაციონალური მოლოდინი კი გასაკვირია, მაგრამ სწორედ მათ წინააღმდეგაა მიმართული.საზოგადოდ, პროგრამული მონახაზები მცდელობადაა მიჩნეული. აქ იგულისხმება, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ზემოქმედების შესახებ არასრული ემპირიული ანალიზისა და შეუმოწმებელი თეორიების საფუძველზე მიღებული ვარაუდები პროგრამულ მონახაზებს, ზეგავლენის არაკონტროლირებადი სიდიდეების საშუალებით, მოქმედების შესაძლებლობად აქცევს.

პროგრამული მონახაზები, როგორც წესი, გულისხმობს წინასწარ მოცემულ შემფასებლურ არჩევანს (ეკონომიკური პოლიტიკის იმ შესაძლებლობებიდან, რომელსაც ზემოქმედების პროგნოზები მოიცავს). შეფასებები აუცილებელია იმისათვის, რომ განვჭვრიტოთ გააზრებულ ღონისძიებათა (როგორც ძირითადი და გვერდითი ზემოქმედების, ისე მათი მოკლევადიანი და გრძელვადიანი ზეგავლენის) შედეგები. ამავე დროს, წინასწარ უნდა გვქონდეს წარმოდგენილი ეკონომიკური პოლიტიკის საერთო სარგებელი. ვინაიდან ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვა გადაწყვეტილების გამტარებლის მიერ დელეგირებულია სხვა სუბიექტებსა და სტრუქტურებზე, ამიტომ ისიც უნდა ჩაერთოს კონსულტაციის თუ პროგნოზზე მსჯელობის პროცესში. სხვა შემთხვევაში მის ადგილს მრჩეველის ზედაპირული მითითებები დაიკავებს. აქაც იკვეთება ეკონომიკურ პოლიტიკაში რჩევის მიცემის პრობლემა. სხვა მხრივ, წინასწარი არჩევანის შესაძლებლობა შეზღუდულია, როცა ჩვენ წინაშეა ეკონომიკური პოლიტიკის ალტერნატივების ვიწრო სპექტრი. თუმცა ასეთი რამ წესრიგის პოლიტიკის გადაწყვეტილებათა სფეროში იშვიათად ხდება.

ადამიანები საზოგადოდ თავიანთი წარმატებისა თუ წარუმატებლობის გამოცდილებაზე სწავლობენ. ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვასთან დაკავშირებით გონივრულია, რომ ახალი გადაწყვეტილებების მომზადების პროცესში, როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური გამოცდილება გავითვალისწინოთ. ეს კი წინასწარ გულისხმობს იმას, რომ წარსულში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა არის კრიტიკულად გასაანალიზებელი. ეს არის ერთადერთი გზა იმის გასაგებად, თუ:

- რამდენად მოხერხდა დასახული მიზნის მიღწევა;
- დაგვიანებით ხომ არ გაირკვა, რომ ამა თუ იმ მიზნის მიღწევა შეუძლებელია;
- პროგრამა ნაწილობრივ ანდა მთლიანად მცდარ საფუძველს ხომ არ ემყარებოდა;
- რა ფაქტობრივი პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯები გამოიწვია პროგრამის რეალიზებამ;
- რატომ მოხდა პროგრამის მხოლოდ ნაწილობრივი რეალიზება;

• რამდენად დააზიანა ეკონომიკური პოლიტიკის კონკრეტული გეგმა სხვა ეკონომიკურ სუბიექტთა მოქმედებამ და რეაქციებმა.

აღნიშნული საკითხები სისტემურად და მიუკერძოებლად უნდა შეაფასონ დამოუკიდებელმა საექსპერტო ინსტანციებმა,განვითარებულ ქვეყნებში გადაწყვეტილებათა გამტარებლები,როგორც მათი პუბლიკაციებიდან ირკვევა ხოლმე, წარუმატებლობის პოლიტიკურ მიზეზებსარ ეხებიან. საპირისპირო მდგომარეობა გვაქვს განვითარებად ქვეყნებში. ამასთან, გადაწყვეტილების გამტარებელთა მოკლევადიან პერიოდებში შეცვლა გამოცდილების პროცესის წყვეტას იწვევს. ჩვეულებრივ, არც იმის მოლოდინი უნდა გვქონდეს, რომ ოპოზიცია მოგვაწვდის სიტუაციის ობიექტურ ანალიზს (თუმცა კონტროლის ფუნქცია მას ეკისრება). როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლება ცდილობს ისეთ ორგანოდ წარმოგვიდგეს, რომელიც დაბალ-ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში არსებით მონაწილეობას არ ღებულობს. შესაბამისად არც არაფერზეა პასუხისმგებელი. თვითკრიტიკისადმი მისი მოწოდება ამაში ვერაფერს ცვლის. პირიქით, წინა საფეხურზე უნდა წამოვწიოთ პასუხისმგებლობის საკითხი ინსტიტუციების ეფექტიან მუ-შაობასთან დაკავშირებით. აუცილებელია, რომ ეკონომიკური პოლიტიკის მრჩეველები, ექსპერტები და მოწვეული სპეციალისტები თავიანთ წილ პასუხისმგებლობას ინაწილებდნენ.

შედეგის კონტროლის თვალსაზრისით ზემოთ ჩამოყალიბებული საკითხები ორ სფეროდ იყოფა:

• ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა განხორციელების დამატებითი ანალიზი და

• ხარჯებისა და სარგებლის დამატებითი ეკონომიკურ-პოლიტიკური ანალიზი:

პირველი სფერო განიხილავს იმას თუ რა და როგორ იქნა მიღწეული. მეორე სფეროს ძირითადი საკითხია ვისთვის და რამდენად ამართლებს მიღებული სარგებელი გაწეულ დანახარჯებს. ამ კითხვებზე პასუხი უფრო გაგვიადვილდება, თუ მოვახდენთ გატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებუ-ლი საერთო დანახარჯებისა და სარგებლის ეკონომიკურ-პოლიტიკურ ანალიზს.

დანახარჯებისა და სარგებელის დამატებითი ანალიზის შემთხვევაში ჩნდება გვერდითი ზემოქმედებების შეფასების პრობლემა.ეს ის ზემოქმე-დებებია, რომლებსაც კონკრეტული ღონისძიება დასახულ მიზანზე ახდენს. სირთულე თავს იჩენს პირდაპირი ხარჯების შეფასების დაწყებისთანავე. თუმცა ზოგადად, შეფასების ეს კატეგორია ნაკლებად პრობლემატურია. საქმე ეხება სახელმწიფო ინსტანციების მიერ გაწეულ ხარჯებს. ამგვარი ხარჯების კონტროლს სპეციალური სახელმწიფო ორგანო უნდა ახორციელებდეს. მარტო განვითარებადი ქვეყნების მაგალითზე როდი დასტურდება ის ფაქტი, რომ

სახელმწიფო, როგორც ყველაზე მსხვილი „მეწარმე“ (რომელიც აწარმოებს და ანაწილებს საზოგადოებრივ საქონელს) საამისოდ ყველაზე არაეფექტიან საშუალებებს ფლობს.

განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო მხოლოდ ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილების აღრიცხვით შემოიფარგლება. ბიუჯეტის შესრულების კონტროლს – რომელიც ხშირად ერთი წლის პერიოდულობით ხდება- შეიძლება მხოლოდ ისტორიული ღირებულება ჰქონდეს. სახელმწიფო ბიუჯეტი იმ შემთხვევაშიც კი არ არის სახელმწიფო კონტროლის სათანადო ინსტრუმენტი, როცა იგი (ისე, როგორც კერძო მეწარმეების შემთხვევაში) პუნქტუალურად საბიუჯეტო აღრიცხვის სახით ხოციელდება და მისი შეუსრულებლობა კანონით ისჯება. ასეთი რამ ბიუჯეტის აღრიცხვის იმ მეთოდსაც არ ახასიათებს, რომლითაც ტიპურ ცენტრალურ ხარჯებს ითვლიან (რომ არაფერი ვთქვათ ხარჯების აღრიცხვის მეორე მეთოდზე, რომელიც პროდუქტის ერთეულზე დანახარჯების გაანგარიშებას ითვალისწინებს). როგორც ერთი, ისე მეორე მეთოდი მოწოდებულია, რომ ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამით გათვალისწინებული ხარჯების მაქსიმალურად ამომწურავი აღრიცხვა აწარმოოს.

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ის ორგანიზაციული სიძნელეები, რომლებიც თან ახლავს ხარჯთაღრიცხვის ამ მეთოდების შემოღებას. ეს დაკავშირებულია არა მარტო უწყებრივი საზღვრების გადალახვასთან, არამედ იმ დანახარჯების ჯამურ გაანგარიშებასთან, რასაც სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოები პროგრამის განხორციელების პროცესში ახდენენ. აუცილებელია აგრეთვე წლიური ბიუჯეტის დანაწევრება იმ ხარჯების აღსარიცხად, რასაც მისი ეტაპობრივი განხორციელების შედეგები გამოიწვევდა. ასეთი სიძნელეები სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არ შევეცადოთ სახელმწიფო აღრიცხვის მექანიზმის გაუმჯობესებას. ამ მიმართულებით ძალისხმევის დაზოგვა არანაირი გარემოებით არ იქნებოდა გამართლებული.

თავი 7. გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების ლოგიკა ეკონომიკურ პოლიტიკაში

ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვის წინასწარ განსაზღვრული ელემენტები დაკავშირებულია გადაწყვეტილების მომზადებისა და მიღების პროცესთან. გადაწყვეტილება შესაძლებელია ორგვარად იყოს თეორიული ძალისხმევის საგანი. ერთია, როცა ვცდილობთ, ავხსნათ ეკონომიკურ პოლიტიკაში მიღებული გადაწყვეტილებები და ისინი მიზნის საფუძველზე კვაზი კანონების მიხედვით განვმარტოთ (დესკრიფციული ანუ გადაწყვეტილების პოზიტიური თეორია), ხოლო მეორე მეთოდი გულისხმობს ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილებების ლოგიკური სტრუქტურის შესწავლას იმ მიზნით, რომ დაზუსტდეს რაციონალურობის პოსტულატის მნიშვნელობა და შევიმუშავოთ რეკომენდაციები პრობლემურ სიტუაციასთან დაკავშირებით (პრესკრიფციული ანუ გადაწყვეტილების ნორმატიული თეორია). ამასთან, აუცილებელია: (1) განვიხილოთ რაციონალური არჩევანის თეორიების ძირითადი სტრუქტურა; (2) განვმარტოთ თუ როგორ აისახება თეორიაში ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემათა შესახებ გადაწყვეტილების მომზადებისა და მიღების პროცესი; (3) დავადგინოთ გადაწყვეტილების მომზადების ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი წესების მნიშვნელობა და (4) აღმოვფხვრათ ბუნდოვან გადაწყვეტილებათა საფუძველზე მიღებული გართულებები. უნდა გავაცნობიეროთ, რომ ერთი მხრივ, რაც უფრო იკლებს გადაწყვეტილების აბსტრაქციის ხარისხი, მით უფრო რთულდება მისი მიღების პრობლემა. მეორე მხრივ კი, ეს იწვევს იმ მოლოდინთა გაცრუებას, რომელიც გვაქვს ხელმისაწვდომ ინფორმაციასა და გადაწყვეტილების პრობლემის პრაქტიკული გადაჭრის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, აუცილებელია კარგად ვიცოდეთ ის საზღვრები, რომლებშიც ეკონომიკური პოლიტიკის რაციონალური ღონისძიებები იგეგმება. საქმე ეხება იმის გათვალისწინებას, თუ რაოდენ მცირე და არასაკმარისია ჩვენს ხელთ არსებული ცოდნა. სწორედ ეს გვაიძულებს ფხიზლად შევაფასოთ მოქმედების შესაძლებლობები ეკონომიკურ პოლიტიკაში.

გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების თეორიები

რაციონალური არჩევანის ყველა თეორიას (გადაწყვეტილების მიღების თეორიები), რომელიც ნორმატიულ მიზნებს შეესაბამება, ერთნაირი სტრუქტურა აქვს. ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიღების პრობლემა მოიცავს:

- გადაწყვეტილების გამტარებელს, ანდა გადაწყვეტილების კოლექტიურ ორგანოს, როგორც აქტიორს;

• გადაწყვეტილების გამტარებლის მიზნებს;

• გადაწყვეტილების მიმღებთა ინსტრუმენტებსა და მოქმედების შესაძლებლობებს;

• მოქმედების შედეგებს, რომლებიც მოქმედების შესაძლებლობებს მოსდევს;

• გადაწყვეტილების მიღების წესებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს მოქმედების შედეგების შეფასების საფუძველზე შევარჩიოთ შესაბამისი აქტივობა.

გადაწყვეტილების თეორიები, უპირველეს ყოვლისა, წმინდა ლოგიკური ოპერაციებით აპელირებენ. ეს ის შემთხვევაა, როცა ძირითადი სტრუქტურა დგინდება არა გამოცდილების საფუძველზე, არამედ ვარაუდებს ემყარება. დებულებათა ასეთი სისტემიდან მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რაც ლოგიკური სიცხადით ხასიათდება. ამას მაშინ აქვს ადგილი, როცა „კეთილდღეობის ეკონომიკებში" წარმოების ოპტიმალური სტრუქტურა განაწილების გამოთვლების საფუძველზე გამოჰყავთ. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების პრობლემის იდენტიფიცირება უკეთ იქნება შესაძლებელი თუ ცენტრალურ ინსტანციასაც მოვიაზრებთ (როგორც გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს). ეს მაგალითი ლოგიკური ოპერაციების შინაარსსაც გამოხატავს და რაციონალური მოქმედების ძნელად დასანახ იმპლიკაციას გვიჩვენებს.

გადაწყვეტილების მიღების წესის დახმარებით შესაძლებელია იმის წარმოდგენა თუ როგორი იქნება რაციონალური მოქმედება. ამისათვის არ არის აუცილებელი, რომ გადაწყვეტილების მიმღები ფაქტობრივადაც ასე იქცეოდეს. მთავარი არის ისეთი ნორმატიული დებულებების მიღების სურვილი, რომლებიც ემპირიულად მნიშვნელოვან სხვადასხვა სიტუაციას მიესადაგება. ამ შემთხვევაში ჩვენ გადაწყვეტილების ნორმატიული თეორიის საზღვრებში ვმოქმედებთ.

გადაწყვეტილების ნორმატიული თეორიის საფუძველზე გამოტანილი რეკომენდაციები იმ სიტუაციას ეხება, რომელშიც წინასწარ ვფლობთ: ინფორმაციას გადაწყვეტილების ველის, გადაწყვეტილების წესისა და მოქმედების შედეგების შესახებ. გადაწყვეტილების მიმღებმა რომ გაითვალისწინოს ასეთი რეკომენდაციები, ეს მხოლოდ მის სუბიექტურ რაციონალურობას ნიშნავს. ობიექტური რაციონალურობა კი მოითხოვს, რომ გადაწყვეტილების ველის სტრუქტურისა და გადაწყვეტილების შესაძლებლობათა შესახებ სრულ ინფორმაციას ვფლობდეთ და ვიყენებდეთ. ამავე დროს, გადაწყვეტილების მომზადებასთან დაკავშირებული ანალიტიკური დანახარჯები (შეფასების ფუნქციისა და მნიშვნელოვანი ვარაუდების განსაზღვრა, გადაწყვეტილების მომზადება) სხვა ალტერნატიული დანახარჯებით არ გაიზომება. მაგრამ საქმე ის არის, რომ გადაწყვეტილების ველის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაც

დანახარჯებთანაა დაკავშირებული და გადაწყვეტილების მნიშვნელობასთან დაკავშირებით არსებულ გაურკვევლობას ხელს უწყობს. საკითხი თუ რა მოცულობის ინფორმაციაა საჭირო – გადაწყვეტილების წინმსწრებ პრობლემას წარმოადგენს. იგი ვერ გადაიჭრება გადაწყვეტილების მიმღების გარეშე. ზოგადად შეფასებას საჭიროებს, როგორც ინფორმაციის მოპოვებაზე გაწეული დანახარჯები (იმ ხარჯების ჩათვლით, რომლებიც გადაწყვეტილების დაყოვნებას უკავშირდება), ისე მისი მოპოვებით მიღებული სარგებელი. გადაწყვეტილების მიმღებს (ეკონომიკურ პოლიტიკაში) საქმე აქვს ინფორმაციის მოპოვების იმავე პრობლემასთან, რომელიც ინდივიდუალურ ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით განვიხილეთ. ეს ნიშნავს, რომ შესაძლებელია გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციაზე უარის თქმა. ინფორმაციის დამუშავებაზე გაწეულ ხარჯებთან დამოკიდებულებაშიც იგივე შეიძლება ითქვას.

სუბიექტური რაციონალურობა არ ნიშნავს იმას, რომ მის შემოწმებას ყველა მოქმედება სცდება. მაგრამ როგორც რაციონალურობაზე თვითკონტროლი, ისე მისი შემოწმება სხვა ინდივიდების მიერ მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა გადაწყვეტილების მიღების წესი წინასწარ არის დადგენილი.

გადაწყვეტილების ნორმატიული თეორიის ჩარჩოებში გადაწყვეტილების შემუშავებისა და მიღების პროცესში რაციონალური მოქმედების იმპლიკაციები განიხილება. ეს ხდება სარეკომენდაციო დებულებათა შემუშავებისათვის. რაც შეეხება დესკრიფციულ თეორიებს, მათი მიზანია ისეთი კანონზომიერებების გამოაშკარავება, რომელთა მიხედვითაც ფაქტობრივი გადაწყვეტილებების მიღება უნდა მოხდეს. ამასთან, იცვლება განხილვის წესიც: მოქმედების შესაძლებლობათა ნორმატიული გეგმის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება წინასწარ მოცემული სტრუქტურის მიხედვით მოწმდება. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილებაზე გაწეული დანახარჯები (დროის დანახარჯების ჩათვლით) არანაირ როლს არ თამაშობს. გადაწყვეტილების ველის არსებობის პირობის საფუძველზე (იგი მოქმედების შესაძლებლობების, მათი შედეგების შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების წესზე ინფორმაციასაც მოიცავს), საკმარისადაა ინფორმაცია პრობლემის შინაარსთან დაკავშირებით.

პოზიტიურ თეორიებში მთავარია ის მოქმედებები, რომლებსაც ფაქტობრივი გადაწყვეტილებები მოჰყვება. ამ ასპექტით გასათვალისწინებელია განხილვის ორი დონე:

- მიკროთეორიული დონე, სადაც განხილვის საგანს წარმოადგენს გადაწყვეტილებათა მიმღები სუბიექტური (ინდივიდუალური) ფაქტორების ქცევა;
- მაკროთეორიული დონე, სადაც განიხილება კოლექტიური ფაქტორების ის მოქმედებები, რომლებსაც გადაწყვეტილებები მოსდევს.

მიკროთეორიული განხილვის ამოცანაა სუბიექტური (ინდივიდუალური) გადაწყვეტილების მიღების პროცედურები. იგი ადგენს:

• თუ რამდენად არის გაცნობიერებული მოქმედების პრობლემა და რამდენად არის იგი განმარტებული;

• რამდენად არის გააზრებული და ჩამოყალიბებული მოქმედების შესაძლებლობები;

• მიღებულია გადაწყვეტილება თუ გადავადებულია მისი მიღება;

• არჩეული მოქმედებები რამდენად არის განხორციელებული, მოქმედების პროცესში მოდიფიცირებული და მოგვიანებით გამართლებული.

ფსიქოლოგიურ ასპექტებზე ორიენტირებული თეორიების პოზიციიდან (მაგალითად, Boulding, 1956; Festinger, 1957; Simon, 1957/87,1959) ეკონომიკური გადაწყვეტილებები მხოლოდ გამოყენების კონკრეტული შემთხვევებს წარმოადგენს. არსებითად, იგივე უნდა ვთქვათ მიკროთეორიული ანალიზის მეორე ნაირსახეობაზეც. იგი იკვლევს ინდივიდუალურ ქცევას კოლექტიური ქცევისაგან მისი განსხვავების გათვალისწინებით. ამავე დროს, ეს არსებითად მიკროსოციოლოგიური პრობლემა ეკონომიკაზე ორიენტირებული პრინციპების დახმარებით ჩამოყალიბდა (Buchanan, 1965/98; Olson,1965). მიკროთეორიული კვლევის შედეგებს მაშინ იყენებენ, როდესაც უნდათ გადაწყვეტილების ნორმატიულ მოდელებში აბსტრაქციის ელემენტებზე მიუთითონ. ეს მიზანშეწონილია, რამდენადაც მიკროდონეზე ორიენტირებული თეორიები ხშირად გარკვეული პრობლემების თეორიულსა და ემპირიულ ასპექტზე ახდენს აქცენტირებას.

ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებათა კიდევ ერთი დონე მაკროთეორიული ხასიათისაა. ეკონომიკური პოლიტიკის კოლექტიურ გამტარებელთა მოქმედების განსაზღვრისას წინა საფეხურზე მაკროეკონომიკური მიზანდასახულობა გამოდის.

გადაწყვეტილებების მომზადება ეკონომიკურ პოლიტიკაში

ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში გადაწყვეტილების ნორმატიული თეორიის გამოყენებისას ეკონომეტრიკული მოდელის ჩამოყალიბება გადაწყვეტილებათა კვანტიფიცირებულ მომზადებას ითხოვს. ამ შემთხვევაში მაკროეკონომიკური მოდელი განსაზღვრავს ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლის გადაწყვეტილებათა ველს. XX საუკუნის შუა ხანებში კლეინის (1947), ფრიშის (1950), ტინბერგენისა (1952/70,1964) და ტეილის (1954) ნაშრომების საფუძველზე ჩამოყალიბდა რაოდენობრივი ეკონომიკური პოლიტიკა, საიდანაც ნათლად ჩანს თუ რაოდენ ვიწროა ის საზღვრები, რომლებშიც გადაწყვეტილებათა მომზადება ხდება.

საერთოდ, გადაწყვეტილებების მომზადება სამ დიდ სფეროდ იყოფა:

• გადაწყვეტილების ტექნოლოგია (მართვის შესახებ მოძღვრება), როგორც გადაწყვეტილების სფეროს შემადგენელი ელემენტი. იგი მოიცავს გადაწყვეტილების მიმღების მიზნებსა და ინსტრუმენტებს ემპირიული მოდელის სახით;

• საკუთრივ გადაწყვეტილების მომზადება, რომლის დროსაც გადაწყვეტილების ტექნოლოგიის დახმარებით მიღებული პროგნოზის შედეგები შეფასებისა და პრეფერენციების მიხედვითაა დალაგებული. მოქმედების შესაძლებლობის არჩევა კი გადაწყვეტილების მიღების წესების მიხედვით ხდება;

• გადაწყვეტილების განხორციელება, შედეგის კონტროლი და იმ ელემენტების ცდისეული (ემპირიული) შემოწმება, რომლებმაც (სხვა პირობებთან ერთად) განსაზღვრა გადაწყვეტილება.

ენდოგენურ ცვლადთა შორის განსაკუთრებულ ინტერესს ის ცვლადები იწვევს, რომლებსაც გადაწყვეტილების მიმღების შეფასებები ემყარება. ასეთი ცვლადები ან უშუალოდ მიზნებს ანდა მათი შინაარსის ელემენტებს წარმოადგენს. საერთო ჯამში ისინი მიზნის ცვლადთა კატეგორიას ქმნის. სხვა ენდოგენური ცვლადებს (რომლებსაც ეკონომეტრიკულ მოდელში ვხვდებით), მიზანთან დამოკიდებულებაში უმნიშვნელოდ მივიჩნევთ. ამის გამო გადაწყვეტილების მომზადების პროცესში მათი უგულვებელყოფა ხდება.

რაც შეეხება ეგზოგენურ ცვლადებს, განსაკუთრებით საინტერესოა ისინი, რომლებსაც გადაწყვეტილების მიმღები გადაწყვეტილების ველზე ზეგავლენით აკონტროლებს. ესენია ე.წ. ინსტრუმენის ცვლადები. გარდა ამისა, არსებობს ისეთი ეგზოგენური ცვლადები, რომლებიც გადაწყვეტილების ველის სიდიდის განსაზღვრაში მონაწილეობს. ისინი სხვა ცვლადებით კონტროლდება ანდა ისეთი ბუნებრივი თუ სოციალური პროცესების შედეგებს წარმოადგენს, რომლებიც ზეგავლენას არ განიცდის. გადაწყვეტილების მიმღებისათვის ამგვარი ეგზოგენური ცვლადები არის მონაცემები, რომლებსაც იგი გადაწყვეტილების მომზადებაში იყენებს. ასეთია სამუშაო ძალის დემოგრაფიული ცვლილებები, ხოლო „მცირე“ ქვეყნების შემთხვევაში ყოველივე ამას საზღვარგარეთ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებიც ემატება. და ბოლოს, შესაძლებელია ისეთი ეგზოგენური ცვლადებიც შევნიშნოთ, რომლებსაც კერძო პირები და ორგანიზაციები ეკონომიკური პოლიტიკის ზემოქმედებით აკონტროლებენ. მათზე ამგვარი ზეგავლენა დამოკიდებულია გამტარებელთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. არსებითად შესაძლებელია ეს ცვლადები ენდოგენურ ცვლადებად მივიჩნიოთ. მაგალითად, სატარიფო ხელშეკრულების მხარეთა (პროფკავშირები და მეწარმეთა კავშირები) კოლექტიური თანხმობა ანაზღაურების სიდიდეზე შესაძლებელია დამოკიდებული იყოს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის გასატარებელ ღონისძიებებზე.

შეიძლება მოვიფიქროთ ისეთი სტატიკური მოდელი, რომელიც განსასაზღვრ ცვლადებს (მყისიერი მოქმედების ენდოგენური ცვლადები) მოიცავს. ენდოგენური ცვლადები ერთმანეთს განსაზღვრავს. ისინი ურთიერთდამოკიდებული არიან. ამ შემთხვევაში შეუძლებელია არსებობდეს მიზეზობრივი კავშირების ჯაჭვი, რომლის სათავეშიც მყოფი ცვლადები სხვა ცვლადებით აღარ განისაზღვრება. ურთიეთდამოკიდებულების ამგვარი მოდელი ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებს არ შეესაბამება. ეკონომიკური პოლიტიკისათვის ზემოქმედებათა ისეთი ანალიზი გამოდგება, რომელიც სულ ცოტა ერთ ეგზოგენურ ცვლადს მაინც მოიცავს.

როდესაც საქმე დინამიკურ მოდელს ეხება, მაშინ ეგზოგენურსა და ენდოგენურ ცვლადებს ცვლადების კიდევ ერთი ჯგუფი ემატება. ეკონომეტრიკაში, როგორც დროითი ასპექტით მყისიერი და დაყოვნებული ეგზოგენური ცვლადები, ისე დაყოვნებული ენდოგენური ცვლადები წინასწარ განსაზღვრული ცვლადების კატეგორიაში შედის. დაყოვნებული მოქმედების ენდოგენური ცვლადები დროის მიმდინარე პერიოდში არ განისაზღვრება. ამ მოვლენის მაგალითად გამოდგება ის წინა პერიოდი, რომელსაც ე.წ. „რობერტსონის ლაგი" გულისხმობს. ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ეგზოგენური ცვლადები, ვინაიდან ისინი კონტროლის სფეროში დაყოვნებულ ზემოქმედებებს გამოხატავს. პროგნოზის თვალსაზრისით, დაყოვნებული ენდოგენური და ეგზოგენური ცვლადები მომავლის შესახებ ინფორმაციას მოიცავს და ამდენად, შესაძლებელის სფეროს ზღუდავს. საქმე იმაშია, რომ დაყოვნებული ზემოქმედებიდან გამომდინარე მათი რაოდენობა თავიდანვე ცნობილია.

ეკონომიკური მოდელიდან ეკონომეტრიკულ მოდელზე გადასვლა შესაძლებელია ლატენტური (ფარულად მოქმედი) ცვლადების საფუძველზე. ისინი უამრავი ისეთი ცვლადის ზემოქმედებას გამოხატავს, რომლებიც მოდელში ღიად (ექსპლიციტურად) აღქმული ცვლადების გვერდით არსებობს. ხელსაყრელ შემთხვევაში ისინი ენდოგენურ ცვლადთა ცვლილებების შემთხვევითი ვარიანტია. მოდელში არსებული სხვა ცვლადებისგან განსხვავებით შეუძლებელია ლატენტური ცვლადების უშუალო შეფასება (ან გაზომვა). პირიქით, მათი ზემოქმედების გამოხატულებაა ის განსხვავება, რომელიც გვაქვს მას შემდეგ, რაც მყისიერი ენდოგენური ცვლადების დაკვირვების პროცესში ცვალებადობას წინასწარ განსაზღვრული ცვლადების იმ ცვალებადობას მივუმატებთ, რომლებზეც დაკვირვება უკვე გვქონდა. ჩვენ რა თქმა უნდა ეკონომეტრიკულ დეტალებს არ განვიხილავთ. ახლა მხოლოდ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ ამგვარი განსხვავება საშუალებას გვაძლევს, მოცემული (დაკვირვების ქვეშ მყოფი) ენდოგენური ცვლადების სანდოობა განსაზღვრული პარამეტრით შევაფასოთ. ისინი მნიშვნელოვანია

გადაწყვეტილების ტექნოლოგიის ასპექტითაც. საქმე ის არის, რომ პროგნოზის სიზუსტე შეფასებათა სანდოობაზეა არსებითად დამოკიდებული.

გადაწყვეტილების მომზადება ორ შემთხვევაში არის გამარტივებული. პირველი, როდესაც საქმე ერთ მიზანს ეხება. მეორე კი, როცა მიზნის რამდენიმე ცვლადის არსებობის შემთხვევაში თავიდანვე განსაზღვრულ ღირებულებათა მიღწევის მიზანს ვისახავთ. პირველ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა საზოგადოებრივი საქონლის ცვლილება დადგენილია, როგორც მიზნის ერთადერთი ცვლადი. მიზნის ცვლადებთან დამოკიდებულებაში არსებითად შესაძლებელია იმის განსაზღვრა თუ რა სახის და ხარისხისაა კონკრეტული ღირებულებები, რომელთა მიღებასაც ველოდებით, ასევე თუ როგორი საიმედოობით ხასიათდება თითოეული მათგანი. მოქმედების შედეგთა მრავალგანზომილებიანობას ეკონომიკურად განსხვავებული მახასიათებლები განსაზღვრავს. თუმცა შესაძლებელია ისინი ერთ განზომილებაზე დავიყვანოთ და ერთმანეთს შევადაროთ. აქტივობის სფეროს მიხედვით მიზნის დადგენაში, როგორც საზოგადოებრივი საქონლის, ისე ზრდის კოეფიციენტის ვექტორის განსაზღვრა მონაწილეობს. ხარისხის მიხედვით შესაძლებელია ჰარმონიულად შევუწყოთ ერთმანეთს ზრდის განსხვავებული კოეფიციენტები. ერთნაირი ანდა განსხვავებული მოქმედების შემთხვევაში გადაწყვეტილების ველის სხვადასხვა მდგომარეობა შედეგის მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავდება. ეს განპირობებულია იმით, რომ საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდა მომავლის პერიოდებზე სხვადასხვანაირად ნაწილდება. თუმცა, მიუხედავად ამისა, მათი ურთიერთშედარება შესაძლებელია. ამისათვის აუცილებელია წინასწარ დავუშვათ ის, რომ გადაწყვეტილების მიმღებს დროში გარკვეული უპირატესობა აქვს, რაც მას საშუალებას აძლევს დაადგინოს როგორია ნებისმიერი ასეთი ზრდის მნიშვნელობა (ღირებულება) მიმდინარე პერიოდში. და ბოლოს, თუ შედეგებს განსხვავებულ საწყის ვარაუდებს დავუკავშირებთ, მაშინ მოსალოდნელი ღირებულებების ფორმირების გზით (შედეგებისა და მათი შესაბამისი საწყისი ვარაუდებით) შესაძლებელი გახდება მათი ერთმანეთთან შედარება. ყოველ შემთხვევაში გადაწყვეტილების მომზადების მოსალოდნელი ღირებულება შესაძლო კრიტერიუმია, როცა უამრავ ერთნაირ გადაწყვეტილებასა და შესაბამის რისკებს ეხება საქმე. ამ შემთხვევაში შუალედური შედეგიც კი გადაწვეტილებისათვის მნიშვნელობას იძენს.

ფიქსირებული მიზნები, როგორც რაოდენობრივი ეკონომიკური პოლიტიკის ელემენტარული შემთხვევა იან ტინბერგენის (1952/70) სახელს უკავშირდება. იგი აიხსნება, როგორც მიზნის არეალის შეფასების ზღვრული შემთხვევა. ფიქსირებული მიზნები მოცემულია მაშინ, როცა შუალედური და უმაღლესი მიზნების მიღწევის ხარისხი მიზნის ცვლადებს ემთხვევა. ამგვარი შეფასებები, როგორც მიზნის ფორმულირება, სულაც არ არის რეალობას

მოკლებული. გადაწყვეტილების მომზადების თვალსაზრისით ასეთ მიზნებთან დაკავშირებით შეფასების პრობლემა აღარ გვაქვს. ამ შემთხვევაში მხოლოდ გადაწყვეტილების ველის შესახებ ინფორმაციის საფუძველზე უნდა შემოწმდეს:

• შესაძლებელია თუ არა ამ მიზნების მიღწევა ჩვენს ხელთ არსებული ინსტრუმენტის ცვლადების ვარიაციის გზით; და

• როგორ შევძლოთ მოცემულ შემთხვევაში ინსტრუმენტების მიზანმიმართული და დოზირებული გამოყენება.

რობერტ მანდელმა (Mundell, 1962) მის მიერ ფორმულირებული ზემოთმოყვანილი დებულებები გამოიყენა ეკონომიკური პოლიტიკის კონკრეტულ პრობლემებთან დაკავშირებით. რაც მდგომარეობდა იმაში, რომ მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა შიდა და გარე ეკონომიკური წონასწორობის მიზნებთან შესაბამისობაში მოეყვანა. მისი განსაზღვრით შიდა ეკონომიკური მიზანია სრული დასაქმების პირობებში მოთხოვნისა და წარმოების მოცულობის გაწონასწორება. საგარეო ეკონომიკური მიზანი კი განისაზღვრება, როგორც საგადამხდელო ბალანსის გაწონასწორება. ამგვარი მიდგომა, წინაპირობად გულისხმობს, რომ არსებობს: ფიქსირებული სავალუტო კურსი, საპროცენტო განაკვეთზე დამოკიდებული კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა, სავაჭრო ბალანსის დეფიციტი და მზარდი შიდა მოთხოვნა. იგულისხმება აგრეთვე, რომ საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელი ინსტანციები პასიურ მდგომარეობაშია. აღნიშნული გარემოებები ხელსაყრელია საპროცენტო განაკვეთის პოლიტიკისათვის სწორედ საგარეო-ეკონომიკური მიზანდასახულობის მხრივ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ შიგა მოთხოვნის რეაქცია საპროცენტო განაკვეთსა და ფისკალურ პოლიტიკაზე - ორივე მიზანზე ახდენს გავლენას. საგარეო-ეკონომიკური წონასწორობის მიზანთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მას საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობაზე კაპიტალის მოძრაობის (ნეტო ექსპორტის) რეაქციაც ემატება. ამდენად თუ ორივე ინსტრუმენტს მიზანზე მათი ზემოქმედების მიხედვით (სუბსტიტუციური დამოკიდებულების თვალსაზრისით) ერთმანეთს შევადარებთ, მაშინ საგარეო-ეკონომიკური წონასწორობის მიზნის შემთხვევაში ვლინდება მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის გაუმჯობესება.

ემპირიული შემოწმების შედეგად უნდა დადგინდეს თუ რომელი ინსტრუმენტი რომელ მიზანთან არის შესაბამისობაში. ამ კითხვაზე პასუხი დროში ცვლილებებს განიცდის, ვინაიდან მულტიპლიკატორების მოქმედების შედეგებს შორის დამოკიდებულება (რომელზეც, მიზანზე ზემოქმედებისათვის ხელსაყრელი პირობების არსებობაა დამოკიდებული) არამყარია. ეს ხდება ინსტრუმენტის ცვლადების ცვალებადობის გამო. შესაბამისობის პრობლემა იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც იგი ინსტრუმენტების სასარგებლო ზემოქმედებაზე ინფორმაციას გვაწვდის. ამავე დროს მინიშნებას გვაძლევს

ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა გამტარებელს შორის შრომის მიზანშეწონილი განაწილების შესახებ(როდესაც საქმე განსხვავებული ინსტრუმენტების გამოყენებას ეხება). მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელმა მიზნის რეალიზებისათვის ის ინსტრუმენტი გამოიყენოს, რომელიც ზემოაღნიშნული ინფორმაციის თანახმად მოცემულ მიზანს ყველაზე უფრო მეტად მიესადაგება. ამავე დროს შესაძლებელია, რომ ჩვენს ხელთ არსებული ინსტრუმენტის გამოყენება პრობლემის გადასაჭრელად საკმარისი არ აღმოჩნდეს. ეს აშკარად ჩანს სრული დასაქმებისა და ფასების სტაბილურობის მიზნებს შორის არსებული კონფლიქტის მაგალითზე. ამის მიზეზია ის, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციები ერთადერთი არ არის, ვინც ამ საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების ველზე გავლენას ახდენს. მნიშვნელოვანი ძალაუფლება გააჩნიათ სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებსაც (პროფკავშირები, მეწარმეები და მათი გაერთიანებები), რომლებიც დასახული მიზნების განხორციელებით თავიანთ სარგებელს მოელიან. ასე, რომ გადაწყვეტილების მომზადების პროცესი სხვადასხვა აქტიორებს შორის არსებული სტრატეგიული ურთიერთდამოკიდებულებაა. გადაწყვეტილების ფორმირების პრობლემა იცვლება საშემოსავლო პოლიტიკის ინსტრუმენტა¬რიუმის გაფართოებასთან ერთად. იგი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციებსა და ეკონომიკური პოლიტიკის ძალაუფლების მქონე ინტერესთა ჯგუფებს შორის ერთობლივი „თამაში". იმ შემთხვევაში თუ თავდაპირველად ინსტრუმენტების გამოყენების დოზირება შეზღუდულია, აუცილებელია, რომ ინსტრუმენტების რაოდენობამ მიზნების რიცხვს გადააჭარბოს. ამავე დროს, საჭირო ხდება თანმხლები პირობების დადგენა. ამის შემდეგ გამორიცხული არ არის, რომ ზოგჯერ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ ზემოაღნიშნული პირობების დარღვევის შედეგად. როგორც ასეთი, ისე სხვა სახის თანმხლები პირობები გადაწყვეტილების მომზადების წრფივ მოდელს პროგრამების პრობლემად გარდაქმნის.

შესაძლებელია ისეთი მდგომარეობაც, როცა თვითნებურად (სუბიექტურად) დოზირებული ინსტრუმენტების რაოდენობა აჭარბებდეს მიზნების რაოდენობას. ამ შემთხვევაში ფორმალურად საკითხის გადაწყვეტის მრავალი შესაძლებლობა არსებობს. პრობლემები მოხსნილია, როდესაც შესაძლებელია „უამრავი" ინსტრუმენტის არჩევა. ეკონომიკური პოლიტიკისათვის სასარგებლოა „ზემოქმედებათა განაწილების" (Tinbergen 1952/70, გვ.41) შესაძლებლობა, როცა ინსტრუმენტის გამოყენება გარკვეულ გავლენას ახდენს ეკონომიკური პოლიტიკის სუბიექტებზე. საზოგადოდ ეს შეიძლება ნიშნავდეს შემდეგს:

• მეტი ყურადღება ეთმობა იმას, რომ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტის გამოყენებამ შესაძლებელია უარყოფითად იმოქმედოს სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკაზე;

• ზემოაღნიშნული მიზნებისაკენ სწრაფვა უფრო ეფექტიანია, როცა არჩეული ინსტრუმენტები გატარებული ღონისძიებებიდან გადახვევის მხოლოდ უმნიშვნელო სტიმულს გვაძლევს (მაგ., გადასახადებისაგან თავის არიდება).

ფიქსირებული მიზნების შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების პრობლემა გამარტივებულია, რამდენადაც შესამოწმებელი მხოლოდ ისაა თუ რა მოქმედებით მიიღწევა მოცემული მიზანი, როგორც მოქმედების წინასწარ განსაზღვრული შედეგი. კითხვები არ ჩნდება მოქმედების სხვა შესაძლებლობებისა და მათი შედეგების შესახებ. ამგვარი შესაძლებლობების შეფასებისა და არჩევის საკითხი არც გადაწყვეტილების მიღების წესის მიხედვით დგას. ფიქსირებული მიზნების მოცემული კომბინაცია არ არის ოპტიმალური შედეგის საწინდარი. იგი შესაძლებელია განვმარტოთ, როგორც შეზღუდული რაციონალურობის გამოხატულება. ყოველ შემთხვევაში ძნელია იმის უარყოფა, რომ ასეთი მიდგომა რეალობასთან ახლოსაა.

მიზნის ოპტიმიზება - მაქსიმალური შედეგის მიღწევა - მხოლოდ მკაცრი რაციონალურობის საფუძველზეა შესაძლებელი. ერთი მხრივ, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა მოქმედების დროს გასათვალისწინებელია ის მიღწევები, რომლებიც შედეგების მატრიცაში წინასწარ არის მოცემული. მეორე მხრივ კი, საჭიროა შეფასების ფუნქცია გამოვიყენოთ. იგი საშუალებას მოგვცემს სხვადასხვა შედეგი მათი მახასიათებლების მიხედვით შევაფასოთ და დავასკვნათ, რომ შესაძლებელია მოქმედებები სასურველი წესრიგის ფარგლებში მოვაქციოთ. მოვლენათა მახასიათებლების შეჯამება მაშინაა შესაძლებელი, როცა ასეთი მახასიათებლების სახეობა, გვარი, ხარისხი, ხანგრძლივობა და სანდოობა ერთმანეთისგან დამოუკიდებელია. ამასთან ერთად შეფასებასაც – პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე – საფეხურებრივი ხასიათი აქვს. ყოველი მომდევნო ნაბიჯი შედეგთა მატრიცის (მრავალგვაროვნობის) გამარტივებას გულისხმობს. ასეთი პროცედურის ბოლოს ჩვენს წინაშეა ისეთი გადაწყვეტილების ფორმირების შესაძლებლობა, რომელიც ყველა ქმედებას მნიშვნელობას ანიჭებს ანდა მის ვექტორად გვევლინება. იგი ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას ხელს უწყობს.

ბუნდოვანების გაფანტვის შემთხვევაში მიზნის ოპტიმიზებისას გადაწყვეტილების მიღების პრობლემა ფორმალურადაც შეიძლება გამარტივდეს. ეს მოხდება მაშინ თუ გადაწყვეტილების ველს ეკონომეტრიკული მოდელის საშუალებით წარმოვადგენთ (სრულად აღვწერთ, როგორც მიზნის ცვლადების განმსაზღვრელ განტოლებებს, ისე შედეგების მატრიცას). ამ შემთხვევაში განმსაზღვრელი განტოლებების საფუძველზე იმ ამოხსნათა სიმრავლის დადგენაც შეიძლება, საიდანაც შეფასების ფუნქციის საშუალებით ოპტიმალური შედეგები უნდა მივიღოთ. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ შედეგების მატრიცა

ადგენს იმ საზღვრებს, რომლებიც დაცული უნდა იქნას დასახული მიზნების მიმართ ინსტრუმენტების გამოყენებისას. როცა მიზნის ოპტიმიზებას გადაწყვეტილების მიღების წესად ვიყენებთ, საქმე ეხება მაქსიმალური შედეგების მიღწევას სწორედ თანმხლები პირობების არსებობის შემთხვევაში. ასეთ პირობებად, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური ურთიერთობები გვევლინება. რაც შეეხება განტოლებათა ამოხსნასთან დაკავშირებით წარმოშობილ დამატებით პრობლემებს, ხდება მათი უგულვებელყოფა.

დავუშვათ, რომ ცნობილია შეფასების ფუნქცია, რომელიც არგუმენტების სახით მხოლოდ მიზნის ცვლადებს მოიცავს. ამ შემთხვევაში მისი მნიშვნელობა მაქსიმალურად იზრდება სწორედ იმ თანმხლებ პირობებში, რომლებსაც მიზნის ცვლადების განმსაზღვრელი განტოლებები ადგენს. სიმარტივისათვის დავუშვათ, რომ ინსტრუმენტებს საკუთრივ ღირებულება არ გააჩნია. მეორე მხრივ, მათი მნიშვნელობა იზრდება შეფასების ფუნქციაში, ანდა შესაბამის თანმხლებ პირობებში მათი საკუთრივი ღირებულება კლებულობს. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების სათანადო მომზადება წრფივი ოპტიმიზების პრობლემად მოგვევლინებოდა თუკი თანმხლებ პირობებს წრფივი უტოლობების სახეს მივცემდით.

გადაწყვეტილების ნორმატიულ თეორიაში სრულად არის დასაბუთებული შეფასების ფუნქცია. რაც შეეხება გადაწყვეტილების პოზიტიურ თეორიას, მასში შეფასების ფუნქცია უშუალო შესწავლის საგანს წარმოადგენს. ერთი მხრივ, არსებობს – მაგ., ტინბერგენთან (1964, გვ.17) მისი განხორციელების ოპტიმალური შესაძლებლობა. ამ დროს ხდება გადაწყვეტილების მიმღების გამოკითხვა გადაწყვეტილებასთან დაკავში-რებული ყველა სიძნელის თაობაზე. მეორე მხრივ, მომავალში სტაბილურ შეფასებათა იმედით ხდება აქამდე მიღებული გადაწყვეტილებების გაანალიზება. ამ ტიპის მცდელობები (Friedlaender, 1973) ეკონომიკური პოლიტიკის თეორიას ენათესავება. საქმე ეხება იმას, რომ გამოყენებული ინსტრუმენტების საფუძველზე კეთდება დასკვნა იმის შესახებ თუ რა პრეფერენციებს ეყრდნობა გადაწყვეტილების მიმღები. ამასთან, გარკვეული ტიპის შეფასების ფუნქცია წინასწარ არის მოცემული. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ჩნდება კითხვა იმის შესახებ, თუ რა მოსაზრებები უდევს საფუძვლად გადაწყვეტილების მიმღების იმ რეაქციას, რომელსაც მასზე დაკვირვების საფუძველზე გამოვავლენთ. აპროქსიმაციურად (ობიექტთა ერთობლიობის შეცვლა სხვა უფრო მარტივი ერთობლიობით), როგორც წესი, მხოლოდ ეკონომეტრიკული მოდელის შერჩევა ხდება. ასეთი აპროქსიმაციის სარგებლიანობა იმაზეა დამოკიდებული თუ როგორ არის შეფასებული მიღწეული შედეგები.

აქამდე გადაწყვეტილების მიღების პრობლემა არსებითად შემდეგნაირად იყო ფორმულირებული:

• გადაწყვეტილების ველის შესახებ ინფორმაცია სრული იქნება თუ გვეცოდინება ის ურთიერთკავშირები, რომლებიც მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მისაღებად;

• თუ გარკვეულია მოქმედების შედეგები;

• თუ ანგარიშს არ გავუწევდით გადაწყვეტილების ველზე ეკონომიკური პოლიტიკის ზემოქმედებას ანდა შესაძლებელი იქნებოდა ამგვარი ზეგავლენის წინასწარ განჭვრეტა.

ამით გამოირიცხებოდა იმ გაურკვევლობის ზოგადი მიზეზები, რომელიც ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესს (Gäfgen, 1968/1975, გვ. 36) თან ახლავს. ეს მიზეზებია:

• ინფორმაციის შეზღუდულობა: გადაწყვეტილების ველის შესახებ ცოდნა შეზღუდულია და შეუძლებელია მისი უსასყიდლოდ მიღება. ამიტომაც, საჭიროა რაციონალური ძალისხმევა გლობალურთან შედარებით უფრო ადგილობრივი ინფორმაციის მოსაპოვებლად მივმართოთ;

• სტატისტიკურად შეზღუდული გაურკვევლობა: კონკრეტული მოქმედებების შესახებ მხოლოდ აპოსტერიორული (ცდიდან გამომდინარე) ვარაუდები არსებობს;

• სტრატეგიული გაურკვევლობა: სამომავლო მოქმედების შედეგები ჩამოყალიბებულია არა მარტო იმ პირის მიერ, ვინც უშუალოდ ღებულობს გადაწყვეტილებას, არამედ მასში მონაწილეობას ღებულობენ ეკონომიკურ პოლტიკაზე ზეგავლენის მქონე გადაწყვეტილების სხვა მიმღებნიც.

ინფორმაციის შეზღუდულობა ნიშნავს:

• უცნობია და ასეთად რჩება გადაწყვეტილების ველის „ნამდვილი“ სტრუქტურა, რომელიც მოდელის საშუალებით უნდა გამოისახოს. იგი (მოდელი) რეალობასთან მეტ-ნაკლებად მიახლოებულ სიტუაციას წარმოადგენს;

• სტატისტიკური ინფორმაცია, რომელსაც ვფლობთ გვაიძულებს უფრო დავხვეწოთ მოდელი და მისი ნაკლებად პრეტენზიული ვარიანტები წარმოვადგინოთ. ეს საშუალებას მოგვცემს, „უფრო ძლიერი“ ჰიპოთეზები წამოვაყენოთ თუნდაც მათი შედეგები მცირე სანდოობით ხასიათდებოდეს;

• ინფორმაციის დეფიციტის პირობებში შესაძლებელია ზემოქმედების პროგნოზების შედგენა ინსტრუმენტის ცვლადებისა და წინასწარ განსაზღვრული ცვლადების (მონაცემების) უკვე შეფასებული კოეფიციენტების საფუძველზე.

• მონაცემები თავისთავად პრობლემას წარმოადგენს, როცა ისინი გაურკვევლობის წყაროდ გვევლინება. ასეთ შემთხვევებში მოქმედების შედეგების შესახებ ერთმნიშვნელოვანი დასკვნების ჩამოყალიბება შეუძლებელი ხდება.

სტატისტიკურად შეზღუდული გაურკვევლობა ნიშნავს:

სტატისტიკური ცდომილებები და/ან უამრავი უგულვებელყოფილი ცვლადი (შედარებით უმნიშვნელო და საპირისპირო ზემოქმედებებთან ერთად) ხელსაყრელ პირობებში გარკვეული პროცესების მიზეზი ხდება. ენდოგენურ ცვლადებზე დაკვირვებით მოცემული ღირებულებების „განმარტებისას“ განსხვავებები შეფასებულ და ფაქტობრივ ღირებულებებს შორის წინა საფეხურზე იწვევს. ასეთი გადახვევები შესაძლებელია განვმარტოთ, როგორც შემთხვევითი განსხვავებები (ლატენტური ცვლადები), რომლებიც საშუალებას გვაძლევს მხოლოდ ვივარაუდოთ „ჭეშმარიტი“ პარამეტრების მოქმედების ინტერვალები.

სტრატეგიული გაურკვევლობა ნიშნავს, რომ

• ხელსაყრელ შემთხვევაში გადაწყვეტილების ტექნოლოგიის განტოლებებს ისეთი განტოლებებიც ემატება, რომლებიც როგორც გადაწყვეტილებების მიმღებთა რეაქციებს, ისე მათ მოქმედებათა პარამეტრებსაც გამოხატავს. საუბარია იმ რეაქციებზე, რომლებიც მათ უჩნდებათ გადაწყვეტილების კონკრეტული მიმღების მიერ ინსტრუმენტთა შეცვლაზე. ამავე დროს, მათი მოქმედებები ეგზოგენურ ცვლადებად გვევლინება და „თამაშის წესების“ სახით კონკრეტდება;

• ხელსაყრელ შემთხვევაში ანგარიშს უწევენ გადაწყვეტილების სხვა მიმღებებს(იგულისხმება კერძო ეკონომიკური სუბიექტების რაციონალური მოლოდინის ტენდენციები). ინდივიდები თავიანთ კერძო გეგმებში ცდილობენ წინასწარ განჭვრიტონ ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთა ქცევა და მათი ეკონომიკური ზემოქმედებები. სწორედ ამიტომ კერძო ინდივიდებსა და მოცემულ სახელისუფლებო ინსტანციებს შორის იქმნება გარკვეული წინააღმდეგობა, რომლის შედეგებიც მნიშვნელოვანი გაურკვევლობით ხასიათდება.

თუ განვაზოგადებთ ინსტრუმენტების გამოყენების გაურკვევლობის გათვალისწინებით წარმოდგენილ განსაკუთრებულ შემთხვევას, მაშინ გაურკვეველი სიტუაციის უმნიშვნელო გართულებაც კი შედეგიდან მნიშვნელოვანი გადახვევის მიზეზი ხდება. ასეთ გადახვევებს ანგარიში უნდა გავუწიოთ, როგორც კი აღმოჩნდება, რომ:

• ინსტრუმენტის ზემოქმედება შემთხვევით ცვლილებებს ექვემდებარება და.

• ინსტრუმენტის ზემოქმედების ვარიანტები არ არის წინასწარ განსაზღვრული ცვლადებისაგან დამოუკიდებელი.

პირველი შემთხვევიდან ირკვევა, რომ ინსტრუმენტთა ცვლილება ზეგავლენას ახდენს არა მარტო იმ ადგილზე, რომელიც ამა თუ იმ შედეგს შედეგთა იერარქიაში უჭირავს, არამედ ასეთი შედეგების სავარაუდო განაწილებაზეც. ასეთი სავარაუდო განაწილება მულტიპლიკატორით დაკავშირებულია იმ ცვლადებთან, რომლებიც შედეგების ცვლილებებს იწვევს.

აუცილებელია იმ შესაძლებლობის გათვალისწინება, როდესაც ინსტრუმენტის ცვლადები და მონაცემები მიზნის ცვლადებზე ზემოქმედებისას ერთმანეთს აძლიერებს ან ასუსტებს. შედეგებისაგან გადახვევების შესახებ გარკვეულობის პირობებში (Brainard, 1967; Johansen, 1973) მჟღავნდება, რომ:

• აღარ არის საჭირო გადაწყვეტილების პრობლემის თაობაზე ყველაფერი ნათლად გარკვეული იყოს, როდესაც: ინსტრუმენტების რიცხვი მიზნების რაოდენობას აღემატება და შესაძლებელია ყველა ინსტრუმენტის გამოყენება;

• ინსტრუმენტების გამოყენების ვარიაცია სუსტად არის დოზირებული, როდესაც მისი ზემოქმედების შედეგის შესახებ დიდი გაურკვევლობა არსებობს;

• მიზნის სრული, წინასწარი განჭვრეტა მიზანშეწონილი არ არის და სჯობს ინსტრუმენტის დოზირება მისგან დამოუკიდებლად ხდებოდეს.

თუ არ გავითვალისწინებთ განსაკუთრებულ შემთხვევებს, აქამდე განხილული გაურკვევლობის ელემენტები უფრო სიღრმისეულ გაანალიზებას საჭიროებს, ვიდრე გარკვეულობის განხილვა. ამავე დროს ამ მდგომარეობამ ერთანაირი მნიშვნელობის მქონე შედეგებამდე არ უნდა მიგვიყვანოს.

მნიშვნელოვანია კიდევ ორ ანალიტიკურ სიძნელეზე მივუთითოთ. ერთი მათგანი სწორედ იქედან მომდინარეობს, რომ ეკონომიკის სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებებს უპირატესად ერთჯერადი ხასიათი აქვს (ვინაიდან მუდმივ ცვალებადობას განიცდის ის პირობები, რომლებშიც გადაწყვეტილების მიღება ხდება). მეორე სიძნელე კი უკავშირდება არა საზოგადოდ გაურკვევლობას, არამედ მოქმედებათა ნაწილობრივ შედეგებს და მათ ასევე ნაწილობრივ გაურკვევლობას (თანმიმდევრული გადაწყვეტილებები გაურკვევლობის პირობებში).

როდესაც მოქმედების შესაძლებლობებს არ მოსდევს ერთმნიშვნელოვანი შედეგები და მათ სავარაუდო ხასიათი აქვთ, მაშინ მოსალოდნელ ღირებულებებს (საშუალო მაჩვენებლებს) ვღებულობთ. მათი გაანგარიშება მხოლოდ მაშინ არის მიზანშეწონილი, როცა სხვა თანაბარ პირობებში, მისაღებია საკმარისად ბევრი გადაწყვეტილება. ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილების თვალსაზრისით ნაკლებად მნიშვნელოვან შემთხვევებში გასათვალისწინებელია „დიდ რიცხვთა კანონი“. აქედან გამომდინარე გადაწყვეტილებათა მზარდი რაოდენობის პირობებში ანგარიშგასაწევია ის, რომ საერთო ჯამში მიღწეული შედეგების საშუალო მაჩვენებელი ახლოსაა მოსალოდნელთან. ამ შემთხვევაშიც მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ (Gäfgen, 1971, გვ.239):

• ბუნდოვანია ალბათური განაწილების მნიშვნელოვანი მახასიათებლები (საშუალო მაჩვენებლები) და

• შედარებით ბევრი ერთმანეთის მსგავსი გადაწყვეტილებაა მოსალოდნელი იმ პირობებში, როდესაც გარკვეული შედეგის თავიდან აცილება გარდაუვალია (ე.წ. კატასტროფები და ნგრევის შემთხვევები).

განსაკუთრებით ამ ბოლო შესაძლებლობიდან ვიგებთ, რომ გადაწყვეტილების მიმღების სუბიექტური პოზიცია გადაწყვეტილების წესთან დაკავშირებულ რისკს უკავშირდება. საქმე ეხება იმას, რომ იცვლება „დიდ რიცხვთა კანონთან" მისი დამოკიდებულება. ამგვარი ცვლილება მით უფრო რადიკარულია, რაც უფრო ნაკლები გადაწყვეტილების მიღებაა სხვა თანაბარ პირობებში შესაძლებელი. მოვლენის მოსალოდნელ შედეგებზე ორიენტაცია მხოლოდ მაშინ არის რაციონალური, როცა გადაწყვეტილების მიმღები სრულიად ნეიტრალურია ასეთი რისკის მიმართ. ამიტომაც შეფასების ფუნქციები (გაურკვევლობის პირობებში გადაწყვეტილებათა მიღებისას) ანგარიშს უწევს არა მარტო რისკისადმი ზიზღს, არამედ რისკით მოგვრილ სიხარულსაც. არსებობს რამდენიმე რაციონალური პრინციპი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს გაურკვევლობის პირობებში მიღებული გადაწყვეტილება (Schneeweiss, 1967, გვ.32). თუმცა შეუძლებელია, რომ ასეთი პრინციპებიდან გაურკვევლობის მიმართ ქცევის საყოველთაო წესი გამოვიყვანოთ. პირიქით, ერთმანეთის საპირისპირო უამრავი წესი არსებობს. მათი დანიშნულება ისაა, რომ გადაწყვეტილების მიმღები იმ მდგომარეობაში ჩააყენოს, სადაც მას შეეძლება შედეგებს შორის არჩევანის გაკეთების თანმიმდევრულობა სათანადო შეფასებას დაუქვემდებაროს.

მეორე სიძნელე იმ ვითარებიდან გამომდინარეობს, რომ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს არ მოსდევს დროისა და რეალობისაგან განყენებული შედეგები. მაგ., საფინანსო პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება საპარლამენტო ვადის პირველ წელს და საწყის პირობებს ადგენს – შემდგომ წლებზეც ვრცელდება. ეს ხდება ისე, რომ სრულებით არ არის გათვალისწინებული გრძელვადიანი ზემოქმედება, რომელსაც ასეთი გადაწყვეტილებები შემდგომ პერიოდებზე მოახდენს. გადაწყვეტილება, რომელიც ვაჭრობის ლიბერალიზაციის შესახებ შეთანხმებას ითვალისწინებს, სავაჭრო სტრუქტურის შესახებ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა ახალ საწყის პირობებს აყალიბებს. რაციონალურობის პრინციპი მოითხოვს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებები რაც შეიძლება გლობალურად იყოს ფორმულირებული. მაგრამ, ამავე დროს, ანგარიში უნდა გავუწიოთ გადაწყვეტილების მომზადებასთან დაკავშირებულ სირთულეებს, მით უმეტეს, როდესაც საქმე გაურკვევლობასთან გვაქვს.

დროის თვალსაზრისით გადაწყვეტილების მომზადების პროცესს გარკვეულობის შემდეგი ფიქციის სახე აქვს (Gäfgen, 1971, გვ.219): დავუშვათ გადაწყვეტილების მიმღების დრო არ არის შეზღუდული გარკვეული

პერიოდით და t უამრავ თანმიმდევრულ პერიოდს მოიცავს. შესაძლო a მოქმედებებს პირველ პერიოდში გარკვეული (შუალედური) შედეგები მოაქვს, რომლებიც შემდეგი პერიოდისათვის ახალ საწყის მდგომარეობას ქმნის. გადაწყვეტილების ველის ახალ მდგომარეობაში გადაწყვეტილების მიმღებმა a მოქმედების შესაძლებლობებიდან ხელახლა უნდა გააკეთოს არჩევანი. ასეთი გადაწყვეტილება მომდევნო პერიოდებისათვის ახალ საწყის სიტუაციას განსაზღვრავს და ა.შ. შედეგების მატრიცა მოქმედების ყოველი პერიოდისათვის a-ს შედეგებს აღარ მოიცავს. იგი at მოქმედებათა თანმიმდევრობის სახით იქნება წარმოდგენილი (კომბინაციის პრობლემა, რა დროსაც საქმე ეხება a ელემენტების t პერიოდებთან დამოკიდებულების ვარიაციათა განმეორებას). ასეთი ვარიაციები იმის მიხედვითაც ფასდება, თუ რამდენად მყარია დროში მათ მიერ გამოწვეული შედეგები. სირთულეების მიუხედავად თანმიმდევრულ მოქმედებათა სასარგებლოდ სწორი გადაწყვეტილების მიღება პრინციპულად შესაძლებელია.

როგორც კი დავუშვებთ, რომ სხვადასხვა პერიოდებში გადაწყვეტილების ველის მდგომარეობა გაურკვეველია, მაშინვე შეიცვლება თანმიმდევრულ მოქმედებათა ხასიათიც. ამასთან ერთად გადაწყვეტილების პრობლემაც განიცდის ცვალებადობას. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ განპირობებული მოქმედების შედეგთა (სტრატეგიების) ფორმულირება. ამ ვითარებაში ნებისმიერი მოქმედება მომდევნო პერიოდებისათვის მხოლოდ ბუნდოვან საწყის მდგომარეობას ქმნის. ამიტომაც, ნებისმიერი ასეთი მოქმედება ორმხრივ არის განპირობებული: ერთი მხრივ, გადაწყვეტილების ველის იმ მდგომარეობით, რომელიც პირველ პერიოდს ახასიათებს; მეორე მხრივ კი, იმ მდგომარეობით, რომელიც მეორე პერიოდისათვისაა ნიშანდობლივი. აქედან გამომდინარე, სტრატეგიების რაოდენობა იზრდება. თუ ყოველ t პერიოდში შესაძლებელია გადაწყვეტილების ველის s მდგომარეობები და a მოქმედებები, მაშინ მივიღებთ (a x s)t სტრატეგიებს. როგორც ვხედავთ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას განსაზღვრული სტრატეგიის სასარგებლოდ აზრი არ აქვს. მოქმედებათა თანმიმდევრობის ყოველ ფაზაში გაურკვეველია თუ როგორი იქნება საწყისი მდგომარეობა მომდევნო ფაზაში. თუ არ დადგა ის მდგომარეობა, რომელიც არჩეული სტრატეგიით წინასწარ არის განსაზღვრული, მაშინ ამ ფაზისათვის დაგეგმილი მოქმედების განხორციელება არარეკომენდირებულია. სხვაგვარად რაციონალური არ იქნება იმ მდგომარეობის გაუთვალისწინებლობა, როდესაც საბოლოო შედეგთან დაკავშირებული ბუნდოვანება პერიოდიდან პერიოდამდე იკლებს. მოქმედებათა თანმიმდევრობაში აშკარავდება ცალკეული მოქმედების შეფასებაში დაშვებული შეცდომები, რომლებიც მომდევნო გადაწყვეტილებებში უნდა გამოსწორდეს (გადაწყვეტილებები, როგორც სასწავლო პროცესი). ამიტომ, გარკვეული სტრატეგიის

სასარგებლოდ წინასწარი გადაწყვეტილების მიღება სათანადო ინფორმაციის საფუძველზე უნდა მოხდეს. გადაწყვეტილების წესის გარეშე წინასწარ არჩეულ სტრატეგიასთან დაკავშირებული სიძნელეები მხოლოდ ორი თანმიმდევრული პერიოდის შემდეგ გახდება ცხადი. პირველი პერიოდის დასაწყისში შუალედური შედეგის ღირებულება დამოკიდებულია, როგორც მეორე პერიოდის საწყის მდგომარეობაზე, ისე სიძნელეების ხარისხზე. ამგვარ ხარისხს კი ის უცნობი შედეგები განსაზღვრავს, რომლებიც მიღებული იქნება მეორე პერიოდში გადაწყვეტილების ველზე განხორციელებული მოქმედებებით.

მოქმედებებისა და გადაწყვეტილების ველზე შესაძლო მდგომარეობათა დიდი რაოდენობის გამო ძნელია სტრატეგიის შემუშავება და შეფასება, თუ გადაწყვეტილებათა პრაქტიკული მომზადება წინასწარ არ იქნა განხორციელებული. სტრატეგიის პრობლემა კიდევ უფრო რთულდება, როცა რეალისტურად გათვლილი პერიოდი მომავალში ხანგრძლივდება (მოქნილი დაგეგმვა). პრობლემის გამარტივების თვალსაზრისით აგრეთვე მნიშვნელოვანია სასურველი დონის ოპტიმალურობის განსაზღვრა (მიზნის არეალის შეფასება).

ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილების მოდელები, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური პოლიტიკის მაკროეკონომიკურ პრობლემებთან დაკავშირებით შეიქმნა. ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ პრობლემებზე, რომლებიც მაშინაც კი წარმოიშობა, როცა თეორიული პრინციპი ეჭვს არ იწვევს.

რაც შეეხება გადაწყვეტილების მოდელების ეფექტიანობის საზღვრებს, მას შემდეგი მიზეზები განაპირობებს:

- ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ცვლადების ოპერაციონალიზება;
- ზოგ შემთხვევაში ეკონომიკური თეორიები მოკლებულია ემპირიულ შინაარსს, ხოლო ზოგიერთი შინაარსი საკამათოა;
- სტატისტიკური ინფორმაციის მიღების შესაძლებლობები შეზღუდულია;
- შეფასების ეკონომეტრიკული პროცედურები დაკვირვების პროცესში მოცემული მასალის ბუნებას თითქმის არ შეესაბამება;
- იშვიათობას წარმოადგენს ისეთი გადაწყვეტილების მომზადება, რომელიც პრობლემას შეესაბამება და პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

ეკონომიკური პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვანი ცვლადი არ არის იმ ზომამდე ოპერაციონალიზებადი, რომ გადაწყვეტილებათა მომზადება ისეთ მასშტაბებში განხორციელდეს, რომელიც მოქმედების პრობლემის გლობალური შეფასების შესაძლებლობას მოგვცემდა. სტაბილიზაციის პოლიტიკაშიც კი (რომელიც შედარებით ადვილად ახსნადი ქვესისტემაა) შეუძლებელია დავადგინოთ ანალიზისა და შესაძლო დასკვნათა საზღვრები. საზოგადოდ, ინსტრუმენტთა კატეგორიებიდან საინფორმაციო პოლიტიკა ისეთ სფეროდ ითვლება, რომელიც ოპერაციონალიზებას ყველაზე ნაკლებად ექვემდებარება.

ნებაყოფლობითი კომპრომისების შესახებაც იგივე უნდა ითქვას. აუცილებელია შეზღუდვების დაწესება იმ ინსტიტუციურ წესებთან დაკავშირებით, რომლებიც საბაზრო პირობების ცვლილებას განსაზღვრავს. ამ მხრივ უფრო ხელმისაწვდომია ფისკალური პოლიტიკის (კერძოდ, ხარჯების პოლიტიკის) და ნაწილობრივ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები.

ეკონომიკური თეორიები გვზღუდავს იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი გადაწყვეტილების ველის შესახებ სასურველ ცოდნას არ გვაწვდის, მოკლებულია ემპირიულ შინაარსს, ანდა მათი ემპირიული შინაარსი არადამაკმაყოფილებელია. რაც შეეხება ზრდისა და განაწილების თეორიების ფართო სფეროებს, ისინი ფალსიფიცირების მცდელობათა მიმართ შეუვალობით ხასიათდებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ მათი დებულებების საფუძველზე გადაწყვეტილებათა ემპირიული დამკვიდრება შეუძლებელია. ხშირ შემთხვევაში ემპირიულად დასაბუთებული თეორიებიც კამათს იწვევს. უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩოებში მოქცეული კეინზიანური მაკროეკონომიკა (იხ. Dean, 1981; Meltzer, 1981; Wiles, 1981).

სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება არ ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებათა მოდელმა ემპირიულ-მეცნიერული ხასიათი შეიძინა. უფრო ხშირად მნიშვნელოვანი განსხვავება გამომდინარეობს ჩვენს ხელთ არსებულ ინფორმაციასა და იმ ინფორმაციას შორის, რომელიც მოდელის მიხედვით არის სასურველი. აგრეთვე, არ არის გათვალისწინებული ინფორმაციის მოპოვების ხარისხი, როგორც შინაარსობრივად (მაგ., შრომის ბაზრების ზუსტი რაოდენობა), ასევე დროის მიხედვით (მაგ., კვარტალური შეფასებები).

ეკონომეტრიკული შეფასების შესაძლებლობები განსაზღვრულია იმ განსხვავების სახით, რომელიც ეკონომეტრიკულ მეთოდებსა და დაკვირვების მასალას შორის არსებობს. მართალია სავარაუდო კანონზომიერებათა შეფასება სტატისტიკაში მიღებულ პრაქტიკას ემყარება, მაგრამ დაკვირვების მასალა ემპირიულად მოპოვებული არ არის. აქედან გამომდინარე, ყოველთვის შესაძლებელია მხოლოდ მეთოდურად აუცილებელი ინფორმაციის სწორად გამოყენება. ჩატარებულ დაკვირვებებში, როგორც წესი, საქმე არ ეხება არც შემთხვევით მოქმედებებს და არც მათი ერთობლიობაა საკმარისად დიდი და დროში უცვლელი. მაგ., მოსახლეობის მოცულობა, სტრუქტურა და ქცევის ფორმები, რომლებსაც ვემყარებით, მუდმივად იცვლება. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ უცვლელი მიზეზთა კომპლექსის წანამძღვარი მიახლოებითაც კი არასოდეს სრულდება. და ბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირ შემთხვევაში ხელი მიგვიწვდება მცირე რაოდენობის დაკვირვებებზე იმ პარამეტრების რიცხვთან შედარებით, რომელთა შეფასებაც უნდა მოხდეს. ამის გამო შეფასების შედეგთა სანდოობა საეჭვო ხდება.

აუცილებელია, რომ შეფასების შედეგებზე დამყარებული პროგნოზები შემდეგ პირობას აკმაყოფილებდეს: წარსულში ეფექტიანი მიზეზთა კომპლექსი პროგნოზის პერიოდსაც უნდა მოიცავდეს. ამგვარი წანამძღვარი სტაბილიზაციის პოლიტიკის პოზიციიდან განსაზღვრული გადაწყვეტილების მოდელისათვის განსაკუთრებულად პრობლემურია (იმ რეაქციების გათვალისწინების თვალსაზრისით, რომლებიც კერძო ინდივიდებს ინსტრუმენტთა ცვლილებაზე აქვთ). აქაც ძალაშია რაციონალური მოლოდინის ტენდენციის არგუმენტი. შეფასების შედეგთა საიმედოობა განსაზღვრული წინასწარმეტყველების სისწორეს განაპირობებს. შესაძლებელია მათი უკეთეს სტატისტიკურ მასალად გადაქცევა, მაგრამ პირველად მოხსენებულ პირობასთან დაკავშირებით გაურკვევლობა კვლავაც რჩება. ზემოაღნიშნულ გაურკვევლობას ის ბუნდოვანებაც ემატება, რომელიც თან ახლავს არა მოდელის, არამედ ეგზოგენური ცვლადების საფუძველზე გაკეთებულ პროგნოზებს. არადამაჯერებელია აქედან გაკეთებული დასკვნა იმის შესახებ, რომ ყველაფერი ინსტიქტს ანდა ინტუიციას უნდა მივანდოთ. სწორედ ამის შედეგია ილუზორული შთაბეჭდილებები და ზედაპირული დიაგნოზები, რომლებიც მოცემული მომენტისათვის კეთდება და მომავალშიც უკონტროლო მოქმედებას განაგრძობს.

შეფასების ფუნქციასთან მრავალი პრობლემაა დაკავშირებული. საქმე იმაშია, რომ შეფასების ფუნქცია გადაწყვეტილების წესთან ერთად განსაზღვრავს იმას, თუ ინსტრუმენტების რომელი ვარიანტის გამოყენებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა. ასეთი ფუნქციები და წესები, უპირველს ყოვლისა, გადაწყვეტილების პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობაზეა ორიენტირებული. ისინი გადაწყვეტილების მომზადების პრაქტიკული სიტუაციებისგან განსხვავებით, გადაწყვეტილების ერთადერთ მიმღებს ითვალისწინებენ. გადაწყვეტილების მომზადების წესის ცოდნა უკიდურესად ფრაგმენტულია. იგი დროში არასტაბილურია. ეს ნიშნავს, რომ ინსტრუმენტების მნიშვნელობის (ღირებულების) შესახებ ინფორმაცია, როგორც წესი, არასრულია. რაც შეეხება ინსტრუმენტთა გამოყენებას, ისიც არასრულადაა შეფასებული.

ზოგადად მოკლებული ვართ გადაწყვეტილების მომზადების პრაქტიკულ მეთოდებს, რომელიც აუცილებელია გაურკვევლობის პირობებში ეკონომიკურ-პოლიტიკურ მოქმედებათა დასაგეგმად. ერთი მხრივ, ამის მიზეზი ისიცაა, რომ გადაწყვეტილების ველზე არსებული ურთიერთკავშირების შესახებ საკმარისი ცოდნა არ გაგვაჩნია. მეორე მხრივ, არ ვიცით მოსალოდნელ შედეგთა არც რაოდენობა და არც სახეობა. გადაწყვეტილების მომზადების პრობლემის კომპლექსურობასა და მისი ანალიტიკური და სიღრმისეული წვდომის რეალურ შესაძლებლობებს შორის გარკვეული შეუსაბამობა არსებობს. ამავე დროს ნაჩქარევია (ამიტომ უარსაყოფია) დასკვნა იმის შესახებ, რომ სისტემური და თეორიულად დასაბუთებული მოქმედება პრობლემას აუცილებლად

გაამარტივებს. ლოგიკურია კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელია სისტემური და გადაწყვეტილების მიხედვით თეორიულად დასაბუთებული მოქმედება, რომელიც ინტუიციის გვერდით უნდა დავაყენოთ. გარდა ამისა, ასეთი მოქმედება არ ემყარება რაოდენობრივ ანალიზს, რომელიც პრობლემის მთელ კომპლექსურობას მოიცავს.

და ბოლოს, მოკლედ უნდა გადმოვცეთ ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების გადაწყვეტის ის შესაძლებლობები, რომლებიც ჩვენ წინაშე გადაწყვეტილების მომზადების თეორიის საშუალებით შემდეგნაირად იშლება (მაგ., Menges, 1969, გვ.270; Pütz, 1979, გვ.211):

• გადაწყვეტილების ველი წარმოგვიდგება, როგორც მიზნის, ინსტრუმენტისა და სხვა

წინასწარ განსაზღვრულ ცვლადთა ძალზე რთული ურთიერთკავშირი. მართალია არ ხერხდება ყველა დამოკიდებულების კვანტიფიცირება, მაგრამ შესაძლებელია მათი სისტემის სტრუქტურის გახსნა სხვადასხვა ტექნიკის საშუალებით (რომლებსაც შეფასების მოდელების მიმართ ვიყენებთ, მაგ., დიაგრამები, სქემები და სხვა);

• გადაწყვეტილების ველის უფრო გლობალური მასშტაბით წარმოდგენის შესაძლებლობა ინფორმაციის რაოდენობრივ კრიტერიუმს გვაწვდის. იგი საშუალებას არ გვაძლევს, რომ შესაძლო მოქმედებების გვერდითი და გრძელვადიანი შედეგები უგულვებელვყოთ;

• გადაწყვეტილების მოდელებზე დაფუძნებული არგუმენტაციები აზროვნების წესრიგს განაპირობებს. ამის შედეგად გადაწყვეტილების პროცესები კონტროლირებადი ხდება;

• შედეგების თეორიული ანალიზი ეკონომეტრიკულ მონაცემებს ემყარება, რაც საშუალებას გვაძლევს ეკონომიკური პოლიტიკის მართვაში ხშირად დაშვებული შეცდომები თავიდან ავიცილოთ. უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება დროში არაპროდუქტიული და ინტენსიური დოზირება, რომელიც უარყოფილი ანდა მცდარად განმარტებული დაყოვნების შედეგად წარმოიშობა;

• კვანტიფიცირების მცდელობა შესაძლებელია მაშინაც იყოს სასარგებლო, როცა იგი პრობლემის მხოლოდ ზოგიერთი აპექტის გაანალიზებას გულისხმობს. ასეთი ნაწილობრივი შემეცნებისას პრობლემის გაუცნობიერებელი ასპექტები არ უნდა დაგვავიწყდეს. არგუმენტირება კი განსაკუთრებით მაშინაა საჭირო, როდესაც მასალა სრულყოფილი არ არის და არა პირიქით.

ყოველთვის გასათვალსწინებელია იან ტინბერგენის კვლევის ტრადიცია, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის რაოდენობრივ თეორიას ვიწრო საზღვრებს უწესებს. იგი ანგარიშს უწევს გადაწყვეტილების რეალური პრობლემის კომპლექსურობას და მისი თეორიული თუ პრაქტიკული გადაწყვეტის

შესაძლებლობებს შორის განსხვავებას. ეს გაფრთხილებაა იმისათვის, რომ მართვის ღონისძიებათა წარმატების შანსი გადაჭარბებით არ შევაფასოთ. გარდა ამისა, აუცილებელია იმ პრინციპული პირობების დაკმაყოფილებაც, რომლებსაც წესრიგის პოლიტიკა აყენებს.

თუ გადაწყვეტილების მიკროთეორიულ შედეგებს გავითვალისწინებთ, ჩვენთვის გადაწყვეტილების მიღების ზოგიერთი აბსტრაქტული დებულება ცხადი გახდება (იგულისხმება ინდივიდებისა და ეკონომიკური ჯგუფების ფაქტობრივი ქცევა). ამ შემთხვევაში შემეცნების საგანს პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებული „კოგნიტიური პროცესები" (Kirsch, 1970, გვ.68) წარმოადგენს, რომლებიც აღქმის, მსჯელობისა და წარმოდგენების სხვადასხვა ასპექტებს მოიცავს.

გადაწყვეტილების ლოგიკის კატეგორიებზე დაყრდნობით შესაძლებელია გადაწყვეტილების პროცესის შემდეგი ასპექტების გამოყოფა:

- მოქმედების პრობლემის აღქმა;
- აღქმული პრობლემის განსაზღვრის მცდელობა;
- მოქმედების პროგრამების(შესაძლებლობათა) შემუშავება;
- პროგრამის შეფასება და გადაწყვეტილების მიღება;
- არჩეული პროგრამის განხორციელება.

თუ ამ ასპექტებს გავიაზრებთ, როგორც გადაწყვეტილების პროცესის ფაზებს, აღმოჩნდება, რომ ისინი ერთმანეთს ნაწილობრივ ფარავს, ხოლო მათი შედეგები ერთმანეთს განაპირობებს. ამის საფუძველზე კი შესაძლებელია გადაწყვეტილების მრავალი ჰიპოთეზის წამოყენება. რამდენიმე მათგანს ჩვენ მოგვიანებით განვიხილავთ. მანამდე კი შედარების მიზნით სასურველია გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკაში ჩამოყალიბებული პოზიციის განხილვა.

რა თქმა უნდა, ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემის წარმოჩენა მარტო იმას არ ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიმღები ითვალისწინებს განსხვავებას ორ რამეს შორის: რაც არსებობს და რაც სასურველია, რომ არსებობდეს. ხშირ შემთხვევაში (თუ არა, როგორც წესი) კი, პირიქით, პრობლემის გაცნობიერებისათვის გარედან ბიძგია საჭირო. ამ მხრივ ანგარიშგასაწევია მაგ., საბანკო კომპანიების კოლაფსი, საბანკო ზედამხედველობისა და ინვესტორთა დაცვის მექანიზმების არარსებობა, კვების პროდუქტებზე ფასების განუხრელი ზრდა, გრძელვადიანი უზრუნველყოფის პრობლემა და სხვა. იგივე უნდა ითქვას გარემოს დაცვის სამოქალაქო ინიციატივებზე, რომლებიც ეკონომიკური პოლიტიკის ადრე მეორეხარისხოვნად მიჩნეულ პრობლემას, დღეს მაღალ პრიორიტეტს ანიჭებს. აღსანიშნავია, რომ მოქმედების პრობლემის აღქმა პოლიტიკური მიზანდასახულობის პროცესის არსებითი შემადგენელი ნაწილია.

განსაზღვრებები, როგორც დიაგნოზის საფუძველი, გადაწყვეტილების ველის შესახებ ინფორმაციას საჭიროებს. პრესკრიფციული თეორიით ისინი

წინასწარ გვეძლევა. სხვა პოზიციით მათი მოპოვება ყოველთვის ახლიდან უნდა ხდებოდეს. მაგრამ არც ერთი თვალსაზრისი მართებული არ არის. პირიქით, ყოველთვის უნდა ვითვალისწინებდეთ იმას, რომ გადაწყვეტილების მიმღებს დროის ყოველ მოცემულ მომენტში მხედველობაში მოდელი აქვს. იგი (Boulding, 1956) გარდა ფაქტებისა, ურთიერთკავშირების შესახებ შეფასებებსა და ვარაუდებსაც მოიცავს. აღნიშნული მოდელი სუბიექტთა განვითარებისა და ერთობლივი გამოცდილების შედეგს წარმოადგენს. ამავე დროს იგი საშუალებას გვაძლევს გადაწყვეტილების პრობლემის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოვიძიოთ, თუკი იგი უკვე არ არის სპეციალურ ანგარიშებში განთავსებული. „რუტინულად“ და მიზნობრივად მოძიებული ინფორმაცია შემთხვევით მოპოვებულ ცნობებთან ერთად ან ასაბუთებს გადაწყვეტილების სისწორეს ანდა მის შეცვლას, შესწორებასა თუ შევსებას განაპირობებს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიღების პროცესი, როგორც წესი, ბიუროკრატიულად და იერარქიულად არის ორგანიზებული. გადაწყვეტილების მიმღები პირებიც ერთმანეთთან ასეთივე ურთიერთობაში არიან. ინფორმაციის მოპოვებას აქ შრომის დანაწილებაზე დაფუძნებული კომუნიკაციური პროცესის სახე აქვს. გარდა ამისა, ხდება ინფორმაციის გაანალიზება, შეჯამება და გადაწყვეტილებაზე ორიენტირება. ხშირად გადაწყვეტილების ფაქტობრივი მიმღები, მაგალითად, მინისტრი, მინისტრთა კაბინეტი, ეროვნული ბანკის საბჭო, გადაწყვეტილების ველის შესახებ წინასწარ ჩამოყალიბებულ და გარკვეული ასპექტით საეჭვო ინფორმაციას ფლობს. დამატებით პრობლემას წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ, რომ ასეთი ინფორმაცია უბრალოდ დარეგისტრირდება და თუ შესაძლებელია ცდომილებები გასწორდება.

პრესკრიფციული თეორიის ჩარჩოებში ხდება მოქმედებათა სისტემური და ისეთი სისრულით დამუშავება, რის საშუალებასაც გადაწყვეტილების ველის შესახებ არსებული ცოდნა გვაძლევს. პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ქცევა გულისხმობს, რომ ინფორმაციის დამუშავების უნარი, რომელიც გადაწყვეტილების მიმღებს აქვს, არც მატერიალურად და არც დროის ასპექტით გადაწყვეტილების შესაძლებლობათა ძიებას არ აფერხებს. ამავე დროს, ვინაიდან გადაწყვეტილების ძიება დელეგირებულია განცალკევებულ სუბიექტებზე – ეს ნიშნავს, რომ ძიების შედეგები მთლიანად გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა დაამუშავოს. ამგვარი წინაპირობა საეჭვოა იმ მოსაზრებასთან ერთად, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების მიმღები პირველი მცდელობისას მთლიანად მოქმედების უკვე ცნობილ შესაძლებლობებზეა კონცენტრირებული. გადაწყვეტილების მიღებაზე თავის არიდება ან მისი დაყოვნება უფრო გასაგებია თუ გავითვალისწინებთ გადაწყვეტილების მიმღების პრეტენზიას, რომ მოქმედების შესაძლებლობათა ძიება რაციონალური პროცესია. სწორედ ამ

ასპექტით ხდება გადაწყვეტილების შეფასება, მისი არჩევა და განხორციელება. უფრო მეტიც, ამგვარი პრეტენზია არა მარტო ერთი რომელიმე პრობლემიდან, არამედ უამრავი სხვა პრობლემიდან გამომდინარეობს, რომლებიც ერთსა და იმავე დროს ჩნდება. რაციონალური არჩევანის თეორიაში ამ გარემოებას მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევენ.

პრესკრიფციული თეორია ემყარება წანამძღვარს, რომ გადაწყვეტილების მიმღები ღირებულებათა სრულყოფილ, არაწინააღმდეგობრივ და სტაბილურ სისტემას ფლობს. ამ სისტემის საფუძველზე იგი ასარჩევი პროგრამის შესაძლო შედეგებს აფასებს. სრულყოფილი წესრიგის პოლიტიკისათვის კი ერთმნიშვნელოვანი შეფასებაა საჭირო. სწორედ ეს განაპირობებს ოპტიმალური არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას და აუცილებლობასაც. რაც შეეხება დესკრიფციულ თეორიას, იგი ამ პოზიციას შემდეგ მოსაზრებებს უპირისპირებს:

• ღირებულებათა სისტემა არ არის სრულყოფილი და წინააღმდეგობებსაც მოიცავს. გადაწყვეტილების ველზე მოქმედების შესაძლებლობათა ძიებისა და მათი შედეგების დამუშავების პროცესში იგი ცვალებადობას განიცდის. ეს იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღების პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული არ არის. გადაწყვეტილების ძიების პროცესში იგი მუდმივად იცვლება;

• უმეტესწილად გადაწყვეტილების მიმღები კოლექტივია ანდა ორგანიზაცია, რომელიც განსხვავებული ინტერესების კოალიციას წარმოადგენს. ამიტომაც, ღირებულებათა სისტემის (როგორც გადაწყვეტილების საერთო საფუძვლის) ჩამოყალიბება და ცვლილება ღირებულებათა შესახებ სუბიექტურ წარმოდგენებს შორის კონკურენციის ფორმას იძენს. ამ პროცესში ადამიანები დარწმუნების, ინფორმაციით მანიპულირების, ზეწოლის თუ სხვა მეთოდებს მიმართავენ;

• პროგრამის შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღებისას შიდა ორგანიზაციულ ურთიერთობებს გარედან ზეგავლენაც ემატება. ამას ბიუროკრატიული ქვესტრუქტურები და საზოგადოებრივი აზრი ახორციელებს;

• გადაწყვეტილების წესიდან გამომდინარე რეალისტები უნდა ვიყოთ და დავუშვათ, რომ ოპტიმალური მოქმედების ძიება ხშირად სასურველ შედეგს არ გვაძლევს. ყოველთვის უნდა ვითვალისწინებდეთ, როგორც ინფორმაციის მოცულობას, ისე გადაწყვეტილების მიმღებთა უნარის შეზღუდულობასაც, რომელიც მათ ამ ინფორმაციის დამუშვებისთვის მოეთხოვებათ (სუბიექტური რაციონალურობა). ასე, რომ უნდა დავკმაყოფილდეთ იმ მოქმედებებით, რომელიც მიზნის გარკვეული ხარისხით რეალიზებას უზრუნველყოფს;

• პრობლემის მასშტაბური და გლობალური გადაწყვეტის გზების ძიებისას მიზანზე ზემოქმედებები და თანმხლები შედეგები ძალზე ბუნდოვანია. ამიტომ, უპირატესობა მოქმედების ისეთ შესაძლებლობებს ენიჭება, რომლებიც სტატუს-

კვო პროგნოზთან შედარებით უმნიშვნელო და ადვილად შესამჩნევ ცვლილებებს გულისხმობს (Lindblom, 1958).

პრესკრიფციული თეორია გულისხმობს, რომ პროგრამის არჩევით გადაჭრილია გადაწყვეტილების მომზადების პრობლემა. რაციონალურობის პრინციპთან შესაბამისობაშია მხოლოდ შედეგების კონტროლი, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის „გამოცდილების“ სისტემატური ძიება. ამით (დესკრიფციული თეორიის მიხედვით), უპირველეს ყოვლისა, უგულვებელყოფილია ის, რომ გადაწყვეტილების მომზადება არის პროცესი, რომელიც თავდაპირველი მოქმედების შესწორებისა და შევსების შესაძლებლობას აუცილებლობად მიიჩნევს. ამასთან, იგი ანგარიშს არ უწევს იმას, რომ ორგანიზაციის ფარგლებში პროგრამის განხორციელება იძულებასაც გულისხმობს. ამ დროს შესაძლებელია წინასწარ მომზადებულ და შემდგომში რეალიზებულ მოქმედების ფორმებს შორის განსხვავება წარმოიშვას. და ბოლოს, გადაწყვეტილების მიმღებს ხშირ შემთხვევაში შედეგების გაკონტროლების მოტივაცია არ აქვს. ამდენად, ჩნდება ვარაუდი იმის თაობაზე, რომ გაკეთებული არჩევანის სისწორე საეჭვოა. იგი მით უფრო დიდია, რაც უფრო ნაკლებადაა შეფასებული განსხვავება მოქმედების არჩეულსა და უარყოფილ ფორმებს შორის. ეს ეჭვი გადაწყვეტილების მიმღებს უბიძგებს, რომ წინასწარ შერჩეული თეორიის მიხედვით (Festinger, 1997) მოიძიოს და შეაფასოს ინფორმაცია, რომელიც მის არჩევანს გაამართლებს.

გადაწყვეტილების მომზადების პროცესის განსხვავებული ფაზები ერთმანეთისაგან იზოლირებულ და ხისტ სქემებად არ უნდა წარმოვიდგინოთ. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ისინი ნაწილობრივ კიდეც ფარავენ ერთმანეთს. შესაძლო მოქმედებათა ძიებისა და მათი შედეგების შეფასების შესახებაც იგივე უნდა ითქვას. მაგალითად, ურთიერთკავშირი არსებობს ისეთ მოვლენებს შორის, როგორიცაა: მოქმედების შესაძლებლობათა ძიება, გადაწყვეტილების ველის შესახებ ინფორმაცია და მოქმედებაზე პრეტენზიის დონე.

პრესკრიფციული თეორიისგან განსხვავებით გადაწყვეტილების ველის მიზნები და მათ შესახებ წარმოდგენები არ მიიღება მხოლოდ შედეგების კონტროლით. დესკრიფციულ თეორიაში შედეგების კონტროლიც სხვაგვარადაა გააზრებული, ვიდრე პრესკრიფციულ თეორიაში. ამ პოზიციიდან პრესკრიფციულ თეორიაში გაბატონებული მოსაზრება, რომ გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის (ანდა კოლექტივის) შემთხვევაში არჩევანის ყველა ფაზა ინტერნალიზებულია (შიდა განსაზღვრულობით ხასიათდება) მხოლოდ აბსტრაქციაა. უფრო რეალისტურია დაგეგმვისა და გადაწყვეტილების კომპეტენციების დეცენტრალიზება, რაც იწვევს ურთიერთობათა ქსელის ჩამოყალიბებას. მის კანონზომიერებებს კი არჩევანის გაკეთების პროცესში ანგარიში უნდა გავუწიოთ.

გადაწყვეტილების პრესკრიფციული თეორია არსებითად ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიმღების პოზიციიდან ამოდის, რომელიც მართვის შესახებ მის ხელთ არსებული ცოდნის საფუძველზე თავის მიზანს მაქსიმალურად ეფექტურად აყალიბებს. ამასთან, ცდილობს თავის საკუთარ ინტერესებს ანგარიში არ გაუწიოს (რაც რეალობაში ერთობ საეჭვოა). პოლიტიკურ კონტექსტში მისი ქცევა წარმომადგენლობით დემოკრატიას მოგვაგონებს. იგი მიისწრაფვის ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევაში ყველას დახმარების ფუნქცია თავის თავზე აიღოს.

ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილების დესკრიფციულ თეორიას დემოკრატიის კონკურენტუნარიანობის თეორია უდევს საფუძვლად. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიმღები საკუთარი ინტერესების და ასევე იდეოლოგიური მიზნების განხორციელებას ცდილობს. ამავე დროს პოლიტიკური თანამდებობის მოსაპოვებლად ანდა შესანარჩუნებლად მას ამომრჩევლის მხარდაჭერა ესაჭიროება. შეუძლებელია პოლიტიკური პროცესები ეკონომიკური პოლიტიკისგან დამოუკიდებლად მოვიაზროთ, რადგან ისინი მასთან ყოველთვის მჭიდრო კავშირშია. რამდენადაც ეკონომიკური პოლიტიკის მოვლენები საზოგადოებრივ არჩევანზე ზეგავლენას ახდენს, ამდენად ეკონომიკური პოლიტიკაც მასზე ზემოქმედების მცდელობად წარმოგვიდგება. ამ შემთხვევაში იგი (საზოგადოებრივი არჩევანი) ეკონომიკური პოლიტიკის პროცესის ენდოგენურ ელემენტად გვევლინება.

ეკონომიკური პოლიტიკის დესკრიფციული თეორია მიკრო და მაკროთეორიულ მიდგომებსაც იყენებს. უპირველეს ყოვლისა, მიკროთეორიული ორიენტირები აქვს საწარმოო და არასაწარმოო პროცესების რეგულირების პრაქტიკის ანალიზს (Stigler, 1975; Peltzman, 1976). ამავე დროს, პრაქტიკაში დადასტურებულია მიზნის ისეთი ცვლადების არსებობა, რომლებიც გადაწყვეტილების მიმღებთა საკუთარ ეგოისტურ ინტერესებზე მიგვანიშნებენ (ხელისუფლებისა და ადგილობრივი ადმინისტრაციის სახელფასო სტრუქტურა და პრემიები, კომიტეტის წევრთა საერთო ეკონომიკური ინტერესები და სხვა.). ამ მდგომარეობას ეკონომიკურ პოლიტიკაში მონაწილე სუბიექტთა ქცევის განსაზღვრისას ანგარიში უნდა გავუწიოთ.

მაკროეკონომიკური მიდგომის განხილვისას მთავრობის (როგორც კოლექტიური გადაწყვეტილების მიმღების) ქცევა წინა საფეხურზე იწევს. ამ შემთხვევაში ტიპურია შემდეგი ვარაუდები:

• ამომრჩეველი არჩევანის გაკეთებისას უპირატესობას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიღწეულ დონეს ანიჭებს და ამით ხელმძღვანელობს;

• ეკონომიკური განვითარების პრობლემებში იგი ყოველთვის მთავრობას ადანაშაულებს;

• მთავრობას ახალი ვადით არჩევნების ჩატარება სურს და

• იგი შეეცდება, თუკი მის ახალი ვადით არჩევას საფრთხე დაემუქრა, ეკონომიკური განვითარების შესახებ ამომრჩევლის წარმოდგენაზე ზემოქმედება მოახდინოს.

ასეთი მიდგომების (Frey, 1975, გვ.708) ძირითადი სტრუქტურა ეკონომიკურ ლიტერატურაში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

• მთავრობის მიზანია აჩვენოს, რომ მის მიერ სწორი ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზებისათვის აუცილებელია მხოლოდ ერთი პირობის შესრულება: ეს პირობაა მისი ახალი ვადით არჩევა;

• ამის შესაძლებლობა კი დამოკიდებულია მოსახლეობაში მთავრობის პოპულარობის დონეზე, რის შესახებაც წარმოდგენა საზოგადოებრივი აზრის საფუძველზე შეიძლება შეგვექმნას;

• უნდა ვივარაუდოთ, რომ მთავრობის პოპულარობასა და ეკონომიკურ ცვლადებს შორის (რომლებიც ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების რეალიზების დონეს გამოხატავენ) ისეთი ურთიერთკავშირი (პოპულარობის ფუნქცია) არსებობს, რომელსაც რეალობაში მკაფიო გამოიხატულება აქვს;

• მთავრობამ საკმარისად კარგად იცის თუ რომელი ინსტრუმენტები უნდა გამოიყენოს იმ ეკონომიკურ ცვლადებზე ზეგავლენისათვის, რომლებსაც პოპულარობის ფუნქცია აქვს;

• მთავრობა უპირატესობას სხვა მიზნებთან შედარებით თავის პოპულარობას ანიჭებს და თუ მისი ახალი ვადით არჩევა არ არის საკმარისად გარანტირებული, მაშინ არსებულ სიტუაციაზე ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებით რეაგირებს. სავარაუდოდ გარკვეული ურთიერთკავშირი არსებობს მთავრობის პოპულარობასა და ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებას შორის.

გადაწყვეტილების მიღების პროცესის ადრე განხილულ შემადგენელ ნაწილებთან შედარებით ეს ვარიანტიც მნიშვნელოვან აბსტრაქციას მოიცავს. იგი გვიხსნის გადაწყვეტილების მიმღების ქცევას, მაგრამ დაკვირვებისათვის გადაწყვეტილების უამრავ მიმღებს არ წარმოგვიდგენს. გადაწყვეტილების მიმღები აქტიორად უნდა მივიჩნიოთ მაშინაც კი, როცა საქმე გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოსთან და შესაბამისად კოლექტიურ გადაწყვეტილებასთან გვაქვს. ასეთ აბსტრაქციებს პრესკრიფციულ თეორიაშიც ვხვდებით. ეკონომიკურ პოლიტიკაში ქცევის განსაზღვრის თვალსაზრისით მათ უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე ოპტიმალური გადაწყვეტილების ძიების შემთხვევაში. ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემის გაცნობიერების მოტივებიდან, ანალიზდება მხოლოდ მთავრობის პოპულარობაზე მოქმედი ფაქტორები (ცვლილებები). ისინი

პარტიული და იდეოლოგიური მიზნების რეალიზებას აფერხებს. ეს იმას ნიშნავს, რომ იდეოლოგიური მიზნების დასახვას და მათი განხორციელების მცდელობას მაშინ აქვს აზრი, როდესაც პოპულარობა ახალი ვადით არჩევის საკმარის შანსს გვაძლევს. (მაგ., Frey, Schneider, 1979). ეკონომიკური პოლიტიკის თეორიულ მოდელებში ჯერ კიდევ არ არის გათვალისწინებული ის ზეგავლენა, რომელსაც მმართველი პარტია, ინტერესთა ჯგუფები და სახელმწიფო ბიუროკრატია საკუთარი ინტერესებით გადაწყვეტილებათა მომზადებაზე ახდენს. ღირებულებათა სისტემა, რომელიც გადაწყვეტილებათა თვალსაზრისით არსებითია, მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოვლენილი. ამავე დროს ეს არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადობრივი კეთილდღეობის ფუნქციაც ასევე ნაწილობრივ არის წარმოდგენილი. პირიქით, აქ საქმე ეხება მიზნის იმ ფუნქციას, რომელიც მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიმღებისათვის. თანმიმდევრულ ანალიზს გარკვეული მიზნები ექვემდებარება. მათი რეალიზების ხარისხს კი ადასტურებს ის განმარტებები, რომლებიც პოპულარობის ცვლილების გაცნობის მიზნით ხორციელდება. ასეთი მიდგომების მიხედვით მაქსიმალურად რეალიზდება და შემოწმებას ექვემდებარება წესრიგის პოლიტიკასთან დაკავშირებული კვანტიფიცირებული მიზნები. შესაძლებელია გადაწყვეტილების პრესკრიფციულ, კვანტიფიცირებად მოდელებთან სხვა პარალელების გავლებაც.

გადაწყვეტილების ველზე გადაწყვეტილების მიმღების ინფორმირებულობის დონის შესახებ ვარაუდი ძალზე წააგავს იმ ვარაუდებს, რომლებიც გადაწყვეტილების პრესკრიფციული, კვანტიფიცირებადი მოდელების საფუძველზე ყალიბდება. ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით საკითხის განხილვისას ნიშანდობლივია, რომ ზემოქმედების შესაძლებლობათა შესახებ ინფორმაციის გამოყენება შეესაბამებოდეს იმ დონეს, რომელიც ეკონომიკური მოდელებიდან გამომდინარეობს. ასეთი მოდელები მოკლევადიანი ეკონომიკური განვითარების განსაზღვრის მიზნით იქმნება. ისე, როგორც პრესკრიფციული მოდელების გამოყენებისას, ამ შემთხვევაშიც უგულვებელყოფილია, რომ ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება (როგორც გადაწყვეტილების მნიშვნელოვანი ელემენტები) განმარტებას საჭიროებს. როდესაც გადაწყვეტილების ველის მხოლოდ კვანტიფიცირებადი ელემენტებით ვიფარგლებით, ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ გაზომვადი ინსტრუმენტების გამოყენებას ვუშვებთ, ე.ი. უპირატესობას ფისკალურ პოლიტიკასა და მონეტარულ პოლიტიკასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განხორციელების შესაძლებლობას ვანიჭებთ.

პროგრამის არჩევასა და მისი შეფასების დონეს მხოლოდ შედეგი გვიჩვენებს. გადაწყვეტილების მიმღების პრიორიტეტები კი მის რეაქციებში გამოიხატება. ყოველ შემთხვევაში შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ გადაწყვეტილების მიმღების შეფასებითი წარმოდგენები გარკვეული ინტენსივობით ვლინდება. იგი განპირობებულია გადაწყვეტილების მიმღების მისწრაფებით, რომელიც

ეკონომიკური პოლიტიკის მიზათა განხორციელებასა და ღონისძიებათა დოზირებაში ჩნდება. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების წესი სუბიექტის ახალი ვადით არჩევის პირობითაა განსაზღვრული. ამისათვის არ არის აუცილებელი ხმების მაქსიმალური რაოდენობა, როგორც ამას პარტიული კონკურენციის კლასიკური მოდელები მოითხოვს. აუცილებელია მხოლოდ, რომ ახალი ვადით არჩევის შანსი საკმარისად დიდი იყოს. აქედან გამომდინარე, ეკონომიკურ პოლიტიკაში პროგრამების წარმატებასთან დაკავშირებული პრეტენზიები შეზღუდულია.

ზოგადად ეკონომიკური ციკლი გასატარებელი პოლიტიკის კონტექსტში უნდა განვიხილოთ, მაგრამ ეს უნდა მოხდეს გადაწყვეტილების იმ მაკროთეორიული მოდელის გათვალისწინებით, რომელსაც აქამდე ვიყენებდით (მაგ., Nordhaus 1975; Frey, Schneider, 1979 Downs, 1957b). ამ შემთხვევაში საყურადღებოა, რომ პრესკრიფციული მოდელებისაგან განსხვავებით საქმე ეკონომიკური სტაბილიზაციის მიზანს აღარ ეხება. პირიქით, ტრადიციულ ეკონომიკურ პოლიტიკაში მიღებულია ვარაუდი იმის შესახებ, რომ მთავრობა ცდილობს ახალი ვადით არჩევნების მოგებას მაკროეკონომიკურ ცვლადთა (განსაკუთრებით უმუშევრობის ქვოტისა და ინფლაციის მაჩვენებლის) მანიპულირების გზით. მაგრამ „დემოკრატიის ბერკეტი“ ისე მოქმედებს, რომ საარჩევნო ხმების მოსაპოვებლად საჭიროა, რომ ინფლაციისა და უმუშევრობის დონე მაქსიმალურად დაბალ ნიშნულამდე დავიდეს. ამას (მართვის შესახებ მომღვრების ძირითადი ჰიპოთეზის მიხედვით) კი ზემოაღნიშნულ ორ ცვლადს შორის არსებული წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება უშლის ხელს. იგი მიზნებს შორის კონფლიქტზე მიუთითებს. სხვა მხრივ, მაკროპოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენების უარყოფითი გვერდითი ზემოქმედებები სწორედ იმაში ვლინდება, რომ ხდება მიზნის სხვა ცვლადების დაყოვნება. ამასთან, ადგილი აქვს რაციონალური მოლოდინის ტენდენციის შესაძლებლობისაგან განყენებას და აქცენტი მოკლევადიან საარჩევნო პერიოდში სუბიექტთა ქცევაზე კეთდება. როდესაც უმუშევრობის ქვოტასა და ინფლაციის მაჩვენებელს შორის დამოკიდებულება სტაბილურია (ფილიპსის მრუდი), მთავრობის სტრატეგიაც ოპტიმალურია. სტაბილურ პოლიტიკურ სიტუაციაში საარჩევნო პერიოდში ინფლაციის, მაჩვენებელი შესაძლებელია შემცირდეს. ამასთან, ეს მხოლოდ ერთობლივი მოთხოვნის შემცირების ხარჯზე ხდება. არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოში ახალ საარჩევნო ვადაში უმუშევრობის პრობლემის მოგვარება გაცილებით მნიშვნელოვანია.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ცდილობდნენ, რომ მონაცემების მიხედვით ჩამოეყალიბებინათ ისეთი მოდელი, რომლის საფუძველზე შესაძლებელი გახდებოდა სხვადასხვა ქვეყნებსა და პერიოდებში ეკონომიკური პროცესების ახსნა. სამწუხაროდ ამგვარი მცდელობის შედეგები ჯერ-ჯერობით

არადამაჯერებელია. მხოლოდ იმის დასაბუთება მოხერხდა, რომ თუ მთავრობას ხელახალი ვადით არჩევის მცირე შანსი მაინც აქვს, იგი ცდილობს საარჩევნო ვადაში ექსპანსიური პოლიტიკა გაატაროს (Paldam, 1979). შედეგების მიმართ ეჭვი რჩება მაშინაც, როდესაც მოდელი ეკონომიკური პოლიტიკის თეორიაზეა ორიენტირებული. პრობლემას იმაში ვხედავთ, რომ მაკროთეორიულად ახსნილი მოვლენა მიკროთეორიული ასპექტით სუსტად ან არადამაჯერებლადაა დასაბუთებული (Stigler, 1973; Locksley,1980). უპირველეს ყოვლისა, მიწოდების პოლიტიკის თვალსაზრისით გათვალისწინებული არ არის კერძო ინტერესებზე ორიენტირება, მაშინ როდესაც ისინი დაკვირვების ობიექტს წარმოადგენს. რაც შეეხება მოთხოვნის ასპექტს(პოპულარობის ფუნქცია), უმუშევრობისა და ინფლაციის მაჩვენებელთა კრიტიკული ცვლადები მხოლოდ საუკეთესო შემთხვევაშია ამომრჩეველთა მიერ კომპლექსურად აღქმული და დადებითად შეფასებული. ჩვეულებრივ კი მათ ეკონომიკური მდგომარეობის ინდიკატორებად განვიხილავთ. ამ თვალსაზრისით არსებობს ეჭვი იმის შესახებ გამოხატავს თუ არა მოდელი საკმარისად გავრცელებულ დემოკრატიულ მეთოდს.

ეჭვის მეორე სახეობა ეხება თეორიას მაკროეკონომიკური მართვის შესახებ. აქ, უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ ფილიპსის სტაბილურ მრუდს, რომელიც ოპტიმიზაციაზე ორიენტირებული ეკონომისტებისა და პოლიტიკოსების რიტორიკას ახასიათებს. ორ ათეულ წელზე მეტი ხნის ინტენსიური თეორიული და ეკონომეტრიკული ძიების შემდეგ, როგორც ჩანს, გამართლდა Axel Leijohnhufvuds-ის (1977, გვ.276) ვარაუდი, რომ: „სტაბილური ფილიპსის მრუდის კონცეფცია აღარ არსებობს. ყოველი ადამიანის ფილიპსის მრუდი მოძრაობს ხან საათის ისრის მიმართულებით, ხანაც მის საწინააღმდეგოდ. იგი ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიემართება, როცა ღმერთები ჩვენს წინააღმდეგ არიან. იდეა იდეად რჩება, ოღონდ ესაა, რომ მან უცნაური მემკვიდრეობა გვარგუნა – ცარიელი ადგილი, სადაც ვითომდა იგი იმყოფება. ჩვენ ვდგევართ ამ ადგილას და სახიფათო ცდომილიბებში ვეხვევით“.

პოლიტიკური კონიუქტურის ციკლის ჰიპოთეზისათვის ეს იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად დამაჯერებელი მაკროეკონომიკური საფუძვლის უქონლობისა, იგი მაინც ინარჩუნებს შეზღუდულ ემპირიულ მნიშვნელობას. სწორედ ინფლაციისა და დასაქმების შესახებ დისკუსიამ გამოიწვია ეკონომიკური აზროვნების რევიზია. ეკონომიკური მოვლენა და მისი მაკროეკონომიკური განხილვა ერთობ რთული და ცვალებადი პროცესია, ამიტომაც ძნელია მისი ეკონომეტრიკულად წვდომა. ამ თვალსაზრისით უსაფუძვლოა ის ოპტიმიზმი, რომელიც ისე, როგორც, მაგ., სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის კანონის შემთხვევაში, რეალობის მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკით მართვას უკავშირდება.

თავი 8. გადაწყვეტილებების მიღების სოციალურ-ტექნიკური შესაძლებლობები ეკონომიკურ პოლიტიკაში

ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილების მომზადების ნორმატიული მოდელის განხილვამ განსაკუთრებული მოთხოვნები გამოააშკარავა, რომლებიც გადაწყვეტილების მომზადების ასეთ ფორმებს ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემათა ანალიტიკურ და ემპირიულ ახსნას „ავალდებულებს". რეალურად ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემები გადაწყვეტილების მიღების თეორიის ასპექტით არ არის ადვილად გადასაჭრელი. ამიტომაც მიზანშეწონილია, რომ გადაწყვეტილების მიღების პრობლემების გამომხატველი კატეგორიები ჩამოვაყალიბოთ იმის მიხედვით, თუ:

- რამდენად ხერხდება მათი ახსნა ემპირიული და ანალიტიკური ასპექტით და
- რამდენად ფართოა ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ცვალებადობის დიაპაზონი.

აქედან ეკონომიკური პოლიტიკის „რუტინის" პრობლემათა ისეთი სპექტრი იქმნება, რომელიც რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაში სისტემურ ცვლილებებს იწვევს. ამ სპექტრის საფუძველზე აიხსნება, რომ შესაძლებელია ეკონომიკურ პოლიტიკაში დასაბუთებული გადაწყვეტილებების მომზადება. რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის ჩარჩოებში რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის მოდელს თანმიმდევრული რეფორმების პოლიტიკა წარმოადგენს.

გადაწყვეტილებების მიღების პრობლემის კატეგორიები

ეკონომიკურ პოლიტიკაში დასაბუთებული გადაწყვეტილებების მომზადება დამოკიდებულია იმაზე თუ:

- რამდენად კარგად არის ემპირიულად უზრუნველყოფილი მოქმედების შესაძლებლობები და მათი შედეგები, ე.ი. რამდენად რაციონალურია მართვის შესახებ არსებული და მისაღები ცოდნა;
- რამდენად ექვემდებარება ანალიტიკურ ახსნას გადაწყვეტილების მიღების პრობლემა (გადაწყვეტილების ლოგიკიდან გამომდინარე).

მართვის პრაქტიკული ცოდნა, როგორც წესი, მით უფრო შეზღუდულია, რაც უფრო ნაკლებად ითვალისწინებს რეკომენდირებული მოქმედებები ადრინდელ მოღვაწეობას ან მისგან თავის შეკავებას (ე.ი. რაც უფრო დაშორებულია ისინი თეორიულ-ეკონომიკურ გამოცდილებას). გადაწყვეტილების პრობლემის ანალიტიკური წვდომა გაძნელებულია კარგად გააზრებული მოქმედებების კომპლექსურობით. ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილების პრობლემის სტატუსისა და დიაპაზონის შეფასება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის

გაცნობიერებული ნაგულისხმევი მოქმედებები, საზოგადოებრივი მდგომარეობის მიზნად დასახული ცვლილებები და განვითარება.

ცვლილებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მომზადების პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით შესაძლებელია ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემათა კლასიფიცირება (Braybrooke, Lindblom, 1963, გვ. 62; Jochimsen,1967, გვ.63):

- კარგად გააზრებული ცვლილების ანალიტიკური და ემპირიული ახსნის შესაძლებლობითა და
- ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილებით ნაგულისხმევი ცვლილების დიაპაზონის მიხედვით.

ვინაიდან ცვლილებათა დიაპაზონის განსაზღვრა შეფასების პრობლემაა, ამიტომ თავიდანვე გამორიცხულია ცვლილებათა შესახებ სრული თანხმობის მიღწევა. ეს სიძნელე შესამჩნევი ხდება, როგორც კი კონკრეტული შეკითხვა დაისმება. მაგალითად, როგორ აფასებს საშემოსავლო გადასახადის თითოეული გადამხდელი იმ ცვლილებებს, რომლებსაც დისკონტის, სარეზერვო ნორმისა და ღია ბაზრის პოლიტიკაში იწვევს საშემოსავლო გადასახადის მოკლევადიანი ხუთ პროცენტიანი შემცირება. იგივე უნდა ითქვას იმ ცვლილებებზეც, რომლებიც სტუდენტური გრანტების ჩანაცვლებას მოსდევს დაბალი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხის დაფინანსებით. ასევეა იმ ცვლილებების მიმართაც, რომლებიც შედეგად მოჰყვება: სახელმწიფოს მიერ რეგულირებული კარტელების შექმნას, აგრარული პოლიტიკის ორიენტირებას სახელმწიფო ტრანსფერებზე, სადაზღვევო სფეროს დერეგულირებას ან საწარმოთა ნაციონალიზაციას. მოყვანილი მაგალითები საკმარისია იმის გასაგებად, რომ შეზღუდული თუ ფართომასშტაბიანი ცვლილებების ინდივიდუალური შეფასების კრიტერიუმზე თანხმობა შეიძლება მხოლოდ ძალზე იშვიათ შემთხვევაში გვქონდეს. ამავე დროს კარგად უნდა გვახსოვდეს: ასეთი ვითარება საკმარისი არ არის იმისათვის, რომ დემოკრატიული არჩევნების გზით მოსულმა ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ვოლუნტარისტულად მიიღოს. კარგად გააზრებული ცვლილებების ანალიტიკური და ემპირიული ახსნის მახასიათებელს კონტინუუმის (მთლიანობის) წესი წარმოადგენს. ხშირად შესაძლებლობათა სფეროს ერთ მხარეზეა ცვლილებები, რომელთა შესახებ:

- შეფასებები არ გაგვაჩნია;
- მათ შორის არსებულ ურთიერთკავშირზე თეორიული ცოდნა არ გვაქვს;
- ემპირიულ ინფორმაციასაც მოკლებული ვართ.

შესაძლებლობათა სფეროს მეორე მხარეს კი აუცილებლად გვაქვს არგუმენტირებადი და შეფასებას დაქვემდებარებული ცვლილებები, რომლებიც

გადაწყვეტილების მომზადების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ცოდნასთან დაკავშირებით აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ პრობლემები, რომლებიც გადაწყვეტილების თეორიის საზღვრებშია, იმ პრობლემებისგან, რომლებიც ამ საზღვრებში არ შედის. პრობლემების პირველი კატეგორია დომინირებს რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკური პოლიტიკის ყოველდღიურ „რუტინაში". ამასთან, საექსპერტო ცოდნის დონე ერთგვაროვანი არ არის. ისიც შესაძლებელია, რომ გაცნობიერებული ცვლილებები შეფასებებში დაშვებული ცდომილებების შედეგებად მივიღოთ. რაც შეეხება გლობალური მასშტაბის ცვლილებებს, ისინი შედარებით იშვიათია. ამგვარი ცვლილებების მაგალითია საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის შეცვლა. ზოგადად, განსხვავებულად ფასდება, როგორც ასეთი ცვლილებები, ისე ის როლი, რომელსაც ეკონომიკური პოლიტიკა რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაში თამაშობს. იგულისხმება, რომ ეკონომიკა, როგორც სოციალური ქვესისტემა შესაძლებლობათა ერთობლიობაა, რომელიც საზოგადოების განვითარების მიზნებზეა ორიენტირებული.

ეკონომიკური წესრიგის შეცვლის შემთხვევაში ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ:

- ევოლუციური სისტემების ფორმირების მიზანზე ორიენტირებულ შესაძლებლობათა სკეპტიკური შეფასება, რომელიც გულისხმობს საზოგადოებას კრიტიკული რაციონალიზმის ინდივიდუალური პერსპექტივის თვალსაზრისით, და
- ასეთ შესაძლებლობათა ფორმირების ოპტიმისტური შეფასება, კონსტრუქციული რაციონალიზმის პოზიციიდან, როცა იგი საზოგადოების შესახებ კოლექტიურ შეხედულებას უკავშირდება.

ლოკალური პრობლემების გადაჭრა ძირითადად ორიენტირებულია საზოგადოებრივ სისტემათა ფუნქციონირების წინანდელ გამოცდილებაზე. იგი გულისხმობს ექსპერიმენტულ თუ თანმიმდევრულ ცვლილებებს. ამის გათვალისწინებით უმჯობესია ის პრობლემები განვიხილოთ, რომლებიც ანალიტიკურად და ემპირიულად გადაწყვეტილების რაოდენობრივი მოდელის გამოყენების საშუალებას გვაძლევს. ამასთან სასარგებლოა შემოწმდეს რა შედეგებსა და სანდოობის რა დონეს უნდა ველოდოთ გადაწყვეტილების მოდელების საფუძველზე მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიზნით განხორციელებული მოქმედებებიდან.

გადაწყვეტილების ველის შესახებ ცოდნას საფუძვლად ისეთი ემპირიულ-მეცნიერული მოდელი უდევს, რომელიც სტაბილიზაციის კვანტიფიცირებად გამოცდილებას ეფუძნება. ამ მოდელის საფუძველზე პროგნოზები მოქმედების შესაძლო შედეგებზე უკვე არსებული გამოცდილებიდან გამომდინარეობს.

უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ ცვლადების ამგვარი ვარიაციები შეზღუდულია, ვინაიდან ისინი წარსულში განხორციელებულ დაკვირვებებზეა ორიენტირებული. კოეფიციენტთა შეფასებებიც (მხარდაჭერის არეალი) ასეთ დაკვირვებებს ემყარება. გასააზრებელი ცვლილებების მასშტაბი ნათელი გახდება თუ მულტიპლიკატორებში იმ პარამეტრებს შევიტანთ, რომლებიც გამარტივებულ მოდელში გვაქვს. საქმე ეხება ძირითადი ცვლადების ცვალებადობის ზღვრულ მულტიპლიკატორულ ეფექტს, რომელიც უკეთეს შემთხვევაში ცდაზე დამყარებული ალბათობით გამოიხატება. სხვა მხრივ, საუბარია მხოლოდ პირველი პერიოდის ეფექტზე. თუმცა მოდელის საფუძველზე შესაძლებელია გრძელვადიანი შედეგების (ე.წ. დინამიკური მულტიპლიკატორები) გამოყვანაც. მოქმედების შედეგთა ფორმულირების თვალსაზრისით გასათვალისწინებელია, რომ დროთა განმავლობაში ახალი გამოცდილება გროვდება. რაციონალური პროცედურა მოითხოვს, რომ მოდელის სტრუქტურის შემოწმებისას ახალი შეფასებებიც გამოვიყენოთ. ამ დროს შესამჩნევი ხდება თუ რაოდენ ძნელია ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიების ანალიტიკური შეფასება და მათი ფორმულირება. საქმეს ისიც ართულებს, რომ პრობლემის გადაწყვეტის მცდელობის პროცესში შესაძლებელია შეიცვალოს, როგორც ქცევის წესები (მაგ., შეზღუდული რაციონალური მოლოდინის შემთხვევაში), ისე მისი შეფასებები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, როგორ უნდა შეფასდეს პრობლემის გადაწყვეტის მცდელობა? ხელსაყრელ შემთხვევაში იგი მხოლოდ უმნიშვნელო ცვალებადობის შეფასების საშუალებას გვაძლევს. შესაძლოა აგრეთვე, რომ იგი უამრავი ერთდროული მოქმედებისაგან (ინსტრუმენტთა ცვალებადობა) შედგებოდეს. მოქმედების შესაძლებლობათა რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად არის გაანალიზებული გადაწყვეტილების ველი და თანმხლები პირობების გათვალისწინებით შეფასებული გადაწყვეტილების მიღების წესი.

ვინაიდან გადაწყვეტილების მიღების პრობლემა მხოლოდ ნაწილობრივ არის კვანტიფიცირებადი, საეჭვოა, რომ მისი გადაჭრის მცდელობა რაციონალურობის კრიტერიუმს ანგარიშს უწევდეს (რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების მიღების პრობლემა მაქსიმალურად დასაბუთებული ანალიზის საგნად უნდა იქცეს). გარდა ამისა, მოდელი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ეკონომიკური პოლიტიკის პრაქტიკის წარსულში ჩამოყალიბებული ურთიერთკავშირების შესახებ. გამოცდილების საზღვრები ცვლილებას განიცდის ისეთი ინოვაციების შედეგად, როგორიცაა მაგ., ინსტრუმენტარიუმის რაოდენობრივი ზრდა ანდა კომპეტენციების ცვლილება. აუცილებელია მათი შეფასებაც. ამგვარი შესაძლებლობის უარყოფა კონსერვატიული მიდგომაა, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის მხოლოდ ადრინდელ პრაქტიკას მიესადაგება. ასეთი მოდელის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება ზედაპირული იქნება.

ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობათა არა-რაციონალურ შეფასებასთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როცა უგულვებელყოფილია გადაწყვეტილების მიღების საზღვრები. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პრობლემის გადაწყვეტისას არსებული ცოდნა უნდა გამოვიყენოთ, რომელიც ასეთი ცოდნის საზღვრების ცოდნასაც გულისხმობს (Popper, 1957a/99, გვ. 64).

შემეცნებითი ინფორმაციის (ცოდნის) საზღვრების შესახებ ცოდნა შემდეგი მოთხოვნის წინაშე გვაყენებს:

• საზოგადოებრივი პროგრესის ინტერესებიდან გამომდინარე ნებისმიერი ლოკალური ცვლილება მაქსიმალურად სისტემურად უნდა გავიაზროთ და

• როგორც გადაწყვეტილების მომზადების პროცესის ორგანიზება, ისე მასზე ორიენტირებული მთელი ძალისხმევა, ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზსა და მის შესახებ ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობებს უნდა დაემყაროს.

ამ მოთხოვნის პირველ ნაწილში ნაგულისხმევი პროცედურა ყველაზე დამაჯერებლად (თანმიმდევრული რეფორმების სოციალური ტექნიკის ფორმულირებით) პოპერმა (1945/95, 1957, გვ.64) ჩამოაყალიბა. მეორე ნაწილი ზემოაღნიშნული სოციალური ტექნიკის პრაქტიკულ გამოყენებას ეხება. იგივე მცდელობად უნდა მივიჩნიოთ ლინდბლომის (1958; Braybrooke, Lindblom, 1963) მიერ შემოთავაზებული მეთოდი. რომელიც ერთმანეთისაგან იზოლირებულ, თანდათანობითი ცვლილებების განხორციელებას გულისხმობს.

თანმიმდევრული რეფორმების გატარების სოციალური ტექნიკა არსებულ შესაძლებლობებს ემყარება. „დაუგეგმავი მოქმედების“ პოლიტიკა ვერ იყენებს ყველა შანსს, რომელსაც მიუხედავად მისი შეზღუდულობისა, რაციონალური პროცედურა გვაძლევს. ადამიანების ხელთ არსებული ცოდნის შეზღუდულობის გაცნობიერება ღრმა ეჭვს ბადებს სოციალურ ტექნიკასთან დაკავშირებით, რომელსაც პოპერი (1945/95, გვ.157) უტოპიურ სოციალურ ტექნიკად მოიხსენიებს. საქმე ეხება იმ კონსტრუქტივისტულ პოზიციას, რომელიც ჯერ კიდევ პლატონისთვის იყო ცნობილი და რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივი იდეალის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ გლობალური გეგმის საშუალებით. ამ პოზიციის მიმართ არსებული ეჭვი არ არის დამოკიდებული ამგვარი სოციალური ტექნიკის მიმდევართა წარმოდგენებზე იდეალური საზოგადოების შესახებ. პოპერის თვალსაზრისით არსებითია ის, რომ:

• იდეალის შესახებ მოსაზრებები, გაბატონებულ ნაკლოვანებებთან შედარებით, ძნელად გასაგები და შესაფასებელია;

• ბუნდოვანია არსებობს თუ არა ისეთი საზოგადოება, რომელსაც იდეალურად მიიჩნევს არა მარტო ახლანდელი თაობა, არამედ მომავალი თაობებიც და ამ მხრივ მათი ბედი წინასწარ არის განსაზღვრული;

• საზოგადოების მიერ გადაწყვეტილების მიღების ველი იმდენად კომპლექსურია, რომ შეუძლებელია შეფასდეს, თუ რამდენად რეალიზებადია მისი გლობალური და მრავალმხრივი ცვლილების გეგმა;

• რამდენად არის შესაძლებელი სიტუაციის გაუმჯობესება, რას უნდა მოველოდეთ ამ გეგმის განხორციელებიდან და რა ხარჯებთანაა იგი დაკავშირებული.

ამისგან განსხვავებით თანმიმდევრული რეფორმების სოციალური ტექნიკა გულისხმობს, რომ:

• საზოგადოებრივი ნაკლოვანებების დადგენა უფრო ადვილია, ვიდრე მისი იდეალური მდგომარეობის განსაზღვრა. ეს ასე ხდება, ვინაიდან არსებობენ საზოგადოების ისეთი წევრები, რომლებიც ამ ნაკლოვანებათა გამო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან და ისეთებიც, რომლებიც პრაქტიკულად ადასტურებენ, რომ არ ძალუძთ განსაცდელში მყოფთ ჩაენაცვლონ;

• უფრო ადვილია კონკრეტული ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად ორგანიზება, ვიდრე იმის დადგენა, თუ როგორი უნდა იყოს მომავლის საზოგადოება და მისი რეალიზების მიზნით გაერთიანება;

• ნაწილობრივი ცვლილებების შემთხვევაში უფრო ადვილია გვერდითი შედეგების შეფასება და სათანადო ტექნოლოგიის შესახებ ცოდნის შეძენა;

• უფრო ადვილია მათი განწყობის შეფასება, ვისზეც კონკრეტულმა შეზღუდულმა ცვლილებებმა პოზიტიური ან ნეგატიური ზემოქმედება მოახდინა;

• პოლიტიკური იდეების ფორმირების დეცენტრალიზებული და დემოკრატიული პროცესი უფრო მეტ შანსს გვაძლევს უამრავ შეფასებათა შორის კომპრომისის მისაღწევად. აგრეთვე აუცილებელია მზარდი ცვლილებების მნიშვნელობის თანმიმდევრული აღიარება;

• თუ აღმოვაჩენთ, რომ შეზღუდული ცვლილებების შედეგები მცდარად არის შეფასებული, მათზე დანაკარგებიც შემცირდება;

• უფრო ადვილია შეზღუდული ცვლილების შესაძლო მარცხის მიზეზების გაგება და მისი აღმოფხვრისათვის სათანადო დამხმარე ინსტრუმენტების მობილიზება, ვიდრე ეს მოქმედების გლობალური პროგრამის ჩავარდნის შემთხვევაშია შესაძლებელი;

• ბოლო ორი მიზეზიდან გამომდინარე შეზღუდული ცვლილებების განხორციელება ბევრად უფრო ნაკლებ რისკთან არის დაკავშირებული;

• მიღებული გადაწყვეტილებები უფრო ნაკლებად ეწინააღმდეგება ერთმანეთს და არც დემოკრატიული მეთოდები ირღვევა.

ეკონომიკურ პოლიტიკაში ასეთი სოციალური ტექნიკის გამოყენება ნიშნავს მიზნად დასახული საწყისი მდგომარეობის ნაწილობრივ, მაგრამ საგრძნობ გაუმჯობესებას. ნიშანდობლივია ისეთი სამიზნეების არსებობა, როგორიცაა მაგ., ინფლაციის დონის შეზღუდვა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში სასუქების შეტანის შემცირება, დამოკიდებული დასაქმებიდან თვითდასაქმებაზე გადასვლის ხელშეწყობა, ვაჭრობის არასატარიფო შეზღუდვების გაუქმება, ჯანდაცვის სისტემასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირება და ა.შ. პრაქტიკულ ღონისძიებებთან დაკავშირებული სამიზნეები არ გამორიცხავს პროგრამულად განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, როგორიცაა მაგ., ფასების სტაბილურობა, გარემოს გაუმჯობესება, ან სოციალური უსაფრთხოების ხარჯების შემცირება. პრაქტიკული მოქმედების პროცედურასთან დაკავშირებით საქმე ეხება ისეთი ცვლილებების დაგეგმვას, რომლებიც არადამაკმაყოფილებელი სიტუაციიდან გამოყვანას და არა „საბოლოო მიზნებამდე" მიყვანას გულისხმობს.

თანმიმდევრული რეფორმების სოციალური ტექნიკა რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის მოდელიცაა. მართალია, ეს ტექნიკა პოპერმა უტოპიური პოზიციის საწინააღმდეგოდ ჩამოაყალიბა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გლობალური და კომპლექსური ცვლილებები აბსოლუტურად არასასურველი იყოს. პირიქით, ცოდნასთან დაკავშირებულ შესაძლებლობათა გამოყენების თვალსაზრისით მათი შედარება(დაპირისპირება) ცხადჰყოფს, რომ ასეთი ცვლილებების მხოლოდ ფრაგმენტულად განჭვრეტაა შესაძლებელი და მათთან დაკავშირებული დანახარჯებიც უსაზღვროდ დიდია. ამავე დროს, მათ უბრალოდ გვერდს ვერ ავუვლით. ამ შემთხვევაში მიზანდასახულობის მხოლოდ მიმართულების დადგენაა შესაძლებელი. საზოგადოებისათვის სასურველ მდგომარეობაზე ორიენტირება ჩანაცვლებულია ძირითად ღირებულებებზე ორიენტაციით და ფართო გასაქანი თავისუფალ განვითარებას ეძლევა.

ეტაპობრივი რეფორმების შემთხვევაში არ ცდილობენ არსებული მდგომარეობისა და იმ შესაძლო ცვლილებების შეფასებას, რომლებმაც საზოგადოებრივი კეთილდღეობა უნდა შექმნას. პირიქით, მის ადგილს იკავებს „ანალიზისა და შეფასების სოციალური ფრაგმენტირება" (Braybrooke, Lindblom, 1963, გვ.104; 235). ეს ნიშნავს, რომ როგორც გადაწყვეტილების ველის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება, ისე გადაწყვეტილების მომზადება ეკონომიკურ პოლიტიკაში დეცენტრალიზებულ პროცედურებს წარმოადგენს. ეს კი ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიღების მთელი პროცესის გამოყენებას გულისხმობს.

ანალიზისა და შეფასების თვალსაზრისით დეცენტრალიზება იმას ნიშნავს, რომ მაგ., სამინისტროები, საპარლამენტო კომიტეტები, კვლევითი ინსტიტუტე-

ბი, გაერთიანებები, კომპანიები და კერძო ინდივიდები ერთი და იგივე პრობლემის გადაწყვეტას ცდილობენ. იგულისხმება, რომ ისინი ამ პრობლემას თავიანთი გამოცდილებისა და ინტერესების მიხედვით განიხილავენ და შესაბამის გადაწყვეტას ეძებენ. ამიტომაც, მათი მცდელობები ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამავე დროს ისინი ცდილობენ შეამოწმონ სხვების მიერ ჩატარებული ანალიზები და შემუშავებული წინადადებები იმ მიზნით, რომ ისინი გადმოიღონ ან უარყონ. ხელსაყრელ შემთხვევაში სახელისუფლებო სტრუქტურები და სუბიექტები პრობლემის გადაჭარის პროცესში ჩართული პირების ურთიერთკონტროლს ახორციელებენ (Lindblom, 1958,გვ. 306). ცვლილებათა სარგებლიანობისა და ზიანის შესახებ მათ თავიანთი ინტერესების შესაბამისი დასკვნები გამოაქვთ. უნდა ითქვას, რომ ამგვარ მოქმედებათა საფუძველზე მოპოვებული ინფორმაცია ყოველთვის უფრო უკეთესია, ვიდრე ის, რომელსაც ერთი საგეგმო ინსტანცია აგროვებს და აფასებს. დემოკრატიული პროცედურის მონაწილეებს, რომლებიც პრობლემას თავიანთი ინტერესების მიხედვით აფასებენ, მისი გადაწყვეტის საკუთარი მეთოდებისა და შეფასებების ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა აქვთ. ისინი მოტივირებული არიან, რომ კომპლექსური ანალიზი და შეფასება გააკეთონ. ინფორმაციის ასეთ პოტენციალშია სწორედ ამ პროცედურის უპირატესობა. დეცენტრა¬ლიზებული ანალიზი და შეფასება შედარებით წარმატებული მოქმედების საფუძველს გვაძლევს, თუ არ გავითვასწინებთ იმას, რომ ყოველი მონაწილე რაღაც მომენტებს უგულვებელყოფს ან ანგარიშს არ უწევს.

გადაწყვეტილების მიღების მთავარი სიძნელე იმაშია, რომ პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობები გადაწყვეტილების ავტონომიურობის საფუძველზე უნდა იქნეს განხილული. გადაწყვეტილების გლობალური წესის ძიება ამ შემთხვევაში ამაო იქნებოდა. პირიქით, ყველა ცდილობს თავიანთი ინტერესე-ბიდან გამომდინარე კონკრეტულ ცვლილებასთან დაკავშირებით უმრავლესო-ბის მხარდაჭერა მოიპოვოს. უმრავლესობის ორგანიზება კი პოლიტიკის შემოქმედთა ამოცანაა. ასეთი პროცედურის საყოველთაოდ ცნობილი ნაკლოვა-ნებები შემდეგია:

• ამბიციური რეფორმისტული იდეის მოკლევადიანი ჩარევით რეალიზების მცდელობა;

• იმ პირებს, რომლებსაც შეეხო ცვლილება, მას ან არ აქცევენ ყურადღებას ან სათანადოდ არ ითვალისწინებენ.

დემოკრატიის, როგორც მეთოდური ნორმის სასარგებლოდ უნდა ითქვს, რომ დღეს არ არსებობს უკეთესი მეთოდი, რომელიც რეფორმების აბსოლუტურად უკონფლიქტოდ (თუ საჭიროა იმ პირის შეცვლის გზით, ვინც პოლიტიკურ გადაწყვეტილებას იღებს) გატარებისა და მათი ცვლილების საშუალებას მოგვცემს.

განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში (როგორიცაა გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი, აშშ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და სხვა) გაჩნდა მასშტაბურ რეფორმებზე მოთხოვნილება. იგი განპირობებულია პროცესით, რომელსაც „ინსტიტუციურ სკლეროზს“ უწოდებენ. ინტერესთა ჯგუფების რენტის მაძიებელი ფუნქციონერები და პოლიტიკური აქტიორები, რომლებსაც ხელახალი ვადით არჩევა სურთ, ეკონომიკური მოვლენების პარალიზებას იწვევენ. ამ ასპექტით რეფორმები გამიზნულია ტრადიციულ რენტისა თუ პრივილეგიების მოპოვებაზე, რაც რენტის ძიებისა და შექმნის პროცესად წარმოგვიდგება. ეს კი იწვევს მათ მიმართ ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენელთა და მათი კლიენტურის მხრიდან წინააღმდეგობის პროვოცირებას. როდესაც პოლიტიკური აქტიორები, როგორც პიროვნულად, ისე ფინანსურად არიან გადაჯაჭვული ინტერესთა ჯგუფებთან, მაშინ რეალური რეფორმებისადმი სწრაფვა არსებით შეფერხებას განიცდის, ხოლო ზოგჯერ ბლოკირებაც მათი მხრიდან ხდება (Streit, 2004, გვ. 179).

დემოკრატიული მეთოდებისა და ეტაპობრივი რეფორმების საზღვრები ერთმანეთს ემთხვევა. ასეთ შემთხვევაში წანამძღვრად უნდა ავიღოთ ინტერესთა ისეთი ბალანსი, რომლის დროსაც გამორიცხულია შეხედულებებსა და ინტერესებს შორის ანტაგონისტური კონფლიქტი (Jochimsen, 1967,გვ. 63). ამიტომ ასეთი სოციალური ტექნიკა ყველაზე მეტად იმ საზოგადოებაში გამოიყენება, რომელშიც კონსენსუსი სუფევს ძირითადი ღირებულებების შინაარსისა და მიზნად დასახული სოციალური ცვლილებების ზოგადი მიმართულების შესახებ (Lindblom, 1958, გვ.30). ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით ეს ნიშნავს, რომ არსებობს კონცეფცია, რომელსაც შეუძლია უმრავლესობის მხარდაჭერის მოპოვება. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ სოციალური ტექნიკა ორიენტაციას მოკლებული არ არის. ასეთი კონცეფცია არც იმ ურყევ საზოგადოებრივ იდეალზეა ორიენტირებული, რომელიც ნაცვლად უზარმაზარი ნახტომისა, პატარ-პატარა ნაბიჯებით მიიღწევა. აღნიშნული კონცეფცია ცვალებადობას განიცდის, ამიტომ ამ შემთხვევაში ნაგულისხმევი წესრიგის პოლიტიკა მუდმივ ამოცანად რჩება.

რამდენადაც ეტაპობრივი რეფორმების შანსი პოლიტიკური პრაქტიკის საფუძველზე მცირდება, ამდენად მათი კორექტურა ყოველთვის სოციალური ტექნიკის ამოცანას წარმოადენს. პრობლემათა გადაწყვეტა დამოკიდებულია დემოკრატიულ პროცედურათა წესების მუდმივ გაუმჯობესებაზე და არა ახალი და უკეთესი კადრების ძიებაზე. ისიც ცნობილია, რომ პრობლემის გადაწყვეტის ადამიანური შესაძლებლობები ერთობ შეზღუდულია. საქმე ეხება ისეთი ინსტიტუციური ღონისძიებების გატარებას, რა დროსაც შუალედური დონის გადაწყვეტილების მიმღები მხოლოდ უმნიშვნელო და ადვილად გამოსასწორებელ შეცდომას უშვებს. ამავე დროს არ არსებობს აბსოლუტურად

სანდო ინსტიტუტები. მათი ფუნქციონირების უნარი დამოკიდებულია იმ ადამიანების პროფესიონალიზმსა და პიროვნულ თვისებებზე, რომლებიც ამ ინსტიტუტებს ქმნიან (Popper, 1957a/99,გვ. 66).

თანმიმდევრული და ეტაპობრივი რეფორმების სოციალურ ტექნიკას ხშირად აკრიტიკებენ არა მარტო უტოპიური სოციალური ტექნიკის მომხრეები, არამედ საზოგადოების რადიკალური რეფორმატორებიც. საქმე ეხება მის კრიტიკას იმ ასპექტით, რომელიც გულისხმობს საზოგადოების გარდაქმნას დემოკრატიული მეთოდებითა და სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი ინსტიტუტების საშუალებით. კრიტიკოსები იმასაც „ამტკიცებენ", რომ ასეთი სოციალური ტექნიკა „შინაგანად იცავს სისტემას", აფერხებს პროგრესს, ამართლებს ეკონომიკური პოლიტიკის სიხისტესა და მხარს უჭერს „კონცეფციის არქონის კონცეფციას". ამგვარი კრიტიკის საწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ:

• საზოგადოებრივი პროგრესი დემოკრატიის საფუძველზე შედარებით სწრაფად მიიღწევა. ვინაიდან შეზღუდული ცვლილებების გამო გარდაქმნის პროცესი უფრო ხანგრძლივდება. ამან შესაძლოა საზიანო შედეგები მოგვიტანოს. ეტაპობრივი რეფორმების მომხრენი ამას ანგარიშს უწევენ და გლობალური ცვლილებებისათვის საფრთხის შემცველ გაუთვალისწინებელ ხარჯებად მიიჩნევენ;

• შეზღუდული ცვლილებები არ არის ყოველთვის უმნიშვნელო. მართალია, ისინი ორიენტირებულია სისტემის რაღაც ნაწილზე, მაგრამ ამ სფეროს შიგნით შესაძლოა გლობალურობით და კომპლექსურობით ხასიათდებოდეს. ასეთ ქვესისტემაში მასშტაბურ ურთიერკავშირს კი უფრო ნაკლები მასშტაბის რეფორმები უპირისპირდება;

• ცვლილებები ყოველთვის არ არის, საზოგადოებრივი პროგრესის ტოლფასი. თანმიმდევრული და ეტაპობრივი რეფორმების სოციალური ტექნიკა სისტემური ტექნოლოგიის ცოდნის შეძენის საშუალებაა. ეს კი დახმარებას გვიწევს იმ დებულებების ჩამოყალიბების პროცესში, რომლებიც კარგად გააზრებული ცვლილებების სარგებელსა და ხარჯებს შორის დამოკიდებულებას გამოხატავს. ცვლილებათა მიმზიდველობის წარმოსაჩენად გაწეული ხარჯები ეკონომიკური პოლიტიკის სიხისტის გამოხატულება როდია, უფრო მეტიც იგი აქტიურობისაგან განსხვავებული რაციონალურობაა. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ რეფორმებზე უარის თქმაც აუცილებლად რეაქციონერული ქცევა როდია, ზოგჯერ ეს სავსებით რეფორმისტული მოვლენაა;

• თანმიმდევრული და ეტაპობრივი რეფორმების მიმართ გამოთქმული პრეტენზია, თითქოსდა ისინი ხელს უწყობენ „სისტემის შენარჩუნებას," გულისხმობს დიაგნოზს, რომლის მიხედვითაც ყველა შემჩნეული ნაკლი რეალიზებულ სისტემას მიეწერება. იგი რეკომენდაციას გვაძლევს ნაკლოვა-

ნებებისაგან თავისუფალ ახალ სისტემაზე გადასასვლელად, მაგრამ ამავე დროს გამორიცხავს უფრო მასშტაბური რეფორმების განხორციელების შესაძლებლობას, რომლებიც გამოასწორებდა შემჩნეულ ნაკლოვანებებს;

• შეზღუდული რეფორმები მართალია ორიენტირებულია კონკრეტულ ნაკლოვანებებზე, მაგრამ შეუძლებელია ისინი კონცეფციის გარეშე იყოს. პირიქით, ისინი ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ კოორდინაციის პროცედურათა ადრინდელ გამოცდილებებსა და შეფასებებს შეესაბამებოდეს. ცენტრალიზებულად რეგულირებული თუ დეცენტრალიზებულად საბაზრო კოორდინაციის მექანიზმებით ფუნქციონირების სხვა წანამძღვრებთან ერთად, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ არ შეიძლება მეთოდის შეცვლა რომელიმე კონკრეტული პრობლემის გადაჭრის მიზნით. ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციები სწორედ იმას ადგენს თუ რამდენად შეესაბამება მეთოდები და პროცედურები ძირითადი საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტის ამოცანას. აგრეთვე რა შესაძლებლობა არსებობს იმისათვის, რომ ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებების რეალიზება მოხდეს.

• თანმიმდევრული და ეტაპობრივი რეფორმების სოციალური ტექნიკა იმის საწინდარია, რომ ეკონომიკური პოლიტიკა დილეტანტებმა ბოროტად არ გამოიყენონ. ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში დილეტანტების აქტივობა საზოგადოებრივი პროგრესის ბლოკირებას იწვევს და კონცეფციის გარეშე მოქმედების გამართლებას უწყობს ხელს. თუ ამგვარ სოციალურ ტექნიკას უარვყოფთ, მაშინ საკითხი დაისმება მისი ალტერნატივის შესახებ. თუ პასუხის ძიებას უტოპიურ სოციალურ ტექნიკაში არ დავიწყებთ, მაშინ თანდათანობით უნდა შევეცადოთ თავიდან ავიცილოთ ეტაპობრივი რეფორმების სოციალური ტექნიკის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობები.

რეფორმატორული ტენდენციის მქონე არგუმენტები შეზღუდული ცვლილებების სასარგებლოდ იმ შემთხვევაში იქნება დამაჯერებელი, როდესაც არსებული ეკონომიკური და საზოგადოებრივი წესრიგის პოლიტიკის მიმართ პრინციპული პირობები არ არის წამოყენებული. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საქმე ეხება გარკვეული ნორმატიული პოზიციის დაცვას, რომელიც კრიტიკულ რაციონალიზმს შეესაბამება. შეიძლება შემოგვედავონ, რომ შეზღუდული ცვლილებები, რომელიც გულისხმობს: კონსოლიდაციის ფუნქციის გაძლიერებას, დაბალ და მაღალშემოსავლიან მომხმარებელთა საკუთრების წარმოშობისათვის ხელშეწყობას, გარემოს დაცვის მიზნით ემისიის გადასახადსა და სხვა პროგრესულ საქმიანობას, საბოლოო ჯამში იგივე შედეგებს მოგვცემს. მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ჩამონათვალი მხოლოდ შთამაგონებელი რეფორმატორული პროგრამის ფანტომია.

ხელსაყრელ შემთხვევაში ასეთი პროგრამა იმას გამოხატავს, რასაც მეცნიერი ბიულდინგი (1969) ხარჯებისა და სარგებელის საერთო ანალიზის

ეთიკას უწოდებს. მისწრაფება შემოსავლებისა და ხარჯების გაანგარიშებასთან დაკავშირებით გვიბიძგებს, რომ ორიენტაცია ისეთ რამეზე ავიღოთ, რაზეც ხელი მიგვიწვდება. ცალკეულ შემთხვევაში ასეთი ორიენტაცია მკაფიოდ, მაგრამ არადამაკმაყოფილებლად დაკონკრეტებული იდეალის რეალიზაციის საშუალებას არ მოგვცემს. იდეალებით გატაცებული მოაზროვნე ადამიანებისათვის ეს შეიძლება საშინელი მერკანტილური ცნობიერების ნიმუშია, მაგრამ ზემოაღნიშნული ეთიკის თვალსაზრისით, მიუწვდომელი იდეალისათვის გაღებული მსხვერპლი მეტისმეტად მაღალი დანახარჯია. დანახარჯი კი მაშინ არის გამართლებული, როცა მას კონკრეტული და დიდი სარგებელი მოაქვს. შეუძლებელია მეოცნებე და შთამაგონებელი გეგმების მორიგება ექსპერიმენტულ ნაბიჯებსა და ფხიზელ პრაგმატიზმთან. მაგრამ იქნებ სწორედ იდეალისტურ სწრაფვასა და მოზომილ ქცევას შორის წინააღმდეგობაა საზოგადოებრივი განვითარების მამოძრავებელი ძალა.

ცოდნის შეზღუდულობის აუცილებელი შედეგია ის, რომ რეფორმებმა შესაძლებელია კრახი განიცადოს. ამიტომ რაციონალური პოლიტიკა მოითხოვს, რომ ცდომილების შესაძლებლობა თავიდანვე იყოს გათვალისწინებული. ეს იმ მოთხოვნის მართებულობასაც მოწმობს, რომლის მიხედვითაც მხოლოდ შეზღუდული, თანმიმდევრული ცვლილებებია გამართლებული. იგი საშუალებას გვაძლევს, რომ მარცხის შემთხვევაში მისი მიზეზების შესახებ სათანადო დასკვნები გამოვიტანოთ. ამგვარი ცოდნა აუცილებელია წარმატებული კორექტირების განსახორციელებლად. მისი შეძენა კი შესაძლებელია შედეგების მუდმივი და დაწვრილებითი კონტროლის საფუძველზე. ეს კი გულისხმობს მზადყოფნას იმისათვის, რომ შეცდომები ვეძებოთ და შეცდომებზე ვისწავლოთ. აქედან გამომდინარე, თანმიმდევრული რეფორმების სოციალური ტექნიკა ცდისა და შეცდომის გასწორების მეთოდთან (Popper,1957a/99, გვ.87) მსგავსებას ადასტურებს.

საზოგადოების რეფორმირება ევოლუციურ წინაპირობებს გულისხმობს. ამიტომ შეუძლებელია მათი განმეორება ანდა გადასინჯვა, ისე თუ გადაწყვეტილების ველი(რეფორმის ზეგავლენით) ნაწილობრივ მაინც არ შეიცვალა. ამით კი რეფორმების სოციალური ტექნიკის გამოცდილება აუცილებლად იზღუდება. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, როცა ერთდროულად რამდენიმე გადაწყვეტილების მიღებას ცდილობენ. ამ თვალსაზრისით ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში შესამჩნევია ფედერალიზმთან დაკავშირებული (თუმცა საკმარისად შეზღუდული) სარგებელი.

ზოგადად რეფორმები არ არის ორიენტირებული საზოგადოების იმ წევრებზე, რომლებიც მათზე მექანიკურად რეაგირებენ. ეს სუბიექტები ცდილობენ წინასწარ გამოიცნონ რეფორმათა პოლიტიკური შედეგებები და თუ მიზანშეწონილად მიიჩნევენ თავიანთ გეგმებში გაითვალისწინონ. პოლიტიკასა

და სუბიექტებს შორის ურთიერთობა, რომელიც ბალზე წააგავს თამაშს, ეკონომიკური პოლიტიკის შემთხვევაში ტენდენციური რაციონალური მოლოდინის დასაბუთებას წარმოადგენს. იგი ამავე დროს მართვასთან დაკავშირებული თავისებური პრობლემების მიზეზიცაა. შეუძლებელია ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში არაგონივრულმა მოქმედებამ იმ ადამიანებში ეჭვის ზრდა არ გამოწვიოს, ვისაც ამ სფეროში მიღებული გადაწყვეტილებები ეხება. ეკონომიკური პოლიტიკის ასპექტით ასეთი ეჭვი არასასურველ რეაქციებს იწვევს, რაც აძნელებს ეკონომიკურ-პოლიტიკური გამოცდილების შეცნობას. გამოცდილების დაგროვების მცდელობას ისიც აძნელებს, რომ რეალობაში ერთმანეთისაგან არასაკმარისად დამოუკიდებელ სხვადასხვა პოლიტიკურ ველზე ერთდროულად უამრავი ცვლილება ხორციელდება, რაც განყენებული მიზეზების ძიების პროცესს ზღუდავს.

იმისათვის, რომ რეფორმები გამოცდილების შესაბამისად განხორციელდეს, აუცილებელია საკმარისად გრძელვადიანი პოლიტიკური მხარდაჭერა. რეალობაში ასეთი მხარდაჭერის უზრუნველყოფა შეუძლებელია. ამომრჩეველთა მოუთმენლობა, შედეგებზე პასუხისმეგებლობის აღებასთან დაკავშირებული სიძნელეები, ოპორტუნისტულად განწყობილი საპარლამენტო ოპოზიცია (ან ხელისუფლება) სწორედ ის ფაქტორებია, რომლებიც რეფორმების დროზე ადრე შეწყვეტას ან მოდიფიცირებას განაპირობებს.

თანმიმდევრული რეფორმები არ ჰგავს ექსპერიმენტებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. ის მიზეზები, რომლებიც მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს საზოგადოების მართვის საზღვრებსაც ცხადყოფს. ამ საზღვრებში იერარქიულად ყველაზე მაღალ საფეხურზე პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლებები და უფლებები დგას. ამიტომ შედეგი რაციონალურობის პოსტულატის ამოცანა არ არის. პირიქით, საქმე ეხება თანმიმდევრული რეფორმების პოლიტიკის კონტროლისა და დაცვის დამატებითი დემოკრატიული მეთოდებით უზრუნველყოფას. ეს ხორციელდება იმისათვის, რომ არ დაირღვეს მართვის შესაძლებლობათა საზღვრები. წინააღმდეგ შემთხვევაში ეფემერული კანონმდებლობის შედეგად განხორციელდებოდა სახელმწიფოს მხრიდან ინტერვენციათა სერია და დაიკარგებოდა თავისუფლება. ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებების თვალსაზრისითაც ფაქტობრივი პროგრესის მიღწევა სხვაგვარად შეუძლებელია.

ეკონომიკისა და საზოგადოების გლობალური ცვლილებები

ეკონომიკისა და საზოგადოების გლობალურ ცვლილებებზე გადაწყვეტილებების მიღება ყოველდღიურად არ ხდება. ხშირ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიმღებთ სიტუაცია უბიძგებს, უფრო იშვიათად კი ისინი

გადაწყვეტილებებს შეგნებულად ღებულობენ. 1948 წ. აშშ-ის მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელემ (საგარეო საქმეთა მინისტრი J. E. Dulles) – რომელიც ფართოდ გავრცელებულ შეხედულებას გამოხატავდა სენატის კომიტეტს განუცხადა, რომ გერმანია ევროპის აღორძინების „საცობია". ძალზე საკამათო იყო საკითხი იმის თაობაზე თუ როგორ უნდა მომხდარიყო არა მარტო მსოფლმხედველობრივი ასპექტით ამ „საცობის" თავიდან მოშორება. ანალიტიკური წვდომისა და პრაქტიკული გამოცდილების უქონლობის გამო ამ სიძნელეს სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ. გაურკვეველი იყო ის, თუ რა შედეგები მოჰყვებოდა ეკონომიკური სისტემის ცვლილებას, რომ არაფერი ვთქვათ მიზნად დასახული ეკონომიკური წესრიგის შეფასებაზე.

მაშინდელი ეკონომიკური სისტემის ცვლილების შესახებ იგივე უნდა ითქვას, რაც სოციალისტური სახალხო მეურნეობიდან საბაზრო-ეკონომიკურ წესრიგზე გადასვლასა და დემოკრატიულ ტრანსფორმაციაზე. დაგროვილი იყო უამრავი გადაუჭრელი ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემა. ისინი მძიმე ტვირთად აწვებოდა გადაწყვეტილების მიმღებთ და მათ ეკონომიკისა და საზოგადოების გლობალური ცვლილებებისკენ უბიძგებდა. წესრიგის თეორიის ასპექტით ეჭვს არ იწვევს ის, რომ პრობლემები სისტემის მემკვიდრეობას წარმოადგენს. რეალიზებული და ფუნქციონირებადი ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის საერთაშორისო გამოცდილება მნიშვნელოვან ინფორმაციას არ გვაძლევს იმის თაობაზე, თუ რა გზით უნდა ევლოთ განვითარებად ქვეყნებს და გათვლა რა კონკრეტულ შედეგებზე უნდა გაეკეთებინათ. როგორც თანამედროვე, ისე წარსულში არსებული მდგომარეობა გადაწყვეტილების მიმღების პოზიციიდან მხოლოდ ერთჯერადი მოქმედებების შემთხვევებია და მათ ისტორიული ღირებულება აქვთ. გადაწყვეტილება კი უფრო ინტუიციასა და გამბედაობას ემყარება, ვიდრე სარგებელი-ხარჯების ანალიზსა და ცივი გონებით გაანგარიშებას (Dror, 1964,გვ. 155).

ეკონომიკისა და საზოგადოების გლობალურ გარდაქმნას სხვადასხვა საფუძველი აქვს. ეს იმაზეც არის დამოკიდებული თუ როგორ გავიაზრებთ გარდამავალი პერიოდის პრობლემებს. როცა გლობალური გარდაქმნა გარდაუვალი და სასურველია, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას სიტუაციაზე მორგების ხარჯებსაც ითვალისწინებენ. გერმანელი რეფორმატორი ლუდვიგ ერჰარდი, როცა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და სავალუტო რეფორმისთვის იბრძოდა ერთობლივ ეკონომიკურ რეკომენდაციებზე დაყრდნობით 1948 წლის 21 აპრილს წერდა: „ეს საფინანსო-ეკონომიკური რეფორმა შედარებით ადვილი ამოცანა იქნებოდა, მაგრამ ზუსტი გაანგარიშების შემთხვევაშიც კი გაუთვალისწინებელი რჩება უამრავი სოციალური მოთხოვნილება და ეკონომიკური შესაძლებლობა... ამდენად მე, უპირველეს ყოვლისა, იმაში ვარ დარწმუნებული, რომ სავალუტო რეფორმაში აშკარად ნაგულისხმევი

მსხვერპლი მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, როცა რეფორმებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის ტვირთი პატიოსნად არის გადანაწილებული"(Erhard, 1962, გვ.45).

რაც შეეხება უტოპიური სოციალური ტექნიკის წარმომადგენლებს, მათ გარდამავალი პერიოდის პრობლემების მიმართ სრულიად განსხვავებული პოზიცია აქვთ. მათი პოზიცია მსხვერპლს მოითხოვს, რომელიც იმ ხალხმა უნდა გაიღოს, ვისაც რეფორმა ეხება. ცხადია მსხვერპლის ქვეშ ლენინი გულისხმობდა ,,წითელ ტერორს", რომელმაც მილიონობით ადამიანი იმსხვერპლა. ისტორიული მატერიალიზმის თვალსაზრისითაც რეფორმები დაკავშირებულია ,,მშობიარობის ტკივილებთან", რომელიც ახალი წესრიგის დაბადებას თან ახლავს. საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ ,,მშობიარობის პერიოდის" შემცირებაა შესაძლებელი.

არსებითი მნიშვნელობა აქვს არა ისტორიული იძულების რწმენას, არამედ კონსტრუქციულ მიდგომასა და ნდობას, იმის მიმართ, რომ შესაძლებელია იდეალის მიხედვით საზოგადოების მოდელირება. არ არსებობს ეჭვი ისეთი საზოგადოებრივი წყობის არსებობის შესახებ, რომელიც მომავალი თაობებისთვისაც დამაჯერებელი იქნება. ამ პოზიციაზე მყოფთ არც იმაში ეპარებათ ეჭვი, რომ შესაძლებელია იდეალის ისეთი სიზუსტით აღწერა, რომ შესაბამისი მიზნები დაიგეგმოს და განხორციელდეს.

ლენინს შესაძლებელია არც ცოდნოდა თუ რაოდენ მწირი და ბუნდოვანია ადამიანების ცოდნა საზოგადოების გლობალური დაგეგმვის შესახებ. საბჭოთა კავშირის გამოცდილებამ აჩვენა, რომ შეუძლებელია სოციალიზმზე გეგმაზომიერი გადასვლა. 1917-1921 წწ. „სამხედრო კომუნიზმი" სხვა არაფერი იყო, თუ არა სრული ეკონომიკური ქაოსი და ბანდიტიზმი. 1921 წელს ლენინის მიერ გამოცხადებული „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა," როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მრეწველობის დარგში ეკონომიკის კაპიტალისტური ფორმებისადმი ნაწილობრივ მიბრუნებას გულისხმობდა. 1928 წელს კი პირველი ხუთწლედით დაიწყო ახალი პროცესი, რომლის მიზანს წარმოადგენდა: ეკონომიკის ,,განთავისუფლება" კაპიტალისტური გადმონაშთებისაგან და გეგმურ ეკონომიკაზე გადასვლა. არც შემდგომ რეფორმებს მოუტანია საბჭოთა კავშირში სოციალისტური წყობა. პირველ ათწლეულებში გამოაშკარავდა, რომ გლობალურ განახლებას თან ახლავს უამრავი გაუთვალისწინებელი შედეგი. მათთან გამკლავება კი ძალისმიერი მეთოდებითა და ენთუზიაზმითაც ვერ გახდა შესაძლებელი. სავალდებულო დაგეგმვის ადგილი „დაუგეგმავმა დაგეგმვამ"(Popper, 1957a/99,გვ.69) უნდა დაიჭიროს.

უტოპიური სოციალური ტექნიკის შესახებ უნდა ითქვას (Popper, 1945/95, გვ.159; 1957a/99, გვ.83), რომ:

• შეუძლებელია ტოტალურ დაგეგმვასთან დაკავშირებულ ცოდნაზე მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, რადგან ასეთი ცოდნა (თანმიმდევრული გლობალური ცვლილებების თაობაზე) არ მოიპოვება. თუ ცოდნის დეფიციტის მიზეზებს მეტნაკლები სიზუსტით აღვრიცხავთ, მაშინ შესაძლებელი იქნება ნათლად დავინახოთ უამრავი ცვლილების ერთდროულად განხორციელების აბსურდულობა;

• ტოტალური დაგეგმვის მომხრეებს მთელი პროცესისა და მისი შემადგენელი ნაწილების კრიტიკა თითქმის არაფერს ეუბნება ნაკლოვანებებისა და მათი გამოსწორების შესახებ ცოდნის თვალსაზრისით. საზოგადოებრივი სისტემების გლობალური და კომპლექსური ცვლილებები ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს იმ ადამიანებზე, რომლებსაც ეს ცვლილებები ეხება. ეს პროცესები კრიტიკის საჭიროებას წარმოშობს. გარდა ამისა, ძალზე ძნელია პოზიტიურ კრიტიკულ მოსაზრებებზე პასუხის გაცემა. ტოტალური დაგეგმვის განმახორციელებლები კრიტიკას გარდამავალ პრობლემებზე საპასუხო „რეფლექსად“ აღიქვამენ. ისინი თვლიან, რომ უმრავლესობის (ან მმართველი უმცირესობის) ინტერესებიდან გამომდინარე არ ღირს მასზე ყურადღების გამახვილება. რაკი კრიტიკა ხელის შემშლელია, იგი აუცილებლად ჩახშობილ უნდა იქნეს;

• კიდევ უფრო მნიშვნელოვანია პროცედურების კრიტიკა, რომელიც დაგეგმვის ნაკლოვანებებზე ინფორმაციას გვაწვდის. თუ მოწოდებული ინფორმაცია ზუსტია, მაშინ საეჭვო ხდება დაგეგმვის შესახებ მოძღვრება და დაგეგმვის შესაძლებლობა. ამიტომ კრიტიკა განიხილება, როგორც „ყალბი ცნობიერების“ გამოვლინება. ამ შემთხვევაში გამოსავალს აზროვნების მართვაში ხედავენ. ფიქრობენ, რომ ამ გზით თავიდან აიცილებენ დაზარალებულთა მხრიდან საპასუხო, სახიფათო ქმედებების განხორციელებისათვის მზადყოფნას (რევოლუციისათვის მზადება);

• ტოტალური გეგმის რეალიზება უმცირესობის მიერ ცენტრალიზებული და ყოველმხრივი კონტროლის განხორციელებას მოითხოვს. იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ რომელიმე უბანზე გეგმის ჩავარდნა – მთელი პროცესი ცენტრალიზებულად უნდა კონტროლდებოდეს. ვინაიდან საზოგადოებრივი მოვლენები ურთიერთკავშირშია, თითქმის არ რჩება ისეთი სფეროები, სადაც ინდივიდებს თავისუფლად მოქმედება შეუძლიათ. ცენტრალური, საყოველთაო დაგეგმვა და ინდივიდთა ცხოვრებისეული გეგმები ადვილად მოდის ერთმანეთთან წინააღმდეგობაში. კოლიზიის თავიდან აცილება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა საზოგადოების ყველა წევრს „სწორი ცნობიერება“ გააჩნია. ამიტომ აუცილებელია მათი გაკონტროლება იმ სუბიექტთა მიერ, რომლებსაც პრივილეგირებულად მიუწვდებათ ხელი ამგვარ ცოდნაზე. დემოკრატიული ნებელობითი პროცესები ამ ტიპის ექსპერიმენტებს

მხოლოდ საფრთხეს უქმნის. აუცილებელია დამყარდეს მათი ,,დიქტატურა"(ინტელექტოკრატია), ვინც ფლობს იდეალური საზოგადოების რეალიზების პროგრამებს.

საბოლოო ჯამში ეკონომიკური და საზოგადოებრივი წესრიგის გლობალური და გეგმაზომიერი ცვლილების პოზიცია მხარს უჭერს უტოპიური სოციალური ტექნიკის დამკვიდრების მოთხოვნას. ამ პოზიციაზე მყოფნი თვლიან, რომ ძალაუფლება ხელში იმ ძალებმა უნდა აიღონ, რომლებიც ყველას დაუმტკიცებენ, რომ გარდაქმნა არ წარმოადგენს აუცილებლობას, რადგან ისინი საზოგადოებრივი წესრიგის ყოველმხრივი მცოდნენი არიან. ამავე დროს არაფერია ნათქვამი იმის შესახებ თუ ვინ უნდა გააკონტროლოს პოლიტიკური ძალაუფლების მქონე გაბატონებული ჯგუფები. ამ ჯგუფების მიერ არც ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობაა კარგად გათვალისწინებული. საზოგადოებისადმი მათი გზავნილი ასე ჟღერს: რჩეულმა ადამიანებმა იციან თუ როგორ უნდა შექმნან მომავლის იდეალური საზოგადოება და შეუძლებელია ისინი ცდებოდნენ. ახალი საზოგადოების შექმნის შესახებ მოსაზრებები კი ძალზე ძველია და ბრძენი ტირანის ბატონობის შესახებ პლატონის შეხედულებებს შეესაბამება.

ჩვენ განვსაზღვრეთ ეკონომიკური პოლიტიკის მოთხოვნა, მისი მეცნიერული საწყისები, წარმოვადგინეთ ეკონომიკაში ინტერვენციის შესახებ მოძღვრების შინაარსი და განვიხილეთ ეკონომიკურ პოლიტიკის პრობლემათა რაციონალურად გადაჭრის გზები. ამის საფუძველზე შესაძლებელია გავაანალიზოთ საკითხი იმის შესახებ, თუ პრაქტიკულად როგორ უნდა გამოვიყენოთ ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვის პროცესთან (დიაგნოზები, პროგნოზები, პროგრამის მონახაზები და შედეგების კონტროლი) დაკავშირებული თეორიული ცოდნა. უპირველეს ყოვლისა, საქმე ეხება ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ რჩევების განხორციელებას. ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილების მიღების პროცესში სხვადასხვაგვარად არიან ჩართული: ცალკეული მეცნიერები, მეცნიერთა ფორმალური თუ არაფორმალური ჯგუფები და ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტები. ამასთან, როგორც გადაწყვეტილების მიმღებნი, ისე საზოგადოების სხვადასხვა ფენები, ეკონომიკურ პოლიტიკაში მოვლენათა შეფასებისათვის მეცნიერულ ცოდნას მეცნიერთა პირდაპირი ჩარევის გარეშე იყენებენ.

მეცნიერული რჩევების რეალიზაციის შესაძლებლობები ეკონომიკურ პოლიტიკაში

პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის მეცნიერული რჩევებით უზრუნველყოფის საფუძვლები სამ კატეგორიად იყოფა:

- ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილების ველის შესახებ ცოდნა ლოგიკური ოპერაციების საშუალებით შეიძლება მოქმედების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციად გარდაიქმნას;
- ეკონომიკურ პოლიტიკაში დებულებები შეფასებების შესახებ სხვა შეფასებების ამსახველი დებულებებისგან განსხვავდება. ასეთი დებულებები იმ შეფასებების იდენტიფიცირებად გვევლინება, რომლებიც მათ შორის არსებულ ლოგიკურ დამოკიდებულებებს განსაზღვრავს;
- ისეთი მეთოდების ცოდნის გაღრმავების მცდელობის შედეგები, რომლებმაც უნდა გააადვილოს რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება ეკონომიკურ პოლიტიკაში.

პირველი კატეგორია ხასიათდება, როგორც ცოდნაზე ორიენტირებული, მეორე, როგორც ანალიტიკური და შეფასებითი, ხოლო მესამე, როგორც გადაწყვეტილების მიღების ლოგიკასთან დაკავშირებული.

ეკონომიკური პოლიტიკის ფუნქციონირების შესახებ პოზიტიური ცოდნა მოცემული ეკონომიკური წესრიგის ჩარჩოებში ყალიბდება. ხელსაყრელ

შემთხვევაში იგი (ცოდნა) ემპირიულად შემოწმებული გადაწყვეტილების კონკრეტულ ველთან დამოკიდებულებაში მყოფი პრინციპებით აიხსნება. ამ პოზიციის და მასში გამოხატული ინტერვენციული ოპტიმიზმის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუში რაოდენობრივი ეკონომიკური პოლიტიკაა, რომელსაც სათავე იან ტინბერგენმა დაუდო. აქ ემპირიულ-მეცნიერულ ბირთვს წარმოადგენს შეფასების ეკონომეტრიკული მოდელი, რომელიც მოქმედებაზე ორიენტირებულ მოდელად უნდა გარდაიქმნას. ასეთი გარდაქმნა ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებთან დამოკიდებულებაში მყოფი ენდოგენური ცვლადების მიხედვით უნდა მოხდეს. რამდენადაც, ეგზოგენურ ცვლადებს შორის ისეთებიც გვხვდება, რომლებიც ინსტრუმენტებად გამოიყენება, ამდენად პოზიტიური ცოდნა (ტექნოლოგიად წოდებული) მიზანზე ორიენტირებულ ენდოგენურ ცვლადებზე მათი (ინსტრუმენტების) ზემოქმედების შესახებ დებულებებსაც მოიცავს. ეს დებულებები კი განსაზღვრულ პროგნოზებს უნდა მივუყენოთ. მნიშვნელოვანია, რომ არც ენდოგენურ და არც ეგზოგენურ ცვლადებს თავიდანვე მიზნის ანდა ინსტრუმენტის მახასიათებელი არ აქვს, ასეთ რამეს ისინი შეფასების შედეგად იძენენ. „ტექნოლოგიური სისტემები" ინფორმაციას გვაწვდის სუბიექტთა მოქმედების შესაძლებლობებზე, მაგრამ არაფერს გვეუბნება თუ რომელი მიზნების რეალიზება უნდა მოხდეს ან რომელი ინსტრუმენტები უნდა გამოვიყენოთ. ისინი უბრალოდ გვიჩვენებენ თუ როგორ უნდა მივიღოთ გარკვეული შედეგები. (Albert, 1960,გვ.218). ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით არსებითია ტექნოლოგიის საშუალებით მიღებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მიზნებს შორის ურთიერთკავშირი (ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებით) კონკურენციის არსებობას განაპირობებს. ასეთი ინფორმაციის სიზუსტე კი ემპირიული შინაარსის მქონე კვაზი კანონებზეა დამოკიდებული.

როდესაც ყურადღება გამახვილებულია ეკონომიკური მოვლენის არსის გაგებაზე, მნიშვნელოვანია დავას არ იწვევდეს შემდეგი რამ: ცოდნა, რომელიც ტექნოლოგიის შესახებ ინფორმაციას ემყარება, მიუხედავად დიდი ეკონომეტრიკული ძალისხმევისა, მაინც არასაკმარისია. ეკონომიკურ პოლიტიკაში მისი გამოყენების არეალი ძალზე შეზღუდულია. ამაში მარტო კვანტიფიცირების შესაძლებლობა და ამ პროცესში ჩართული ინსტიტუტების მცირე რაოდენობა არ იგულისხმება. აქვე უნდა მოვიხსენიოთ უკვე განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრულობაც, აგრეთვე რამდენად არის მისი შედეგები ემპირიულ და თეორიულ დონეზე ხელმისაწვდომი. ამ შემთხვევაში არამყარია ცოდნის სტრუქტურა, რომელიც საზოგადოდ პროგნოზის არსებითი პირობაა. მეცნიერის შეზღუდული ცოდნაც კი რჩევის მიცემაზე უარის თქმის საბაბი არ არის. მას ყოველთვის აქვს იმის შესაძლებობა, რომ კვაზი კანონების ცოდნა, რომლის დეფიციტსაც იგი განიცდის, არასაკმარისად დასაბუთებული

ვარაუდებით ჩაანაცვლოს. თუმცა, ამით მისი რჩევით მიცემული დებულებების ემპირიული საფუძველი სუსტდება. ასეთი დებულებები გამოსაყენებლად მაინც ვარგისია, რამდენადაც შესაძლებელია მათი საფუძვლიანობის შემდგომში შემოწმება.

თუ გავითვალისწინებთ, ეკონომიკური პროცესის ძირითადი თეორიული ცნებების მიმართ არსებულ უარყოფით დამოკიდებულებას, მაშინ სახელმწიფოს მხრიდან ინტერვენციის ეკონომიკური პოლიტიკის შეფასება უფრო არასახარბიელოდ გამოიყურება. ამ პოზიციას დასაბამი ჰაიეკმა მისცა. საქმე ეხება, როგორც საბაზრო პროცესების ნეოკლასიკური თვალსაზრისის კრიტიკას, ისე მაკროეკონომიკური ურთიერთკავშირების ინტერპრეტაციას ე.წ. ნეოკლასიკური სინთეზის საშუალებით. აღნიშნული კრიტიკა ორ ძირითად ელემენტზე დაიყვანება, რომლებსაც ბაზარზე კონსტრუქციული ინტერვენციის კრიტიკა მოსდევს (Hoppmann, 1973):

- ეკონომიკური წესრიგი, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის ზეგავლენით ყალიბდება, სპონტანურ ან სავაჭრო წესრიგად არ არის აღიარებული. პირიქით, გარე დამკვირვებლის პოზიციიდან იგი გეგმაზომიერად ორგანიზებულ წესრიგად არის მიჩნეული;
- კომპლექსური და ევოლუციური საბაზრო მოვლენა სწორად არ არის გაგებული, ვინაიდან უგულვებელყოფილია ან არასაკმარისადაა გააზრებული ცოდნის პრობლემა. არც ის არის გათვალისწინებული, რომ შრომის დანაწილებასთან ერთად ცოდნის დანაწილებაც ხდება, რაც კონკურენციის პროცესში ჩამოყალიბებულ უპირატესობებში ვლინდება.

ჰაიეკის პოზიციით საეჭვოდაა მიჩნეული ემპირიული ახსნის უნარი და მასთან ერთად წონასწორობაზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური თეორიის პრინციპები.

ღირებულებების ანალიზის შემთხვევაში საქმე ეხება, როგორც მიზნების, ისე ინსტრუმენტების მახასიათებლების განსაზღვრას. ასეთი რამ შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მრჩეველი მიზანთა სრულ და არაწინააღმდეგობრივ სისტემას ემყარება. აქ იგულისხმება, რომ იგი აკონკრეტებს კიდეც მიზნების საკუთარ კატალოგს. ამიტომ მიზნების განსაზღვრა ნიშნავს მათ:

- შევსებას;
- ოპერაციონალიზებასა და
- მიზანთა კატალოგის შემოწმებას.

კატალოგის შევსება შესაძლებელია მხოლოდ დამატებითი თუ შეფასებითი ინფორმაციით, როდესაც მრჩეველის შეფასებები მიზანთა სისტემაში არსებული ხარვეზების დასაძლევად საკმარისი არ არის. მრჩეველისათვის და რჩევის მიმღებისათვის ხარვეზები ინსტრუმენტთა გამოყენების გვერდითი შედეგების ანალიზის დროს ხდება ცხადი. ანალოგიური მდგომარეობაა, როცა მთავარი

მიზნისადმი დაქვემდებარებულ მიზანთა დამოკიდებულების დროს ვკითხულობთ – გვევლინება თუ არა ეს უკანასკნელი წინას (მთავარი მიზნის) მიღწევის ინსტრუმენტად. სხვა მხრივ, თუ მიზნებს მრავალმნიშვნელოვანი შინაარსი აქვთ, ოპერაციონალიზებისათვის შესაძლოა დამატებითი ინფორმაცია გახდეს აუცილებელი. იგივე უნდა ითქვას ლოგიკური შემოწმების შესახებაც, თუ აღმოჩნდება, რომ იგი ურთიერთგამომრიცხავ მიზნებს მოიცავს. ეს მაგალითები საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ მრჩეველსა და მათ შორის, ვისაც რჩევებს აძლევენ, კომუნიკაციის მრავალი შესაძლებლობა არსებობს. ეს ვითარება, სულ ცოტა, იქამდე გრძელდება, ვიდრე მრჩეველი მხოლოდ რჩევებს აძლევს და შეფასებით შეხედულებებს არ გამოთქვამს.

შეზღუდვა, რომელიც შემოწმებას დაქვემდებარებული შეფასებითი შეხედულებების სფეროში მოქმედებს, სრულ შესაბამისობაშია შეფასებითი მსჯელობისათვის დამახასიათებელ თავისუფლების პოსტულატთან. მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სუბიექტთაშორისი შეხედულებები უნდა შემოწმდეს, მეცნიერულად შესაძლებელი მოვლენის სფეროსაც განსაზღვრავს. ამ მოთხოვნის შესრულებაზეა დამოკიდებული კრიტიკული დისკუსიის შესაძლებლობა. ამ პოზიციიდან გამორიცხულია საზოგადოების „არსისა“ თუ მისი საბოლოო მდგომარეობის შესახებ მეცნიერულად დასაბუთებული ცოდნის მიღება და მის საფუძველზე შეფასებითი მსჯელობის წარმართვა. არსებულის შესახებ ცოდნა არ იძლევა ლოგიკური დასკვნის საფუძველს იმის შესახებ, რაც უნდა არსებობდეს. ასეთი დასკვნა შეცდომაა. მეცნიერული ცოდნის თვალსაზრისით არც ისაა შესაძლებელი, რომ ძირითადი ღირებულებების შინაარსობრივად უცვლელი კატალოგი შევადგინოთ, რომელზეც ღირებულებების მყარ იერარქიას ჩამოვაყალიბებდით. საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევის მიზნით აუცილებელია ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრულ (უცვლელ) ძირითად ღირებულებებს დავეყრდნოთ. მაგრამ თუ საფუძვლიანად გავიაზრებთ ყველაფერს, ასეთი რამ საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფიქტიურ ბუნებაზე მიანიშნებს. და ბოლოს, აუცილებელია თავიდან ავიცილოთ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული შეცდომები, ვინაიდან ღირებულებებს არა მარტო მიზნები, არამედ მისი მიღწევის ინსტრუმენტებიც წარმოადგენს. ტექნოლოგია გვაძლევს შესაძლებლობას, რომ მიზნების შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ ნეიტრალური შეფასებითი შეხედულებები გამოვთქვათ. პრაქტიკული პროცედურის თვალსაზრისით გამორიცხული არ არის, რომ დასაწყისში მხოლოდ მოცემული მიზნები გავითვალისწინოთ და ინსტრუმენტთა მაქსიმალურად შედეგიანი კომბინაციები გამოვიყენოთ. თუ მათ უგულვებელვყოფთ, მაშინ მდგომარეობის ასეთი გამარტივება შეცდომა იქნება. სხვა შემთხვევაში შესაძლებელია ინსტრუმენტთა შეფასების პროვოცირება მოხდეს.

შეფასებითი ანალიზი მრჩეველის მარტო მიზანთა კატალოგის არასრულყოფილებითა და ბუნდოვანებით არ არის გაბნელებული. ვითარებას ისიც ართულებს, რომ დემოკრატიული პროცესის შეფასებისას საქმე არ ეხება მარტო საერთო კეთილდღეობაზე ორიენტირებულ გადაწყვეტილების მიმღებს. ამ შემთხვევაში საუბარია ისეთ პოლიტიკოსებზეც, რომლებიც თავის კერძო ინტერესების რეალიზებას ცდილობენ. თუმცა ისინი აცხადებენ, რომ მხოლოდ იმ მოქალაქეთა ინტერესებს იცავენ, რომელთა წარმომადგენლადაც გვევლინებიან. ეკონომიკურ პოლიტიკაში გაკრიტიკებულია ამგვარი წარმოდგენა, რადგან იგი ერთმანეთისაგან ასხვავებს, როგორც დეკლარირებულ და ფაქტობრივ მიზნებს, ისე მათი მიღწევის დეკლარირებულსა და ფაქტობრივ საშუალებებს. ასეთი განსხვავება არ არის მნიშვნელოვანი, როცა მრჩეველი მხოლოდ დეკლარირებულ მიზნებზეა ორიენტირებული. შეფასებებს შორის არსებული განსხვავებები ცხადი გახდება ისეთი რეფორმატორული რჩევების შემთხვევაში, რომლებსაც რჩევების მიმღები პოლიტიკოსები „პოლიტიკურად განუხორციელებელსა“ და „არაპოპულარულს“ უწოდებენ. ხშირად ეს შიშის გამოხატულებაა, რომელიც არჩევნებს უკავშირდება და საფრთხეს უქმნის პოლიტიკურ მოღვაწეობას.

თუ გავითვალისწინებთ, როგორც მრჩეველის, ისე რჩევის მიმღების კერძო ინტერესებს და ამ ასპექტით შევაფასებთ მათ შორის არსებულ ურთიერთობას, მაშინ რჩევის მიმღების პოზიციიდან ასეთი რამ პრობლემურია. ეს დამოკიდებულება უპრობლემო იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მრჩეველი პოლიტიკოსს საკმარისად ობიექტური ტექნოლოგიური ინფორმაციით უზრუნველყოფდა. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეკონომიკური გადაწყვეტილების ველის კომპლექსურობა რჩევის გასხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას გვაძლევს. გარდა ამისა, ცალკეული პრობლემის შეფასებაზე არსებით ზეგავლენას ანალიტიკური ინსტრუმენტების არჩევანიც ახდენს. ამ გზით ანალიზში კერძო პოლიტიკური ინტერესების ხელშემწყობი საბაზისო შეფასებები ერთვება (მაგ., Engelhardt, 1974, გვ.76).

ეკონომიკური პოლიტიკის თეორიაში – მიზნის რაციონალურობის, როგორც მეთოდური ნორმის დახმარებით – რჩევის მიცემისა და გადაწყვეტილების მიღების ლოგიკური საფუძვლები შემუშავდა. ამ მხრივ, ძალზე მნიშვნელოვანია ცოდნის ის წანამძღვრები, რომლებიც ამ რაციონალურობას თან ახლავს. საქმე ეხება იმ პოზიციას, რომლის მიხედვითაც რაციონალურობა სხვა არაფერია, თუ არა მიზნის ფუნქციის მაქსიმიზაცია (როგორც იმ საშუალების იდენტიფიკაცია, რომელიც ინსტრუმენტების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენების საშუალებას იძლევა). საფრთხე, რომელსაც ასეთი წარმოდგენა გადაწყვეტილების პრობლემას უქმნის (ფორმალური ასპექტით),

იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხელს უწყობს ეკონომიკაში გაურკვეველი მიზნით ჩარევებს (კონსტრუქტივისტულ ინტერვენციას).

ცოდნის დეფიციტი და გაურკვევლობა იმაზე მიუთითებს, რომ მხოლოდ შეზღუდული რაციონალურობაა შესაძლებელი. საქმე ის არის, რომ გადაწყვეტილების პრობლემის შეზღუდული შინაარსის გამო მეცნიერ-მრჩეველს მხოლოდ ის შეუძლია, რომ არასრულყოფილად ჩამოაყალიბოს გადაწყვეტილების ხელშემწყობი ინსტრუმენტები. თანმიმდევრული და გააზრებული გადაწყვეტილების მისაღებად ეს არც მას აფერხებს და არც რჩევის მიმღებ პოლიტიკოსს უშლის ხელს. დამხმარე საშუალება მხოლოდ იმ შემთხვევაში აუმჯობესებს გადაწყვეტილების მიღებას, თუ იგი გადაწყვეტილების მიმღებს ეჭვისაგან ათავისუფლებს. მეცნიერული რჩევა უფრო მეტ შედეგს მხოლოდ მაშინ მოგვცემდა, თუ კონვერგენციის ვარაუდს ანგარიშს გავუწევდით. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების საფუძველის გაფართოებას ობიექტური რაციონალურობის შედეგთან თანმიმდევრული მიახლოების სახე ექნებოდა. მაგრამ ამ ვარაუდის შემოწმება შეუძლებელია, ვინაიდან ბურუსით მოცულია მომავლის ის მოვლენები, რომლებსაც იგი ეხება. ამიტომ გადაწყვეტილების ლოგიკაზე ორიენტირებული რჩევის შესაძლებლობები შეზღუდულია. შეუძლებელია რაციონალური გადაწყვეტილების საყოველთაო კრიტერიუმების ჩამოყალიბება, რადგან რჩევის პროცესი ყოველთვის სუბიექტურ რისკს უკავშირდება. ამიტომ მრჩეველის მიერ შეთავაზებული რეკომენდაციები შესრულების აუცილებლობით არ ხასიათდება (Schneeweiss, 1967, გვ.193). მეცნიერული რჩევის თვალსაზრისით ობიექტური რაციონალურობის ფიქტიური ხასიათის გათვალისწინება იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების ლოგიკასთან დაკავშირებული დამხმარე ინსტრუმენტები გადაწყვეტილების მომზადების შედარებით მოკრძალებულ პრინციპებსა და მეთოდებზე დაიყვანება.

ეკონომიკურ პოლიტიკაში რჩევის პრობლემებიდან პირველ რიგში ღირებულებების ანალიტიკური წვდომა და გადაწყვეტილების მიღების ლოგიკური საფუძვლებიდან რჩევის მეთოდებთან დაკავშირებული შედეგები გამომდინარეობს. მათი ნაწილობრივი დახასიათება შესაძლებელია გამარტივებული ტიპოლოგიის მიხედვით, რომელიც მეცნიერმა ჰაბერმასმა (1964) შეიმუშავა, თუმცა ბევრი მეცნიერი არ იზიარებს იმ თეორიულ დასკვნებს, რომლებსაც იგი ასეთი ტიპოლოგიის საფუძველზე აკეთებს.

ეკონომიკურ-პოლიტიკური რჩევის „დეციზიონისტური მოდელი“ გულისხმობს, რომ შეფასების თავისუფლებიდან გამომდინარე რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან მრჩეველი, როგორც მეცნიერი და პოლიტიკოსი, როგორც შემფასებელი. რადიკალური განსხვავება ნიშნავს, რომ ეკონომიკურ პოლიტიკაში ასევე განსხვავდება ერთმანეთისაგან მეცნიერულად დასაბუთებული მოქმედების შესაძლებლობები და პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგე-

ბი. აქამდე გამოთქმულმა შეხედულებებმა სწორედ ასეთი საზღვრები დააწესეს. შესაძლებელია, დავემყაროთ ამ მოდელს, როგორც დიაგნოზისა და ეკონომიკური პოლიტიკის შედეგთა კონტროლის პროცედურას.

„დეციზიონისტური მოდელისაგან" განსხვავებით რჩევის „ტექნოკრატიული მოდელი" პოლიტიკოსს - უკიდურეს შემთხვევაში - გადასაწყვეტად არაფერს უტოვებს. პოლიტიკოსი „მეცნიერული ინტელექტის განხორციელების ინსტრუმენტად იქცევა" (Habermas, 1964, გვ. 123). რჩევა ფაქტობრივ იძულებად მხოლოდ იმ შემთხვევაში გარდაიქმნება, როცა შეფასებები რეალური მდგომარეობის ლოგიკურ შედეგებად წარმოგვიდგება. ამ შემთხვევაში პოლიტიკოსი მრჩეველთა ზეგავლენის ქვეშ ექცევა და ამ ვითარების აღმოფხვრა მხოლოდ გადაწყვეტილების ტექნოკრატიული მომზადების საფუძველზეა შესაძლებელი. აუცილებელია იმის დადგენა შემფასებელი პოლიტიკოსი იმთავითვე ფლობს თუ არა შეფასებათა სისტემას, რომლის საფუძველზეც იგი მოქმედების ცნობილ თუ უცნობ შესაძლებლობებს ერთმნიშვნელოვნად შეაფასებდა. ამ შემთხვევაში მრჩეველი, რომელიც უზრუნველყოფილია შეფასებათა სისტემითა და გადაწყვეტილების წესით, მხოლოდ რაციონალური გადაწყვეტილებების შემუშავებითაა დაკავებული. თუ პირველი მოდელი საფრთხესთანაა დაკავშირებული, მეორე მოდელის შემთხვევაში აშკარაა მისი ორაზროვნება.

„პრაგმატული მოდელის" დროს მრჩეველსა და პოლიტიკოსს შორის დამოკიდებულება -„ტექნოკრატიულ მოდელთან შედარებით" - რადიკალურად იცვლება. ეკონომიკური პოლიტიკის მეცნიერ-მრჩეველი კარგავს თავის დამოუკიდებლობას. იგი მთლიანად პოლიტიკოსის სამსახურში დგას. ეს იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში იგი ჩართულია, როგორც ექსპერტი. გარდა ამისა, მას კონტროლირებული კრიტიკოსის ფუნქციაც ენიჭება. მიუხედავად ამისა, იგი თითქმის ყოველთვის ლოიალურია მიღებული გადაწყვეტილების მიმართ.

როგორც „დეციზიონისტური მოდელის", ისე „პრაგმატული მოდელის" მაგალითზე კარგად ჩანს მეცნიერ-მრჩეველსა და პოლიტიკოსს შორის დამოკიდებულების მთელი სპექტრი. მასში თავს იყრის რჩევის ყველა ნაირსახეობა. ასე, რომ ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებს საქმე აქვთ „დეციზიონისტური მიმართულების" რჩევებთან. ამავე დროს სამინისტროებისა და სახელმწიფო კანცელარიების საგეგმო კოლეგიები უფრო პრაგმატული სტილის რჩევებით სარგებლობს. იგივე უნდა ითქვას, როგორც განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ-პოლიტიკურ საბჭოებზე, ისე აშშ-ს ეკონომიკურ მრჩეველთა საბჭოების შესახებაც (Wallich, 1968).

თეორიული ეკონომიკური პოლიტიკა გადაწყვეტილებებს (ანალიტიკური პრინციპებიდან გამომდინარე) ერთჯერადი ქმედების სახით წარმოადგენს. ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება ფაქტობრივი პროცესია.

ხშირ შემთხვევაში მაგ., პოლიტიკური პაუხისმგებლობის მქონე პირზე დაქვემდებარებული ადმინისტრაციის მიერ ნაწილობრივი გადაწყვეტილების მიღება ხდება. ამგვარი ადმინისტრაციების გადაწყვეტილების მიღების დიაპაზონი ერთობ შეზღუდულია. პოლიტიკური გადაწყვეტილების პროცესს, რომელიც აშშ-ის პრაქტიკაზეა ორიენტირებული „ანალიზისა და შეფასების სოციალურ ფრაგმენტირებას" (Braybrooke, Lindblom, 1963, გვ.104; 235) უწოდებენ. ამ მოდელის მიხედვით გადაწყვეტილების პროცესი მოიცავს: დიაგნოზებს, პროგნოზებს, პროგრამის მონახაზებს, პროგრამის არჩევას (საკუთრივ გადაწყვეტილება), პროგრამის განხორციელებასა და მისი შედეგების კონტროლს. ამასთან, მთელი ეს პროცესი ანალიტიკურად მიზანშეწონილი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ელემენტების სახით წარმოგვიდგება. ასეთი ელემენტები მოიაზრება, როგორც გადაწყვეტილების მომზადების ფაზები, რომლებიც ნაწილობრივ ფარავენ ერთმანეთს და კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულებების სახით გვევლინებიან.

როდესაც ეკონომიკურ პოლიტიკაში რჩევას რეალურად ინტენსიური კომუნიკაციის სტრუქტურა აქვს, საქმე გვაქვს გადაწყვეტილების მიღების კომპლექსურ პროცესთან, ვინაიდან:

• ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემები თავისი კომპლექსურობით არც მრჩეველისთვისაა საკმარისად ხელმისაწვდომი (ინფორმაციისა და ცოდნის თვალსაზრისით) და არც პოლიტიკოსისთვის (რჩევის მიმღებისათვის);

• მოქმედების პროგრამის აქცენტირება ინსტრუმენტთა მნიშვნელობის დასადგენად მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ამ პროცესში გადაწყვეტილების მიმღებია ჩართული. საქმე ეხება მასთან კონსულტაციებს ანდა მის მოსაზრებათა გათვალისწინებას. ეს ვითარება საშუალებას გვაძლევს, რომ ისინი მრჩეველთა კონსულტაციებით ჩავანაცვლოთ;

• გადაწყვეტილებათა განხორციელება პროცესია, რომელშიც გადაწყვეტილების ველისა და შეფასებათა შესახებ ახალი სიტუაციები და ინფორმაცია ჩნდება. შესაძლებელი და აუცილებელიცაა – რჩევების გათვალისწინებით – იმ მოქმედებების გამოსწორება და შევსება, რომლებზეც გადაწყვეტილება უკვე მიღებულია.

მრჩეველსა და რჩევის მიმღებ პოლიტიკოსს შორის მეტ-ნაკლებად მყარი ურთიერთდამოკიდებულება ყალიბდება. პრობლემის შეფასებასთან მრჩეველის კრიტიკული და რაციონალური დამოკიდებულება ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ მოდის. ვითარება არ იცვლება მაშინაც, როდესაც კომუნიკაციის პროცესი მრჩეველისა და პოლიტიკოსის შეფასებებს შორის დაახლოების პროცესად წარმოგვიდგება. არსებითი მნიშვნელობის მქონეა შემეცნებითი და თეორიული მიდგომა. მის საფუძველზე შეფასებების იდენტიფიცირება და

გაცნობიერება ხორციელდება (შესაძლებელი რომ გახდეს მომავალში მათი შედეგების კრიტიკული შეფასება).

როგორც საკუთრივ რჩევა, ისე რჩევა, როგორც მეთოდი ორიენტირებული უნდა იყოს იმ ინსტიტუტებზე, რომლებსაც ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიღება ევალებათ. რეალურ ეკონომიკურ შესაძლებლობებთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ მათი განხორციელების ის შანსიც, რომელსაც მოქმედების პოლიტიკური და ინსტიტუციური ჩარჩოები გვთავაზობს. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ მიცემულმა რჩევამ დააკმაყოფილოს ის კრიტერიუმები, რომლებსაც მას მართვის შესახებ მოძღვრება უყენებს. ამ შემთხვევაში ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული არ არის ის, რისი მეცნიერულად დამკვიდრებაც შეიძლება და ის, რაც სუბიექტურად და პოლიტიკურად ხელსაყრელია.

ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილებების მიღებისას უნდა გავითვალისწინოთ როგორც „ფაქტობრივი“, ისე „პოლიტიკური“ მიზანშეწონილობა. „ფაქტობრივი“ მიზანშეწონილობა გულისხმობს, რომ:

- მოქმედების შესაძლებლობათა საფუძველზე ჩამოყალიბებული ტექნოლოგია მიესადაგება გადაწყვეტილების ველს და
- გამოვლინდება და შემოწმდება ისეთი მნიშვნელოვანი შეფასებები, რომლებიც პროგრამის მონახაზში მოხვდება.

ჩვენთვის უკვე ცნობილია ის სიძნელეები, რომლებიც „ფაქტობრივი'' მიზანშეწონილობის მოთხოვნებთან დამოკიდებულებაში წარმოიშობა. რაც შეეხება „პოლიტიკურ“ მიზანშეწონილობას, იგი მოითხოვს, რომ ეკონომიკურ პოლიტიკაში რჩევის ფორმულირების პროცესში „პოლიტიკური ინსტიტუტების ფილტრის ფუნქცია“ იყოს გათვალისწინებული (Molitor, 1963, გვ.93).

ასეთი ფუნქციის გათვალისწინება იმას ნიშნავს, რომ მოქმედების შესაძლებლობათა ანალიზი პოლიტიკურ პროცესებზეც უნდა გავავრცელოთ. გადაწყვეტილების მიმღებს გარკვეული ადგილი უჭირავს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების ინსტიტუციურ სტრუქტურაში, რაც მას მოქმედების შესაძლებლობებს უზღუდავს. ეს ადგილი არ არის დამოკიდებული იმ პოზიციაზე, რომელიც მას გადაწყვეტილების სწორი შესაძლებლობებისადმი უნდა ჩამოუყალიბდეს. მრჩეველს მხოლოდ იმის შემოწმება ევალება „პოლიტიკური“ მიზანშეწონილობა არის თუ არა მეცნიერულად დასაბუთებული. ეს შესაბამის ემპირიულ-მეცნიერულ ცოდნას მოითხოვს. ეკონომიკური პოლიტიკის თეორია ამგვარ ცოდნას არ აგროვებს. არსებითად საქმე ინტერდისციპლინარულ პრობლემას ეხება, რომლის გადასაჭრელად აუცილებელია სხვადასხვა დისციპლინებში უპირველეს ყოვლისა, ემპირიულ ეკონომიკურ მეცნიერებებში - დაგროვილი ცოდნა გამოვიყენოთ. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ „პოლიტიკური“ მიზანშეწონილობის უკან ყოველთვის „ფაქტობრი-

ვი ვითარებები" არ დგას. ხშირ შემთხვევაში ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზება მხოლოდ ინსტიტუციური რეფორმებით მიიღწევა, რაც გადაწყვეტილების სფეროში კომპეტენციის წესრიგის შეცვლას ანდა ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ღონისძიებათა გატარებას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური ფილტრი მრჩეველს პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობებს როდი უზღუდავს. თუმცა ზოგჯერ პოლიტიკური კომპრომისის ინტერესებიდან გამომდინარე იგი იძულებულია ეკონომიკური ასპექტით „საუკეთესო გადაწყვეტილებებში" კორექტივი შეიტანოს. როდესაც საუკეთესო გადაწყვეტილების მიღების მიზნით შესასრულებელ მოქმედებათა დიაპაზონი ამოწურულია, მაშინ გადაწყვეტილების მიღების შესახებ სრულიად უკომპრომისო დისკუსია მიზანშეუწონელი ხდება. და ბოლოს, პოლიტიკური ინსტიტუტების ფილტრის ფუნქციის გათვალისწინება გულისხმობს, რომ მრჩეველი რეკომენდაციების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას ანგარიშს უწევს, რაც პოლიტიკური პროცესების კანონზომიერებებიდან გამომდინარე მოსალოდნელია.

რჩევებისა და რეკომენდაციების რეალიზების პირობების ზეგავლენით რაც უფრო მეტად „იხრება" მრჩეველი პოლიტიკოსისაკენ, მით უფრო იზრდება სპეციფიკური პრობლემის გაჩენის შანსი. საქმე ეხება იმ პრობლემას, რომელიც ორგვარ შესაძლებლობას ემყარება:

- ერთი მხრივ, არ არის დაცული დისტანცია მრჩეველსა და პოლიტიკოსს შორის;
- მეორე მხრივ, პოლიტიკოსი მრჩეველის აბსოლუტური ზეგავლენის ქვეშ ექცევა.

ამგვარი შესაძლებლობები არსებითია არა მარტო მათთვის, ვისაც უშუალოდ ეხება გადაწყვეტილება, არამედ მათ პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვთ. კრიტიკული დისტანცია მრჩეველსა და პოლიტიკოსს შორის, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია იმასთან, რომ მრჩეველი ყოველთვის განსაზღვრული შედეგის მიღწევაზეა ორიენტირებული. გარდა იმისა, რომ იგი მის მიერ გაწეული რეკომენდაციის განხორციელებას ცდილობს, გასათვალისწინებელია აგრეთვე ისეთი სტიმული, როგორიცაა მაგ., სოციალური პრესტიჟი, რასაც მრჩეველის სტატუსი გულისხმობს. რაკი რჩევის მიცემის პროცესი ფორმალურად თუ არაფორმალურად ინსტიტუციონალიზებულია, ამდენად სათანადო პერსონალის მომზადების საჭიროება ყოველთვის წარმოიშობა. ამას რჩევის პროცესის ინსტიტუციური უწყვეტობის პრობლემა უკავშირდება, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკურ პრობლემას წარმოშობს. საქმე ეხება „რჩევების ბაზრის" ჩამოყალიბებას, სადაც მოთხოვნას ქმნიან პოლიტიკოსები, ხოლო მიმწოდებლებად მეცნიერები და სამეცნიერო ორგანიზაციები გვევლინებიან. რეკომენდაცია, რომელიც მრჩეველიდან პოლიტიკოსამდე კრიტიკულ დისტან-

ციას გადის, საბაზრო პროდუქტს წარმოადგენს. რჩევის მიცემის პროცესი კი უამრავ მატერიალურ თუ არამატერიალურ სტიმულთან არის დაკავშირებული.

ეკონომიკური პოლიტიკის თეორია (მოთხოვნის ასპექტით) შედარებით მოკლევადიან პოლიტიკურ ინტერესებზეა ორიენტირებული. რაც შეეხება რჩევაზე მოთხოვნას, იგი შედარებით დაბალია და საბაზრო-ეკონომიკური წესრიგის უზრუნველყოფასა და გაუმჯობესებაზეა მიმართული. მას უფრო სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ეს კარგად ჩანს ისეთი რჩევების მაგალითზე, რომლებიც ორიენტირებულია საბაზრო ურთიერთობათა გაფართოებაზე და იმ პრივილეგიების გაუქმებაზე, რომლებსაც სახელმწიფო (ხელისუფლება) ინტერესთა ჯგუფებს ანიჭებს.

გარდა იმ სტიმულებისა, რომლებიც „მისაღებ" რჩევებს განაპირობებს, სხვა მიზეზებიც არსებობს, რაც ხელს უწყობს მრჩეველსა და პოლიტიკოსს შორის კრიტიკული დისტანციის გაქრობას. საქმე ეხება იმ ვითარებას, როცა ორივე მათგანი თავიდან მსგავს შეფასებებს აკეთებენ ანდა როცა რჩევის პროცესში მათი შეფასებების ურთიერთდაახლოება ხდება. ასეთი რამ შესაძლებელია ხელს უწყობდეს კომუნიკაციის პროცესს და მეცნიერულადაც გამართლებული იყოს იმ შემთხვევაში, თუ შეფასებები გაცნობიერებულია. ეს კი ერთობ ძნელი და იშვიათია, ვინაიდან საკუთარი შეფასებების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების ეფექტი ან სულ არ არსებობს ანდა თანდათან ქრება. როგორც წესი, ასეთი ქცევით რჩევის ხარისხი ეცემა. რაც იმაში გამოიხატება, რომ რომელიმე მნიშვნელოვანი(მოქმედებისათვის საჭირო) საშუალება მოქმედების სფეროდან ნაჩქარევად გამოირიცხება. ეს, რომ არ მოხდეს აუცილებელია სიტუაცია დამოუკიდებელი მეცნიერის მიერ კონტროლდებოდეს. მრჩეველსა და რჩევის მიმღებს შორის კრიტიკული დისტანციის შესანარჩუნებლად აუცილებელია, რომ მასალები რჩევის პროცესის მიმდინარეობის შესახებ ქვეყნდებოდეს.

კონტროლი აუცილებელია იმისთვისაც, რომ პოლიტიკოსი მრჩეველის აბსოლუტური ზეგავლენის ქვეშ არ აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკოსის პიროვნულ თვისებებს, თუ რამდენად შესწევს მას დამოუკიდებლობის შენარჩუნების უნარი. იგი პასუხისმგებელია არა რჩევაზე, არამედ იმ გადაწყვეტილებაზე, რომელსაც დამოუკიდებლად ღებულობს. გადაწყვეტილებაზე სავარაუდოა აგრეთვე ტექნოლოგიიის შესახებ (მეცნიერული თვალსაზრისით შესაძლებელია სადავო) წარმოდგენებმაც იქონიოს გავლენა. კონტროლის შესაძლებლობა გულისხმობს, რომ კონკურენციის ინსტიტუციონალიზება რჩევაზე მონოპოლიის წარმოქმნას ეწინააღდეგება. რჩევის შედეგების გამოქვეყნების მიზანი მრჩეველთა შორის კონკურენციის წახალისებაცაა. შესაძლებელია ეფექტიანი იყოს იმ წინადადებათა გათვალისწინებაც, რომლებსაც ოპონენტი მეცნიერები აყენებენ. ოღონდ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამგვარი წინადადებები ლეგიტიმური

უნდა იყოს რჩევის მიმღების პოლიტიკური კონტროლის თვალსაზრისით. განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების პარლამენტებში ეკონომიკური კომიტეტების ექსპერტთა (შესაძლებელია სხვა ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების მოწვევაც) მოსმენა ამ პროცესს ხელს შეუწყობს.

მეცნიერული რჩევის კრიტიკის ფუნქცია დემოკრატიულ საზოგადოებაში

მეცნიერული რჩევის ფუნქციის შესრულებისას ზოგადად საქმე ეხება პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის კრიტიკულ ანალიზს, რომელსაც დამოუკიდებელი მეცნიერი ატარებს. ასეთი ანალიზის საფუძველზე უმჯობესდება საზოგადოებრივი შეფასებები და პოლიტიკური კონტროლის ინსტანციის, უპირველეს ყოვლისა, პარლამენტის მუშაობა. კრიტიკის ფუნქციას ახორციელებს ეკონომიკის და სხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები (კომიტეტები). გარდა ამისა, შესაძლებელია საერთო ეკონომიკური განვითარების შესახებ ექსპერტთა საბჭოების შეხედულებების გათვალისწინებაც, რომლებიც „ეკონომიკური პოლიტიკის პასუხისმგებლობის მქონე ინსტანციების მუშაობას“ ხელს უწყობენ (მაგ., კანონები ექსპერტთა საბჭოების ფორმირების შესახებ).

დემოკრატიული განვითარების პროცესში თავისუფალი მეცნიერის შეფასებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს. იგი ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების საინფორმაციო ბაზის გაფართოებას. მეცნიერებს, რომლებიც იდეოლოგიის კრიტიკის ფუნქციას ასრულებენ, დიდი წვლილი შეაქვთ ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა გაუმჯობესების საქმეში. ეს იმას ნიშნავს, რომ ფარულად ნაგულისხმევი შეფასებების გამოვლინება ხშირად „ფაქტობრივ დებულებებსა“ თუ „ობიექტურ პროგრამებში“ ხდება (რაც სამოქალაქო საზოგადოებაში არსებულ წინააღმდეგობებს ანეიტრალებს და განვითარების პროცესს აჩქარებს).

გამორიცხული არც ის არის, რომ აღიარებულმა მეცნიერებმა თავისი შედარებით მაღალი სოციალური პრესტიჟი გამოიყენონ (ცხადია ეს იმ საზოგადოებაში ხდება, სადაც მათ ეს პრესტიჟი აქვთ) და კომიტეტის ფარგლებში თავისი შეფასებები გამოთქვან. ამასთან, მათ თავისი არგუმენტაციებით შეუძლიათ მრჩეველთა ჯგუფებს გაუწიონ დახმარება. რაც ცხადია, რჩევის მიცემის დროსაც შეამცირებს. მეცნიერები ამგვარად იქცევიან ალტრუისტული მოსაზრებებით საკუთარი მრწამსიდან გამომდინარე ანდა სხვა მოტივაციით. ასეთი ქცევით ისინი არა თუ აფერხებენ დემოკრატიულ პროცესს, არამედ ხელს უწყობენ ალტერნატიულ შეხედულებათა ჩამოყალიბებას, რაც განვითარების სწორ მიმართულებას უზრუნველყოფს.

ბოლო ათწლეულებში ეკონომიკურ პოლიტიკაში მიმდინარე დისკუსიები უფრო ინტენსიური გახდა. ისინი სულ უფრო მეტად ეკონომიკურ თეორიაში

არსებულ და მიღებულ ცოდნას ემყარება. ამან პოლიტიკოსების, ხელისუფლების წარმომადგენელთა, ინდივიდებისა და მეწარმეების ემპირიულ და სამეცნიერო დონეზე გათვითცნობიერებას შეუწყო ხელი. თანამედროვე ეპოქაში ეკონომიკა სხვა მეცნიერებათა ხვედრს იზიარებს, მასაც ინსტრუმენტად იყენებენ იმ ინტერესთა ბრძოლაში, რომლის მიზანიც ძალაუფლების მოპოვება და მისი განხორციელებაა. ერთი მხრივ ეს ვითარება ნეგატიურ შეფასებას იმსახურებს, მაგრამ მეორე მხრივ, ეკონომიკური ცოდნა საუკეთესო თავდაცვითი საშუალებაა, რომელიც პოლიტიკოსსა და ეკონომიკურ პოლიტიკას ექსპერტთა ტყვეობაში მოხვედრისაგან იცავს. ამასთან, იგი საშუალებას გვაძლევს კრიტიკულად განვიხილოთ ეკონომიკური მეცნიერების მიერ დეკლარირებული დებულებები.

ეკონომიკური პოლიტიკის, როგორც მოძღვრების გრძელვადიანი შედეგია ის, რომ მეცნიერულად დეტერმინირებული პოლიტიკის არსებობა შეუძლებელია. ხელსაყრელ შემთხვევაში მეცნიერებაზე დაყრდნობით შესაძლებელია მხოლოდ ის, რომ ხარჯებსა და სარგებელს შორის დამოკიდებულება გაუმჯობესდეს. ეკონომიკური პოლიტიკის უპირატესობა უცვლელია იმ ასპექტით, რომ მხოლოდ მას ძალუძს კომპლექსურ ემპირიულ-მეცნიერულ ინფორმაციაზე დაყრდნობით „საერთო ნების“ გამომხატველი გადაწყვეტილებების მიღება.

ALBERT, H. (1957), Theorie und Prognose in den Sozialwissenschaften. Schweizerische Zeitschrift fuer Volkswirtschaft und Statistik 93, S. 60-76.

ALBERT, H. (1960), Wissenschaft und Plolitik – Zum Problem der Anwendbarkeit einer wertfreien Sozialwissenschaft; in E. TUCHTFELDT (Hrsg.): Probleme der Wissenschaftstheorie (Festschrift fuer Victor Kraft), Wien, S.201-232.

ALBERT, H. (1963a), Modell-Platonismus – Der neoklassiche Stil des oekonomischen Denkens in kritischer Betrachtung; wiederabgedruckt in ders.: Marktsoziologie und Entscheidungslogik – Oekonomische Probleme in soziologischer perspective, Neuwied 1967, S.331-384.

ALBERT, H. (1963b), Wertfreiheit als methodisches Prinzip – Zur Frage der Notwendigkeit einer normative Sozialwissenschaft; wiederabgedruckt in ders.: Aufklaerung und Steuerung – Aufsaetze zur Sozialphilosophie und zur Wissenschaftslehre der Sozialwissenschaften, Hamburg 1976, S.160-191.

ARISTOTELES (1963), Hauptwerke (ausgewaehlt, uebersetzt und eingeleitet von W. NESTLE), Stuttgart.

BARRY, B. (1973), The Liberal Theory of Justice – A Critical Examination of the Principal Doctrines, in: „A Theory of Justice" by JOHN RAWLS, Oxford, korrigierter Neudruck 1975.

BENDA, E. (1984), Der soziale Rechtsstaat; in ders. u.a. (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Studienausgabe, Teil 1, Berlin, New York, S.477-553, 2. neubearb. Aufl. 1994.

BOECKENFOERDE, E.W. (1972), Die Bedeutung der Unterscheidung von Staat und Gesellschaft im demokratischen Sozialstaat der Gegenwart; wiederabgedruckt in ders. (Hrsg.): Staat und Gesellschaft, Darmastadt 1976, S.395-431.

BOEHM, E. (1966), Privatrechtsgesellschaft und Marktwrstchaft Ordo 17, S.75-151.

BOULDING, K.E. (1956), The Image – Knowledge in Life and Society, 12th printing, Ann Arbor 1987.

BOULDING, K.E. (1958), Principles of Economic Policy, 4th printing, Englewood Cliffs, 1964.

BOULDING, K.E. (1962), Knowledge as a Commodity; wiederabgedruckt in ders. (Hrsg.): Beyond Economics – Essays on Society, Religion, and Ethics, Ann Arbor 1968, S.141-150.

BRAINARD, W. (1967), Uncertainty and the Effectiveness of Policy. American Economic Review 57, Papers and Proceedings, S.411-425.

BRAYBROOKE, D. und CH.E. LINDBLOM (1963), A Strategy of Decision – Policy Evaluation as a Social Process, London.

BUCHANAN, J.M. (1965), An Economic Theory of Clubs. Economica 32, S.1-14. Wiederabdruck in: OATES, W.E. (ed.), The economics of fiscal federalism and local finance, Cheltenham 1998, S.456-469.

BUCHANAN, J.M. (1975), The Limits of Liberty – Between Anarchy and Leviathan, Chicago. Wiederabdruck in: The collected works of James M. Buchanan, Vol. 7, Indianapolis 2000.

BUCHANAN, J.M. (1987), The Constitution of Economic Policy. American Economic Review 77, S.243-250.

DAHL, R.A. und CH.E. LINDBLOM (1953), Politics, Economics and Welfare-Planning and Politico-Economic Systems Resolved into Basic Social Processes, reprint, New York 1963.

DAHL, R.A. (1963), Die politische Analyse (Uebersetzung von „Modern Political Analysis," Englewood Cliffs), Muenchen 1973.

DAHRENDORF, R. (1958), Pfade aus Utopia – Zu einer Neuorientierung der soiologischen Analyse; wiederabgedruckt in ders. (Hrsg.): Gesellschaft und Freiheit – Auf dem Weg zur Dienstklassengesellschaft. Gesammelte Abhandlungen II, Muenchen 1972.

DEAN, J.W. (1981), The Dissolution of the Keynesian Consensus; in D. BELL und I. KRISTOL. (Hrsg.): The Crisis in Economic Theory, New York, S. 19-34.

DONGES J. B., FREYTAG A, (2004), Allgemeine Wirtschaftspolitik, 2. Aufl., Stuttgart, S.58- 64; 86-103.

DOWNS, A. (1957b), An Economic Theory of Political Action in a Democracy; wiederabgedruckt in E.J. HAMILTON u.a. (Hrsg.): Landmarks in Political Economy Bd. 2, Chicago 1962, S.559-582.

DROR, Y. (1964), Muddling Through - „Science" or Inertia? Public Administration Review 24, S.153-157.

ENGELHARDT, G. (1969), Utopien als Problem der Sozialund Wirtschaftswissenschaften. Zeitschrift fuer die gesamte Staatswissenschaft 125, S.661-676.

ERHARD, L. (1962), Deutsche Wirtschaftspolitik – Der Weg der Sozialen Marktwirtschaft, Duesseldorf u.a.

EUCKEN, W. (1959), Grundsaetze der Wirtschaftpolitik, 7. Aufl., Tuebingen 2004.

FESTINGER, L. (1957), A Theory of Cognitive Dissonance, Neudruck, Stanford 1997.

FREY, B.S. (1975), Eine Einschaetzung der Neuen Politischen Oekonomie der siebziger Jahre. Zeitschrift fuer die gesamte Staatswissenschaft 131, S.697-718.

FREY, B.S. und F. SCHNEIDER (1979), An Econometic Model with an Endrogenous Government Sector. Public Choice 34, S.29-43.

FRIEDLAENDER, A.F. (1973), Macro Policy Goals in the Postwar Period – A Study in Revealed Preference. Quarterly Journal of Economics 87, S.25-43.

FRISCH, R. (1950), L'EMPLOI des Modeles pour l'Elaboration d'une Politique Economique Rationelle. Revue d'Economie Politique 60, S.474-498 und S.601-634.

GAEFGEN, G. (1968), Theorie der Wirtschaftspolitik; wiederabgedruckt in W. EHRLICHER u.a. (Hrsg.): Kompendium der Volkswirtstchaftslehre Bd. 2, 4. Aufl., Goettingen 1975, S.1-94.

GAEFGEN, G. (1971), Formale Theorie des politischen Handelns: Wissenschaftliche Politik als rationale Wahl von Strategien; in H. MAIER u.a. (Hrsg.): Politik und Wissenschaft, Muenchen, S.209-257.

GAEFGEN, G. (1972), Leistungsprinzip und Bedarfsprinzip in Wirstchaft und Gesellschaft; in ders. (Hrsg.): Leistungsgesellschaft und Mimenschlichkeit, Limburg, S. 9-35.

GAEFGEN, G. (1986), Komplexitaet und wirtschaftspolitisches Handeln – Anmerkungen zur Krise der theoretischen Wirtschaftspolitik; in R. KAPPEL. (Hrsg.): Im Spannungsfeld von Wirtschaft, Technik und Politik (Festschrift fuer Bruno Frisch), Muenchen, S.435-452.

GAEFGEN, G. (1987b), Kollektivverhandlungen als konstitutiver Allokations mechanismus korporatistischer Ordnungen. Zeitschrift fuer Wirstchaftspolitik 36, S.125-150.

GIERSCH, H. (1961), Allgemeine Wirtschaftspolitik (Erster Band: Grundlagen), unveraenderter Nachdr., Wiesbaden, 1990.

HABERMAS, J. (1964), Verwissenschaftlichte Politik und Oeffentliche Meinung; wiederabgedruckt in ders.: Technik und Wissenschaft als „Ideologie", Frankfurt am Main 1968, S.120-145.

HAMILTON, A., J. MADISON und J. JAY (1787-1788), The Federalist Papers, hrsg. v. C. ROSSITER, New York 1961.

HAYEK, F.A. (1945), The Use of Knowledge in Society. American Economic Review 35, S.519-530. Wiederabdruck in: VANBERG, V. (Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. A1, Wirtschaftstheorie und Wissen, Tuebingen 2005.

HAYEK, F.A. (1958), Gleichheit, Wert und Verdienst. Ordo 10, S.5-29.

HAYEK, F.A. (1959), Missbrauch und Verfall der Vernunft – Ein Fragment. Wiederabdruck in: BOSCH, A. und R. VEIT (Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. A2, Sozialwissenschaftliche Denker, Tuebingen 2004.

HAYEK, F.A. (1960), The Constitution of Liberty, Neudruck, London u.a. Wiederabdruck in: BOSCH, A. und R. VEIT Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. B3, Die Verfassung der Freiheit, Tuebingen 2005.

HAYEK, F.A. (1976), Law, Legislation and Liberty, Volume II – The Mirage of Social Justice, Chicago, London. Wiederabdruck in: VANBERG, V. (Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. B4, Recht, Gesetzgebung und Freiheit, Tuebingen 2003.

HAYEK, F.A. (1979), Law, Legislation and Liberty, Volume III – The Political Order of a Free People, Chicago, London, Wiederabdruck in: VANBERG, V. (Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. B4, Recht, Gesetzgebung und Freiheit, Tuebingen 2003.

HAYEK, F.A. (2003), Rechtsordnung und Handelnsordnung, in: STREIT, M. E. (Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. A4, Rechtsordnung und Handelnsordnung, Tuebingen.

HAYEK, F.A. (2004), Der Weg zur Knechtschaft, in: STREIT, M. E. (Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. B1, Tuebingen.

HENNIS, W. (1984), Wurzeln und Grenzen der Modernitaet; in B. KLINGENSTEIN (Hrsg.): Krise des Fortschritts, Wien u.a., S.139-151.

HERDER-DORNEICH, PH. und M. GROSER (1977), Oekonomische Theorie des politischen Wettbewerbs, Goettingen.

HEUSS, E. (1987), Gerechtigkeit und Marktwirtschaft. Ordo 38, S.3-21.

HOBBES, T. (1651) Leviathan, hrsg. v. G. A. J. ROGERS u. K. SCHUMANN, Bristol, 2003.

HOPPMANN, E. (1973), Soziale Marktwirtschaft oder Konstruktivistischer Interventionismus; in E. Tuchtfeldt (Hrsg.): Soziale Marktwirtschaft im Wandel, Freiburg, S. 27-68.

HUME, D. (1786), A Treatise of Human Nature. Neudruck der Neuausgabe, London 1882-1886 (David Hume, The Philoophical Works, Vol. 2), hrsg. v. T.H. GREEN und T.H. GROSE, Aalen 1964.

ISSING, O. (1996), Einfuehrug in die Geldpolitik, 6., wesentl. ueberarb. Aufl., Muenchen.

JAHRMANN F. U, (1998), Aussenhandel, 9., ueberarb. u. erw. Aufl., Ludwigshafen, S. 63.

JOCHIMSEN, R. (1967), Strategie der wirtschaftspolitischen Entscheidung. Weltwirtschaftliches Archiv 99 (1967/II), S.52-78.

JOHANSEN, L. (1973), Targets and Instruments under Uncertainty; in H.C. Bos (Hrsg.): Economic Structure and Development (Essays in Honour of Jan Tinbergen), Amsterdam u.a., S.3-20.

JOHANSEN, L. (1979), The Bargaining Society and the Inefficiency of Bargaining. Kyklos 32, S.497-522.

JONAS, H. (1979), Das Prinzip Verantwortung, Nachdruck, Frankfurt a. M, 2003.

KANT, I. (1781, 1788, 1790), Die drei Kriterien in ihrem Zusammenhang mit dem Gesamtwerk, Jubilaeumsausgabe anlaessl. Des 125-jaehrigen Bestehens d. philosophischen Bibliothek, Hmaburg, 1993.

KIRCHGAESSNER, G. (1985), Ist „rationale" Wirtschaftspolitik moeglich? – Zu den Auswirkungen der Theorie rationale Erwartungen und der oekonomischen Theorie der Politik auf die Theorie der Wirtschaftspolitik. Konjunkturpolitik 31, S.209-237.

KIRSCH, G. (1974), Neue Politische Oekonomie, 4. neubearb. u. erw. Aufl., Duesseldorf 1997.

KIRSCH, G. (1977), Technischer Fortschrift III – Foerderung durch die oeffentliche Hand, in: Handwoerterbuch der Wirtschaftswissenschaft, Bd. 7, Stuttgart, New York, S.609-620.

KIRSCH, W. (1970), entscheidungsprozesse (Bd. 1: Verhaltenswissenschaftliche Ansaetze der Entscheidungstheorie), Wiesbaden.

KIRSCHEN, E.S. u.a., Hrsg. (1964), Economic Policy in Our Time, Vol. I, Neudruck, Amsterdam 1968.

KLEIN, L.R. (1947), The Use of Economic Models as a Guide to Economic Policy. Econometrica 15, S.111-151.

KLOTEN, N. (1986), Der Staat in der Sozialen Marktwirtschaft (Walter-Eucken-institut,Vortraege und Aufsaetze 108), Tuebingen.

KOCH W. A, CZOGALLA Ch, (2004), Grundlagen der Wirtschaftspolitik, 2. Aufl., Stuttgart, S.31.

LANGLOIS, R.N. (1986), Rationality, Institutions and Explanation; in ders. (Hrsg.): Economics as a Process – Essays in New Institutional Economics, Cambridge u.a., S.225-255.

LEIJONUFVUD, A. (1977), Inflation and the Economists – Critique; wiederabgedruckt in ders.: Information and Coordination – Essays in Macroeconomic Theory, Oxford, 1981, S.271-289.

LIDBLOM, CH. E. (1958), Policy Analysis. American Economic Review 48, S.298-312.

LOCKSLEY, G. (1980), The Political Business Cycle: Alternative Interpretations: inP. WHITELEY (Hrsg.): Models of Political Economy, London, Beverly Hills, S.177-198.

LUCAS JR., R.E. (1976), Econometric Policy Evaluation – A Critique; in K. BRUNNER und A.H. MELTZER (Hrsg.): The Philips Curve and Labor markets, Amsterdam u.a. S.19-46.

MARX, K. (1875), Randglossen zum Programm der deutschen Arbeiterpartei (Kritik des Gothaer programs); wiederabgedruckt in Institut fuer Marxismus-Leninismus beim ZK der SED (Hrsg.): Karl Marx – Friedrich Engels, Werke Bd. 19, Berlin (Ost) 1972, S.15-32.

MELTZER, A.H. (1981), Monetarism and the Crisis in Economics; in D. BELL und I. KRISTOL (Hrsg.): The Crisis in Economic Theory, New York, S.35-45.

MENGES, G. (1969), Grundmodelle wirtschaftlicher Entscheidungen, 2. Aufl., Duesseldrof 1974.

MESTMAECKER, E.-J. (1975), Wirtschaftsordnung und Staatsverfassung; in ders. und H. SAUERMANN (Hrsg.): Wirtschaftsordnung und Staatsverfassung (Festschrift fuer Franz Boehm zum 80. Geburtstag), Tuebingen, S.383-419).

MILL, J.S. (1859), On Liberty; in ders.: Utilitarism, Liberty, Representative Government, neuausgabe, hrsg. v. H. B. ACTON, London 1972.

MOLITOR, B. (1958), Soziale Marktwirtschaft. Hamburger jahrbuch fuer Wirtschafts – und Gesellschaftspolitik 3, S. 57-75.

MOLITOR, B. (1963), Theorie der Wirtschaftsplitik und Werturteil. Hamburger Jahrbuch fuer Wirstchafts- und Gesellschaftspolitik 8, S.81-102.

MUELLER, D.C. (1979), Public Choice, reprint, Cambridge u.a., 1993.

MULLER-ARMACK, A. (1956), Soziale Marktwirtschaft, in: Handwoerterbuch der Sozialwissenschaften, Bd. 9, Stuttgart, Tuebingen, Goettingen, S.390-392.

MUNDELL, R.A. (1962), The Appropriate Use of Monetary and Fiscal Policy for Internal and External Stability; wiederabgedruckt in J. LINDAUER (Hrsg.): Macroeconomic Readings, Toronto 1968, S.253-257.

MYRDAL, G. (1933), Das Zweck-Mittel-denken in der Nationaloekonomie. Zeitschrift fuer Nationaloekonomie 4, S.305-329.

MYRDAL, G. (1969), Objektivitaet in der Sozialforschung, 2. Aufl., Frankfurt am Main 1971.

NORDHAUS, W.D. (1975), The Political Business Cycle,. Review of Economic Studies 42, S. 169-190.

OLSON, M. (1965), The Logic of Collective Action – Public Goods and the Theory of Groups, 20. Aufl., Cambridge, Mass., 2002.

OLSON, M. (1991), The Rise and Decline of Nations – Economic Growth, Stagflation and Social Rigidities, New haven, London, 2. durchges. Aufl., Tuebingen.

PALDAM, M. (1979), Is there an Electional Cycle? – A Comparative Study of National Accounts. Scandinavian Journal of Economics 81, S.323-342.

PELTZMAN, S. (1976), Toward a More General Theory of Regulation. Jornal of Law and Economics 19, S.211-240.

POPPER, K.R. (1945), The Open Society and its Enemies, Vol. 1 – The Spell of Plato, Golden Jubilee Edition, London 1995.

POPPER, K.R (1948a), Prediction and Prophesy in the Social Sciences; wiederabgedruckt in ders.: Conjectures and Refutations – The Growth of Scientific Knowledge, 5. Aufl., Neudruck; London u.a. 2002, S. 336-346.

POPPER, K.R (1957a), The Poverty of Historicism, 6. Aufl., Neudruck, London 1999. Uebersetzt in: KIESEWETTER, H. (Hrsg.), Gesammelte Werke 4, Das Elend des Historizismus, 7. durchges. u. erg. Aufl., Tuebingen 2003.

POPPER, K.R (1960), On the Sources of Knowledge and of Ignorance; wiederabgedruckt in ders.: Conjectures and Refutations – The Growth of Scientific Knowledge, 5. Aufl., Neudruck; London u.a. 2002, S. 3-30.

POPPER, K.R (1976), Conjectures and Refutations The Growth of Scientific Knowledge, 5. Aufl., Neudruck; London u. a., 2002.

PUETZ, T. (1979), Grundlagen der Theoretischen Wirtschaftspolitik (Wirtschaftspolitik, Bd. 1), 4; neubearb. u.erw. Aufl., Stuttgart.

RAWLS, J. (1971), A Theory of Justice, rev. ed. 5th printing, Cambridge, Mass., 2003.

ROEPKE, W. (1944), Civitas Humana – Grundfragen der Gesellschafts- und Wirtschaftsreform, 4. Aufl., Bern 1979.

RUESTOW, A. (1953), Soziale Marktwirtschaft als Gegenprogramm gegen Kommunismus und Bolschewismus; in A. HUNOLD (Hrsg.): Wirtschaft ohne Wunder, Erlenbach-Zuerich, S. 97-108.

RUPP, H. H. (1971), Konzertierte Aktion und freiheitlich-rechtsstaatliche Demokratie; in E. HOPPMANN (Hrsg.): Konzertierte Aktion – Kritische Beitraege zu einem Experiment, Franfurt a. M., S.1-18.

SAMUELSON, P.A. und R. M. SOLOW (1960), Analytical Aspects of Anti-Inflation Policy. American Economic Review 50, Papers and Proceedings, S. 177-194.

SARTORI, G. (1987), The Theory of Democracy Revisited, 2 Bde., Chatham, N. J., Sonderausgabe Darmstadt 1997.

SCHILLER, K. (1968), Konjunkturpolitik auf dem Wege zu einer Affluent Society; in R. SCHWEBLER und W. FOEHRENBACH (Hrsg.): Jahre der wende (Festgabe fuer Alex Moeller), Karlsruhe, S. 61-76.

SCHNEEWEISS, H. (1967), Entscheidungskriterien bei Risiko, Berlin u. a.

SCHUMPETER, J. (1942), Kapitalismus, Sozialismus und Demokratie, 7. erw. Aufl., Tuebingen u. a., 1993.

SCHILLER, R. J. (1978), Rational Expectations and the Dynamic Structure of Macroeconomic Models. Journal of Monetary Economics 4, S. 1-44.

SIMON, H. A. (1957), Models of Man – Social and Rational, New York, 1987.

SIMON, H. A. (1959), Theories of Decision-Making in Economics and Behavioral Science. American Economic Review. 49, S. 253-283.

SIMON, H. A. (1983), Reason in Human Affairs, Oxford.

STIGLER, G. J. (1975), The Citizen and the State – Essays on Regulation, Chicago und London.

STREETEN, P. (1954), Programme und Prognosen; wiederabgedruckt in G. GAEFGEN (Hrsg.): Grundlagen der Wirtschaftspolitik, 3. Aufl., Koeln u. a. 1970, S. 53-74.

STREIT, M. E. (1981), Demand Management and Catallaxy – Reflections on a Poor Policy Record. Ordo 32, S.17-34.

STREIT, M. E. (1983b), Heterogene Erwartungen, Preisbildung und Informationseffizienz auf spekulativen Maerkten. Zeitschrift fuer die gesamte Staatswissenschaft 139, S. 67-79.

STREIT, M. E. (2003), Menschliches Wissen – Dimensionen eines komplexen Phaenomens, in: ORDO 54, S. 113-122.

STREIT, M. E. (2004), Die Misere des deutschen Verbaendestaates, in: ZfW, 54 Jg. Wiederabdruck in: ders. (Hrsg.), Contributiones Jenenses Bd. 9, Baden-Baden.

STREIT, M. E. (2005), Theorie der Wirtschaftspolitik, 6. Auflage, Stuttgart.

THALHEIM, K. C. (1955), Zum problem der Einheitlichkeit in der Wirtschaftspolitik; in K. MUHS (Hrsg.): Festgabe fuer Geirg Jahn, Berlin, S. 577-587.

THEIL, H. (1954), Econometric Models and Welfare Maximization. WWeltwirtschaftliches Archiv 72, S. 60-83.

TINBERGEN, J. (1952), On the Theory of Economic Policy, 5 th print, Amsterdam, 1970.

TINBERGEN, J. (1964), Economic Policy – Principles and Design, 4 th rev. ed., reprint, Amsterdam 1975.

TUCHTFELDT, E. (1960), Zur Frage der Systemkonformitaet wirtschaftspolitischer Massnahmen; in H. J. SERAPHIM (Hrsg.): Zur Grundlegung wirtscaftspolitischer Konzeptionen (Schriften des Vereins fuer Socialpolitik, N. F. Bd. 18), Berlin, S. 203-238.

TUCHTFELDT, E. (1970a), Ueber unerwuenschte Nebenwirkungen wirtschaftspolitischer Mssnahmen. Kyklos 23, S. 720-735.

TUCHTFELDT, E. (1971a), Moral Suasion in der Wirtschaftspolitik; in E. HOPPMANN (Hrsg.): Konzertierte Aktion – Kritische Beitraege zu einem Experiment, Frankfurt am Main, S. 19-68.

TUCHTFELDT, E. (1973), Soziale Marktwirtschaft und globalsteuerung in ders. (Hrsg): Soziale Marktwirtschaft im Wandel, Freiburg, S. 159-188.

TUCHTFELDT, E. (1982), Wisrtchaftspolitik, in: Handwoerterbuch der Wirtschaftswissenschaft, Bd. 9, Stuttgart u. a., S. 178-206.

WALLICH, H. C. (1968), The American Council of Economic Advisors and the German Sacverstaendigenrat – A Study in the Economics of Advice. Quarterly Journal of Economics 82, S. 349-379.

WEBER, M. (1921), Wirstchaft und Gesellschaft, 5. rev. Aufl., Studienausg., Nachdruck, Tuebingen, 2002.

WILES, M. H. (1981), „Rational Expectations" as a Counterrevolution; in D. BELL und I. KRISTOL (Hrsg.): The Crisis in Economic Theory, New York, S. 81-96.

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com